**ქალთა მიმართ ძალადობა** გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

წყარო: გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, მსოფლიოს მასშტაბით ქალთა დაახლოებით მესამედს (35 პროცენტს) სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც გადაუტანია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორისა და/ან არაპარტნიორის მხრიდან.<sup>4</sup> უფრო კონკრეტულად, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 30 პროცენტს, სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც გადაუტანია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 7 პროცენტს – სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან.<sup>5</sup>

ამგვარი ძალადობა ადრეულ ასაკში იწყება, რადგან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-24 წლის ასაკის ყოველი ოთხი ქალიდან ერთს, 25 წლის ასაკისთვის უკვე გადატანილი აქვს ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან.<sup>6</sup> ასევე აღსანიშნავია, რომ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) 2022 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით მოკლული ყოველი ხუთი ქალიდან დაახლოებით სამი (55 პროცენტი) ინტიმური პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ იყო განზრახ მოკლული. ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2012 წლიდან, როცა იგი 48 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა მამაკაცების შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო.<sup>7</sup>

2014 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 10-დან 1, ანუ 120 მილიონი 20 წლამდე ასაკის გოგო გახდა იძულებითი სქესობრივი აქტის ან სხვა სახის იძულებითი სექსუალური ქმედების ობიექტი.<sup>8</sup> გოგოების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი პირველად მოზარდობის დროს გახდნენ, ხოლო სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირი, უმეტეს წილად მათი ინტიმური პარტნიორი იყო (ანუ, იმჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე, პარტნიორი ან მეგობარი კაცი).<sup>9</sup> კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფი 15-19 წლის ასაკის მოზარდი გოგოების თითქმის მესამედი სიცოცხლის გარკვეულ ეტაპზე გამხდარა თავისი მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან ემოციური, ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.<sup>10</sup>

მარგინალიზებული ქალები და გოგოები, მათი ინტერსექციური ინდენტობის გამო, სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაციისა და ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან, რაც საზოგადოებასა და თემში მათი მარგინალიზებული სტატუსის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. მარგინალიზებული ქალებისა და გოგოების რიცხვში შედიან დევნილები, თავშესაფრის მაძიებელი, საბუთების მქონე და უსაბუთო მიგრანტი ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, სოფლად და შორეულ რეგიონებში მცხოვრები ქალები, ასაკოვანი ქალები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები, აივ/ შიდსის ვირუსის მატარებელი ქალები და ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ (ლგბტქ+) თემის წარმომადგენლები და სხვები. ინტერსექციური იდენტობის გამო, მარგინალიზებულ ქალებსა და გოგოებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი მხარდაჭერის სერვისებზე, დაცვასა და მართლმსაჯულებაზე მაშინ, როდესაც ძალადობას განიცდიან.

ქალთა მიმართ ძალადობა მრავალი მიზეზის გამო გრძელდება. ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი კი, ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა იმის თაობაზე, რომ ბევრ საზოგადოებაში ქალებსა და გოგოებს უფრო დაბალი სტატუსი აქვთ და, მაშასადამე, არსებობს მოლოდინი, რომ ისინი გარკვეული სოციალური და გენდერული როლებისა და მოლოდინების შესაბამისად უნდა მოიქცნენ, იქნება ეს თავდადებული დედისა, თუ ცოლის როლი. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა უფრო ხშირია იმ ქვეყნებში, რომლებიც გენდერული უთანასწორობით ხასიათდება და სადაც „კაცობა“ დომინანტობით განისაზღვრება, ხოლო „ქალობა“ კი მორჩილებაში ან გარკვეული გენდერული როლების შესრულების იძულებასა და ქცევის მკაცრი წესების შესრულებაში გამოიხატება.<sup>11</sup> როდესაც ასეთი გენდერული როლები არ სრულდება, გარკვეულ კონტექსტში, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, შესაძლოა, სასჯელის გამართლებულ ფორმად იქნეს მიჩნეული. ფაქტობრივად, გაეროს ბავშვთა ფონდის შეფასებით, 2014 წელს მსოფლიოს მასშტაბით, 15-19 წლის გოგოების თითქმის ნახევარი ფიქრობდა, რომ გარკვეულ ვითარებაში (მაგალითად, თუ ცოლი ეკამათება ქმარს, გარეთ გადის ქმრის ნებართვის გარეშე, უგულებელყოფს შვილების მოვლას, უარს ამბობს სქესობრივ ურთიერთობაზე ან წვავს საჭმელს) გამართლებული იყო ქმრის ან პარტნიორის მხრიდან ცოლისთვის (ან პარტნიორისთვის) გარტყმა ან მისი ცემა. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში მოზარდი გოგოების პროცენტული წილი, რომლებიც ამგვარ მოსაზრებებს იზიარებდა, მხოლოდ 28 პროცენტს შეადგენდა.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობას ხშირად გენდერული უთანასწორობის როგორც მიზეზად, ისე შედეგად, ასევე, იმ ძირითად დაბრკოლებად მიიჩნევენ, რომლის გამოც ქალები და გოგოები სათანადოდ ვერ სარგებლობენ ადამიანის უფლებებით და სრულად ვერ არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რეალურად არ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის ერთი კონკრეტული მიზეზი. უფრო სწორად, „სოციალური ეკოლოგიის“ სხვადასხვა დონეზე არსებობს ელემენტთა კომბინაცია, რომელიც ასაზრდოებს

და განამტკიცებს მიკერძოებულ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, ნორმებსა და პრაქტიკებს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებებში ქალებსა და კაცებს შორის არსებულ ძალთა ფართოდ გავრცელებულ დისბალანსსა და, შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობაში.<sup>13</sup> ეს ელემენტებია:




- ინდივიდუალური ფაქტორები, მათ შორის, პირის შემწყნარებლური დამოკიდებულებები და რწმენები ქალთა მიმართ ძალადობისადმი, მისი განვითარების ისტორია, დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალების რწმენა<sup>14</sup>;
- სოციალური ფაქტორები, მათ შორის, ინდივიდის სოციალური ურთიერთობები და შინამეურნეობის დინამიკა, ზიანის მომტანი სოციალური და გენდერული ნორმები<sup>15</sup>;
- მატერიალური ფაქტორები, მათ შორის, შინამეურნეობის სიღარიბე და ქალებისა და გოგოების ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა;
- სტრუქტურული ძალები (მაკრო დონის ფაქტორები), მათ შორის, სუსტი ან დისკრიმინაციული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც განამტკიცებს გენდერულ განსხვავებებს ძალაუფლებასა და სოციალურ სტატუსში და გენდერული უთანასწორობის საფუძველს წარმოადგენს.<sup>16</sup>

## 1.1 ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მცდელობები გლობალურ დონეზე

მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის გეგმაში ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად გადამწყვეტ პრიორიტეტად არის მიჩნეული (**ცხრილი 1.1**). კერძოდ, მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანია (SDG 5) გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება. უფრო კონკრეტულად, მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის მეორე (5.2) ამოცანა ყველა ქალისა და გოგოს მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა. მეხუთე მიზნის მესამე (5.3) ამოცანა ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება და, ასევე, ქალთა წინადაცვეთა (ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება).<sup>17</sup>

ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება მდგრადი განვითარების მიზნების სექტორთშორის პრიორიტეტად არის აღიარებული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სიღარიბის აღმოფხვრა, ჯანმრთელობა, განათლება, მდგრადი ქალაქები და სამართლიანი და მშვიდობიანი საზოგადოებები. კერძოდ, მდგრადი განვითარების მე-16 მიზანია (SDG 16) მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე. უფრო კონკრეტულად, მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის პირველ (16.1) ამოცანას წარმოადგენს ძალადობის ყველა ფორმისა და ძალადობით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან; მეორე (16.2) ამოცანას წარმოადგენს ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა, ხოლო მესამე (16.3) ამოცანა – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.<sup>19</sup>

**ცხრილი 1.1.** 16 მდგრადი განვითარების მე-5 და მე-16 მიზნების ამოცანები და ინდიკატორები

	<p><b>მდგრადი განვითარების მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება</b></p>	
<p><b>ამოცანა</b></p>		
	<p><b>ამოცანა 5.2</b> – ყველა ქალისა და გოგოს მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ტრეფიკინგის, სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა.</p>	
<p><b>ინდიკატორი</b></p>	<p><b>საჭირო მონაცემები</b></p>	
<p><b>ინდიკატორი 5.2.1</b> – 15 წლისა და უფროსი ასაკის იმ ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა ძალადობის ფორმისა და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას.</p>	<p>საჭიროებს ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის გავრცელების მაჩვენებლების შეგროვებას მოსახლეობის კვლევის საშუალებით, რომელიც პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოებს მოიცავს.</p>	
<p><b>ინდიკატორი 5.2.2</b> – 15 წლის და უფროსი ასაკის იმ ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არაინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას.</p>	<p>საჭიროებს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მაჩვენებლების შეგროვებას მოსახლეობის კვლევის საშუალებით, რომელიც 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოებს მოიცავს.</p>	
<p><b>ამოცანა</b></p>		
	<p><b>ამოცანა 5.3</b> – ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება და, ასევე, ქალთა წინადაცვეთა (ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება).</p>	

ინდიკატორი	საჭირო მონაცემები
<p><b>ინდიკატორი 5.3.1</b> – 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე.</p>	<p>საჭიროებს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მაჩვენებლების შეგროვებას მოსახლეობის კვლევის საშუალებით, რომელიც 15–24 წლის ასაკის ქალებსა და გოგოებს მოიცავს. (ზოგიერთ ქვეყანაში საყოველთაო აღწერის მონაცემები ასევე მოიცავს ინფორმაციას ამ ინდიკატორის შესახებ).</p>
<p><b>ამოცანა</b></p>	
<p><b>ამოცანა 5-6</b></p> 	<p><b>ამოცანა 5.6</b> – სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, როგორც ეს შეთანხმებულია მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე, მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად.</p>
ინდიკატორი	საჭირო მონაცემები
<p><b>ინდიკატორი 5.6.1</b> – 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს.</p>	<p>საჭიროებს გავრცელების მაჩვენებლებს, რომლებიც სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და გადაწყვეტილების მიღებას შეეხება და მათი მოპოვება მოსახლეობის კვლევის საშუალებით უნდა მოხდეს, რომელიც 15–49 წლის ასაკის ქალებსა და გოგოებს მოიცავს.</p>
<p><b>16</b> მშვიდობის საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით</p> 	<p><b>მდგრადი განვითარების მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</b></p>
<p><b>ამოცანა</b></p>	
<p><b>ამოცანა 16-1</b></p> 	<p><b>ამოცანა 16.1</b> – ძალადობის ყველა ფორმის და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან.</p>

ინდიკატორი	საჭირო მონაცემები
<p><b>ინდიკატორი 16.1.3</b> – იმ ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომელთა მიმართ წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას.</p>	<p>საჭიროებს გავრცელების მაჩვენებლებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და/ან სექსუალური ძალადობის შესახებ, რომელთა მოპოვებაც მოსახლეობის კვლევის საშუალებით უნდა განხორციელდეს.</p>
<b>ამოცანა</b>	
<p>ამოცანა 16-2</p> 	<p><b>Target 16.2</b> – ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ძალადობის ყველა ფორმისა და წამების აღმოფხვრა.</p>
ინდიკატორი	საჭირო მონაცემები
<p><b>ინდიკატორი 16.2.3</b> – 18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალებისა და კაცების პროპორციული ოდენობა, რომელთა მიმართაც 18 წლის ასაკამდე ადგილი ქონდა სექსობრივ ძალადობას.</p>	<p>საჭიროებს 18 წლამდე ასაკის მოსახლეობაში სექსუალური ძალადობის გავრცელების მაჩვენებლებს, რომელთა მოპოვებაც მოსახლეობის კვლევის საშუალებით უნდა მოხდეს, რომელიც 18–29 წლის ასაკის ქალებისა და კაცებს მოიცავს და სქესის მიხედვითაა წარმოდგენილი.</p>
<b>ამოცანა</b>	
<p>ამოცანა 16-3</p> 	<p><b>Target 16.3</b> – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.</p>
ინდიკატორი	საჭირო მონაცემები
<p><b>ინდიკატორი 16.3.1</b> – ძალადობის იმ მსხვერპლთა პროპორციული ოდენობა, რომელთაც უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში კომპეტენტურ ორგანოებში ან კონფლიქტების მოგვარების სხვა ოფიციალურად აღიარებული მექანიზმების საშუალებით განაცხადეს ძალადობის შესახებ.</p>	<p>საჭიროებს ძალადობის გავრცელების მაჩვენებლებს იმ პირების შესახებ, რომელთაც გადატანილი აქვთ ძალადობა და კომპეტენტურ ორგანოებში ან კონფლიქტების მოგვარების სხვა ოფიციალურად აღიარებული მექანიზმების საშუალებით განაცხადეს აღნიშნულის შესახებ.</p>

ბოლო ოცი წლის განმავლობაში დიდი ძალისხმევა იქნა განუღი ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ კვლევების ჩატარების მიმართულებით. 2017 წლიდან ამ ძალისხმევამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა, მოხდა კვლევის მეთოდოლოგიისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების დახვეწა, ასევე, ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის საკითხებზე კვლევის ეთიკისა და კვლევაში მონაწილე ადამიანების დაცვის გაუმჯობესება. ბოლო წლებში გაერომ და ევროსტატმა ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე გამოკითხვებისთვის განკუთვნილი გზამკვლევები და განხორციელების ინსტრუმენტთა ნაკრებები შეიმუშავა.<sup>20</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაციამ იგივე გააკეთა კაცებისა და ძალადობის თემაზე გამოკითხვებისთვის, რომელთა განსაკუთრებულ ფოკუსს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა წარმოადგენს.<sup>21</sup> ამასთან, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წლის ეროვნულმა კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნა მიღებული.<sup>22</sup> სწორედ ეს გამოცდილება, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გამოკითხვებისთვის განკუთვნილი გზამკვლევები და განხორციელების ინსტრუმენტთა ნაკრებები იქნა გამოყენებული საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის 2022 წლის ეროვნული კვლევის დასაგეგმად და განსახორციელებლად.

## 1.2 ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში

ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ახალ ფენომენს არ წარმოადგენს. მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ საზოგადოებაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პატრიარქალური ტრადიციებისა და ადათ-წესების საფუძველზე, მათ შორის, მკაცრი გენდერული იდენტობებისა და როლების, ოჯახში პატრიარქალური ავტორიტეტისა და იერარქიული წესრიგის, თაობათაშორისი ოჯახური კონტროლის გავლენით ყალიბდებოდა. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემები კვლავ მწირია. ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ძალადობის ქალ მსხვერპლთა შესახებ ადმინისტრაციული მონაცემები შეზღუდულია. ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი ინდიკატორები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია ყოველწლიურ სტატისტიკურ პუბლიკაციებში „ქალი და კაცი საქართველოში“<sup>23</sup> და „ბავშვები და მოზარდები საქართველოში“.<sup>24</sup>


ბოლო წლებში გარკვეული ძალისხმევა იქნა განუღი იმისთვის, რომ მომხდარიყო ოჯახში ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვება. მაგალითად, მსხვერპლთა მხარდაჭერის ცხელ ხაზზე „116 006“ შესული ზარების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა და თუ 2011 წელს 1,016 ზარი ფიქსირდებოდა, 2021 წელს ეს რიცხვი 1,864-მდე, ხოლო 2022 წელს კი - 3,474-მდე გაიზარდა.<sup>25</sup> ანალოგიურად, ოჯახში კონფლიქტებისა თუ ძალადობის შესახებ „112“-ზე შესული შეტყობინებების რაოდენობამ 2015 წელს მიღებული 15,910 ზარიდან 2020 წელს 18,428-მდე,<sup>26</sup> ხოლო 2021 წელს 26,896-მდე იმატა.<sup>27</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს ოჯახში ძალადობის 8,338 მსხვერპლი აღირიცხებოდა, რომელთაგან 83 პროცენტი იყო ქალი, მაშინ როცა, 2022 წელს 7,846 რეგისტრირებული მსხვერპლიდან ქალები 84 პროცენტს შეადგენდნენ.<sup>28</sup> 2021 წელს, ოჯახში ძალადობის ჩამდენი 7,990 მოძალადე აღირიცხა, რომელთაგან 83 პროცენტი იყო კაცი, ხოლო 2022 წელს აღირიცხულ 7,366 მოძალადეთა შორის კაცები 84 პროცენტს შეადგენდნენ.<sup>29</sup> **დიაგრამა 1.1** ასევე გვიჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციართა რიცხვმა 2011 წელს 89-დან 2021 წელს 428-მდე იმატა, ხოლო 2022 წელს<sup>30</sup> მცირედით, 398-მდე შემცირდა. აქვე ნაჩვენებია



კრიზისული ცენტრების ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც 2016 წელს 24-ს შეადგენდა, 2021 წელს 344-მდე გაიზარდა და შემდეგ, 2022 წელს 222-მდე შემცირდა.<sup>31</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ყველა ბენეფიციარი არ იყო ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი. 2021 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციართა შორის 96 პროცენტი ქალი იყო.

**დიაგრამა 1.1.** 2011–2022 ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ბენეფიციართა რაოდენობა საქართველოში, 2011-2022 წლების მონაცემები



**წყარო:** სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მონაცემები.

**დიაგრამა 1.2** შემაკავებელი ორდერების რაოდენობის დრამატულ ზრდაზე მიუთითებს. მათი რიცხვი 2011 წელს 249-ს შეადგენდა, 2021 წლისთვის უკვე 10,120-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წელს კი 10,341 შეადგინა.<sup>32</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2022 წლის იმ შემთხვევათა შორის, რომლებზეც შემაკავებელი ორდერები გაიცა, მსხვერპლთა 80 პროცენტს ქალები წარმოადგენდნენ.<sup>33</sup> ამასთან, თითქმის გაორმაგდა გაცემულ დამცავ ორდერთა რაოდენობა – 2011 წელს 52-დან 2022 წელს 94-მდე.


**დიაგრამა 1.2.** გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა, 2011-2022 წლების მონაცემები



**წყარო:** შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები.

დაბოლოს, **დიაგრამა 1.3** გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა ოჯახში ძალადობის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევათა რაოდენობამ, რომელიც 2013 წელს დაფიქსირებული 235 შემთხვევიდან 2022 წელს უკვე 5,325-მდე გაიზარდა<sup>34</sup> მაშინ, როცა მსჯავრდებულების რიცხვი 2013 წელს მხოლოდ 171 შემთხვევიდან 2022 წლისთვის 2,375-მდე გაიზარდა.<sup>35</sup> თუმცა, ბუნდოვანია, იმ მოძალადეთაგან რა წილს შეადგენენ კაცები, რომლებსაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ და ოჯახში ძალადობის გამო სასჯელი დაენიშნათ, ვინაიდან მონაცემები არ არის ჩაშლილი და გაანალიზებული სქესის მიხედვით. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი უმრავლესობა კაცია.


**დიაგრამა 1.3.** ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა, 2013-2022 წლების მონაცემები



**წყარო:** საქართველოს პროკურატურა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები.

ბოლო წლებში შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული მონაცემების თავმოყრა სექსუალურ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, თუმცა, ხელმისაწვდომია მხოლოდ ჯამური მონაცემები, რომელიც არ არის ჩაშლილი სქესის მიხედვით. მაგალითად, **დიაგრამა 1.4** გვიჩვენებს, რომ გაუპატიურების რეგისტრირებული შემთხვევები 2017 წელს 59 შემთხვევიდან 2022 წელს 176-მდე გაიზარდა<sup>36</sup> მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ განხილული გაუპატიურების საქმეების რაოდენობა 2017 წელს არსებული 12-თან შედარებით 2022 წელს 48-მდე გაიზარდა.<sup>37</sup> ეს მონაცემები მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში გაუპატიურების შემთხვევათა მხოლოდ მცირე ნაწილის შეტყობინება ხდება და უდიდესი ნაწილი აღურიცხავი რჩება.

**დიაგრამა 1.4.** გაუპატიურების რეგისტრირებული შემთხვევებისა და სასამართლოში განხილული შემთხვევების რაოდენობა, 2017-2022 წლების მონაცემები



**წყარო:** შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ადმინისტრაციული მონაცემების ინტერპრეტაციისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ადმინისტრაციული მონაცემები არ წარმოადგენს გავრცელების მაჩვენებელს. ადმინისტრაციული მონაცემები მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელთა შეტყობინებაც და შესაბამის ორგანოებში დარეგისტრირებაც მოხდა.

ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შესახებ შედარებით ზუსტი მონაცემების ამოღება შესაძლებელია 2017 წლის საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევიდან, რომელიც საქსტატმა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.<sup>38</sup> 2017 წლის კვლევის ფარგლებში პირველად შეგროვდა მონაცემები, როგორც ინტიმური პარტნიორისა და არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის, ისე სექსუალური შევიწროების, ადევნებისა და ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობის გავრცელების შესახებ. კვლევაში, ასევე, გაიზომა გენდერისა და ძალადობისადმი ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები და ინფორმირებულობის ხარისხი საქართველოში. შეირჩა 15-64 წლის ასაკის 7,607 ადამიანი, რომელთაგან 6,006 იყო ქალი და 1,601 კაცი. მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პოლიტიკის და პროგრამის შემუშავებისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და რამდენიმე მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისთვის საბაზისო მონაცემების განსაზღვრისთვის მათ შორის, მე-5 და მე-16 მიზნებისთვის.

**ცხრილი 1.2** ასახავს ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წლის ეროვნული კვლევის შედეგებს და ხაზს უსვამს სხვადასხვა ტიპის ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ 15-64 წლის ქალებში<sup>39</sup> სიცოცხლის მანძილზე და ბოლო 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე); ასევე, 15-64 წლის ქალების მიერ არაპარტნიორის მხრიდან განცდილ სხვადასხვა ტიპის სექსუალურ ძალადობას, განურჩევლად მათი პარტნიორული სტატუსისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქალების 13.6 პროცენტს ერთხელ მაინც გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური და/ან ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 6.1 პროცენტს განუცდია პარტნიორის მხრიდან ფიზიკური და/ან სექსუალური

ძალადობა. ამასთან, 15-64 წლის ქალების 26.2 პროცენტს ერთხელ მაინც გამოუცდია სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, მათ შორის, სექსუალური შევიწროება (19.8 პროცენტს), ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობა (9.0 პროცენტს), ადევნება (3.5 პროცენტს) და სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (2.7 პროცენტს). ბოლო წლებში, ქალთა სექსუალური შევიწროების პრობლემამ ყურადღება მიიპყრო მიუხედავად იმისა, რომ ქალების მხოლოდ 19.8 პროცენტი აღნიშნავს, რომ ერთხელ მაინც გამოუცდია სექსუალური შევიწროება და მსგავსი შემთხვევების ნახევარი გამოცდილი აქვთ სამუშაო ადგილზე.

გარდა ამისა, 2017 წლის კვლევის მიხედვით, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 14 პროცენტს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, სექსუალური და/ან ემოციური ძალადობა (სიცოცხლის მანძილზე), ხოლო 4 პროცენტს ასეთი გამოცდილება ინტერვიუმდე ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონია. კერძოდ, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ასაკის ქალების 6 პროცენტს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა მამრობითი სქესის პარტნიორის მხრიდან მაშინ, როდესაც ინტერვიუმდე ბოლო 12 თვის განმავლობაში ასეთი გამოცდილება მხოლოდ ქალების 1 პროცენტს ჰქონდა. 2017 წლის კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13 პროცენტს სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც ჰქონია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება, ინტერვიუმდე ბოლო 12 თვის განმავლობაში კი – 3 პროცენტს; ასევე, ქალების 10 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ეკონომიკური ძალადობა, ხოლო ინტერვიუმდე ბოლო 12 თვის განმავლობაში – 3 პროცენტს.<sup>40</sup>

გარდა ამისა, 2017 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 78 პროცენტს მიაჩნდა, რომ ოჯახში ძალადობა ძალიან ხშირად ან საკმაოდ ხშირად ხდება; 67 პროცენტი აღნიშნავდა, რომ პირადად იცნობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/ძალადობა გამოვლილ პირს, ხოლო 56 პროცენტმა მოძალადესთან პირადი ნაცნობობა აღიარა.<sup>41</sup>

**ცხრილი 1.2.** 15-64 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ინტიმური პარტნიორის ან/და არაპარტნიორის მხრიდან გამოუცდია ძალადობა, ძალადობის ტიპის მიხედვით, 2017 წლის მონაცემები

	∞ გავრცელების დონე სიცოცხლის მანძილზე	↻ გავრცელების მიმდინარე დონე (ბოლო 12 თვის განმავლობაში)
ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)	9.0	n/a
სექსუალური შევიწროება	19.8	7.8
ადევნება	3.5	1.1
სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	2.7	0.4

	∞ გავრცელების დონე სიცოცხლის მანძილზე	↻ გავრცელების მიმდინარე დონე (ბოლო 12 თვის განმავლობაში)
ნებისმიერი სახის ძალადობა პარტნიორის მხრიდან	14.6	4.5
ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	4.5	0.7
სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	1.9	0.3
ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	10.7	2.7
ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	7.9	2.3
ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	5.0	0.9
ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	11.2	2.9

წყარო: საქსტატი და გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017.

2017 წელს ქალები უფრო ნაკლებად აფიქსირებდნენ ყველა ტიპის ძალადობას, ვიდრე 2022 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის ფარგლებში. ეს, სავარაუდოდ, იმ ფაქტის შედეგია, რომ ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის 2022 წელს ჩატარებულმა კვლევამ ქალთა მიმართ ძალადობის გაცილებით მეტი ტიპი და ფორმა მოიცვა, ვიდრე ეს ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წელს ჩატარებულ ეროვნულ კვლევაში იყო ასახული. 2022 წლის კვლევა შემუშავებული იყო ქალებისა და გოგოების მიმართ ყველა ტიპის ძალადობის, მათ შორის ონლაინ და სოციალური მედიის პლატფორმებზე განხორციელებული ძალადობის, უფრო ყოვლისმომცველი და საიმედო მონაცემების შესაგროვებლად. გარდა ამისა, 2022 წლის კვლევამ მოიცვა 69 წლის ასაკამდე ქალები მაშინ, როცა 2017 წლის კვლევაში 64 წლამდე ასაკის ქალები მონაწილეობდნენ. 2022 წლის კვლევაში 69 წლამდე ასაკის ქალების ჩართვის გადანყვეტილება ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ბევრი ქალი გადის პენსიაზე 65 წლის ასაკში და უბრუნდება ცხოვრების ისეთ წესს, როდესაც მეტი დროის გატარება უნევს სახლში ქმართან/პარტნიორთან ერთად, რომელიც, ასევე, პენსიაზეა. აქედან გამომდინარე, პენსიაზე გასვლის შემდეგ პირველ წლებში ქალები, შესაძლოა, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მომატებული რისკის ქვეშ იყვნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ვინაიდან 2017 და 2022 წლების კვლევებში განსხვავებული მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული, ძალადობის გავრცელების სიხშირის მაჩვენებლები არ არის შედარებადი.**

ზემოთ ხსენებული კვლევების მიგნებები მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული პოლიტიკის და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის. ზოგიერთი ეს რეფორმა ანგარიშის შემდეგ თავებშია განხილული.

### 1.3 ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის ეროვნული ჩარჩო

საქართველოს მთავრობა ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე მთელ რიგ გლობალურ და რეგიონულ ნორმატიულ ჩარჩო დოკუმენტებს შეუერთდა ან მათი რატიფიცირება მოახდინა. მათ შორის არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPfA), ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) და სტამბოლის კონვენცია (ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია). ამასთან, საქართველოს მთავრობამ მიიღო 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის (SDG) და მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნის მიღწევა პრიორიტეტად გამოაცხადა. მათ შორის არის მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანი, რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურება.<sup>42</sup>

ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა საქართველოში გაეროს და, კერძოდ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს მთავრობას, რათა მან შეძლოს მდგრადი განვითარების ნაციონალიზებული მიზნების ფარგლებში ინდიკატორების მიღწევა და უზრუნველყოს, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ვალდებულებებთან, რომელიც საქართველომ საერთაშორისო დონეზე აიღო ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ამ მხრივ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პრიორიტეტია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მხარდაჭერა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან (CEDAW) და მის ზოგად რეკომენდაციებსა და დასკვნით შენიშვნებთან, ისე – უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) პროცესისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებთან, ქალების სტატუსის თაობაზე კომისიის შეთანხმებულ დასკვნებთან და სტამბოლის კონვენციასთან.<sup>43</sup>

უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეროვნული საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობის მიმართულებით. საქართველოს მთავრობამ 2006 წელს მიიღო საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2010 წელს – საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და 2014 წელს – საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას მოიცავს. 2012 წელს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც ოჯახში ძალადობის კრიმინალიზება მოხდა.<sup>44</sup> 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კი აიკრძალა სექსუალური შევიწროება.<sup>45</sup>

გარდა ამისა, 2006 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობამ ერთი მხრივ, განსაზღვრა ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღმოფხვრისა და პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები ასევე უზრუნველყო ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის

და პრევენციის მიზნით უწყებათაშორისი კოორდინაცია და ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილ პირთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია. ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება და მისი ფორმები; შესაბამისად, შეიქმნა შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები. 2014 წელს შესწორება შევიდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონში და, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის გარდა, გათვალისწინებულ იქნა გენდერული ძალადობის სხვა ფორმებიც. ოჯახში ძალადობის კანონის თანმიმდევრულობისა და ეფექტიანად აღსრულების მიზნით, შემდგომში დამატებითი საკანონმდებლო აქტებიც იქნა მიღებული.<sup>46</sup>

2008 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მიიღო ეროვნული სამოქმედო გეგმა (NAP) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად<sup>47</sup> და დაამტკიცა ამ მიმართულებით 2022–2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა.<sup>48</sup> სწორედ, ამ ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესში გახდა შესაძლებელი ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილი პირებისთვის განკუთვნილი ისეთი სერვისების შექმნა და გაძლიერება, როგორცაა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, სამედიცინო და იურიდიული დახმარების სერვისები და ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებადი ცხელი ხაზი.<sup>49</sup> ეროვნული სამოქმედო გეგმები ასევე ითვალისწინებს გენდერული სტატისტიკის წარმოებას, ანალიზსა და გამოყენებას, კერძოდ, მონაცემთა შეგროვებით დაკავებული სააგენტოებისთვის ზოგადი სტანდარტის დანერგვას და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების მონაცემთა ბაზის შექმნას. ამ მონაცემთა ბაზის სტატუსი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – უწყებათაშორისი კომისია) გაძლიერებასთან ერთად გაუმჯობესდა.<sup>50</sup>

ცოტა ხნის წინ, საქსტატის მიერ მიღებული 2021-2023 წლის გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის 1.1 ამოცანის მიზანია გენდერული სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სისტემაში. ამოცანა 1.1.-ის შესრულებისთვის დაგეგმილი ერთ-ერთი აქტივობაა სქესის მიხედვით ჩაშლილი ინდიკატორების წარმოება არსებულ რეგულარულ და არარეგულარულ კვლევებზე დაყრდნობით, როგორცაა „დროის გამოყენების კვლევა“ და „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა“.<sup>51</sup>

## 1.4 ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების ეროვნული მექანიზმები

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით. 2010 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებისა და პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შედეგად, გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულად გარდაიქმნა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მანდატია გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული სისტემატური და კოორდინირებული აქტივობების უზრუნველყოფა. 2013 წელს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი,<sup>52</sup> რომლის მანდატს გენდერული თანასწორობის ჭრილში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგი წარმოადგენს.



გენდერული თანასწორობის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, 2017 წელს ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში დაარსდა უწყებათაშორისი საბჭო, რომელმაც ჩაანაცვლა 2009 წელს დაფუძნებული საქართველოში ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო. უწყებათაშორისი კომისია პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე და ამ უკანასკნელთა განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგზე და, ასევე, სამთავრობო პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობაზე. გარდა ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ჰყავს თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, რომელსაც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის პოზიცია უკავია.<sup>53</sup> ამ პოზიციას 2020 წელს შეეცვალა სახელი და ამჟამად მოიხსენიება, როგორც პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში.

უწყებათაშორისი კომისია შესაბამისობაშია სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლთან, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, ერთი ან მეტი ოფიციალური უწყების გამოყოფას ან შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთელი რიგი ფუნქციების შესრულებაზე, მათ შორის კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და ბრძოლისთვის საჭირო ღონისძიებებისა და პოლიტიკის კოორდინირება, აღსრულება, მონიტორინგი და შეფასება.<sup>54</sup> უწყებათაშორისი კომისია, ასევე, პასუხისმგებელია ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული აქტივობებისა და პროგრამების დაგეგმვაზე და, ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების კოორდინაციაზე.<sup>55</sup>

**ცხრილში 1.3** წარმოდგენილია ის მექანიზმები და სერვისები, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილი პირებისთვის<sup>56</sup>.

**ცხრილი 1.3. ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილი პირების მხარდაჭერის მოქმედი მექანიზმები საქართველოში**

სამართალდამცავი და სასამართლო მექანიზმები	ქალთა მიმართ ძალადობაგამოვლილი ადამიანების მხარდაჭერი მექანიზმები
<ul style="list-style-type: none"> <li>▶ შემაკავებელი ორდერი, რომელსაც პოლიცია გასცემს რისკის შეფასების მექანიზმის საფუძველზე;</li> <li>▶ დამცავი ორდერი, რომელსაც სასამართლო გასცემს;</li> <li>▶ მაღალი რისკის მოძალადეთა ელექტრონული მონიტორინგი;</li> <li>▶ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური პროკურატურაში;</li> <li>▶ ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის პასუხისმგებლობაა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა გამოძიების ხარისხის მონიტორინგი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ჯანდაცვის სექტორის რეგულაციები ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის დოკუმენტირებისთვის;</li> <li>▶ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები პირველადი ჯანდაცვის სფეროს მუშაკებისათვის ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, მათი დოკუმენტირების და გადამისამართებისთვის;</li> <li>▶ კონსულტაციის ცხელი ხაზი „116 006“, რომელიც რვა სხვადასხვა ენაზე უზრუნველყოფს ინფორმაციას ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილ პირებს;</li> </ul>

სამართალდამცავი და სასამართლო მექანიზმები	ქალთა მიმართ ძალადობაგამოვლილი ადამიანების მხარდამჭერი მექანიზმები
<ul style="list-style-type: none"> <li>▶ მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები;</li> <li>▶ საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ანგარიშები;</li> <li>▶ „112“-ის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი, რომელიც უწყვეტად, 24/7-ზე ხელმისაწვდომია;</li> <li>▶ „112“-ის მობილური აპლიკაცია, რომელსაც ჩატის ფუნქცია და SOS ღილაკი აქვს ინტეგრირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისსა და სიღნაღში) სახელმწიფო მიერ დაფინანსებული ხუთი თავშესაფარი, რომელიც უწყვეტად, 24/7-ზე უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობით დაზარალებულთა განთავსებას, მათ იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას;</li> <li>▶ შვიდი კრიზისული ცენტრი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (თბილისში, გორში, მარნეულში, ქუთაისში, ოზურგეთში, თელავსა და ზუგდიდში), რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილ პირებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას უწევს;<sup>57</sup></li> <li>▶ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის აუცილებელი სერვისებისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო დაფინანსება.</li> </ul>

## 1.5 საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნული კვლევის ჩატარების მიზეზები

სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლი ხელშეკრულ მხარეებს ავალდებულებს კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით შეაგროვოს ჩაშლილი, შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები. ასევე, ადგენს, რომ ხელშეკრული მხარეები ეცდებიან რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები.


მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც სიცოცხლის მანძილზე, ისე მიმდინარე გავრცელების მონიტორინგი, ვინაიდან ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ განახლებული მონაცემები ეხმარება მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს და შეიმუშავენ კანონპროექტებს და პოლიტიკის დოკუმენტებს რათა გაიგონ ქალთა მიმართ ძალადობის მოდელების და ტენდენციების დროში დინამიკა და, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივების ზეგავლენა გავრცელების მიმდინარე მაჩვენებლებზე. საქართველოში მწირია ქალთა მიმართ ძალადობის დროის სერიის ინდიკატორები, ამიტომ, ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნული კვლევა

უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს საჭირო მონაცემებით, რათა უფრო კარგად გაიაზრონ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა და მიიღონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისას. ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნული კვლევა მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მე-2 ამოცანის – ყველა ქალისა და გოგოს მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა – შესრულებისთვის საჭირო მონაცემებსაც უზრუნველყოფს.

ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მონაცემების გაუმჯობესება ევროკავშირის რეკომენდაციებთან თანხვედრაშია, რომლის მიხედვითაც, არამხოლოდ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის განეული ძალისხმევის კონსოლიდირება უნდა მოხდეს, არამედ ფოკუსი თანდათანობით მონყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებისკენ უნდა გადავიდეს, მათ შორის, მოძალადეთა და ძალადობის წამქეზებელთა მართლმსაჯულების წინაშე უფრო ეფექტიანად წარდგენისა და გენდერული სტატისტიკის და ინდიკატორების გაუმჯობესების გზით.<sup>58</sup> გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, საქსტატის 2021-2023 წლების გენდერული სტატისტიკის სტრატეგია მოიცავს 1.1 ამოცანას, რომლის მიზანია გენდერული სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სისტემაში. ამ ამოცანის შესრულებისთვის დაგეგმილი ერთ-ერთი აქტივობაა სქესის მიხედვით დისაგრეგირებული ინდიკატორების წარმოება ისეთ რეგულარულ და არარეგულარულ კვლევებზე დაყრდნობით, როგორცაა „დროის გამოყენების კვლევა“ და „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა.“<sup>59</sup>

პვცეპონს დოზანი

2



ქალთა მიმართ ძალადობა სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, რაც ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვებას კომპლექსურ პროცესად აქცევს.<sup>1</sup> ეს განპირობებულია იმით, რომ ძალადობის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ქალები განიცდიან, დახურულ კარს მიღმა ხდება მათი ინტიმური პარტნიორების, ოჯახის წევრებისა თუ იმ კაცების მიერ, რომლებსაც ისინი იცნობენ. გარდა ამისა, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს ხშირად არ სურთ ან ეშინიათ ძალადობის ამგვარი შემთხვევების შეტყობინება, მათი მოძალადის (მოძალადეების) ან/და ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების უარყოფითი რეაქციების შიშის გამო. მეტიც, ქალებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობაზე ხმამაღლა საუბრობენ ან დახმარებას ეძებენ, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობის დროს, ხშირ შემთხვევაში თავად ადანაშაულებენ საკუთარ ვიქტიმიზაციაში.<sup>2</sup> სწორედ ამ მიზეზების გამო, ქალები როგორც წესი არ ამხელენ ძალადობის ისტორიას.<sup>3</sup>

სხვა ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგებიან მკვლევრები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ აგროვებენ მონაცემებს, მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის მკაფიო სამუშაო განმარტებებისა და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის თითოეული ამ ფორმის გაზომვის ინსტრუმენტების შემუშავებას.<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონე ყველა მისი ფორმის მიხედვით, გრძელვადიან მიზნად უნდა შეფასდეს, შემუშავებული მეთოდოლოგია არ არის საკმარისად სრულყოფილი იმისთვის, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა მოიცვას.<sup>5</sup>

2017 წელს, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პირველი ეროვნული კვლევა ჩატარდა. მეორე ეროვნული კვლევა ხუთი წლის შემდეგ ჩატარდა<sup>6</sup>. ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნული კვლევის ჩატარებისას, მნიშვნელოვანი იყო პირველი ეროვნული კვლევის მსგავსი მეთოდებისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების გამოყენება, და ამასთან, მეთოდოლოგიისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტარში მნიშვნელოვანი განსხვავებების შეტანითა და გაუმჯობესებით. ყველაზე საყურადღებოა ის, რომ ქალთა მიმართ ძალადობის პირველი ეროვნული კვლევის შერჩევა მოიცავდა 15–64 წლის ქალებს, მაშინ როდესაც, მეორე კვლევისას 15–69 წლის ასაკის ქალები შეირჩა. გარდა ამისა, 2022 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების კრიტერიუმები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რათა ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიმართ, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების დამატებითი ფორმები მოეცვა<sup>7</sup>. ეს შეეხო აგრეთვე არაპარტნიორის მხრიდან ძალადობას, სექსუალურ შევიწროებასა და ადევნებას, რომელთაც განიცდის ყველა ქალი, მიუხედავად პარტნიორული ურთიერთობის სტატუსისა. ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნული კვლევა გაფართოვდა და განივრცო აგრეთვე, პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ დამოკიდებულებების მიმართულებით, რომელიც 2017 წლის კვლევაშიც იყო ასახული. ახალმა კვლევამ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმებიც მოიცვა. ქალთა მიმართ ძალადობის პირველი ეროვნული კვლევის მსგავსად, მეორე ეროვნული კვლევა ეფუძნება საერთაშორისოდ დამკვიდრებულ კვლევის მეთოდებს, რომლებიც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გამოყენებით, ავსებენ ერთმანეთს და იძლევიან ქალთა მიმართ ძალადობის მთლიანი სურათის შექმნის შესაძლებლობას.

## 2.1 გამოკვლევის მიზნები

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მეორე ეროვნული კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- პარტნიორის/მეუღლის და სხვა მოძალადეების (მაგ., ოჯახის წევრების, დამსაქმებლების, თანამშრომლების და უცხო პირების) მხრიდან ქალთა მიმართ, მათი ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე), საჯარო და კერძო სივრცეში განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების შესახებ სარწმუნო მონაცემების მოპოვება როგორც ეროვნული, ასევე დასახლების ტიპის (თბილისი, სხვა ქალაქები და სოფლები) დონეზე.
- ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებების ანალიზი დემოგრაფიული მაჩვენებლებისა (მაგ., ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და განათლების დონე) და დასახლების ტიპის (მაგ., (თბილისი, სხვა ქალაქები და სოფლები) მიხედვით.
- ქალთა მიმართ ძალადობის შედეგების გავლენის შეფასება ქალის ჯანმრთელობასა და სხვა მახასიათებლებზე.
- იმ ფაქტორებისა და გარემოებების განსაზღვრა, რომელთაც ქალის დაცვა ან ძალადობის რისკის შექმნა შეუძლია.
- ძალადობაგადატანილი ქალებისათვის არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობისა და მათი გამოყენების მასშტაბების შეფასება.
- ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ ქალებისა და კაცების ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შესწავლა, მათ შორის მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გზების.

კვლევის შედეგები ემსახურება არსებული ცოდნის განახლებასა და გაფართოებას ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონისა და საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დამოკიდებულებებისა და სოციალური ნორმების შესახებ. გამოკვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართლებრივი და პოლიტიკის ფორმულირების/გადასინჯვისა და ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების შემუშავებისთვის.

## 2.2 რაოდენობრივი გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდები

ქალთა მიმართ ძალადობის მეორე ეროვნულ გამოკვლევას საფუძვლად უდევს 2 გამოკვლევის კითხვარი (1) ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი და (2) კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი. თითოეული გამოკვლევა დეტალურად არის აღწერილი შემდეგ ქვეთავებში.

## 2.2.1 რაოდენობრივი გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტარი

### ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა

2022 წლის ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა დაფუძნებული იყო ქალთა მიმართ ძალადობის პირველ ეროვნულ გამოკვლევაზე, სხვადასხვა მოდიფიკაციითა და გაუმჯობესებით. 2022 წლის ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა ქალთა მიმართ ძალადობის ოთხი სხვადასხვა ფორმის გავრცელების ხასიათისა და მასშტაბების გასაზომად შემუშავდა.

- ▶ პარტნიორის მხრიდან ძალადობა
- ▶ არაპარტნიორის მხრიდან ძალადობა
- ▶ სექსუალური შევიწროება
- ▶ ადევნება

ქალთა მიმართ ძალადობის თითოეული ფორმა კითხვარში წარმოდგენილი იყო ქცევის დამახასიათებელი სხვადასხვა კითხვის მეშვეობით. გამოკითხვა მიზნად არ ისახავდა ძალადობის აქტების ამომწურავი ჩამონათვალის გაზომვას, არამედ უფრო მეტად ფოკუსირებული იყო კონკრეტული ქმედებების ამსახველ კითხვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ხდება ძალადობის შემცველ ურთიერთობებში, ოჯახებსა და ქორწინებებში. გამოკვლევა ასევე მოიცავდა იმ ქმედებებს, რომლებსაც ქალები და გოგოები ჩვეულებრივ განიცდიან სამუშაო ადგილსა და საჯარო სივრცეებში.

2022 წელს, მთავარი მიზანი იყო ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის სრულყოფა, რომელიც შესაძლებელი გახდა 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის<sup>8</sup> შედეგად მიღებული გამოცდილებისა და უახლესი სახელმძღვანელოების („ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის განხორციელების ინსტრუმენტები“<sup>9</sup> და „ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობისა და ადამიანებს შორის ძალადობის სხვა ფორმების შესახებ ევროკავშირის კვლევის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (EU-GBV)“<sup>10</sup>) მითითებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, გამოკვლევის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალების ჯანმრთელობისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების შესახებ არსებული სხვა გამოკვლევების შესწავლამ და ანალიზმა. მათ შორის, იმ გამოკვლევების, რომლებიც ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

2022 წლის ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკისა და საერთაშორისოდ შეთანხმებული ეთიკისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად შემუშავდა. კითხვარი ინგლისურ ენაზე შემუშავდა და შემდეგ ითარგმნა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

შედარების მიზნით, **ცხრილი 2.1**-ში მოცემულია 2017 და 2022 წლების ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის ძირითადი მაჩვენებლები. ცხრილის ქვემოთ კი მოცემულია 2022 წლის კითხვარის თითოეული მოდულის მოკლე აღწერილობა.

**ცხრილი 2.1.** 2017 და 2022 წლების ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის მაჩვენებლები

	2017	2022
<b>შერჩევის ზომა</b>	6,006 ქალი	3,300 ქალი
<b>მონაცემთა დისაგრეგაცია</b>	ქვეყნის დონეზე; რეგიონების მიხედვით; დასახლების ტიპის მიხედვით (თბილისი, სხვა ქალაქები, სოფლები)	ქვეყნის დონეზე; დასახლების ტიპის მიხედვით (თბილისი, სხვა ქალაქები, სოფლები)
<b>ასაკობრივი მოცვა</b>	15–64 წლის	15–69 წლის
<b>ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები</b>	პარტნიორის მხრიდან ძალადობა: <ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე (ბოლო 12 თვის მანძილზე))</li> <li>სექსუალური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ფსიქოლოგიური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ეკონომიკური ძალადობა (მიმდინარე)</li> </ul>	პარტნიორის მხრიდან ძალადობა: <ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე (ბოლო 12 თვის მანძილზე))</li> <li>სექსუალური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ფსიქოლოგიური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ეკონომიკური ძალადობა (მიმდინარე)</li> </ul>
	ძალადობა ორსულობის დროს	ძალადობა ორსულობის დროს
	ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, 15 წლის ასაკის შემდეგ <ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>სექსუალური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ძალადობა ორსულობის დროს (ცხოვრების მანძილზე)</li> </ul>	ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, 15 წლის ასაკის შემდეგ <ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>სექსუალური ძალადობა (ცხოვრების მანძილზე/ მიმდინარე)</li> <li>ძალადობა ორსულობის დროს (ცხოვრების მანძილზე)</li> </ul>
	სექსუალური შევიწროება	სექსუალური შევიწროება
	ადევნება	ადევნება
	პირველი სქესობრივი კავშირის იძულებითი ან ძალადობრივი გამოცდილება	პირველი სქესობრივი კავშირის იძულებითი ან ძალადობრივი გამოცდილება



	2017	2022
	<p>ბავშვობაში (18 წლამდე) განცდილი ძალადობა და არასათანადო რეაგირება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>■ ფიზიკური ძალადობა</li> <li>■ სექსუალური ძალადობა</li> <li>■ ემოციური ძალადობა</li> <li>■ არასათანადო რეაგირება</li> <li>■ ოჯახში ძალადობის თვითმხილველი</li> </ul>	<p>ბავშვობაში (18 წლამდე) განცდილი ძალადობა და არასათანადო რეაგირება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>■ ფიზიკური ძალადობა</li> <li>■ სექსუალური ძალადობა</li> <li>■ ემოციური ძალადობა</li> <li>■ არასათანადო რეაგირება</li> <li>■ ოჯახში ძალადობის თვითმხილველი</li> </ul>
<b>ძალადობასთან დაკავშირებული სხვა გამოცდილებები</b>	ბავშვობის ტრავმები	-
	ძალადობის ჩამდენი პირები	ძალადობის ჩამდენი პირები
	ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანებები	ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანებები
	დახმარების მაძიებელი ქცევა	დახმარების მაძიებელი ქცევა
	-	ძალადობის შედეგად სამუშაო დღეების გაცდენა
	-	ძალადობის შედეგად საოჯახო საქმეების ან/და ბავშვების მოვლის ვერ შესრულება
<b>სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ</b>	დამოკიდებულებები პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ	დამოკიდებულებები პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმები

2022 წლის ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი შემდეგი 16 მოდულისგან შედგება:

- ნაწილი 1: შინამეურნეობაში ქალი რესპონდენტის შერჩევის ფორმა – შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობაში მცხოვრები პირების რაოდენობისა და შინამეურნეობაში მცხოვრები ქალების დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: შინამეურნეობის ქალი წევრები, მიმართება შინამეურნეობის უფროსთან, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, დაბადების თარიღი და ინტერვიუსთვის შესაფერისობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევისთვის შინამეურნეობიდან ხდებოდა ინტერვიუსთვის შესაფერისი ერთი ქალი რესპონდენტის შემთხვევითი შერჩევა. ამისთვის პლანშეტური კომპიუტერი ირჩევდა ქალს, რომლის დაბადების რიცხვიც (მხოლოდ რიცხვი, თვისა და წლის მიუხედავად) ყველაზე ახლოს იყო ინტერვიუს ჩატარების რიცხვთან.

- ნაწილი 2: შინამეურნეობის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობის შემოსავლებსა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის შესახებ.
- ნაწილი 3: რესპონდენტის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები შერჩეული რესპონდენტი ქალის დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, როგორცაა დაბადების თარიღი და ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განათლების დონე, ურთიერთობა ოჯახთან, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა, მობილური ტელეფონის გამოყენება და უსაფრთხოების შეგრძნება.
- ნაწილი 4: ოჯახური მდგომარეობა (ურთიერთობა მეუღლესთან/პარტნიორთან) – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ამჟამინდელი და ბოლო ქორწინების/ურთიერთობის შესახებ და რესპონდენტის ასაკს პირველი ქორწინებისას/პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყებისას. ასევე, ინფორმაციას რესპონდენტის ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის შესახებ.
- ნაწილი 5: ფინანსური მდგომარეობა და საქმიანობა – შეგროვდა მონაცემები მიწისა და სხვა საკუთრების ფლობის შესახებ, დასაქმების, შემოსავლის მიღების შესაძლებლობების, ფინანსების განკარგვისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ.
- ნაწილი 6: ჯანმრთელობა – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების, ორსულობების, შობადობის კონტროლის, კონტრაცეფციის მეთოდებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების და ცოლის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით დამოკიდებულების შესახებ.
- ნაწილი 7: ბავშვობის გამოცდილება – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ბავშვობის გამოცდილებების, კერძოდ კი ბიოლოგიური მშობლების სახლში ყოფნის შესახებ, მამის/ მამინაცვლის ჩართულობის შესახებ საოჯახო საქმეებსა და ბავშვების მოვლაში, შინამეურნეობაში სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მიღების და ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლის თვითმხილველიც შესაძლოა რესპონდენტი ბავშვობაში გამხდარა.
- ნაწილი 8: ამჟამინდელი/ბოლო მეუღლის/პარტნიორის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის შესახებ, როგორცაა ასაკი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, ალკოჰოლის მოხმარება/ მოხმარების სიხშირე, სხვა კაცთან ფიზიკურ ჩხუბში მონაწილეობა, მეუღლის/პარტნიორის გარდა სხვა ქალთან ურთიერთობა და ოჯახში ძალადობის გამოცდილება ბავშვობაში.
- ნაწილი 9: მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ოჯახში ძალადობა - შეგროვდა მონაცემები ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიმართ ამჟამინდელი/ბოლო მეუღლის/პარტნიორის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევის, ფინანსური/ეკონომიკური კონტროლის, ფსიქოლოგიური ძალადობის, ფიზიკური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის გამოვლენის შესახებ, მათ შორის ორსულობის დროს ფიზიკური ძალადობის და თავის დაცვის მიზნით ფიზიკური ძალადობის გამოყენების შესახებ.
- ნაწილი 10: ძალადობასთან დაკავშირებული დაზიანებები – შეგროვდა მონაცემები, რომლებიც ეხება ძალადობასთან დაკავშირებულ დაზიანებებს, ფიზიკური ტრავმების სახეებს, სამედიცინო დახმარების მიღებასა და თანმდევ შედეგებს, კერძოდ, როდესაც ქალს არ შეეძლო შეესრულებინა საოჯახო საქმეები ან ემუშავა.

- ნაწილი 11: ძალადობის გავლენა და დახმარების მაძიებელი ქცევა – შეგროვდა მონაცემები ქალებზე ძალადობის გავლენის შესახებ, მათ შორის ფსიქოლოგიური ზიანისა და მუშაობის შეფერხების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია დახმარების მაძიებელ ქცევაზე, დახმარების ძიებასა და არ მოძიების მიზეზებზე.
- ნაწილი 12: ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან – შეგროვდა მონაცემები არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ, აგრეთვე, იმ პირების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ ძალადობას და დახმარების მაძიებელ ქცევას.
- ნაწილი 13: სექსუალური შევიწროება – შეგროვდა მონაცემები სექსუალური შევიწროების, სექსუალური შევიწროების ადგილისა და შემავიწროებელი პირების შესახებ.
- ნაწილი 14: ადევნება – შეგროვდა მონაცემები ადევნების და განმახორციელებელი პირების შესახებ.
- ნაწილი 15: სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები – შეგროვდა მონაცემები სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით ქალების დამოკიდებულებების შესახებ, რომელიც უკავშირდება ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას, და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონების შესახებ ინფორმირებულობას.
- ნაწილი 16: ინტერვიუს დასრულება და შეჯამება – შეგროვდა მონაცემები ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობის. აღნიშნული ნაწილი რესპონდენტს ინფორმაციას აწვდიდა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად ადგილობრივი მომსახურებების შესახებ.

### კაცების კეთილდღეობის გამოკვლევა

2022 წლის კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი მნიშვნელოვნად შეიცვალა 2017 წლის კაცების კითხვართან შედარებით, რომელიც მხოლოდ გენდერული როლებისა და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ დამოკიდებულებებსა და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ კანონებს მოიცავდა. 2022 წლის კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი შემუშავდა გაეროს შესაბამისი სახელმძღვანელოს საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია იმის შესწავლაზე, თუ რატომ მიმართავს ზოგიერთი კაცი ძალადობას და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება.<sup>11</sup> კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკისა და საერთაშორისოდ შეთანხმებული ეთიკისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად შემუშავდა.

**ცხრილი 2.2.** ში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 და 2022 წელს ჩატარებული გამოკვლევების შესახებ.

**ცხრილი 2.2.** 2017 და 2022 წლების გამოკვლევების ძირითადი მახასიათებლები

	2017 კაცების კითხვარი	2022 კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი
<b>შერჩევის ზომა</b>	1,601 კაცი	1,104 კაცი
<b>მონაცემთა დისაგრეგაცია</b>	ქვეყნის დონეზე	ქვეყნის დონეზე
<b>ასაკობრივი მოცვა</b>	15–64 წლის	15–69 წლის

	2017 კაცების კითხვარი	2022 კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი
<b>კაცების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფორმები</b>	-	ბავშვობაში (18 წლამდე) განცდილი ძალადობა და არასათანადო რეაგირება: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ფიზიკური ძალადობა</li> <li>➤ ემოციური ძალადობა</li> <li>➤ არასათანადო რეაგირება</li> <li>➤ ოჯახში ძალადობის თვითმხილველი</li> </ul>
<b>ძალადობასთან დაკავშირებული სხვა გამოცდილებები</b>	ბავშვობის ტრავმები	-
<b>სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ</b>	დამოკიდებულებები პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ	დამოკიდებულებები პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მიმართ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმები

2022 წლის კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი შემდეგ 10 მოდულს შეიცავდა:

- ნაწილი 1: შინამეურნეობაში კაცი რესპონდენტის შერჩევის ფორმა – შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობაში მცხოვრები პირების რაოდენობისა და შინამეურნეობაში მცხოვრები კაცების დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: შინამეურნეობის კაცი წევრები, მიმართება შინამეურნეობის უფროსთან, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, დაბადების თარიღი, და ინტერვიუსთვის შესაფერისობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, კაცების კეთილდღეობის გამოკვლევისთვის შინამეურნეობიდან ხდებოდა ინტერვიუსთვის შესაფერისი ერთი კაცი რესპონდენტის შემთხვევითი შერჩევა. ამისთვის კი, პლანშეტური კომპიუტერი ირჩევდა კაცს, რომლის დაბადების რიცხვიც (მხოლოდ რიცხვი, თვისა და წლის მიუხედავად) ყველაზე ახლოს იყო ინტერვიუს ჩატარების რიცხვთან.
- ნაწილი 2: შინამეურნეობის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები შინამეურნეობის შემოსავლებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შესახებ.
- ნაწილი 3: რესპონდენტის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები შერჩეული რესპონდენტი კაცის დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, როგორცაა დაბადების თარიღი და ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განათლების დონე, მიწისა და საკუთრების ფლობა და უსაფრთხოების შეგრძნება.
- ნაწილი 4: ბავშვობის გამოცდილება – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ბავშვობის გამოცდილებების შესახებ, კერძოდ კი ბიოლოგიური მშობლების სახლში ყოფნის შესახებ, მამის/ მამინაცვლის ჩართულობის შესახებ საოჯახო საქმეებსა და ბავშვების მოვლაში, შინამეურნეობაში სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მიღებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლის თვითმხილველიც შესაძლოა რესპონდენტი ბავშვობაში გამხდარა.

- ნაწილი 5: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ალკოჰოლის მოხმარებისა და ზრდასრულ ასაკში ფიზიკურ ჩხუბში მონაწილეობის შესახებ.
- ნაწილი 6: ოჯახური მდგომარეობა (ურთიერთობა მეუღლესთან/პარტნიორთან) – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ამჟამინდელი და ბოლო ქორწინების/ურთიერთობის შესახებ, პირველი ქორწინებისას/პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყებისას რესპონდენტის ასაკის და ინფორმაცია ქორწინების/პარტნიორთან თანაცხოვრების ტიპის შესახებ.
- ნაწილი 7: ამჟამინდელი/ბოლო მეუღლის/პარტნიორის მახასიათებლები – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის შესახებ, როგორცაა ასაკი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, ჩართულობა გადამწყვეტილების მიღების პროცესში, კამათის/ჩხუბის სიხშირე და ოჯახში ძალადობის გამოცდილება ბავშვობაში.
- ნაწილი 8: დამოკიდებულება ქალებსა და კაცებს შორის ურთიერთობის შესახებ – შეგროვდა მონაცემები ქალებსა და კაცებს შორის ურთიერთობასა და ცოლის მიმართ ძალადობაზე რესპონდენტის დამოკიდებულებების შესახებ.
- ნაწილი 9: სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები – შეგროვდა მონაცემები კაცების დამოკიდებულებების შესახებ სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონების შესახებ ინფორმირებულობას.
- ნაწილი 10: ინტერვიუს დასრულება და შეჯამება – შეგროვდა მონაცემები რესპონდენტის განწყობის შესახებ დასრულ კითხვებთან დაკავშირებით.

## 2.2.2 ინფორმაციის მიღება

ფართოდ აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მგრძნობიარე საკითხია, და შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ქალებიც და კაცებიც თავს არიდებენ ძალადობის შესახებ საკუთარი გამოცდილების გამჟღავნებას. ამიტომ, ქალთა და კაცთა კითხვარის დიზაინი შემუშავდა ისე, რომ რესპონდენტებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი და გაემჟღავნებინათ ძალადობის საკუთარი გამოცდილება ზრდასრულ ასაკსა და ბავშვობაში, მათ შორის, ძალადობის გამოცდილება ინტიმურ ურთიერთობებში. კერძოდ, კითხვარები ისე იყო შედგენილი, რომ კითხვარების პირველი ნაწილები აგროვებდა ინფორმაციას ნაკლებად სენსიტიურ საკითხებზე, როგორცაა მაგალითად, დემოგრაფიული მონაცემები. ხოლო სენსიტიური კითხვები, ძალადობასთან და დაზიანებებთან დაკავშირებით, დასრული იყო კითხვარის მომდევნო ნაწილებში. ასევე, ყურადღება დაეთმო კითხვების ფორმულირებას.

შერჩეული რესპონდენტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნისა და კითხვარში შემავალი კითხვების სენსიტიურობის შესახებ, თუმცა, საკვლევი საკითხები ცნობილი არ იყო ოჯახის სხვა წევრებისთვის. ინტერვიუერებს დაევაღათ, ქალებისა და კაცებისთვის ძალადობის შესახებ კითხვების დასმამდე, უზრუნველყოთ განმარტოებული გარემო და დაეცვათ კონფიდენციალურობა. რესპონდენტებს აცნობეს, რომ მათი პასუხები კონფიდენციალურია და მათ ინტერვიუს შეწყვეტა ნებისმიერ დროს შეეძლოთ.

## 2.2.3 საპილოტე გამოკვლევა

საპილოტე გამოკვლევა 2022 წლის სექტემბერში ჩატარდა სამ დასახლების ტიპში, კერძოდ თბილისში, სხვა ქალაქებში და სოფლებში. თითოეულ დასახლებაში 15 ინტერვიუ განხორციელდა. პილოტის ფარგლებში ჯამში 30 ქალი და 15 კაცი გამოიკითხა. საპილოტე გამოკვლევის სავსელე სამუშაოების დაწყებამდე, ინტერვიუერებს ოთხდღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ. რესპონდენტების შერჩევა მოხდა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისა და ეთნიკური კუთვნილების გათვალისწინებით. საპილოტე გამოკვლევის შედეგების საფუძველზე მცირედით დაკორექტირდა კითხვარები. საპილოტე გამოკვლევის სავსელე სამუშაოები ჩატარდა იმ დასახლებებში, რომლებიც გამოკვლევის ძირითად შერჩევაში არ მონაწილეობდა.

## 2.2.4 შერჩევის ჩარჩო

2022 წლის ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევის ფარგლებში ინფორმაცია შეგროვდა 15-69 წლის, ხოლო 2017 წლის გამოკვლევის ფარგლებში - 15-64 წლის ქალებისა და კაცების შესახებ. ასაკობრივი დიაპაზონის გაზრდა განაპირობა ევროსტატის 2021 წლის რეკომენდაციებმა, რომლებიც ეფუძნებოდა „ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობისა და ადამიანებს შორის ძალადობის სხვა ფორმების შესახებ ევროკავშირის კვლევის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს (EU-GBV)“. აღნიშნული ცვლილება აგრეთვე განპირობებული იყო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთობლივი პროგრამის მონაცემებით, რომელიც ასკვნის, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ წინა კვლევებში, 50 წლის და უფროსი ასაკის ქალების არ ჩართვამ, მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიწვია იმის დადგენაში, თუ რა ფორმითა და სიხშირით განიცდიან ხანდაზმული ქალები ძალადობას. აგრეთვე, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ ვინ არიან ამგვარი ძალადობის ჩამდენი პირები და რა წარმოადგენს ხანდაზმულ ქალებზე ძალადობის მიზეზებსა და შედეგებს. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, ერთობლივი პროგრამის მიერ შემოთავაზებული იყო მეთოდოლოგიები, რომლებიც მოიცავდა ხანდაზმული ქალების ძალადობის გამოცდილებებს.<sup>12</sup>

ქალების გამოკვლევის დიზაინი შემუშავდა იმგვარად, რომ მიღებული მაჩვენებლები რეპრეზენტატულია როგორც ქვეყნის დონეზე, ასევე დასახლების სამი ტიპისთვის: თბილისი, სხვა ქალაქები და სოფლები. ხოლო, კაცების გამოკვლევის დიზაინი შემუშავდა ისე, რომ მიღებული მაჩვენებლები რეპრეზენტატულია მხოლოდ ქვეყნის დონეზე.

შერჩევის პირველ ეტაპზე, პირველადი შერჩევის ერთეულებად (PSUs) შეირჩა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით განსაზღვრული სააღწერო უბნები. თბილისის შემთხვევაში პირველადი შერჩევის ერთეულების (PSUs) სტრატეგიკაცია არ მომხდარა, ხოლო სხვა ქალაქებისა და სოფლებისთვის გამოიყო სტრატეგი, რაც დაეფუძნა რეგიონების დაჯგუფებას. ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევის შერჩევა სამსაფეხურიანია: (1) პირველადი შერჩევის ერთეულები (PSUs) შეირჩა ზომის პროპორციული ალბათობით; (2) თითოეულ შერჩეულ PSU-ში შინამეურნეობების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით; და (3) შერჩეულ შინამეურნეობებში, შეირჩა გამოკითხვისთვის შესაფერისი ქალი/კაცი რესპონდენტი (გამოკითხვისთვის შესაფერის რესპონდენტი იყო 15-69 წლის პირი, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა მოცემულ შინამეურნეობაში). იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობაში იყო გამოკითხვისთვის შესაფერისი ერთზე მეტი ქალი/კაცი რესპონდენტი, გამოიყენებოდა შემთხვევითი შერჩევის უახლოესი დაბადების დღის მეთოდი.

ქალების გამოკვლევის შერჩევის ზომა შეადგენდა 3,300 შინამეურნეობას, რომელიც თანაბრად იყო გადანაწილებული დასახლების სამი ტიპისთვის (1,100 შინამეურნეობა თითოეულში). თითოეული დასახლების ტიპისთვის მთლიანი შერჩევა სტრატეგზე ზომის პროპორციულად გადანაწილდა (სტრატა განისაზღვრა რეგიონით). კაცების გამოკვლევის შერჩევის ზომა შეადგენდა 1,104 შინამეურნეობას. მთლიანი შერჩევა სტრატეგზე ზომის პროპორციულად გადანაწილდა (სტრატა განისაზღვრა რეგიონით და დასახლების ტიპით - ქალაქი/სოფელი). თითოეულ პირველადი შერჩევის ერთეულში შეირჩა 10 შინამეურნეობა ქალების გამოკვლევის შემთხვევაში და 8 შინამეურნეობა - კაცების გამოკვლევის შემთხვევაში. გამოუპასუხებლობის შემთხვევაში, შინამეურნეობის ჩანაცვლება ხდებოდა სხვა შინამეურნეობით იმავე პირველადი შერჩევის ერთეულში. ქალებისა და კაცების შემთხვევაში შერჩეული იყო განსხვავებული პირველადი შერჩევის ერთეულები.

## 2.2.5 საველე პერსონალის შერჩევა და ტრენინგი

გამოკვლევის ჩატარებამდე, საქსტატმა შეარჩია და ტრენინგი ჩაუტარა მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელ საველე პერსონალს, რომელიც მოიცავდა საველე სამუშაოების ზედამხედველებსა და ინტერვიუერებს. საველე სამუშაოების ზედამხედველები პასუხისმგებელი იყვნენ მათ მიერ დაქვემდებარებულ მუნიციპალიტეტებში საველე სამუშაოების კოორდინაციაზე, მათ შორის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებზე, საველე სამუშაოებისა და ინტერვიუერების ხელმძღვანელობასა და შევსებული კითხვარების პირველად ლოგიკურ კონტროლზე. გამოკითხვა საქსტატის კვალიფიციური ინტერვიუერების ჯგუფმა ჩაატარა. გამოკვლევისთვის შეირჩა ჯამში 96 პირი, მათ შორის 14 საველე სამუშაოების ზედამხედველი და 82 ინტერვიუერი.

იმის გათვალისწინებით, რომ კითხვარები მოიცავდა რესპონდენტებისთვის სენსიტიურ საკითხებს, ქალ რესპონდენტებს ინტერვიუს მხოლოდ ქალი ინტერვიუერები უტარებდნენ, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ქალების კითხვარის შევსების ტრენინგი. შესაბამისად, კაცი რესპონდენტების გამოკითხვა მოხდა მხოლოდ კაცი ინტერვიუერების მიერ, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ კაცების კითხვარის შევსების ტრენინგი. 82 ინტერვიუერს შორის, 59 იყო ქალი, ხოლო 23 კაცი.

2022 წლის ოქტომბერში, საველე პერსონალის ყველა წევრს ოთხდღიანი ტრენინგი ჩაუტარდა. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორცაა: ქალთა მიმართ ეროვნული კვლევის მიზნები და შინაარსი, გენდერთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, შერჩევა და გამოკვლევის პროცედურები, პირისპირ გამოკითხვის ჩატარების პროცესი, როგორ დავეხმაროთ რესპონდენტებს ძალადობრივი მოვლენების სწორად გახსენებაში<sup>13</sup> და ეთიკისა და უსაფრთხოების საკითხები ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვისას. ტრენინგის განმავლობაში საველე პერსონალს მიეცა ინსტრუქცია ქალებისა და კაცების კითხვარების შესავსებად პროგრამული უზრუნველყოფისა და პლანშეტური კომპიუტერის გამოყენების შესახებ. მონაცემთა შეგროვების მთელი პერიოდის მანძილზე საქსტატის სათავო ოფისი, საჭიროების მიხედვით ეხმარებოდა საველე პერსონალს.

გამოკითხვის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რესპონდენტებისა და საველე პერსონალის უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, გამოკვლევის დიზაინი, გამოკვლევის ჩატარების პროცედურები და ინტერვიუერების ტრენინგი მოიცავდა ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევების ეთიკურ საკითხებს, რომლებიც შემუშავებული და დამტკიცებული იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO)<sup>14</sup>, ევროკავშირის სტატისტიკური ოფისისა

(Eurostat)<sup>15</sup> და ავსტრალიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამთავრობო დეპარტამენტის (DFAT) ქალთა გლობალური ინსტიტუტის (GWI)<sup>16</sup> მიერ. ინტერვიუებს მიეცათ შესაბამისი ინსტრუქციები, კონფიდენციალურობის მნიშვნელოვნების შესახებ, რესპონდენტთა უსაფრთხოების დაცვისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, ინტერვიუებს მიეცათ რეკომენდაცია გამოკითხვის განმარტოებულ გარემოში ჩატარების შესახებ. საქსტატის სათავო ოფისის თანამშრომლები და სავლე სამუშაოების ზედამხედველები რეგულარულად ახორციელებდნენ ინტერვიუების მუშაობისა და შეგროვებული მონაცემების ხარისხის კონტროლს.

ტრენინგი შემუშავდა და ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ჯგუფში შედიოდნენ საერთაშორისო ექსპერტი, ორი ეროვნული კონსულტანტი/ფსიქოლოგი და საქსტატის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ მეთოდოლოგიისა და კითხვარების შემუშავებაში. ტრენინგი ჩატარდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ოთხდღიან ტრენინგში განხილული თემების მონახაზი მოცემულია **ცხრილში 2.3**.

**ცხრილი 2.3. სავლე პერსონალის ტრენინგი**

დღე	შინაარსი
<p><b>1 დღე 1</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ქალთა მიმართ ძალადობის მახასიათებლები</li> <li>▶ ქალთა მიმართ ეროვნული კვლევის მიზნები და მიმოხილვა</li> <li>▶ განმარტებები, ცნებები და საკითხები, რომლებიც შედის ქალთა მიმართ ძალადობის კვლევაში</li> <li>▶ ქალთა მიმართ ძალადობის გააზრება, ძალადობასთან დაკავშირებული სტერეოტიპები, მითები და ძალადობის ციკლურობა</li> <li>▶ იმის გააზრება, თუ როგორ მოქმედებენ მოძალადეები და განსხვავებები ნორმალურ და ძალადობრივ ურთიერთობებს შორის</li> <li>▶ ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების გააზრება</li> <li>▶ ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონე და ადამიანებს შორის ძალადობის სხვა ფორმები</li> <li>▶ ინტერვიუს დროს ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის დაცვა</li> <li>▶ სენსიტიური კითხვების დასმა</li> <li>▶ რესპონდენტთან კონტაქტის დამყარება</li> <li>▶ ინტერვიუერის როლი</li> <li>▶ ინტერვიუერის ქცევა ინტერვიუს მიმდინარეობისას</li> <li>▶ იმ რესპონდენტებთან საუბარი და მათი მოსმენა, რომლებსაც გააჩნიათ რთული გამოცდილება</li> <li>▶ სათანადოდ რეაგირების უნარი</li> <li>▶ როგორ გავუმკლავდეთ სტრესს და როგორ მოვიქცეთ ისეთ სიტუაციებში, როდესაც რესპონდენტის მხრიდან ადგილი აქვს არაპროგნოზირებად ქცევას</li> <li>▶ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების გზები</li> <li>▶ ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის ეთიკა</li> <li>▶ სავლე სამუშაოების ზედამხედველობა</li> </ul>



დღე	შინაარსი
2 დღე 2	<ul style="list-style-type: none"> <li>ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარის მიმოხილვა</li> <li>კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარის მიმოხილვა</li> <li>სცენარები და განხილვები</li> </ul>
3 დღე 3	<ul style="list-style-type: none"> <li>ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარის მიმოხილვა</li> <li>კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარის მიმოხილვა</li> <li>სცენარები და განხილვები</li> <li>როლური თამაშები - ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი</li> <li>როლური თამაშები - კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი</li> <li>როლური თამაშების შედეგებზე დაფუძნებული დისკუსია</li> </ul>
4 დღე 4	<ul style="list-style-type: none"> <li>სცენარები და განხილვები</li> <li>როლური თამაშები - ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარი</li> <li>როლური თამაშების შედეგებზე დაფუძნებული დისკუსია</li> </ul>

## 2.2.6 კვლევის ადმინისტრირება სავლე საქმიანობის განხორციელებისას

2022 წლის ქალებისა და კაცების ინტერვიუები 2022 წლის ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში ჩატარდა პირისპირ გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. გამოკვლევაში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითი იყო. ამასთან, რესპონდენტებს არ მიუღიათ ფინანსური სარგებელი ინტერვიუში მონაწილეობის სანაცვლოდ. ყველა რესპონდენტისთვის გარანტირებული იყო როგორც ანონიმურობა, ასევე კონფიდენციალურობის დაცვა. აგრეთვე, კონფიდენციალურობა დაცული იყო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კითხვების დასმამდე.

## 2.2.7 ეთიკური და უსაფრთხოების ასპექტები

ზოგადად, ეთიკური პრინციპები მოითხოვს, რომ ნებისმიერი კვლევა, რომელიც მოიცავს პიროვნებებს, ფორმულირდეს და ჩატარდეს ისე, რომ პატივი სცეს კვლევის მონაწილეთა უფლებებს. ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, წამოიჭრა მეთოდოლოგიური და ეთიკური გამოწვევები, მათ შორის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის კუთხით. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერვიუერების უნარებსა და ჩატარებული ტრენინგების შედეგიანობას<sup>17</sup>.

ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ქალებს ხშირად ემუქრებათ სამაგიეროს გადახდის რისკი მოძალადე პარტნიორის ან/და ოჯახის წევრების მხრიდან.

გარდა ამისა, ინტერვიუს კითხვების სენსიტიური ხასიათის გამო, შესაძლოა მოხდეს ქალების ხელახლა ტრავმირება. ეს რისკები ასევე ვრცელდება თავად მკვლევრებზეც, რადგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევების ჩატარების პროცესში, სავსე პერსონალს საფრთხე ემუქრებოდა ოჯახის ან/და საზოგადოების წევრების მხრიდან.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის ჩატარებისას, შესრულდა საერთაშორისო ეთიკური და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები და პროტოკოლები, რომლებიც ასახული იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის,<sup>18</sup> ევროსტატის,<sup>19</sup> ავსტრალიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამთავრობო დეპარტამენტის (DFAT) ქალთა გლობალური ინსტიტუტის (GWI) მიერ.<sup>20</sup> სახელმძღვანელო მოიცავდა კონკრეტულ მითითებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მაგალითად, გამოკითხვის დროს განმარტოებული გარემოს მოძიება, რესპონდენტების ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის დაცვა, ნებაყოფლობითი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მონაწილეების მხრიდან ადეკვატური და ინფორმირებული თანხმობის მიღება და აგრეთვე სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება ქალებისთვის, რომლებმაც განიცადეს ძალადობა და დახმარება სთხოვეს ადგილობრივ სერვისებსა და ორგანიზაციებს.

საქსტატმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ სათანადო ზომები მიიღეს სანდო და ეფექტური ეთიკური პროცესების უზრუნველსაყოფად. შედეგად, რესპონდენტებისა და სავსე პერსონალის უსაფრთხოება გათვალისწინებული და დაცული იქნა, როგორც კვლევის დიზაინის შემუშავების ეტაპზე, აგრეთვე უშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობის 2022 წლის ეროვნული კვლევის ჩატარებისას.

### **ინფორმირებული თანხმობა**

ყოველი ინტერვიუს დასაწყისში რესპონდენტებს ზეპირსიტყვიერად მიეწოდებოდათ ინფორმაცია კითხვარის მიზნისა და მასშტაბის, მოსალოდნელი რისკებისა და სარგებლის შესახებ. აგრეთვე, რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ კვლევაში მათი მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, მათ შეეძლოთ გამოეთხოვებინათ კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა არ სურდათ და დაესრულებინათ ინტერვიუ ნებისმიერ დროს. მატერიალური დოკუმენტის ქონა, რომელიც დეტალურად ასახავდა კითხვარის შინაარსსა და ბუნებას, შეიცავდა პოტენციურ რისკებს ქალებისთვის. ამის გამო რესპონდენტებთან ინფორმაცია მხოლოდ ზეპირად იქნა გაზიარებული.

ინტერვიუერები პლანშეტურ კომპიუტერში აფიქსირებდნენ, რომ ინტერვიუს გასაგრძელებლად მიღებული იყო სიტყვიერი თანხმობა. იმ სიტუაციებში, როდესაც სიტყვიერი თანხმობა არ იყო მიღებული, ინტერვიუ მაშინვე სრულდებოდა. ზეპირსიტყვიერი თანხმობა ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა და საქართველოს ნორმატიული ჩარჩოს თანახმად, საკმარისია კვლევების ჩასატარებლად. ის ასევე საქსტატის გამოკვლევებში გამოყენებულ ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, რესპონდენტებს აცნობეს, რომ შეგროვებული მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და რომ ანალიზისა და ანგარიშების პროცესებში არცერთი სახელი არ იქნებოდა გამოყენებული. 15-დან 17 წლამდე არასრულწლოვანთა შემთხვევაში, ინფორმირებული სიტყვიერი თანხმობა მიიღეს როგორც არასრულწლოვანის, ასევე მისი მშობლებისგან (ან ოჯახის სხვა ზრდასრული წევრისგან).

## **ანონიმურობა და კონფიდენციალურობა**

შეგროვებული ინფორმაციისა და მონაცემების პერსონალური და მგრძობიარე ხასიათის გათვალისწინებით, ყველა რესპონდენტს გარანტირებული ჰქონდა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი ურთიერთობების დინამიკის გათვალისწინებით, ძალადობის მსხვერპლები, რომლებიც საუბრობენ ძალადობაზე და ამჟღავნებენ ძალადობის დეტალურ ასპექტებს ვინმესთან, მეუღლის და ოჯახის გარეთ, არიან შურისძიების და შემდგომი ძალადობისა და დამცირების რისკის ქვეშ. სწორედ ამიტომ, შეგროვებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანონიმურობასა და კონფიდენციალურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

რესპონდენტთა ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად მთელი რიგი მექანიზმები იყო გამოყენებული. მაგალითად, ყველა ინტერვიუერმა მიიღო მკაცრი მითითებები რესპონდენტთა ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე, ინტერვიუერებს არ ჩაუტარებიათ ინტერვიუ საკუთარ დასახლებაში.

## **რესპონდენტებისა და ინტერვიუერების ფიზიკური უსაფრთხოება**

ამ ტიპის გამოკითხვების დროს, მნიშვნელოვანია რესპონდენტებისა და ინტერვიუერების ფიზიკური უსაფრთხოება მოძალადის ან ოჯახის წევრების მხრიდან პოტენციური საპასუხო ძალადობისგან დასაცავად. თუ კითხვარის თემა და ფოკუსი ფართოდ ხდება ცნობილი ოჯახში ან/და ფართო საზოგადოებაში და ამის შესახებ იგებს მოძალადე, ძალადობის მსხვერპლი რესპონდენტები შესაძლოა კვლევაში მონაწილეობის გამო შურისძიების ან გაზრდილი ძალადობის წინაშე აღმოჩნდნენ. ამან, შესაძლოა ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ დააყენოს ინტერვიუერები, ინტერვიუს წინ, ან მის შემდეგ.

რესპონდენტთა და მკვლევართა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა:

- კვლევის მიზანი ფორმულირდა როგორც ქალთა და კაცთა ჯანმრთელობისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების კვლევა და გაცნო შინამეურნეობებს.
- ინტერვიუები ჩატარდა მხოლოდ განმარტოებულად. ინტერვიუზე დასწრების უფლება მხოლოდ 2 წლამდე ასაკის ბავშვებს ჰქონდათ. საჭიროების შემთხვევაში, შეირჩა ადგილები სახლის გარეთ, სადაც შესაძლებელი იყო ინტერვიუს განმარტოებით ჩატარება, მაგალითად, ახლომდებარე ტერიტორია, ადგილობრივი კლინიკა ან ეკლესია.
- რესპონდენტებს შეეძლოთ გადაეტანათ ინტერვიუ სხვა დროს ან სხვა ადგილას, სადაც მათთვის უფრო უსაფრთხო ან მოსახერხებელი იქნებოდა.
- ინტერვიუებმა ტრენინგის დროს მიიღეს რეკომენდაცია, შეეწყვიტათ ინტერვიუ ან შეეცვალათ თემა, თუ ვინმე გარეშე პირი შეაფერხებდა ინტერვიუს პროცესს. ინტერვიუს დაწყებამდე, რესპონდენტებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ უნდა შეეწყვიტათ საუბარი ან შეეცვალათ თემა, თუ ვინმე შეაფერხებდა ინტერვიუს ჩატარებას, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მზად ყოფილიყვნენ, საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიულ, სხვა კითხვებზე გადასასვლელად. ინტერვიუერებს ჩაუტარდათ როლური თამაშების სავარჯიშოები, სხვადასხვა სიტუაციის იმიტირებით, რომელშიც ისინი შეიძლება აღმოჩენილიყვნენ.

## **„ნუ მიაყენებ ზიანს“ და პატივი ეცი ქალების გადანაცვლებებსა და არჩევანს**

ოჯახებში, ქალთა მიმართ ძალადობა სენსიტიური საკითხია და შესაძლოა სტიგმატიზებული იყოს ქალებისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს შესაძლოა არ სურდეთ თავიანთ ძალადობრივ გამოცდილებებზე საუბარი იმის შიშით, რომ ვიქტიმიზაციაში დაადანაშაულებენ ან გარიყული და სტიგმატიზებული იქნებიან. ამ მიზეზით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ძალადობისა და მისი შედეგების შესახებ თითოეული კითხვა უნდა დაისვას ფრთხილად და ყოველგვარი განსჯის გარეშე. ქალებს არასდროს არ უნდა ჰკითხონ იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს ამგვარი ძალადობის პროვოცირებისთვის და არ უნდა დაადანაშაულონ საკუთარ ვიქტიმიზაციაში.

არსებობს გარკვეული მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლოა ძალადობის გამოცდილებებზე საუბარი სასარგებლო აღმოჩნდეს ქალებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებმა შესაძლოა უნებლიედ გაიხსენონ საშინელი, დამამცირებელი ან უკიდურესად მტკივნეული გამოცდილება, რაც სტრესს და ძლიერ ემოციურ ან უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ინტერვიუერებს ტრენინგის დროს მიუხედავად ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა შესაძლო რეაქციების შესახებ, რათა გაეაზრებინათ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია გამოკვლევის კითხვებს რესპონდენტებზე – საჭიროების შემთხვევაში კი, ინტერვიუერებს მიეცათ მითითება, შეეწყვიტათ ინტერვიუ, თუ გამოკითხვა რესპონდენტზე უარყოფით ემოციურ გავლენას ახდენდა და ზედმეტ სტრესს იწვევდა.

ქალების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გამოკვლევის დიზაინი გარკვეული სიფრთხილით იქნა შემუშავებული, რათა ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას, რესპონდენტი ყოფილიყო წინასწარ ინფორმირებული და ამასთან, გათვალისწინებული ყოფილიყო სენსიტიურობა. მაგალითად, კითხვარის იმ ნაწილში, რომელიც იკვლევს ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებებს, შესავალში ხაზგასმული იყო მომავალი კითხვების სენსიტიური ხასიათი. შემდეგ, სანამ დაისმებოდა კითხვები უშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებებზე, გამოყენებული იყო დამატებითი ტექსტი, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ ოჯახში ძალადობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ რესპონდენტს ეძლეოდა საშუალება, გაემჟღავნებინა ძალადობის ფაქტების შესახებ, დაადანაშაულებისა და განსჯის შეგრძნების გარეშე.

გამოკითხვის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებული იყო ინტერვიუს დადებით ნოტაზე დასრულება. რესპონდენტები იღებდნენ ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობდა სირთულეებთან გამკლავების ეფექტურ მექანიზმებს. კითხვარს ჰქონდა ორი ალტერნატიული განერილი დასასრულის ტექსტი: ერთი, რომელიც მიესადაგებოდა ქალებს, რომლებმაც განაცხადეს ძალადობის გამოცდილების შესახებ, ხოლო მეორე იმ ქალებს, რომლებსაც არ განუცხადებიათ ძალადობის გამოცდილების შესახებ. დასასრულის პირველი ტექსტი ხაზს უსვამდა რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვნებას, აღნიშნავდა რესპონდენტის სიძლიერესა და გამბედაობას, აღიარებდა, რომ ძალადობა, რომელიც რესპონდენტმა განიცადა, მიუღებელია და აწვდიდა ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის.

ინტერვიუერებსა და საველე სამუშაოების ზედამხედველებს სიღრმისეული ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგმა მოიცვა არა მხოლოდ გამოკითხვის ჩატარების გზები, არამედ შესაბამისი ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ესაუბრონ ქალებს, რომლებიც აღნიშნავენ ძალადობის ფაქტებს და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა გაუწიონ მათ. ინტერვიუერებს ჰქონდათ მითითება, დახმარებოდნენ ქალებს, რომლებიც ამას ითხოვდნენ,

მაგრამ ამასთან, ძალა არ დაეტანათ იმ ქალებისთვის, რომლებიც არ იყვნენ მზად სხვისთვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება.

## 2.2.8 საველე პერსონალის კეთილდღეობა

ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების დონის გათვალისწინებით, ამ ტიპის კვლევაზე მომუშავე ერთი ან მეტი საველე პერსონალი შესაძლოა ყოფილიყო ძალადობის პირდაპირი სამიზნე ან ჰქონოდა ძალადობის მსგავსი გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა შესაძლოა, გააუმჯობესოს ინტერვიუერის უნარები, გამოკვლევაში ჩართულობამ შესაძლოა განაახლოს ემოციები, შინაგანი დაბნეულობა ან/და პირადი კონფლიქტი. ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობის განცდა სახლში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საველე პერსონალს თავად არ განუცდია ძალადობა, ძალადობის და ჩაგვრის შესახებ ისტორიების მოსმენა, მისთვის ამაღელვებელი და ემოციურად დამლული იქნება.

აღნიშნული საკითხები ღიად იყო განხილული საველე პერსონალის ტრენინგის დროს. გარდა ამისა, საველე პერსონალს შეეძლო უარი ეთქვა გამოკვლევაში მონაწილეობაზე მათი შემდგომი განსჯის გარეშე. ასეთი მიდგომები, მიზნად ისახავდა საველე სამუშაოებისას სტრესის შემცირებასა და ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანას.

## 2.2.9 ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

მონაცემთა შეგროვების პროცესის დაწყებამდე, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამოავლინა პოტენციური სერვისის პროვაიდერები, რომელთათვისაც შეეძლოთ მიემართათ ძალადობის მსხვერპლებს თითოეულ რეგიონში. მათ შორის იყო თავშესაფრები, ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები და იურიდიული დახმარების სამსახურები. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შედგა სააგენტოებისა და კერძო პირების სია, ვისაც შეეძლო მხარდამჭერი სერვისის გაწევა, როგორც გამოკვლევის დროს, ასევე მის შემდეგ. აღნიშნული სია გადაეცა ყველა რესპონდენტს, მიუხედავად იმისა, განაცხადეს თუ არა ძალადობის გამოცდილებების შესახებ.

## 2.2.10 სტატისტიკური წონების გაანგარიშება

სხვადასხვა რეგიონში, ქალაქსა და სოფელში შერჩევის არაპროპორციული განაწილებიდან გამომდინარე, განხორციელდა მონაცემების შეწონვა, ქვეყნის დონეზე კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად.

შერჩევის დიზაინიდან გამომდინარე, საწყისი წონები წარმოადგენდა შერჩევაში მოხვედრის ალბათობის შეტრუნებულ მნიშვნელობას. საბოლოო წონების მისაღებად, საწყისი წონები დაკორექტირდა გამოუპასუხებლობისა და მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით. ანგარიშში წარმოდგენილი ძირითადი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად გამოყენებულია შეწონილი მონაცემები.

## 2.2.11 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემები შეგროვდა პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუს ჩატარების მეთოდით (CAPI). პლანშეტური კომპიუტერებისთვის ელექტრონული კითხვარები შემუშავდა მსოფლიო ბანკის პროგრამის Survey Solutions-ის გამოყენებით. შეგროვებული პირველადი მონაცემები დამუშავდა და გაიწმინდა საქსტატის სათავო ოფისის თანამშრომლების მიერ.

მონაცემების შეგროვების, განმენდისა და ვალიდაციის შემდეგ, საქსტატმა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით გაიანგარიშა სტატისტიკური წონები. გამოკვლევის შედეგების ანალიზი განახორციელა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საერთაშორისო კონსულტანტმა, დოქტორმა რობინ ჰარმა. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებული იქნა SPSS და ანალიზი ჩატარდა როგორც ქვეყნის დონეზე, ისე დასახლების ტიპის, ასაკობრივი ჯგუფების, განათლების დონის, შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

## 2.2.12 მონაცემთა გავრცელების შეზღუდვები შერჩევის ზომიდან გამომდინარე

ანგარიშში მოცემული მონაცემები შეესაბამება მონაცემთა გამოქვეყნების ევროსტატის რეკომენდაციებს, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

- მონაცემი, რომელიც ეფუძნება 20-ზე ნაკლებ შეუწონავ დაკვირვებას, არ უნდა იყოს გამოქვეყნებული.
- მონაცემი, რომელიც ეფუძნება 20-49 შეუწონავ დაკვირვებას, უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი შენიშვნის მითითებით.
- მონაცემი, რომელიც ეფუძნება 50 ან მეტ შეუწონავ დაკვირვებას, უნდა გამოქვეყნდეს ჩვეულებრივ<sup>21</sup>.

შესაბამისად, მონაცემები, რომლებიც ეფუძნება 20-49 შეუწონავ დაკვირვებას, ანგარიშში წარმოდგენილია, მაგრამ აღინიშნება ფიფქით, რაც მიუთითებს იმას, რომ მონაცემი არ არის სანდო შერჩევის ზომის სიმცირის გამო.

## 2.3 თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვება

რაოდენობრივი გამოკვლევის შედეგების სრულყოფის მიზნით, კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი კომპონენტი (**ცხრილი 2.4**). თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვება და ანალიზი განახორციელა ადგილობრივმა კვლევითმა კომპანიამ - WeResearch.

კვლევის თვისებრივი კომპონენტი ჩატარდა საქართველოს, როგორც ქალაქებში და სოფლებში. უფრო კონკრეტულად კი, საქალაქო დასახლებები მოიცავდა თბილისს - დედაქალაქს, ასევე ბათუმსა და ქუთაისს დასავლეთ საქართველოში, ხოლო სასოფლო დასახლებები მოიცავდა სოფელ კისისხევს (თელავის მუნიციპალიტეტში) და შაუმიანს (მარნეულის მუნიციპალიტეტში) აღმოსავლეთ საქართველოში. თვისებრივმა კვლევამ

171 რესპონდენტი მოიცვა. ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების უმეტესობა ჩატარდა ონლაინ, Zoom აპლიკაციის საშუალებით, თუმცა, სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები თემების წარმომადგენლებთან ჩატარდა პირისპირ. ორი ფოკუს ჯგუფი თბილისში ჩატარდა ონლაინ, მონაწილეების მოთხოვნის საფუძველზე.

**ცხრილი 2.4. თვისებრივი კვლევის მეთოდები**

თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდი	სამიზნე ჯგუფები
15 ინტერვიუ ძირითად ინფორმანტებთან - სერვისების მიმწოდებლებთან	ინტერვიუები ჩატარდა სახელმწიფო და არასამთავრობო სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აგრეთვე დარგის ექსპერტებთან და სხვა შესაბამისი მხარეებთან იმ სერვისების მიწოდების შესახებ სრული სურათის შესაქმნელად, რომლებიც ძალადობაგადატანილი პირებისთვის იყო გამიზნული. ინტერვიუს თემები მოიცავდა ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ხარისხიანი სერვისების მიწოდების ხელისშემშლელ ფაქტორებსა და ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობას მარგინალიზებული ქალების მიერ
6 ფოკუს ჯგუფი სერვისების მიმწოდებლებთან	სამი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა სახელმწიფო სერვისების მომწოდებლებთან (პოლიცია, სოციალური მუშაკი, ჯანდაცვის სფეროში მომუშავენი, კრიზისული ცენტრის/თავშესაფრის წარმომადგენლები) და სამი - არასახელმწიფო სერვისების წარმომადგენლებთან. ეს მოიცავდა ორ ფოკუს ჯგუფს თბილისში, ორს სხვა ქალაქებში და ორს - სოფლად. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა უშუალოდ სერვისების მომწოდებლებთან, ე.წ. იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ძალადობის საკითხზე თემებში.
10 ფოკუს ჯგუფი თემის წარმომადგენლებთან	ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა საქალაქო დასახლებებში და ოთხი - სასოფლო დასახლებებში. თითოეული ტიპის დასახლებაში ფოკუს ჯგუფები ჩატარდა: <ul style="list-style-type: none"> <li>■ 18-29 წლის ქალებთან</li> <li>■ 18-29 წლის კაცებთან</li> <li>■ ერთი - 30 წლის და ზემოთ ასაკის ქალებთან</li> <li>■ 30 წლის და ზემოთ ასაკის კაცებთან</li> </ul> გარდა ამისა, თბილისში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი, თითო 30 წელზე უფროსი ასაკის ქალებთან და კაცებთან. ფოკუს ჯგუფებში ყურადღება მახვილდებოდა იმ დამოკიდებულებებზე და სოციალურ ნორმებზე, რომლებსაც ეფუძნება ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოს რეალობაში.

თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდი	სამიზნე ჯგუფები
24 სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობაგადატანილ ქალებთან, რომელთაც დახმარებისთვის სერვის ცენტრებს მიმართეს	სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ძალადობაგადატანილ ქალებთან, რომელთაც დახმარებისთვის და მომსახურების მისაღებად სახელმწიფო და არასახელმწიფო სერვისების ცენტრებს მიმართეს, რათა შეეფასებინათ მათი გამოცდილება და ის გამოწვევები და ბარიერები, რომელთა წინაშე აღმოჩნდნენ ამ მომსახურებების მიღებისას.
16 სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა მონაცემთა ჯგუფებთან	16 სიღრმისეული ინტერვიუდან ოთხი ჩატარდა ლგბტქი თემის წევრებთან, ოთხი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან, ოთხი - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებთან და ოთხი - მიგრანტ ქალებთან. სიღრმისეული ინტერვიუები ეფექტური მეთოდია მონაცემთა, მარგინალიზებული ჯგუფებიდან მონაცემების შეგროვებისთვის და საშუალებას იძლევა უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ძალადობის გამოცდილება მონაცემთა ჯგუფების ქალებში.

2017 წელს საქართველოში ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის გამოცდილებების გათვალისწინებით, სიღრმისეული ინტერვიუები ლგბტქი თემის წარმომადგენლებთან ჩატარდა მათთან აფილირებული წევრის მიერ, რათა უზრუნველყოთ გულწრფელობისა და გამჟღავნების მაღალი დონე. რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუებს მიგრანტ ქალებთან, გამოიკითხნენ სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალები (მაგ., მიგრანტი ქალები კონფლიქტის ზონებიდან და ემიგრანტები). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა აზერბაიჯანულ ენაზე აზერბაიჯანული რესპონდენტებისთვის და ქართულ ენაზე ყველა სხვა რესპონდენტთან. ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები ჩაატარეს გამოცდილმა მკვლევრებმა, რომელთაც ჰქონდათ გენდერის და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების გამოცდილება.

თვისებრივი კვლევაში ჩართულნი იყვნენსაველე სამუშაოების კოორდინატორები, რომლებმაც კვლევის მონაწილეების სხვადასხვა ადგილას მობილიზება მოახდინეს. მონაცემთა შეგროვების დაწყებამდე, ყველა კოორდინატორმა და მკვლევარმა გაიარა ერთდღიანი ტრენინგი კვლევის მიზნების, მეთოდოლოგიის, შერჩევის, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებისა და ეთიკური პროცედურების შესახებ. ქალმა მკვლევრებმა ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ჩაატარეს ქალებთან, ხოლო კაცმა მკვლევრებმა - კაცებთან.

ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების უმეტესობის შემთხვევაში მოხდა აუდიოჩანერა და ტრანსკრიპტების მომზადება. სიღრმისეული ინტერვიუს მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა განაცხადა უარი აუდიოჩანერზე, ამიტომ მკვლევარმა ინტერვიუს შემდეგ მოამზადა დეტალური ჩანაწერები და შენიშვნები. მკვლევრებმა ჩანაწერების მომზადება დაასრულეს საველე სამუშაოების დროს, რაც შესაძლებლობას იძლეოდა მიღებული შედეგები და გამოცდილებები ასახულიყო მონაცემების შეგროვების პროცესში და საჭიროებისამებრ, საველე სამუშაოების დროს შეტანილიყო შესწორებები.



### 2.3.1 თვისებრივ მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა თვისებრივი ანალიზი ჰიბრიდული - ინდუქციური და დედუქციური -თემატური კოდირების მიდგომის გამოყენებით განხორციელდა. კოდირების ჰიბრიდული მიდგომა იძლეოდა გარკვეულ მოქნილობას თემატური კოდების დამატების თვალსაზრისით. კერძოდ, ანალიზის პროცესში შესაძლებელი იყო ახალი და გაუთვალისწინებელი თემებისა და საკითხების ასახვა, რომელიც მონაცემებიდან წარმოიშობოდა და რომლებიც არ იყო გათვალისწინებული კვლევის თავდაპირველ დიზაინში.<sup>22</sup> თავდაპირველად, მკვლევრებმა შეიმუშავეს ზოგადი სქემა, რომელიც მოიცავდა უფრო ფართო საკითხებს. შემდეგ ეტაპზე, სამი მკვლევარი გაეცნო ძირითად რესპონდენტთა გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ჩანაწერებს და ინდივიდუალურად მოახდინა უფრო კონკრეტული თემებისა და კოდების იდენტიფიცირება. ბოლო ეტაპზე, მკვლევრებმა გააერთიანეს ინდივიდუალურად დადგენილი თემები და კოდები და ერთიანი კოდირების სისტემა შეიმუშავეს, რომელიც მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის იქნა გამოყენებული. ახალი თემები და კოდები, რომელიც ანალიზის პროცესში გამოჩნდა ასევე გაანალიზდა და თვისებრივი კვლევის შედეგების ერთიან ანგარიშში ჩაშენდა.

### 2.3.2 თვისებრივი კვლევის შეზღუდვები

თვისებრივ კვლევას გააჩნია რამდენიმე შეზღუდვა:

- კვლევაში მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა წევრების ჩართვის მცდელობების მიუხედავად, მონაცემთა შეგროვება კონკრეტულ ადგილებში იმ ძალადობაგადატანილ ქალებთან ხორციელდებოდა, რომელთაც კვლევაში მონაწილეობის მზაობა გამოთქვეს. შედეგად, მოწყვლადი ჯგუფების ქალები, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობების ქალები, ეთნიკური უმცირესობები და ლგბტქი თემის წევრები, თანაბრად არ იყვნენ წარმოდგენილები. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობებიდან გამოიკითხნენ მხოლოდ პანკისელი და აზერბაიჯანელი თემის წევრები, ხოლო სომხური თემის წარმომადგენელი ქალები არ იყვნენ ჩართულნი კვლევაში. აგრეთვე, კვლევაში ჩართული ლგბტქი თემის წევრებიდან არც ერთი არ იყო ტრანსგენდერი ქალი. ამ შეზღუდვების გამო, თვისებრივი მონაცემები შესაძლოა სრულყოფილად ვერ ასახავდეს მოწყვლადი, მარგინალიზებული ჯგუფების ქალების ფართო პერსპექტივებსა და გამოცდილებას.
- ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვები თავშესაფრებში ჩატარდა, ან იმ ქალებთან, რომლებთან დაკავშირება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით მოხდა, ამიტომ კვლევამ ვერ მოიცვა იმ ქალების შეხედულებები და გამოცდილებები, რომელთაც არასოდეს მიუმართავთ დახმარების ცენტრებისთვის. აგრეთვე, გამოკითხულთა შორის იყვნენ ქალები, რომელთაც განუცდიათ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ხოლო ისინი, ვისაც ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან განუცდია, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი შერჩევაში.
- თვისებრივი კვლევის ავტორები შეეცადნენ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და არასახელმწიფო სერვისებზე წვდომა და ამ მომსახურების ხარისხი გაეანალიზებინათ. თუმცა, ვერ მოხდა თვისებრივი კვლევით მიღებული შედეგების სხვა შეფასებებთან დაკავშირება და შედარება, ტრიანგულაცია, რაც ამ მომსახურებების ხარისხის შესახებ უფრო სრულყოფილ სურათს მოგვცემდა.


პვეწვეწ

წვეწვეწვეწვეწ

წვეწვეწვეწ

წვეწვეწვეწ

3




გამოკვლევის ფარგლებში საქართველოს საქალაქო და სასოფლო დასახლებებში გამოიკითხა 15-69 წლის ქალები და კაცები. ქვეყნის მასშტაბით, საერთო ჯამში გამოიკითხა 3,300 ქალი და 1,104 კაცი. მოცემულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია გამოკვლევის შერჩევის, რესპონდენტების ასაკის, განათლების დონის, დასაქმებისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. გამოპასუხების დონის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია დანართში „A“.

### 3.1 ასაკი

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქალების და კაცების გამოკვლევის რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება. კერძოდ, გამოკითხული ქალების 14.7 პროცენტი იყო 15-24 წლის, 18.3 პროცენტი - 25-34 წლის, 19.3 პროცენტი - 35-44 წლის, 18.1 პროცენტი - 45-54 წლის, 20.5 პროცენტი - 55-64 წლის, ხოლო 9.1 პროცენტი 65-69 წლის. მსგავსი განაწილება გვხვდება კაცი რესპონდენტების შემთხვევაშიც. 17.0 პროცენტი იყო 15-24 წლის, 19.6 პროცენტი - 25-34 წლის, 19.9 პროცენტი - 35-44 წლის, 18.3 პროცენტი - 45-54 წლის, 18.1 პროცენტი - 55-64 წლის, ხოლო 7.1 პროცენტი - 65-69 წლის.

**დიაგრამა 3.1.** რესპონდენტების განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.1.

### 3.2 განათლება

შერჩეულ რესპონდენტთა უმრავლესობის განათლების მიღწეული დონე იყო სრული საშუალო ან უფრო მაღალი განათლების დონე. კერძოდ, ქალების 34.7 პროცენტს და კაცების 46.0 პროცენტს მიღებული ჰქონდა სრული საშუალო განათლება, ქალების 22.8 პროცენტს და კაცების 15.2 პროცენტს - პროფესიული განათლება, ხოლო ქალების 32.9 პროცენტს და კაცების 29.8 პროცენტს - უმაღლესი განათლება. როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში, რესპონდენტების მხოლოდ 8.5 პროცენტს ჰქონდა მიღებული არასრული დანყებითი განათლება, ხოლო რესპონდენტთა 1 პროცენტზე ნაკლებს - დანყებითი ან განათლების უფრო დაბალი საფეხური (დიაგრამა 3.2).

**დიაგრამა 3.2.** რესპონდენტების განაწილება სქესისა და განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.1.

### 3.3 დასაქმება და შემოსავლის ძირითადი წყარო

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომ ქალების უმრავლესობას საკუთარი შემოსავალი ჰქონდა (61.2 პროცენტი). აგრეთვე, კაცების უმრავლესობა მუშაობდა და გამოიმუშავებდა ფულს გასული 12 თვის განმავლობაში (75.8 პროცენტი). რაც შეეხება დასაქმებას, ქალების 34.3 და კაცების 42.6 პროცენტი იყო დაქირავებული. კაცების მეოთხედზე მეტს (26.0 პროცენტი) და ქალების მხოლოდ 8.3 პროცენტს ჰქონდა საკუთარი კერძო საქმე ან იყო თვითდასაქმებული. გარდა ამისა, როგორც ქალების, ისე კაცების მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო დამქირავებელი (ქალების 0.7 და კაცების 1.0 პროცენტი). ასევე აღსანიშნავია, რომ ქალების 23.0 პროცენტი დიასახლისი, ხოლო 14.0 პროცენტი პენსიონერი იყო.

**ცხრილი 3.1.** ქალებისა და კაცების შემოსავლები და დასაქმების სტატუსი (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	კაცები (15-69 წლის) N = 1,104
შემოსავლები	გაქვთ თუ არა საკუთარი შემოსავალი?	მუშაობდით ან გამოიმუშავებდით თუ არა ფული გასული 12 თვის განმავლობაში?
☑ დიახ	61.2	75.8
☒ არა	36.9	24.2
☹ უარი პასუხზე	1.9	-


	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
<b>დასაქმების სტატუსი</b>		
დაქირავებული	34.3	42.6
დამქირავებელი	0.7	1.0
საკუთარი კერძო საქმის მქონე/ თვითდასაქმებული	8.3	26.0
საოჯახო საწარმოში მომუშავე	2.2	2.0
არ არის დასაქმებული, ეძებს სამუშაოს (მუშაობდა ადრე)	4.7	6.9
არ არის დასაქმებული, ეძებს სამუშაოს (აქამდე არასდროს უმუშავია)	1.4	2.5
არ არის დასაქმებული და არ ეძებს სამუშაოს	2.4	2.9
დიასახლისი/ სახლის საქმეებით დაკავებული (დაუსაქმებელი)	23.0	2.4
პენსიონერი	14.0	4.1
სტუდენტი/მოსწავლე	8.0	8.1
შრომისუუნარო/ ხანგრძლივი დროით ავად მყოფი	0.8	1.4
სხვა	0.2	0.1

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.2.

ქალების მხოლოდ 19.6 პროცენტმა განაცხადა, რომ თავად უზრუნველყოფდა შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს, მაშინ როდესაც 36.6 პროცენტმა განაცხადა, რომ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მათი მეუღლე/პარტნიორი უზრუნველყოფდა. ამასთან, კაცების უმრავლესობამ განაცხადა, რომ თავად უზრუნველყოფდა შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს (51.3 პროცენტი); მხოლოდ 4.0 პროცენტმა განაცხადა, რომ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მათი მეუღლე/პარტნიორი უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, ქალების მხოლოდ 15.2 პროცენტმა და კაცების 16.4 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ და მათ მეუღლეს/პარტნიორს თანაბარი წვლილი შეაქვთ შინამეურნეობის შემოსავალში. ქალებთან შედარებით, კაცების უფრო დიდმა ნაწილმა (12.8 და 21.6 პროცენტი, შესაბამისად) განაცხადა, რომ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მათი მშობლები უზრუნველყოფდნენ, მაშინ, როდესაც რესპონდენტთა ნაკლებმა რაოდენობამ (ქალების 11.0 პროცენტი და კაცების 5.8 პროცენტი) აღნიშნა, რომ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს შინამეურნეობის სხვა წევრები

უზრუნველყოფდნენ. ქალების შემთხვევაში, 2.6 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი მეუღლის/პარტნიორის მშობლები უზრუნველყოფდნენ შინამეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს (დიაგრამა 3.3).

**დიაგრამა 3.3. შინამეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.3.

იმ ქალებს შორის, რომლებიც იყვნენ დაოჯახებული ან ცხოვრობდნენ პარტნიორთან ერთად და ჰქონდათ საკუთარი შემოსავალი, თითქმის ყველამ განაცხადა, რომ შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით განკარგოს მათ მიერ გამომუშავებული ფული (97.7 პროცენტი). თუმცა, ქალების 43.8 პროცენტმა განაცხადა, რომ შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში მათი წვლილი ნაკლები იყო მეუღლის/პარტნიორის წვლილზე, ხოლო 38.5 პროცენტის შემთხვევაში კი წვლილი დაახლოებით თანაბარი იყო. ქალების მხოლოდ 16.9 პროცენტმა განაცხადა, რომ შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში მათი წვლილი აღემატებოდა მეუღლის/პარტნიორისას (ცხრილი B.4).

რესპონდენტ კაცებს კითხვები დაუსვეს იმ ზენოლის შესახებ, რომელსაც შესაძლოა განიცდიდნენ შინამეურნეობის ფინანსური მხარდაჭერისას. 15-69 წლის კაცებს შორის, სამიდან ერთმა რესპონდენტმა (30.5 პროცენტმა) განაცხადა, რომ ხშირად განიცდიდა სტრესს ან იყო დეპრესიულ განწყობაზე იმის გამო, რომ არ ჰქონდა საკმარისი შემოსავალი. გარდა ამისა, დასაქმებულ კაცებს შორის, ხუთიდან ერთმა რესპონდენტმა (22.6 პროცენტმა) განაცხადა, რომ ხშირად განიცდიდა სტრესს ან იყო დეპრესიულ განწყობაზე იმის გამო, რომ არ ჰქონდა საკმარისი სამუშაო (ცხრილი B.5).

დაუსაქმებელი კაცების 41.3 პროცენტი დროის უმეტეს ნაწილს სამუშაოს ძებნაში ატარებდა. 40.0 პროცენტმა განაცხადა რომ განიცდის სირცხვილის შეგრძნებას თავისი ოჯახის წინაშე იმის გამო, რომ არ მუშაობს. 12.1 პროცენტს უფიქრია ოჯახის დატოვებაზე იმის გამო, რომ არ მუშაობს, და 7.9 პროცენტი ხანდახან სვამდა ან თავს იკავებდა სახლში მისვლისგან იმის გამო, რომ ვერ შოულობდა სამუშაოს (დიაგრამა 3.4).

**დიაგრამა 3.4.** კაცების განწყობები სამუშაოსა და შემოსავლებთან დაკავშირებით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.5.

### 3.4 საკუთრებისა და მიწის ფლობა

საკუთრებასა და მიწას რესპონდენტი ქალების მცირე ნაწილი ფლობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალების 68.5 პროცენტი სახლს, ბინას ან სხვა შენობა-ნაგებობას მართო ან სხვა პირთან ერთად ფლობდა. გარდა ამისა, ქალების 48.1 პროცენტმა განაცხადა რომ ფლობს მიწას, 30.9 პროცენტმა - მსუბუქ ან სატვირთო მანქანას და 30.2 პროცენტმა - პირუტყვს, ფრინველს ან ფუტკრის ოჯახს (დიაგრამა 3.5).

ქალებთან შედარებით, კაცების უფრო დიდი წილი ფლობდა საკუთარ მსუბუქ ან სატვირთო ავტომანქანას (31.2 პროცენტი), ამასთან 49.6 პროცენტი საერთოდ არ ფლობდა ავტომანქანას. კაცების შედარებით მცირე რაოდენობა ფლობდა საკუთარ სახლს, ბინას ან სხვა შენობა-ნაგებობას, ან/და მიწას (სასოფლო-სამეურნეო ან არა სასოფლო-სამეურნეო) (21.4 პროცენტი და 18.3 პროცენტი, შესაბამისად); ხშირ შემთხვევაში ასეთ ქონებასა და მიწას ისინი სხვასთან ერთად ფლობდნენ (62.7 პროცენტი და 43.7 პროცენტი, შესაბამისად). ძალიან ცოტა კაცი ფლობდა ბიზნესს, მაღაზიას ან კომპანიას ან ჰქონდა დანაზოგი ბანკში.

**დიაგრამა 3.5.** ქალებისა და კაცების საკუთრებაში არსებული მიწა და ქონება (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.6.



### 3.5 ოჯახური მდგომარეობა / პარტნიორული ურთიერთობის სტატუსი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რომ ქალებისა (66.6 პროცენტი) და კაცების (64.2 პროცენტი) დაახლოებით ორი მესამედი დაოჯახებული იყო (ქალების 3.2 პროცენტი და კაცების 4.8 პროცენტი დაოჯახებული იყო, თუმცა, არ ცხოვრობდნენ მეუღლესთან ერთად). ქალების 16.2 პროცენტი და კაცების მხოლოდ 3.0 პროცენტი იყო დაოჯახებული ადრე. მოსახლეობის წილი, რომელსაც ამჟამად (გამოკითხვის დროისათვის) ჰყავს ან ოდესმე ჰყოლია შეყვარებული ან საქმრო/საცოლე მსგავსია ქალების და კაცების შემთხვევაში (3.2 პროცენტი და 2.4 პროცენტი). ქალების მხოლოდ 13.7 პროცენტი აცხადებს, რომ არასდროს ჰყოლია შეყვარებული ან საქმრო, მაშინ, როდესაც კაცების თითქმის მესამედი (29.9 პროცენტი) აცხადებს რომ არასდროს ჰყოლია შეყვარებული ან საცოლე. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ქალების 86.3 პროცენტი და კაცების 70.1 პროცენტი - რომლებიც ამჟამად არიან ან მანამდე იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ცხოვრობდნენ პარტნიორთან ერთად, ან/და ამჟამად ჰყავთ ან ოდესმე ჰყოლიათ შეყვარებული ან საქმრო/საცოლე.


**ცხრილი 3.2.** ქალებისა და კაცების ოჯახური მდგომარეობა (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	კაცები (15-69 წლის) N = 1,104
<input type="radio"/> არასოდეს ყოფილა პარტნიორულ ურთიერთობაში	13.7	29.9
<input checked="" type="radio"/> ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი	86.3	70.1
ამჟამად დაოჯახებული, ცხოვრობს მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად	63.4	59.4
ამჟამად დაოჯახებული, არ ცხოვრობს მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად	3.2	4.8
ცხოვრობს პარტნიორთან ერთად, არ არის დაოჯახებული	0.1	0.2
იყო დაოჯახებული	16.2	3.0
ცხოვრობდა პარტნიორთან ერთად, მაგრამ არ ყოფილა დაოჯახებული	0.3	0.3
ამჟამად ჰყავს/ჰყავდა შეყვარებული ან საქმრო/საცოლე (არასდროს ყოფილა ქორწინებაში ან არ უცხოვრია პარტნიორთან ერთად)	3.2	2.4

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.7.

ქალების პირველი ქორწინების ან პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყების საშუალო ასაკი 22.1 წელია, ხოლო კაცების შემთხვევაში - 26.6 წელი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ 15-69 წლის ქალების მხოლოდ 0.5 პროცენტი იყო დაქორწინებული 15 წლის ასაკამდე. ამასთან, 15-69 წლის ქალების 14.5 პროცენტი დაქორწინდა ან პარტნიორთან თანაცხოვრება დაიწყო 18 წლის ასაკამდე, მაშინ როდესაც კაცების მხოლოდ 1.1 პროცენტმა განაცხადა იგივე. გარდა ამისა, ქალების 60.0 პროცენტი და კაცების 42.6 პროცენტი დაქორწინდა 18-დან 24 წლამდე ასაკში, ხოლო პირველი ქორწინების ასაკად 25 წელი და მეტი დააფიქსირა ქალების 25.4 პროცენტმა და კაცების 56.3 პროცენტმა.

**დიაგრამა 3.6. ქალებისა და კაცების ასაკი პირველი ქორწინებისას/ პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყებისას (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.8.


გამოკვლევის საფუძველზე გაანგარიშდა SDG 5.3.1 მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს 20-24 წლის ქალების პროცენტულ წილს, რომლებიც დაქორწინდნენ ან პარტნიორთან თანაცხოვრება დაიწყეს 15 წლამდე და 18 წლამდე. აღსანიშნავია, რომ 20-24 წლის ქალების 22.0\* პროცენტი იყო დაქორწინებული ან დაიწყო პარტნიორთან თანაცხოვრება 18 წლამდე. გამოკვლევის შერჩევის ზომის სიმცირის გამო, ვერ შეფასდა 20-24 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც დაქორწინდნენ ან პარტნიორთან თანაცხოვრება დაიწყეს 15 წლამდე (ცხრილი B.9).

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების უმრავლესობა იმყოფებოდა სამოქალაქო ქორწინებაში (შესაბამისად, 81.7 პროცენტი და 81.3 პროცენტი), ხოლო ნახევარზე მეტი იმყოფებოდა რელიგიურ ქორწინებაში (შესაბამისად, 42.9 პროცენტი და 49.2 პროცენტი). ქალების მხოლოდ 11.2 პროცენტი და კაცების მხოლოდ 10.8 პროცენტი არ იმყოფებოდა არც სამოქალაქო და არც რელიგიურ ქორწინებაში. თითქმის ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდა ქორწინებაში ან ცხოვრობდა პარტნიორთან ერთად (ქალების 96.1 პროცენტი და კაცების 93.6 პროცენტი). ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მხოლოდ 3.9 პროცენტი და კაცების მხოლოდ 6.4 პროცენტი იმყოფებოდა ქორწინებაში ან ცხოვრობდა პარტნიორთან ერთად ორჯერ ან მეტჯერ (ცხრილი B.8).

### 3.6 მეუღლის არჩევა

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების უმრავლესობამ (71.5 %) განაცხადა რომ მათ და მათმა მეუღლემ/პარტნიორმა ერთად აირჩიეს ერთმანეთი, მაშინ როდესაც კაცების მხოლოდ 48.7 პროცენტი აცხადებს იმავეს. გარდა ამისა, ქალების 3.5 პროცენტი აღნიშნავს რომ მათ ამჟამინდელ/ ბოლო მეუღლესთან/პარტნიორთან დაქორწინება იყო მათი არჩევანი, როდესაც კაცების გაცილებით დიდი წილი (41.8 %) აცხადებს რომ მათ ამჟამინდელ/ ბოლო მეუღლესთან/პარტნიორთან დაქორწინება თავიანთ არჩევანს წარმოადგენდა. აგრეთვე, ქალების 12.8 პროცენტმა განაცხადა რომ ქორწინების არჩევანი მათმა მეუღლემ/პარტნიორმა გააკეთა, 8.1 პროცენტის შემთხვევაში არჩევანი გააკეთა მეუღლის/ პარტნიორის ოჯახმა, ხოლო 2.1 პროცენტის შემთხვევაში კი რესპონდენტის ოჯახმა (რომელშიც დაიბადა/გაიზარდა) აირჩია მათთვის ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/ პარტნიორი. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების უმრავლესობამ (89.1 პროცენტი) განაცხადა, რომ ქორწინებამდე ჰკითხეს თანახმა იყო თუ არა მასზე ქორწინებაზე. კაცების შემთხვევაში 4.6 პროცენტმა განაცხადა რომ არჩევანი მათმა ოჯახმა გააკეთა, ხოლო 3.3 პროცენტმა კი განაცხადა, რომ არჩევანი მეუღლემ/პარტნიორმა გააკეთა (დიაგრამა 3.7).

**დიაგრამა 3.7.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების მიერ მეუღლის/პარტნიორის არჩევა (პროცენტი)





შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.10.

### 3.7 საცხოვრებელი პირობები

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 48.5 პროცენტმა და კაცების 42.3 პროცენტმა განაცხადა, რომ ცხოვრობენ მხოლოდ მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად. მაშინ, როდესაც ქალების 43.0 პროცენტი, ხოლო კაცების მხოლოდ 2.8 პროცენტი ცხოვრობს მეუღლის/პარტნიორის ოჯახთან ერთად. ქალების მხოლოდ 7.5 პროცენტი აცხადებს რომ ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადა/ გაიზარდა), მაშინ როდესაც კაცების ნახევარზე მეტი (53.7 პროცენტი) აცხადებს იმავეს (**ცხრილი 3.3**).

**ცხრილი 3.3.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების საცხოვრებელი პირობები (პროცენტი)


	 ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ კაცთან (15-69 წლის) N = 2,904	 კაცები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ ქალთან (15-69 წლის) N = 826
ცხოვრობს მხოლოდ მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად	48.5	42.3
ცხოვრობს მეუღლის/ პარტნიორის ოჯახთან ერთად	43.0	2.8
ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადა/ გაიზარდა)	7.5	53.7
ცხოვრობს მეუღლის/პარტნიორის და თავის ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადა/ გაიზარდა)	0.9	0.5
უარი პასუხზე	0.1	0.7

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.11.

### 3.8 შინამეურნეობაში მცხოვრები ბავშვები

ქალების 54.6 პროცენტმა და კაცების 46.3 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ შინამეურნეობაში ცხოვრობს ერთი ან მეტი 0-17 წლის ბავშვი. კერძოდ, ქალების 18.8 პროცენტმა და კაცების 16.2 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ შინამეურნეობაში ცხოვრობს ერთი ან მეტი 0-4 წლის ბავშვი; ქალების 23.9 პროცენტმა და კაცების 20.7 პროცენტმა - ერთი ან მეტი 5-9 წლის ბავშვი; ქალების 25.5 პროცენტმა და კაცების 19.9 პროცენტმა - ერთი ან მეტი 10-14 წლის ბავშვი; ქალების 14.8 პროცენტმა და კაცების 14.2 პროცენტმა - ერთი ან მეტი 15-17 წლის ბავშვი.

**დიაგრამა 3.8.** შინამეურნეობაში მცხოვრები 0-17 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა (პროცენტი)







შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.12.

### 3.9 განქორწინება/დაშორება

იმ ქალების და კაცების შემთხვევაში, რომელთა ურთიერთობა დასრულდა, ქალების 64.2 პროცენტისთვის და კაცების 24.9\* პროცენტისთვის ურთიერთობის დასრულების მიზეზი დაქვრივება/პარტნიორის გარდაცვალება იყო. ქალებისა და კაცების დაახლოებით თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში (შესაბამისად, 23.2 პროცენტი და 19.3\* პროცენტი) მიზეზი განქორწინება იყო, ქალების 12.4 პროცენტისთვის, ხოლო კაცების 55.8\* პროცენტისთვის - დაშორება. იმ რესპონდენტებს შორის, ვისი ურთიერთობაც დასრულდა განქორწინებით ან დაშორებით, ქალების ნახევარზე მეტმა (57.0 პროცენტმა), ხოლო კაცების მხოლოდ 8.1\* პროცენტმა განაცხადეს, რომ განქორწინების/დაშორების ინიციატორები თავად იყვნენ. ქალების 23.5 პროცენტმა და კაცების 46.5\* პროცენტმა განაცხადეს, რომ განქორწინება/დაშორება ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, რომელიც თავად და მისმა მეუღლემ/პარტნიორმა ერთად მიიღეს. გარდა ამისა, ქალების 15.8 პროცენტმა და კაცების 42.7\* პროცენტმა აღნიშნა, რომ განქორწინების/დაშორების ინიციატორი მათი მეუღლე/პარტნიორი იყო (ცხრილი 3.4).

**ცხრილი 3.4.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების ქორწინების გამოცდილება (პროცენტი)

	 ქალები, ვისი ურთი- ერთობაც დასრულდა (15-69 წლის) N = 681	 კაცები, ვისი ურთი- ერთობაც დასრულდა (15-69 წლის) N = 44
<b>როგორ დასრულდა ბოლო ურთიერთობა?</b>		
განქორწინებით	23.2	19.3*
დაშორებით	12.4	55.8*
დაქვრივებით/პარტნიორის გარდაცვალებით	64.2	24.9*
უარი პასუხზე	0.2	-
	 ქალები, ვისი ურთი- ერთობაც დასრულდა განქორწინებით ან დაშორებით N = 223	 კაცები, ვისი ურთი- ერთობაც დასრულდა განქორწინებით ან დაშორებით N = 28
<b>განქორწინების/დაშორების ინიციატორი</b>		
რესპონდენტი	57.0	8.1*
მეუღლე/პარტნიორი	15.8	42.7*
ერთობლივი გადაწყვეტილება (რესპონდენტმა და მისმა მეუღლემ/პარტნიორმა ერთად)	23.5	46.5*
სხვა	2.8	2.7*
უარი პასუხზე	0.8	-


შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.13.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

### 3.10 ქალის ურთიერთობა ოჯახთან, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა

ქალების 43.4 პროცენტმა განაცხადა, რომ შეეძლო იმ ოჯახის მონახულება, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა, ხოლო ქალების 19.2 ცხოვრობდა იმ ოჯახთან ერთად, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა, მაშინ როდესაც ქალების 37.3 პროცენტს არ შეეძლო იმ ოჯახის მონახულება, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა. ქალების უმრავლესობამ განაცხადა, რომ რეგულარული კონტაქტი აქვთ იმ ოჯახის წევრებთან, რომელშიც დაიბადნენ/გაიზარდნენ. კერძოდ კი, ქალების 55.4 პროცენტმა განაცხადა რომ ყოველდღე ნახულობს ან/და ესაუბრება იმ ოჯახის წევრებს, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა, 22.1 პროცენტი კვირაში ერთხელ მაინც ნახულობს ან ესაუბრება და 13.8 პროცენტი ამას თვეში ერთხელ მაინც ახერხებს. მხოლოდ 3.3 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი არასდროს, ან ძალიან იშვიათად უკავშირდებიან იმ ოჯახის წევრებს, რომელშიც დაიბადნენ/გაიზარდნენ (დიაგრამა 3.9). ქალების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ აქვთ იმ ოჯახის მხარდაჭერის იმედი, რომელშიც დაიბადნენ/გაიზარდნენ (80.8 პროცენტი) (ცხრილი B.14).

**დიაგრამა 3.9.** ქალის ურთიერთობა ოჯახთან, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.14.

### 3.11 შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა

ქალებისა და კაცების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათი შინამეურნეობის შემოსავალი დაახლოებით იმდენი იყო რამდენიც მათი ყოველდღიური ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხა (ქალების 80.5 პროცენტი და კაცების 71.3 პროცენტი), ქალების 16.9 პროცენტის და კაცების 21.5 პროცენტის განცხადებით შემოსავალი იყო ნაკლები, ხოლო ქალების 2.4 პროცენტის და კაცების 6.5 პროცენტის განცხადებით - მეტი (დიაგრამა 3.10).


**დიაგრამა 3.10.** შინამეურნეობების შემოსავლების შედარება მათი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხასთან, რესპონდენტის სქესის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.15.

ქალებისა და კაცების უმრავლესობამ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოდ შეაფასა (ქალების 65.5 პროცენტი და კაცების 70.3 პროცენტი), მაშინ როდესაც, მათი დაახლოებით მეოთხედი შინამეურნეობის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებდა როგორც ცუდს (ქალების 26.2 პროცენტი და კაცების 22.1 პროცენტი) და კიდევ უფრო ნაკლები როგორც ძალიან ცუდს (ქალების 4.1 პროცენტი და კაცების 3.4 პროცენტი). ქალების მხოლოდ 4.0 პროცენტი და კაცების მხოლოდ 3.7 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა არის კარგი (დიაგრამა 3.11).

**დიაგრამა 3.11.** შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება, რესპონდენტის სქესის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.15.




ქაღვიბის

ჭანმრთველობა და


რეპროდუქცია

4



ქალების მხოლოდ 9.6 პროცენტის შეფასებით თავისი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან კარგია, ქალების მესამედის (32.2 პროცენტმა) შეფასებით - კარგი; ქალების 42.5 პროცენტმა თავისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებლად დაახასიათა, 13.3 პროცენტის შემთხვევაში ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა აღქმული იყო როგორც ცუდი და 2.3 პროცენტის შემთხვევაში როგორც ძალიან ცუდი (**დიაგრამა 4.1**). ქალების სამი მეოთხედი (74.5 პროცენტი) აცხადებს, რომ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით ძირითადად თავად იღებს გადაწყვეტილებას, ქალების 19.7 პროცენტი კი აცხადებს, რომ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით ის და მისი მეუღლე/პარტნიორი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას. ამასთან, მხოლოდ 1.3 პროცენტი აცხადებს, რომ გადაწყვეტილებას მისი ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, მხოლოდ მისი მეუღლე/პარტნიორი იღებს (ცხრილი B.16).

**დიაგრამა 4.1.** ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.16.

## 4.1 ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები

თითქმის ყოველმა მეორე ქალმა განაცხადა რომ აღენიშნება სულ მცირე ერთი ფუნქციური სირთულე („გარკვეული სირთულე“, „საგრძნობი სირთულე“ ან „საერთოდ ვერ ვახერხებ“ პასუხებით გაანგარიშებული), ხოლო „საგრძნობი სირთულე“ და „საერთოდ ვერ ვახერხებ“ პასუხებით გაანგარიშების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 11.3 პროცენტია. ყოველი სამი ქალიდან ერთმა (30.6 პროცენტი) განაცხადა, რომ აღენიშნება სირთულე მხედველობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სათვალეს ატარებს; 26.3 პროცენტს უჭირს სიარული ან კიბეზე ასვლა. ქალების 17.7 პროცენტს აღენიშნებოდა კონცენტრაციასთან ან მესხიერებასთან დაკავშირებული სირთულე. უფრო ნაკლებ - 7.3 პროცენტს აღენიშნებოდა სირთულე სმენასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სმენის დამხმარე ხელსაწყოს იყენებდა. ხოლო, 7.0 პროცენტს სირთულე ხელებისა და თითების გამოყენებისას, მაგალითად, პატარა საგნების აღებისას, როგორცაა ღილი ან ფანქარი, კონტეინერების ან ბოთლების გახსნისას ან დახურვისას. აგრეთვე, ქალების 2.3 პროცენტმა განაცხადა, რომ აღენიშნება სირთულე საკუთარი თავის მოვლასთან (ბანაობა, ჩაცმა და ა.შ.) დაკავშირებით და 1.6 პროცენტს აღენიშნებოდა კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულე (მაგ., უჭირს გააგებინოს სხვებს ან გაიგოს სხვისი აზრი).

**დიაგრამა 4.2. ფუნქციური სირთულების მქონე ქალები, ფუნქციური სირთულის ტიპის მიხედვით, (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.17.

## 4.2 ორსულობა და მშობიარობა

ქალების უმრავლესობა (84.4 პროცენტი) სქესობრივად აქტიური იყო. რესპონდენტთა 15.3 პროცენტმა განაცხადა, რომ არასდროს ჰქონიათ სქესობრივი კავშირი. საშუალოდ, ქალები სქესობრივად აქტიურები 22 წლის ასაკში ხდებიან. თითქმის ყველა ქალმა (95.5 პროცენტი) განაცხადა, რომ პირველი სქესობრივი კავშირი მათი ნებითა და სურვილით მოხდა. რესპონდენტთა 4.2 პროცენტმა კი პირველი სქესობრივი კავშირი აღწერა, როგორც არასასურველი ან იძულებითი (ცხრილი B.18).

თითქმის ყველა ქალი, ვისაც ოდესმე ჰქონია სქესობრივი კავშირი, ოდესმე ყოფილა ან არის ორსულად (94.1 პროცენტი). ოდესმე ორსულად მყოფ ქალებს შორის, 12.4 პროცენტი ორსულად ყოფილა მხოლოდ ერთხელ, 41.4 პროცენტი - 2-3-ჯერ, 31.8 პროცენტი - 4-6-ჯერ, 9.5 პროცენტი - 7-10-ჯერ და 4.9 პროცენტი ორსულად ყოფილა 11-ჯერ ან უფრო მეტჯერ (დიაგრამა 4.3). ორსულობების საშუალო რაოდენობა 4.3 იყო.


**დიაგრამა 4.3. ქალთა ორსულობა (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.19.

ოდესმე ორსულად მყოფ ქალებს შორის, 18.9 პროცენტმა მხოლოდ ერთი ბავშვი გააჩინა, 71.7 პროცენტმა გააჩინა 2-3 ბავშვი, ხოლო 6.9 პროცენტმა - სამი ან მეტი ბავშვი. გარდა ამის, ქალების 26.1 პროცენტმა განაცხადა, რომ ერთი ორსულობა მაინც დასრულებულა მუცლის მოშლით, 5.5 პროცენტის შემთხვევაში - მკვდრადშობადობით, ხოლო 44.1 პროცენტის შემთხვევაში - აბორტით (დიაგრამა 4.4).

**დიაგრამა 4.4. ცოცხლადშობილ ბავშვთა რაოდენობა და შეწყვეტილი ორსულობები (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.20.

### 4.3 შობადობის კონტროლი, კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება


იმ ქალებს შორის, რომელთაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი, 58.7 პროცენტმა განაცხადა, რომ არასდროს გამოუყენებიათ შობადობის კონტროლის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი, მაშინ როდესაც 26.7 პროცენტმა აღნიშნა, რომ წარსულში გამოუყენებია შობადობის კონტროლის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი, ხოლო 14.4 პროცენტი ამჟამად იყენებს შობადობის კონტროლის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდს. (დიაგრამა 4.5). იმ ქალებს შორის, ვისაც ოდესმე გამოუყენებია შობადობის კონტროლის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი, ნახევარზე მეტმა (52.5 პროცენტმა) განაცხადა, რომ შობადობის კონტროლის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდის გამოყენება მისი და მისი მეუღლის/პარტნიორის ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, ხოლო ქალების 44.2 პროცენტმა აღნიშნა რომ აღნიშნული უმეტესწილად საკუთარი გადაწყვეტილება იყო. ქალების მხოლოდ 2.3 პროცენტმა განაცხადა რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას უმეტესწილად მისი მეუღლე/პარტნიორი იღებდა (დიაგრამა 4.6). ქალების 5.7 პროცენტი აღნიშნავს, რომ მის მეუღლეს/პარტნიორს უარი უთქვამს კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენებაზე (ცხრილი B.21).

**დიაგრამა 4.5.** შობადობის კონტროლისა და კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება იმ ქალებში, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.21.

**დიაგრამა 4.6.** შობადობის კონტროლი, კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება და გადაწყვეტილების მიღება იმ ქალებში, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.21.

**SDG ინდიკატორი 5.6.1**

- დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები, 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციულმა ოდენობამ, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს, შეადგინა 81.9 პროცენტი.
- დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები, 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციულმა ოდენობამ, ვინც კონტრაცეპტივების გამოყენებასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს, შეადგინა 41.0 პროცენტი.
- დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები, 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციულმა ოდენობამ, ვინც რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს, შეადგინა 67.7 პროცენტი



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.22.

იმ ქალებს შორის, რომელთაც ოდესმე გამოუყენებიათ ოჯახის დაგეგმვის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი, 62.8 პროცენტმა განაცხადა რომ ბოლო შემთხვევაში ოჯახის დაგეგმვის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდის გამოყენების მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მათ არ სურდათ მეტი ბავშვის გაჩენა, სამიდან ერთმა ქალმა (33.2 პროცენტმა) განაცხადა, რომ მიზეზს ორსულობის გადავადება წარმოადგენდა (ცხრილი B.21).

იმ ქალებს შორის, რომელთაც არასდროს გამოუყენებიათ ოჯახის დაგეგმვის ან კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი, 44.9 პროცენტმა განაცხადა რომ აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მათ სურდათ ჰყოლოდათ შვილები. გარდა ამისა, ქალების თითქმის მესამედმა (30.3 პროცენტმა) ოჯახის დაგეგმვის ან კონტრაცეფციის მეთოდის არგამოყენების მიზეზად ჯანმრთელობისთვის არასასურველი გვერდითი მოვლენები დაასახელა. ქალების 1 პროცენტზე ნაკლებმა დააფიქსირა, რომ დაგეგმვის ან კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება არ სურდა მის მეუღლეს/პარტნიორს და მან მოახდინა ზეწოლა (ცხრილი B.21).

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მხოლოდ 2.5 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ სურდათ ბავშვის გაჩენა, თუმცა მეუღლე/პარტნიორი აღნიშნულს არ ეთანხმებოდა. ამ ქალებს შორის, 51.0 პროცენტმა აღნიშნა, რომ მეუღლის/პარტნიორის გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც დაორსულდა. იმ ქალებს შორის, რომლებიც დაეთანხმნენ მეუღლის/პარტნიორის გადაწყვეტილებას შვილის არ გაჩენის თაობაზე, საშუალოდ სამიდან ერთი ქალი (30.7\* პროცენტი) აფიქსირებდა რომ, მეუღლის/პარტნიორის გადაწყვეტილებას იმ მიზეზით დაეთანხმა, რომ მისმა მეუღლემ/პარტნიორმა დაარტყა, დაემუქრა ან ზეწოლა მოახდინა მასზე (ცხრილი B.23).

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების უმრავლესობა (80.3 პროცენტი) აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ უარი უთხრან მეუღლეს/პარტნიორს სქესობრივ კავშირზე, მაშინ როდესაც 17.6 პროცენტს ეს არ შეუძლია (ცხრილი B.24).


ქალების უმრავლესობამ (75.9 პროცენტმა) განაცხადა, რომ თავად იღებს გადაწყვეტილებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის გამოკვლევის თაობაზე, მაგალითად, როდის უნდა მიმართოს გინეკოლოგს ან ჩაიტაროს გამოკვლევები. ქალების 18.6 პროცენტის თქმით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის გამოკვლევა მისი და მისი მეუღლის/პარტნიორის ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. ქალების მხოლოდ 1.8 პროცენტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის გამოკვლევაზე ძირითადად იღებს მისი მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 2.8 პროცენტის შემთხვევაში ამგვარ გადაწყვეტილებას სხვა პირი იღებს.

ქართა მრმარტ

ქარაქმბრს ქრრრტარ

მრმრრრრ

5





მოცემულ თავში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები, რომლებიც განხილულია მთელ ანგარიშში და დაკავშირებულია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის გავრცელებასთან, ასევე ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას შორის ურთიერთკავშირთან. ეს დასკვნები და შემდგომ თავებში წარმოდგენილი უფრო კომპლექსური მიგნებები გვთავაზობს ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ბუნებისა და გავრცელების დონის უფრო სიღრმისეულ ანალიზს.

## 5.1 ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის გამოცდილება

**ცხრილი 5.1** გვიჩვენებს 15-69 წლის ქალების პროცენტულ წილს, რომლებსაც გამოუცდიათ ძალადობა ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე). საერთო ჯამში, 15-69 წლის ასაკის ქალების 50.1 პროცენტს ცხოვრების მანძილზე გამოუცდია ძალადობის შვიდი ფორმიდან ერთი მაინც.<sup>1</sup> კერძოდ, ქალების 8.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური ძალადობა ბავშვობაში, ხოლო 19.7 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა ბავშვობაში (18 წლამდე). გარდა ამისა, ქალების 22.9 პროცენტს გამოუცდია ძალადობა პარტნიორის მხრიდან. რაც შეეხება არაპარტნიორის მხრიდან ძალადობას, 15 წლის ასაკის შემდეგ, ცხოვრების მანძილზე, ქალების 6.5 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა, ხოლო 1.5 პროცენტს - სექსუალური ძალადობა. გარდა ამისა, ცხოვრების მანძილზე ქალების 24.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური შევიწროება, ხოლო 8.5 პროცენტს - ადევნება.

### SDG ინდიკატორი 16.2.3





18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალების პროპორციულმა ოდენობამ, ვისაც 18 წლის ასაკამდე სქესობრივი ძალადობა განუცდია, 15.7 პროცენტი შეადგინა.

კომბანა 16-2



**ცხრილი 5.1.** ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა (ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე) (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	∞ ცხოვრების მანძილზე	↻ ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>ნებისმიერი სახის ძალადობა</b>	<b>50.1</b>	<b>18.2</b>
ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)	8.5	n/a
ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)	19.7	n/a
სექსუალური შევიწროება	24.5	9.7
ადევნება	8.5	1.6


	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	 ცხოვრების მანძილზე	 ბოლო 12 თვის მანძილზე
სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	1.5	0.0
ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	6.5	0.5
<b>ნებისმიერი სახის ძალადობა პარტნიორის მხრიდან</b>	22.9	9.3
 ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	5.1	0.6
 სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	3.0	0.4
 ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	20.5	8.7
 ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	7.2	2.1

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.26.

**ცხრილი 5.1** გვიჩვენებს, რომ ქალების 18.2 პროცენტს გამოუცდია ძალადობის შვიდი ფორმიდან ერთი მაინც ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე). კერძოდ, ბოლო 12 თვის მანძილზე, ქალების 9.3 პროცენტს გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ხოლო ქალების 0.5 პროცენტს გამოუცდია არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა. გარდა ამისა, ბოლო 12 თვის მანძილზე, ქალების 9.7 პროცენტს გამოუცდია სექსუალური შევიწროება, ხოლო 1.6 პროცენტს - ადევნება.

ხშირ შემთხვევაში, ქალები ძალადობის ერთზე მეტ ფორმას განიცდიან. **დიაგრამა 5.1** გვიჩვენებს 15-69 წლის ასაკის ქალების პროცენტულ წილს, რომელთაც გამოუცდიათ ძალადობა ერთი ან მეტი ფორმით ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე (სექსუალური შევიწროება, ადევნება, სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ), ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ), პარტნიორის მხრიდან ძალადობა). კერძოდ, ცხოვრების მანძილზე, ქალების 25.6 პროცენტს გამოუცდია ძალადობის შვიდი ფორმიდან მხოლოდ ერთი ფორმა, 13.9 პროცენტს გამოუცდია ძალადობის ორი ფორმა, 6.4 პროცენტს - სამი ფორმა, ხოლო 4.5 პროცენტს - ოთხი ან მეტი ფორმა. ბოლო 12 თვის მანძილზე, ქალების 15.7 პროცენტს გამოუცდია ძალადობის ხუთი ფორმიდან მხოლოდ ერთი ფორმა, მაშინ როდესაც 2.4 პროცენტს - ორი ფორმა, ხოლო 1 პროცენტზე ნაკლებს - სამი ან მეტი ფორმის ძალადობა. მოცემული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ როგორც წესი ქალები არ განიცდიან ძალადობის მხოლოდ ერთ ფორმას, არამედ ხშირად ისინი განიცდიან ძალადობის რამდენიმე ფორმას.

**დიაგრამა 5.1.** ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც განუცდია ძალადობა, ძალადობის ფორმების რაოდენობის მიხედვით



## 5.2 ძალადობის ფორმებს შორის არსებული ურთიერთკავშირი

მოცემული გამოკვლევის საფუძველზე ჩატარდა მონაცემთა ანალიზი, რათა დადგენილიყო ურთიერთდამოკიდებულება ძალადობის იმ შვიდ ფორმას შორის, რომელსაც განიცდიან ქალები ბავშვობასა და ზრდასრულობაში. **ცხრილი 5.2** გვიჩვენებს, რომ ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობის (18 წლამდე) გამოცდილება მჭიდრო კავშირშია სექსუალური შევიწროებისა (52.7 პროცენტი) და პარტნიორის მხრიდან ძალადობის (47.5 პროცენტი) გამოცდილებასთან ზრდასრულობაში. გარდა ამისა, ქალების დიდ წილს, რომელთაც ბავშვობაში გამოუცდიათ ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა, ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ასევე გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება (43.3 პროცენტს) და პარტნიორის მხრიდან ძალადობა (38.9 პროცენტს). ასევე, ქალების დიდ წილს, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ასევე გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება (36.4 პროცენტს).

**ცხრილი 5.2.** ბავშვობასა და ზრდასრულობაში განცდილ ძალადობის ფორმებს შორის კავშირი (პროცენტი)

	სულ	ბავშვობაში ასევე გამოუცდია		ზრდასრულობაში ასევე გამოუცდია				
		ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა	ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა	პარტნიორის მხრიდან ძალადობა	ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	სექსუალური შევიწროება	ადევნება
ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა	8.5		40.6	47.5	19.0	11.0	52.7	24.9
ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა	19.7	17.5		38.9	17.8	4.5	43.3	14.8
პარტნიორის მხრიდან ძალადობა	22.9	17.6	33.5		11.5	3.2	36.4	14.4
ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	6.5	24.7	53.6	40.4		11.6	69.3	30.0
სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან	1.5	61.6	58.9	47.6	50.0		77.3	46.6
სექსუალური შევიწროება	24.5	18.3	34.8	34.1	18.5	4.8		23.8
ადევნება	8.5	24.9	34.4	38.7	23.1	8.3	68.5	


არაპარტნიორის მხრიდან გამოცდილი ფიზიკური ძალადობა (15 წლის ასაკის შემდეგ), მჭიდრო კავშირშია სექსუალურ შევიწროებასთან (69.3 პროცენტი). გარდა ამისა, ქალების დიდ წილს, რომელთაც გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, ასევე ბავშვობაში გამოუცდიათ ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (53.6 პროცენტი). თუმცა, ქალები, რომელთაც გამოუცდიათ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა (15

წლის ასაკის შემდეგ), ყველაზე მეტად განიცდიდნენ ბავშვობაში სექსუალური ძალადობას (18 წლამდე) (61.6 პროცენტი) და ბავშვობაში ფიზიკურ ან/და ემოციურ ძალადობას (58.9 პროცენტი), ასევე განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (77.3 პროცენტი), არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას (50.0 პროცენტი), ადევნებას (46.6 პროცენტი) და პარტნიორის მხრიდან ძალადობას (47.6 პროცენტი). ქალები, რომლებსაც გამოუცდიათ ადევნება, აგრეთვე გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება (68.5 პროცენტი).

### 5.3 ურთიერთკავშირი ძალადობის გამოცდილებასა და უსაფრთხოების განცდას შორის

გამოკვლევის ფარგლებში, ქალებს ასევე ჰკითხეს თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობდნენ ისინი თავს თავიანთ უბანში/სამეზობლოში მართო სიარულისას (ცხრილი B.27). მონაცემების ანალიზი ასევე განხორციელდა, ქალთა მიმართ ძალადობისა და უბანში/სამეზობლოში მართო სიარულისას უსაფრთხოების განცდას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალები, რომელთაც არ გამოუცდიათ ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე, ბევრად უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს თავიანთ უბანში/სამეზობლოში მართო სიარულისას (63.0 პროცენტი) ვიდრე, ის ქალები, რომლებიც განიცდიდნენ ძალადობას იმავე პერიოდში (37.7 პროცენტი). შედარებისთვის, ქალები, რომლებიც განიცდიდნენ ძალადობას ბოლო 12 თვის მანძილზე, უმეტესწილად აცხადებდნენ, რომ თავს გრძნობენ ნაწილობრივ უსაფრთხოდ (41.6 პროცენტი), ოდნავ დაუცველად (16.5 პროცენტი) ან ძალიან დაუცველად (3.7 პროცენტი), იმ ქალებისთვის კი, რომელთაც არ გამოუცდიათ ძალადობა, ანალოგიური მაჩვენებლები ნაკლებია (შესაბამისად, 30.4 პროცენტი, 5.0 პროცენტი და 0.8 პროცენტი) (დიაგრამა 5.2).

**დიაგრამა 5.2.** ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებასა და მართო სიარულისას უსაფრთხოების აღქმას შორის დამოკიდებულება (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.28.

## 5.4 ქალთა მიმართ ძალადობა მონყვლად ჯგუფებში

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა მონყვლადი ჯგუფების წამომადგენელ ქალთა ძალადობის გამოცდილება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების, მიგრანტი ქალების და ლგბტი+ თემის ჩათვლით. ამ გამოცდილებების კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში აღბეჭდვა მარტივად არ მომხდარა.

### 5.4.1 ლგბტი+ თემი

საქართველოში, მონყვლადი ჯგუფების ქალებს შორისაც კი ძალადობის გამოცდილება განსხვავდება მათი სტატუსის მიხედვით. მაგალითად, **ლგბტი+ თემის წევრები** თვლიან, რომ განსაკუთრებით სტიგმატიზებული და დისკრიმინირებული არიან ქართულ საზოგადოებაში და რომ გარიყულნი არიან საზოგადოების მრავალი ძირითადი სეგმენტიდან მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. შედეგად, ლგბტი+ თემის წევრები აწყდებიან დისკრიმინაციას, შევიწროებასა და ძალადობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთი დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად, ბევრი მათგანი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დამალვას, ან საზოგადოებისგან იზოლირებას ამჯობინებს. ძალიან ხშირად ლგბტი+ თემის წევრები ვერ იღებენ მხარდაჭერას საკუთარი ოჯახისგან. ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახები აიძულებენ მათ დამალონ საკუთარი იდენტობა. ასეთი სიტუაციები ხშირად იწვევს ოჯახში კონფლიქტს და ზოგიერთ შემთხვევაში ლგბტი+ ადამიანები ოჯახის დატოვებას ამჯობინებენ.

ლგბტი+ თემის წარმომადგენლებთან სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი ხშირად განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ოჯახში, როგორც ბავშვობაში, ისე ზრდასრულ ასაკში. ზოგიერთმა მათგანმა ისაუბრა ეკონომიკურ ძალადობაზეც, როდესაც მათ ოჯახმა შეუზღუდა ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებზე წვდომა. ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, ოჯახიდან წამოსვლის გადანყვეტილების დროს, ისინი ფსიქოლოგიურ ზეწოლას წააწყდნენ - მათ აიძულებდნენ მორგებოდნენ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ტრადიციულ ნორმებს. ასეთი შემთხვევები ზოგჯერ ფიზიკურ ძალადობამდეც მიდის. რესპონდენტები ყვებიან, თუ როგორ სცადეს მათმა ოჯახებმა ეიძულებინათ ისინი მიეღოთ ფსიქოლოგიური დახმარება და დაემუქრნენ კიდევ ფსიქოლოგიურ დაწესებულებაში გაგზავნით, რადგან ჯეროდათ,

„დეპრესია მქონდა მაგ პერიოდში და მამაჩემი იძახდა, რომ მე ვიყავი ფსიქიურად დაშლილი, რომ მოეპოვებინა {ძალაუფლება} რომ ვემართე. საზოგადოებაში რომ მას უფრო მეტი ავტორიტეტი ჰქონოდა, ვიდრე მე და ჩემი სიტყვა არაფერს არ ნიშნავს საზოგადოებისთვის, როდესაც გიჟად შეგრაყვებენ“ (სიღრმისეული ინტერვიუ ლგბტი ქალთან).

„რამდენჯერმე ისე გაბრაზდა [ძმა], რომ ცემით არ ვუცემივარ, მაგრამ იმდენად შემაშინა და დამარტყა რამდენჯერმე, მაგას ცემას არ ვეძახი მე, ჩემში ძალიან დიდი სტრესი გამოიწვია, იმდენად დიდი სტრესი, რომ არაფერს აზრი არ ჰქონდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ლგბტი ქალთან).


რომ მათ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ. ოჯახში ძალადობის ასეთ ფორმებს დიდი გავლენა აქვს ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებზე და მათში იწვევს შფოთვის, დეპრესიის, იზოლაციისა და გაუცხოების შეგრძნებებს.

თვისებრივი კვლევის მიგნებები მიანიშნებს, რომ ტრანსგენდერი ქალები ძალადობის განსაკუთრებული საშიშროების ქვეშ არიან არა მხოლოდ საკუთარ ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც. მათ თან სდევთ შიში, რომ სხვა ადამიანები მოექცევიან როგორც სექსუალურ ობიექტებს და ფიზიკურად შეეხებიან საზოგადოებრივ ადგილებში, როგორებიცაა ქუჩა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

## 5.4.2 ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები

ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები უფრო მეტად განიცდიან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (54.7 პროცენტი), ვიდრე ფუნქციური სირთულეების არმქონე ქალები (45.8 პროცენტი). ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ აღენიშნებათ სულ მცირე ერთი ფუნქციური სირთულე („გარკვეული სირთულე“, „საგრძნობი სირთულე“ ან „საერთოდ ვერ ახერხებს“), უფრო მეტად განიცდიდნენ ბავშვობაში სექსუალურ ძალადობას (9.3 პროცენტი), ბავშვობაში ფიზიკურ ან/და ემოციურ ძალადობას (22.5 პროცენტი), პარტნიორის მხრიდან ძალადობას (28.2 პროცენტი) და არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას (შესაბამისად, 7.7 პროცენტი და 2.1 პროცენტი), იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ განუცხადებიათ ფუნქციური სირთულეების ქონის შესახებ. იგივე ტენდენციაა ბოლო 12 თვის მანძილზე განცდილი ძალადობის შემთხვევაშიც (**დიაგრამა 5.3**).

**დიაგრამა 5.3. ფუნქციური სირთულების მქონე და არმქონე ქალთა მიმართ ძალადობა (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.29.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში შშმ პირები იზოლირებულნი და დახურულ კარს მიღმა გამოკეტილნი არიან საკუთარი ოჯახების მიერ, იმ სტიგმის გამო, რაც მათ მიმართ საზოგადოებაში არსებობს. შშმ ქალები, რომლებიც გადიან საზოგადოებრივ ადგილებში, განიცდიან დისკრიმინაციას. მათი თქმით, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ შშმ ქალი არ არის სრულყოფილი ქალი, რადგან მას არ შეუძლია მისი ბიოლოგიური როლის - ცოლის და დედის როლის - შესრულება. როდესაც შშმ ქალი ხდება ცოლი და დედა, ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად კარგი ცოლი ან დედაა ის. თვისებრივი კვლევა მიანიშნებს, რომ სოფლებში შშმ პირების მიმღებლობა კიდევ უფრო დაბალია, ხოლო მეტ იზოლაციის, დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის ხარისხი - კიდევ უფრო მაღალი. ხშირ შემთხვევებში,

*„საერთოდ არ განიხილები, როგორც ქალი, უბრალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ხარ, ქალური ნაწილი უარყოფილია, თითქოს არ გაქვს. [...] ფაქტობრივად, უჩინარი ჯგუფია შშმ ქალები და გოგონები.“ (სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან).*



შპმ ქალების სოციალური ინტეგრაცია შეზღუდულია რადგან ოჯახის წევრების დახმარების გარეშე გადაადგილება არ შეუძლიათ.

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ შპმ ქალები ზოგჯერ განიცდიან ფიზიკურ, ემოციურ და ეკონომიკურ ძალადობას ოჯახის წევრების მხრიდან. ისინი ასევე საუბრობენ ოჯახის წევრების მხრიდან მათი ქმედებების კონტროლზე და უგულებელყოფაზე. ამასთან, მათი აზრით, შპმ ქალების მიმართ არსებული აკრძალვები ოჯახის წევრების მხრიდან არ ხდება მათი უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, არამედ ისინი უფრო მეტად ემსახურება ოჯახის იმიჯის და რეპუტაციის შენარჩუნებას საზოგადოებაში. შპმ ქალებმა ასევე ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე ეკონომიკური ძალადობის შესახებ ოჯახის წევრების მხრიდან, რომლებიც აკონტროლებდნენ და განკარგავდნენ მათ ყოველთვიურ პენსიას/დახმარებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პენსიებს/შელავათებს ოჯახის წევრები ხარჯავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანხმობის გარეშე, რადგან მათი ოჯახის წევრებს აქვთ კანონიერი უფლება გამოიყენონ მათი საბანკო ანგარიშები.

იმის გათვალისწინებით, რომ შპმ ქალები ხშირად არიან დამოკიდებულნი სხვა ადამიანებზე, განსაკუთრებით ოჯახის წევრებზე, ძალადობის შემთხვევაში მათ შეზღუდული აქვთ გაქცევის ან დახმარების თხოვნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალადობა ოჯახში ხდება. მეტიც, იმისათვის რომ საზოგადოებრივ ადგილებში ძალადობა აიცილონ თავიდან, შპმ ქალები ხშირად სახლიდან გასვლაზე თავად ამბობენ უარს. შედეგად, ბევრი შპმ ქალი მთელ ცხოვრებას იზოლაციაში ატარებს, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

*„შპმ ქალი აღიქმება, როგორც უმწეო არსება, რომელზეც ორმაგი კონტროლია საჭირო, ანუ ჩვეულებრივი კი არა, ორმაგი, სამმაგი და ა. შ. ან როგორც უმწეო არსება, რომელზეც პასუხისმგებელი მამაკაცები არიან ამ ოჯახის, ან როგორც პოტენციურად არასტაბილური არსება, რომელსაც შეუძლია ოჯახის რეპუტაციის შელახვა და რომელზეც ისევ და ისევ საჭიროა კონტროლი, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ფსიქიკური პრობლემების შემთხვევაში მოქმედებს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან).*

*„ფინანსური კონტროლიც, ის, რომ ვთქვათ, მათი პენსია შეიძლება სხვებმა გაფლანგონ. ამ ადამიანებს ნაკლებად აქვთ ამ თანხის განკარგვის საშუალება, ცოტა სტუმრის როლში ცხოვრობენ, სამადლოდ. ამიტომ, ეს ქონებრივი და არასწორი ფინანსური გადანაწილება რესურსების, ეგეც ძალიან დიდ პრობლემას ქმნის“ (სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან).*

*„ბევრისგან გამიგია, რომ სადმე არ წავა, რადგან იქ ძალადობის მსხვერპლი არ გახდეს, ან მართო არ წავა, ტაქსში მართო არ ჩავჯდები, მსგავსი ხერხებით ცდილობენ მოერიდონ ყველაფერს. თავისი თავის იზოლირებას ახდენენ, რაც ძალიან ნეგატიურად აისახება ისევ მათზე.“ (სიღრმისეული ინტერვიუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან).*

### 5.4.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები განიცდიან დისკრიმინაციას, შევიწროებას ან/და ძალადობას როგორც გენდერული, ასევე ეთნიკური კუთვნილების გამო. ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი კიდევ უფრო შეზღუდულია სხვებთან შედარებით მისი კულტურული ნორმების გამო, რომლებიც ზღუდავენ ქალთა ხელმისაწვდომობას განათლებასა და დასაქმებაზე და ხელს უწყობენ ადრეულ ქორწინებას.

ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი ძალადობის მომატებული რისკის ქვეშ იმყოფება, იმ მკაცრი პატრიარქალური კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გამო, რომლებიც ზღუდავენ მათ თავისუფლებებსა და ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს. როდესაც ქალები იბრძვიან ამ კულტურული ნორმებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, ისინი ძალადობის საფრთხის წინაშე დგებიან. სიღრმისეული ინტერვიუების დროს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ქალებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საზოგადოებას არასაკმარისი ინფორმაცია აქვს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე ძალადობის შესახებ.


*„ჩვენს თემში, ვთქვათ არის ოჯახები ქალის მიმართ დამოკიდებულება, ძალიან კარგი დამოკიდებულებაა, მაგრამ რაღაც იდეოლოგიიდან და რელიგიიდან გამომდინარე, ქალს არ აქვს [...] დამოუკიდებლად სწავლის გაგრძელების [უფლება]. ეს ხომ ვამბობ, ეს არის ერთეული ფაქტები, მაგრამ არის, ქალს არ აქვს მართო სადმე გასვლის უფლება, შეიძლება ზოგიერთმა პროფესიიდან გამომდინარე დაუშალოს, რომ ამ პროფესიით ვერ იმუშავენ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთან).*

ქადთა მრმართ

ქადარმობა პანტნიორის

მხრიდან

6



ზოგადად, პარტნიორის მხრიდან ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. პარტნიორის მხრიდან ძალადობა გენდერული უთანასწორობის გამოვლინებაა, რომელიც არსებობს ურთიერთობებში, ოჯახებსა და ფართო საზოგადოებაში. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა არსებობს ყველა საზოგადოებაში, მაგრამ უფრო გავრცელებულია ისეთ კულტურულ იდეოლოგიებში, რომლებიც მხარს უჭერს კაცის დომინირებას და გენდერული როლის სოციალიზაციას, აყენებს ქალს კაცთან დაქვემდებარებულ პოზიციაში. ეს სტრუქტურები ლეგიტიმაციას პატრიარქატიდან იღებს.<sup>1</sup> ქვეყნებში, სადაც კულტურული პრაქტიკა კარნახობს ქალებს, რომ მათ უნდა დატოვონ საკუთარი ოჯახი, რათა იცხოვრონ ქმართან და მის ოჯახთან ერთად, ასეთი მიდგომები კიდევ უფრო აძლიერებს ქალების დაქვემდებარებულ სტატუსს და აყენებს მათ ოჯახური ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ. ასეთ სიტუაციებში ოჯახური ძალადობის ჩამდენი არა მხოლოდ ქმრები შეიძლება იყვნენ, არამედ მეუღლის სხვა ნათესავებიც, ძირითადად დედამთილი, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებში, სადაც ახლად გათხოვილი ქალები ახალ ოჯახში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან.<sup>2</sup>

მოცემული თავი მოიცავს 2022 წლის ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კვლევის შედეგებს და ეხება ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-69 წლის ასაკის ქალების მიერ განცდილი პარტნიორის მხრიდან ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელებას, რაც მოიცავს ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, ემოციურ და ეკონომიკურ ძალადობასა, და მაკონტროლებელ ქცევას. ის აჩვენებს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების შესახებ შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზში გამოყენებულია ორი მაჩვენებელი: ძალადობის გავრცელების დონე ცხოვრების მანძილზე და ძალადობის გავრცელების დონე ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე დონე). გავრცელების დონე ცხოვრების მანძილზე გვიჩვენებს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომელთაც ოდესმე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა. ხოლო გავრცელების მიმდინარე დონე გულისხმობს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე. გავრცელების მიმდინარე დონე წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე განცდილი ძალადობის ნაწილს.

ამ თავში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს იმ ქალების გამოცდილებას, რომელთაც ოდესმე ჰყოლიათ კაცი პარტნიორი. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალი რესპონდენტების 99.5 პროცენტი დათანხმდა პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ შეკითხვებზე პასუხს.

## 6.1 პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელების დონე


დიაგრამა 6.1 გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 26.5 პროცენტს გამოუცდია ძალადობა პარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე (ერთი მაინც, ძალადობის ოთხი ფორმიდან). კერძოდ, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 7.7 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 24.6 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან. კერძოდ, 5.9 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ძალადობა, ხოლო 3.5 პროცენტს - სექსუალური ძალადობა. ევროსტატის განმარტების შესაბამისად, ფსიქოლოგიური ძალადობა აერთიანებს ემოციურ ძალადობასა და მაკონტროლებელ ქცევას. ჯამში, ქალების 23.7 პროცენტს გამოუცდია

ფსიქოლოგიური ძალადობა (12.6 პროცენტს გამოუცდია ემოციური ძალადობა, ხოლო 18.8 პროცენტს - მაკონტროლებელი ქცევა). გარდა ამისა, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 8.4 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ეკონომიკური ძალადობა.

რაც შეეხება პარტნიორის მხრიდან ბოლო 12 თვის მანძილზე პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებას, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 10.7 პროცენტს გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობის ერთი ფორმა მაინც, ოთხი ფორმიდან. კერძოდ, ბოლო 12 თვის მანძილზე 0.9 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 10.1 პროცენტს ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ქალების 38.2 პროცენტმა განაცხადა, რომ არავისთვის უთქვამს პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების შესახებ (დიაგრამა 8.1); ამრიგად, პარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე და მიმდინარე ძალადობის შესახებ მონაცემები შესაძლოა ნაკლები იყოს რეალურ სურათთან შედარებით.

**დიაგრამა 6.1. ძალადობა პარტნიორის მხრიდან (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.30.

გამოკვლევის საფუძველზე გაანგარიშდა SDG 5.2.1 მაჩვენებელი - 15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ძალადობის ფორმისა და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან ბოლო 12 თვის მანძილზე ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას.


**დიაგრამა 6.2** გვიჩვენებს, რომ 15–24 წლის ასაკის ქალები ყველაზე ხშირად განიცდიდნენ ფიზიკურ, სექსუალურ ან/და ფსიქოლოგიურ ძალადობას ბოლო 12 თვის მანძილზე (18.8 პროცენტი). რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 55 წლამდე ასაკის ქალები უფრო ხშირად განიცდიდნენ ფიზიკურ, სექსუალურ ან/და ფსიქოლოგიურ ძალადობას ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ვიდრე 55 წლისა და უფროსი ასაკის ქალები.

**დიაგრამა 6.2.** პარტნიორის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.31.


**SDG ინდიკატორი 5.2.1**



15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგონების პროპორციულმა რაოდენობამ, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან ბოლო 12 თვის მანძილზე ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, შეადგინა 10.1 პროცენტი.

რაც შეეხება პარტნიორის მხრიდან ძალადობის ყველა ფორმას, 15-44 წლის ასაკის ქალები, უფრო ხშირად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ბოლო 12 თვის მანძილზე, ვიდრე უფროსი ასაკის ქალები. აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში, ძალადობის გავრცელების მიმდინარე დონე აღემატებოდა ქვეყნის საერთო მაჩვენებელს (10.7 პროცენტს). ისევე როგორც გლობალურად, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელების მიმდინარე დონე ყველაზე დაბალია 65-69 წლის ასაკის ქალებს შორის (4.4 პროცენტი) (დიაგრამა 6.3).


**დიაგრამა 6.3.** პარტნიორის მხრიდან ძალადობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.32.

პარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე ძალადობის გავრცელების დონე ყველაზე მაღალი იყო ქალებში, რომელთაც მიღებული ჰქონდათ დაწყებითი განათლება ან გავლილი ჰქონდათ განათლების უფრო დაბალი საფეხური. კერძოდ, დაახლოებით ათიდან შვიდი ქალს (69.8 პროცენტს) გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე. ასევე, სამიდან ერთ ქალს (33.5 პროცენტს) გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე. არასრული საშუალო განათლების მქონე ქალების 33.2 პროცენტს გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე. რაც წარმოადგენს უფრო მაღალ მაჩვენებელს, ვიდრე პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე სრული საშუალო განათლების (24.3 პროცენტს) ან განათლების უფრო მაღალი საფეხურის მქონე ქალებში (პროფესიული განათლების მქონე ქალებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი იყო 26.3 პროცენტი, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ქალებისთვის 27.0 პროცენტი) (დიაგრამა 6.4).

**დიაგრამა 6.4.** პარტნიორის მხრიდან ძალადობა განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.32.

გლობალური ტენდენციები აჩვენებს, რომ ქალები, რომლებიც დაქორწინდნენ ან დაიწყეს პარტნიორთან თანაცხოვრება 18 წლამდე, იმყოფებიან პარტნიორის მხრიდან ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ.

**დიაგრამა 6.5** აჩვენებს, რომ ხუთიდან ორ ქალს, რომელიც დაქორწინდა ან დაიწყო პარტნიორთან თანაცხოვრება 15 წლის ან უმცროს ასაკში და დაახლოებით სამიდან ერთ ქალს, რომელიც დაქორწინდა ან დაიწყო პარტნიორთან თანაცხოვრება 18 წლის ასაკამდე, გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე (შესაბამისად, 41.3 პროცენტი და 33.7 პროცენტი). რაც მნიშვნელოვნად აღემატება პარტნიორის მხრიდან ძალადობის ცხოვრების მანძილზე გავრცელების დონეს იმ ქალებში, რომლებშიც დაქორწინდნენ ან დაიწყეს პარტნიორთან თანაცხოვრება 18-24 წლის ასაკში (25.5 პროცენტი) და 25 წლისა და უფროს ასაკში (23.2 პროცენტი). სურათი მსგავსია პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელების მიმდინარე დონის შემთხვევაშიც. აგრეთვე, მაღალია შეყვარებულის მხრიდან ძალადობის გამოვლენის დონეც, ქალების 38.1 პროცენტმა განაცხადა, რომ შეყვარებულის/საქმროს მხრიდან გამოუცდია ძალადობა ცხოვრების მანძილზე, ხოლო 17.8 პროცენტს - ბოლო 12 თვის მანძილზე.




**დიაგრამა 6.5.** პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირველი ქორწინებისას ასაკის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.32.

კვლევები აჩვენებს, რომ გლობალურად პარტნიორის მხრიდან ძალადობა სცდება სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და გავლენას ახდენს ქალებზე შემოსავლის დონის, განათლებისა თუ საქმიანობის მიუხედავად; თუმცა სიღარიბე და მასთან დაკავშირებული ფაქტორები ზრდის პარტნიორის მხრიდან ძალადობის რისკს - რაც უფრო დაბალია შინამეურნეობის შემოსავალი, მით უფრო მაღალია პარტნიორის მხრიდან ძალადობის მაჩვენებელი.<sup>4</sup> გლობალური ტენდენციების მსგავსად, **დიაგრამა 6.6** გვიჩვენებს, რომ ქალებში, რომლებიც თავიანთი შინამეურნეობის ეკონომიკურ მდგომარეობას ახასიათებდნენ, როგორც ძალიან ცუდს, აღინიშნებოდა პარტნიორის მხრიდან ძალადობის მაღალი გავრცელების დონე, როგორც ცხოვრების მანძილზე, ისე ბოლო 12 თვის მანძილზე. ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ხუთი ქალიდან დაახლოებით ორ ქალს (45.5 პროცენტს) გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე. აღნიშნული თითქმის ორჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებელს იმ ქალებს შორის, რომელთაც თავიანთი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა დაახასიათეს როგორც საშუალო ან კარგი. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები უფრო ხშირ შემთხვევაში აფიქსირებდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ბოლო 12 თვის მანძილზე, ვიდრე საშუალო და კარგი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები.


**დიაგრამა 6.6.** პარტნიორის მხრიდან ძალადობა შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.32.

**დიაგრამა 6.7** გვიჩვენებს, რომ თბილისში მცხოვრები ქალები უფრო ხშირად განიცდიან პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (39.9 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებში (21.9 პროცენტი) და სოფლებში (20.5 პროცენტი) მცხოვრები ქალები. აღსანიშნავია, რომ სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქალებთან შედარებით, თბილისში მცხოვრები ქალები უფრო ხშირად განიცდიან პარტნიორის მხრიდან ძალადობას ბოლო 12 თვის მანძილზე (შესაბამისად, 7.3 პროცენტი და 16.4 პროცენტი).


**დიაგრამა 6.7.** პარტნიორის მხრიდან ძალადობა დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.32.

**დიაგრამა 6.8** გვიჩვენებს, რომ სულ მცირე ერთი ფუნქციური სირთულის მქონე ქალები (რომელთაც განაცხადეს რომ აღნიშნებათ „გარკვეული სირთულე“, „საგრძობი სირთულე“ ან „საერთოდ ვერ ახერხებს“), უფრო ხშირად განიცდიან პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (30.9 პროცენტი), იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც არ აქვთ ფუნქციური სირთულე (21.9 პროცენტი). განსხვავებები პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელების მიმდინარე დონის მიხედვით ნაკლებად არის გამოხატული.

**დიაგრამა 6.8.** ძალადობა პარტნიორის მხრიდან ფუნქციური სირთულების მქონე და არმქონე ქალებში (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.33.

## 6.2 ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის გავრცელების დონე გულისხმობს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომლებმაც განაცხადეს რომ ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ერთხელ მაინც გამოუცდიათ შემდეგი: დაურტყამთ, სილა გაუნწავთ, დაურტყამთ ფეხი, უცემიათ, დაუნვავთ, ან თუნდაც ემუქრებოდნენ ან რეალურად იყენებდნენ რაიმე სახის იარაღს მის წინააღმდეგ. ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის გავრცელების დონემ 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო გავრცელების მიმდინარე დონემ - 0.7 პროცენტი. პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ქმედებები, რომელთაც ქალები განიცდიდნენ იყო სილის განწა ან რაიმე ნივთის სროლა, რაც მათ ზიანს მიაყენებდა (4.9 პროცენტი) და ხელის კვრა ან თმის მოქაჩვა (4.0 პროცენტი). იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა, 85.3 პროცენტმა განაცხადა, რომ ფიზიკური ძალადობის ჩამდენი პირი იყო მათი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 14.7 პროცენტის განცხადებით აღნიშნული პირი იყო მათი წინა მეუღლე/პარტნიორი (**ცხრილი 6.1**).

**ცხრილი 6.1.** ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში (პროცენტი)

	ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	ცხოვრების მანძილზე	ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოცემული ქმედებებიდან)</b>	<b>5.9</b>	<b>0.7</b>
სილა გაგანნათ ან გესროლათ რაიმე ნივთი, რაც თქვენ ზიანს მოგაყენებდათ	4.9	0.6
ხელი გკრათ ან თმით მოგქაჩათ	4.0	0.4
დაგარტყათ მუშტი ან რაიმე ნივთი, რომელსაც თქვენი დასახიჩრება შეეძლო	1.6	0.3
ფეხი დაგარტყათ, გათრიათ ან გცემათ	1.3	0.1
განზრახ გახრჩობდათ	0.6	0.1
გემუქრებოდათ ან რეალურად იყენებდა დანას ან ცეცხლსასროლ იარაღს თქვენს წინააღმდეგ	0.5	0.1
განზრახ დაგჭრათ ან ჩაგარჭოთ რაიმე	0.2	0.0
განზრახ დაგწვათ	0.1	0.0
<b>ფიზიკური ძალადობის ჩამდენი პირები</b>	<b>∞ ცხოვრების მანძილზე N = 182</b>	
ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი	85.3	
წინა მეუღლე/პარტნიორი	14.7	

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.34.

გამოკვლევის მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები (რომელთაც განაცხადეს რომ აღენიშნებათ „გარკვეული სირთულე“, „საგრძნობი სირთულე“ ან „საერთოდ ვერ ახერხებს“), უფრო ხშირად განიცდიან ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას, იმ ქალებთან შედარებით, რომელთაც არ აქვთ ფუნქციური სირთულე (შესაბამისად, 7.1 პროცენტი და 4.6 პროცენტი) (ცხრილი B.33).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ქალებმა ისაუბრეს ფიზიკური ძალადობის მძიმე ფორმებზე, მათ შორის თითქმის სასიკვდილო გამოცდილებაზე, რამაც საბოლოოდ აიძულა ისინი ეთხოვათ დახმარება. ქალები აღწერენ, რომ მათ ფიზიკურად ესხმოდნენ თავს დანებით, ჩაქუჩებით, ხის ნაჭრებით, ნაჯახებით, მეტალის წნულებით და იარაღითაც კი. ზოგიერთმა ქალმა მოყვა თუ როგორ გადაარჩინეს სიკვდილს მეზობლებმა. ქალები აღწერენ, რომ მათთვის დაურტყამთ მუშტი, წიხლი, ხელი უკვრიათ და სილა გაურტყამთ. მათი თქმით, ზოგჯერ მათ მეუღლეს/პარტნიორს მათთვის სახეში სპეციალურად დაურტყამს, იმ მიზნით, რომ მათ საკუთარი თავის იზოლაცია მოეხდინათ, გარეთ არ გასულიყვნენ და დაზიანებები დაემალათ. ქალები დაზიანებებს ზოგჯერ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებსაც კი უმაღლავენ. ერთმა ძალადობის მსხვერპლმა ქალმა განაცხადა: „პოლიციამ გადამიყვანა ექსპერტიზაზე, რომ ექიმს შევემონებინე. რატომღაც იმ ექიმისაც მომერიდა, ტანზე გამეხადა თავიდან ბოლომდე და უბრალოდ რაც ზედაპირული სილურჯები რაც ჩანდა, ის ვანახე. თუმცა ტანზე მქონდა სილურჯები ხერხემლის მიდამოებში, ფილტვებისკენ. ძალიან დიდი ფიზიკური ძალის პატრონი იყო“.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ფიზიკური ძალადობის განმეორებითი ქმედებები ხშირია ისეთი მიზეზის გამო, როგორცაა ქმრის/პარტნიორის ეჭვიანობა ქალების მიმართ. ქალებს, რომელთაც გამოუცდიათ ფიზიკური ძალადობა ხშირად აკონტროლებდნენ მეუღლეები/პარტნიორები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ასრულებდნენ ისეთ ჩვეულებრივ და ყოველდღიურ საქმიანობებს სახლის გარეთ, როგორცაა სასურსათო საყიდლები და ბავშვების სკოლაში წაყვანა. ყოველდღიური დავალებების შეუსრულებლობა ან დროულად ვერ შესრულება შესაძლოა შემდგომ გახდეს ფიზიკური ძალადობის საბაბი, შესაბამისად, ქალები ცდილობდნენ მეუღლის/პარტნიორის მორჩილებას, რათა თავიდან აირიდონ ფიზიკური ძალადობა მეუღლის/პარტნიორის მოლოდინების დაუკმაყოფილებლობის გამო.

ქალები საუბრობდნენ დაუცველობის დამატებით მიზეზებზე, თუ მათი მოძალადე ქმარი/პარტნიორი პოლიციელი იყო. ერთმა ძალადობის მსხვერპლმა ქალმა განაცხადა:

„იცი, პოლიციელია და ყველაფრის მკადრებელია, ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, და მომიწია ისევ ჩემი თავის დაცვა მე თვითონ“. ასეთ შემთხვევებში ქალები ერიდებიან დახმარების თხოვნას ოფიციალური უწყებებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქრობენ, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს შეუძლია გამოიყენოს თავისი სამახურებრივი რესურსი ქალის სათვალთვალოდ და თავისი კავშირები - ოჯახში ძალადობისთვის ბრალდების თავიდან ასაცილებლად.

„წინა დღეს მოგვივიდა კამათი, მახრჩობდა და მასე არასდროს გავუმეტებოვარ, არასდროს. ბავშვები ჩაკეტა ოთახში, რომ არ დაენახათ ეს ყველაფერი და სხვათაშორის, უფროსმა გოგომ გამოაღწია ოთახიდან და მაშინ ჩავხედე სიკვდილს თვალებში, ძალიან შემეშინდა იმიტომ, რომ არ მინდოდა სიკვდილი, თან ბავშვები რომ გეხვევიან ფეხებზე, როგორ ცუდადაც არ უნდა იყო შვილების გამო სიკვდილი არ გენდომება. ჩავალაგე ტანსაცმელები და წამოვედი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთან).

„დანით დამიჯდებოდა, ჯერ თვალს გამოგჭრი, მერე ყელს გამოგჭრი, შენი შვილების წინ დაგასისხლიანებ და ამ კაცის მითხარი როგორ არ მეშინოდეს. ძალიან მეშინოდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთან).


## 6.3 ფიზიკური ძალადობა ორსულობისას

გამოკვლევამ ასევე შეისწავლა ფიზიკური ძალადობა ორსულობისას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში „პარტნიორის მხრიდან ძალადობა ორსულობისას“ აღნიშნულია, რომ ფიზიკური ძალადობა ორსულობისას საზიანოა როგორც დედის, ასევე ბავშვის ჯანმრთელობისთვის და „ორსული ქალის სხეულის პირდაპირი დაზიანება ან ძალადობა ასოცირდება ორსულისა და მისი ბავშვის ჯანმრთელობის სასიკვდილო და არასასიკვდილო შედეგებთან. აგრეთვე, მიმდინარე ან წარსული ძალადობით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზეგავლენა და სტრესი, გავლენას ახდენს ნაყოფის ზრდასა და განვითარებაზე.“<sup>45</sup> ქალებს ჰკითხეს, განიცდიდნენ თუ არა ძალადობას ორსულობისას და მოიცავდა თუ არა ძალადობის ეს ქმედებები მუცელში მუშტის ან წიხლის დარტყმას.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში და ოდესმე ორსულად მყოფი ქალების 1.2 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა ორსულობისას. ამ ქალებს შორის, 70.3\* პროცენტმა განაცხადა, რომ გამოუცდია ფიზიკური ძალადობა მხოლოდ ერთი ორსულობისას, 14.8\* პროცენტმა აღნიშნა რომ გამოუცდია ფიზიკური ძალადობა ორი ორსულობისას, ხოლო 14.9\* პროცენტმა - სამი ორსულობისას. ქალების ნახევარზე მეტმა (59.7 პროცენტი) განაცხადა, რომ ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა მათი ამჟამინდელი/ბოლო ორსულობის დროს (**ცხრილი 6.2**).

ქალების მესამედმა, რომელთაც განიცადეს ფიზიკური ძალადობა ორსულობის დროს, განაცხადეს, რომ ორსულობის დროს მათთვის მუცელში დაურტყამთ (36.3\* პროცენტი). 85.9\* პროცენტმა განაცხადა, რომ მეუღლეს/პარტნიორს დაორსულებამდეც უცემია ან დაურტყამს მისთვის. აღსანიშნავია, რომ ქალების 20.0\* პროცენტის განცხადებით, დაორსულების შემდეგ ფიზიკური ძალადობა გაუარესდა (გახდა უფრო ხშირი ან/და უფრო სასტიკი), ქალების 41.9\* პროცენტმა აღნიშნა რომ ძალადობა არ გაუარესებულა და დარჩა დაახლოებით იგივე რაც დაორსულებამდე. ქალების მესამედმა (33.3\* პროცენტი) კი განაცხადა, რომ დაორსულების შემდეგ ფიზიკური ძალადობა შემცირდა და გახდა უფრო იშვიათი ან ნაკლებად სასტიკი, ვიდრე დაორსულებამდე.

**ცხრილი 6.2.** ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან ორსულობისას (პროცენტი)

		 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ორსულად N = 2,776
თუ ყოფილა შემთხვევა, თქვენი რომელიმე ორსულობის დროს, თქვენს მეუღლეს/პარტნიორს თქვენთვის ხელი ეკრა, სილა გაენნა, დაერტყა ხელი ან წიხლი ან ეცემეთ?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		1.2
<input checked="" type="checkbox"/> არა		98.8
მომხდარა თუ არა ეს ერთი ორსულობის დროს თუ ერთზე მეტი ორსულობისას? როგორ შეაფასებდით, რამდენი ორსულობისას მომხდარა აღნიშნული (რამდენ ორსულობაში გკრეს ხელი, გაგანნეს სილა, დაგარტყეს ხელი ან წიხლი ან გცემეს)?		განიცადა ფიზიკური ძალადობა ორსულობისას N = 34
<input checked="" type="checkbox"/> 1 ერთი ორსულობა		70.3*
<input checked="" type="checkbox"/> 2 ორი ორსულობა		14.8*
<input checked="" type="checkbox"/> 3 სამი ორსულობა		14.9*
მოხდა თუ არა ეს ამჟამინდელი/ბოლო ორსულობის დროს?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		59.7*
<input checked="" type="checkbox"/> არა		39.1*
<input checked="" type="checkbox"/> არ ვიცი		1.2*
ორსულობის დროს, მუცელში თუ დაურტყამთ თქვენთვის?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		36.3*
<input checked="" type="checkbox"/> არა		63.7*
ბოლო ორსულობის შემთხვევაში, როდესაც გცემეს/დაგარტყეს, იყო თუ არა ის მეუღლე/პარტნიორი, რომელმაც ეს გააკეთა, ბავშვის მამა?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		100.0*
უცემიხართ ან დაურტყამს თუ არა ამავე პირს სანამ დაორსულდებოდით?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		85.9*
<input checked="" type="checkbox"/> არა		11.7*
<input checked="" type="checkbox"/> არ ვიცი		2.4*

  
**ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ორსულად**  
**N = 2,776**

იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც თქვენ ორსულად არ იყავით, თქვენი ცემის ფაქტები: შემცირდა, დარჩა დაახლოებით იგივე თუ გაუარესდა თქვენი დაორსულების შემდეგ? გაუარესებაში იგულისხმება, რომ გახდა უფრო ხშირი ან/და უფრო სასტიკი.

↓ შემცირდა	33.3*
⊖ დარჩა დაახლოებით იგივე/სიტუაცია არ შეცვლილა	41.9*
! გაუარესდა	20.0*
? არ ვიცი	4.8*

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.35.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ქალებს ორსულობისას ფიზიკური ძალადობის გადატანის შედეგად მუცელი მოეშალათ. გარდა ფიზიკური ძალადობისა, ქალები ორსულობის დროს ასევე განიცდიან ემოციურ ძალადობასაც და რიგ შემთხვევებში პარტნიორები მათ სახლიდანაც კი აგდებენ. ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთმა მსხვერპლმა თავის მეუღლეზე/პარტნიორზე საუბრისას განაცხადა: „უთქვამს: ნადით დაახვიეთ სახლიდან, ღამის 4-5 საათზე, ორსული გავუგდევარ სახლიდან, იმიტომ რომ ნათლიაჩემმა მომიტანა დედაჩემის წერილი, რომელიც ბევრჯერ წავიკითხე და მოზღვავებულ ემოციებით ვტიროდი, და შენს ტირილს რატომ უნდა ვუსმინოო და გამაგდო.“ ქალები ყვებიან, რომ ზოგჯერ მეუღლეები მათ ღალატშიც კი ადანაშაულებდნენ, რათა ორსულობისა და ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობა აეცილებინათ თავიდან.

„ფიზიკური ძალადობა ქორწილიდან ერთ თვეში დაიწყო. მარტო პირველ ორსულობაში არ მქონდა ფიზიკური ძალადობა, მაგრამ სამწუხაროდ ფსიქოლოგიური ძალადობა გრძელდებოდა. ვკითხე ჩემს მეუღლეს რომ რატომ ასე იქცეოდა. აღნიშნა რომ, იმიტომ ასე ვიქცეოდი, რომ ჩემი შეგეშინდეს როგორც კაცი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი).

„ორმოცი დღის იყო ჩემი დიდი [შვილი], რომ ხელში მეკავა და არ ვიცი, რა მოხდა, რაზე გაბრაზდა და მცემა. ეს არ დამავინწყდება, ბავშვი ხელში მყავდა და მირტყამდა. ახლაც რომ მახსენდება, სულ მეტირება, ბავშვი ხელში მყავდა და მირტყამდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთან)










## 6.4 სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის გავრცელების დონე გულისხმობს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც აიძულეს სქესობრივი კავშირის დამყარება, როდესაც მათ ეს არ სურდათ ან აიძულებდნენ სექსუალური ხასიათის ისეთი ქმედებების ჩადენას, რომლის განხორციელებაც მათ არ სურდათ. ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის გავრცელების დონემ 3.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო გავრცელების მიმდინარე დონემ - 0.5 პროცენტი. პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ქმედებები, რომელთაც ქალები განიცდიდნენ იყო სქესობრივი კავშირის დაძალება, როდესაც მათ ეს არ სურდათ (2.8 პროცენტი) და სქესობრივი კავშირის დამყარება, მათი სურვილის წინააღმდეგ, იმის შიშით, რომ უარის შემთხვევაში მათი მეუღლე/პარტნიორი რაიმეს დაუშავებდა (1.4 პროცენტი). იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, 87.1 პროცენტმა განაცხადა, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირი იყო მათი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 10.6 პროცენტის განცხადებით აღნიშნული პირი იყო მისი წინა მეუღლე/პარტნიორი (**ცხრილი 6.3**).

**ცხრილი 6.3.** სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში (პროცენტი)

	ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	ცხოვრების მანძილზე	ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოცემული ქმედებებიდან)</b>	<b>3.5</b>	<b>0.5</b>
თუ გაიძულებდათ სქესობრივ კავშირს, როდესაც თქვენ ეს არ გინდოდათ, მაგალითად, გემუქრებოდათ ან ჰყავდით დაჭერილი	2.8	0.4
ოდესმე თუ გქონიათ სქესობრივი კავშირი თქვენი სურვილის წინააღმდეგ, იმის შიშით, რომ უარის შემთხვევაში თქვენი მეუღლე/პარტნიორი რაიმეს დაგიშავებთ	1.4	0.0
ოდესმე თუ გაიძულათ, სექსუალური ხასიათის ისეთი ქმედების ჩადენა, რომლის განხორციელებაც თქვენ არ გსურდათ და დამამცირებლად ან შეურაცხმყოფლად მიიჩნევდით	0.7	0.1

	 <b>ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები</b> <b>N = 2,976</b>	
	 <b>ცხოვრების მანძილზე</b>	 <b>ბოლო 12 თვის მანძილზე</b>
<b>სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები</b>	<b>∞ ცხოვრების მანძილზე</b> <b>N = 96</b>	
 ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი		87.1
 წინა მეუღლე/პარტნიორი		10.6
 ორივე		0.9
 უარი პასუხზე		1.4

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.36.

გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები, ცხოვრების მანძილზე უფრო ხშირად განიცდიან სექსუალურ ძალადობას თავიანთი ინტიმური პარტნიორის მხრიდან (4.3 პროცენტი), ვიდრე ფუნქციური სირთულეების არმქონე ქალები (2.8 პროცენტი) (ცხრილი B.33).

თვისებრივ კვლევაში, ქალთა მცირე ნაწილმა ისაუბრა სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული პირად ისტორიებზე, რაც შესაძლოა ნაწილობრივ სექსუალურ ძალადობასთან ასოცირებული სირცხვილით და სტიგმით აიხსნას. ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლის განცხადებით: „სექსუალურად რომ იძალადებდა ან არ მითქვამს, ამდენი ხნის მერე ახლა ვაჟღერებ ამას“. მათ, ვინც ისაუბრეს მეუღლის/პარტნიორის მხრიდან სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე, ასევე აღნიშნეს, რომ სექსუალურ ძალადობას ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობასთან ერთად.

„როცა ძალადობდა და ხელს მირტყამდა და ჩვეულებრივად მასისხლიანებდა და შემდეგ იმასაც გეტყვით, რომ ჩვეულებრივად ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა ძალით, ჩვეულებრივად ვარ ძალადობის... ამას ახლა ისე ვყვები, რომ შეიძლება თქვათ, რომ გიჟია ეს ადამიანი, მაგრამ ახლა უკვე თავისუფლად ვამბობ ამ ამბავს, იმიტომ, რომ ახლა აღარ მიჭირს, თუმცა ძალიან მიჭირდა და განვიცდიდი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლთან).

„დახრჩობის მომენტი იყო, თავში ჩარტყმის მომენტი, რომ მახრჩობდა ვუთხარი ღმერთი არ გაპატიებს-მეთქი, შემეყვანა, შხაპი გადამავლო რომ ნორმალურად ვყოფილიყავი, ამის მერე სექსუალურადაც იძალადებდა, მე განადგურებული ვიყავი“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლთან).









## 6.5 ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

ევროსტატის განსაზღვრებით, ფსიქოლოგიური ძალადობა აერთიანებს ემოციურ ძალადობასა და მაკონტროლებელ ქცევას. ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელების დონემ 23.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო გავრცელების მიმდინარე დონემ - 10.1 პროცენტი. ანგარიშში ემოციური ძალადობა და მაკონტროლებელი ქცევა ცალ-ცალკე არის განხილული.

### 6.5.1 ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

ცხოვრების მანძილზე ემოციური ძალადობის გავრცელების დონე გულისხმობს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ მათთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა, თავი აგრძნობინეს სულელად ან უვარგისად, მოექცნენ დამამცირებლად ან დააკნინეს ისინი, და ემუქრებოდნენ ან ზიანს აყენებდნენ მათ პირად ნივთებს. ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ემოციური ძალადობის გავრცელების დონემ შეადგინა 12.6 პროცენტი, ხოლო გავრცელების მიმდინარე დონემ - 3.2 პროცენტი. პარტნიორის მხრიდან ემოციური ძალადობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ქმედებები, რომელთაც ქალები განიცდიდნენ იყო შეურაცხყოფის მიყენება, ან ისეთი ქცევა, რომელიც ქალს საკუთარ თავზე ცუდ წარმოდგენას უქმნის (9.7 პროცენტი), საუბარი ისე, რომ ქალი თავს სულელად ან უვარგისად გრძნობდა (6.5 პროცენტი), განზრახ ჩადენილი ქცევა, რომელიც ქალს აფრთხობდა ან აშინებდა (4.7 პროცენტი) და საზოგადოების წინაშე ქალის დაკნინებისა და დამცირების გამომწვევი ქცევა (4.4 პროცენტი). იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ემოციური ძალადობა, 88.7 პროცენტმა განაცხადა, რომ ემოციური ძალადობის ჩამდენი პირი იყო მათი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 10.8 პროცენტის განცხადებით, აღნიშნული პირი იყო მათი წინა მეუღლე/პარტნიორი (**ცხრილი 6.4**).

**ცხრილი 6.4.** ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში (პროცენტი)

	 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	 ცხოვრების მანძილზე	 ბოლო 12 თვის მანძილზე
 <b>ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოცემული ქმედებებიდან)</b>	<b>12.6</b>	<b>3.2</b>
შეურაცხყოფა მოგაყენათ, ან მოიქცა ისე, რომ თქვენს თავზე ცუდი წარმოდგენა შეგექმნათ	9.7	2.3
გესაუბრათ ისე, რომ თავი სულელად ან უვარგისად გაგრძნობინათ	6.5	1.6
განზრახ მოიქცა ისე, ან თქვა რაიმე, რამაც დაგაფრთხოთ ან დაგაშინათ (მაგალითად, გამოხედვით, ყვირილით ან ნივთების დამტვრევით)	4.7	0.7
დაგაკნინათ ან დაგამცირათ საზოგადოების წინაშე	4.4	0.7
დაამტვრია თქვენთვის მნიშვნელოვანი ნივთები, როგორცაა პირადი საკუთრება ან ზიანი მიაყენა თქვენს შინაურ ცხოველებს	3.7	0.4
სიტყვიერად გემუქრებოდათ, რომ ზიანს მოგაყენებდათ თქვენ ან თქვენთვის ძვირფას ადამიანებს	3.2	0.7
გემუქრებოდათ, რომ გამოაქვეყნებდა ან გაავრცელებდა თქვენს ინტიმურ ან სექსუალური ხასიათის სურათებს, თქვენი თანხმობის გარეშე	0.1	0.1
<b>ემოციური ძალადობის ჩამდენი პირები</b>	<b>∞ ცხოვრების მანძილზე N = 388</b>	
 ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი	88.7	
 წინა მეუღლე/პარტნიორი	10.8	
 ორივე	0.4	
 უარი პასუხზე	0.2	

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.37.






## 6.5.2 მაკონტროლებელი ქცევა

პარტნიორის მხრიდან ძალადობა, და განსაკუთრებით ემოციური ძალადობა, მჭიდრო კავშირშია მაკონტროლებელ ქცევასთან, როგორცაა მუდმივი ეჭვიანობა და ლალატში დადანაშაულება, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შეზღუდვა, და სხვა პირებთან კომუნიკაციის კონტროლი.<sup>6</sup> გამოკვლევის ფარგლებში, ქალებს კითხვები დაუსვეს თავიანთი კაცი პარტნიორების მიერ გამოვლენილი მაკონტროლებელი ქცევის ტიპების შესახებ. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ თითქმის ყოველ მეხუთე ქალს (18.8 პროცენტი) ცხოვრების მანძილზე გამოუცდია თუნდაც ერთი მაკონტროლებელი ქცევა თავისი კაცი პარტნიორის მხრიდან, ხოლო აღნიშნული მაჩვენებლის გავრცელების მიმდინარე დონემ 8.3 პროცენტი შეადგინა (**ცხრილი 6.5**).

პარტნიორის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევის ყველაზე ხშირად გავრცელებული ქმედებები, რომელთაც ქალები განიცდიდნენ იყო იმის დაჟინებით და გამუდმებით ცოდნის სურვილი, თუ სად იმყოფებოდნენ ქალები (15.1 პროცენტი) და ეჭვიანობისა და სიბრაზის გამოხატვა იმ შემთხვევაში, თუ ქალი სხვა კაცს გაესაუბრებოდა (9.2 პროცენტი). იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ მაკონტროლებელი ქცევა, 93.0 პროცენტმა განაცხადა, რომ მაკონტროლებელი ქცევის ჩამდენი პირი იყო მათი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 5.2 პროცენტის განცხადებით აღნიშნული პირი იყო მათი წინა მეუღლე/პარტნიორი.

**ცხრილი 6.5.** მაკონტროლებელი ქცევა პარტნიორის მხრიდან, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში (პროცენტი)

	ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	ცხოვრების მანძილზე	ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>მაკონტროლებელი ქცევა პარტნიორის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოცემული ქმედებებიდან)</b>	<b>18.8</b>	<b>8.3</b>
ყოველთვის, დაჟინებით უნდოდა სცოდნოდა თუ სად იმყოფებოდა	15.1	7.0
ეჭვიანობა ან ბრაზდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაესაუბრებოდა სხვა კაცს	9.2	2.6
არ მოგცათ საშუალება, გენახათ/შეხვედროდით მდებარეობითი სქესის მეგობრებს	5.0	1.3
რეგულარულად აკონტროლებდა თქვენს სატელეფონო ზარებს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ან/და სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ პოსტებს, რათა ენახა ვისთან და რა სიხშირით გაქვთ კომუნიკაცია	3.0	1.5

	 <b>ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები</b> <b>N = 2,976</b>	
	 <b>ცხოვრების მანძილზე</b>	 <b>ბოლო 12 თვის მანძილზე</b>
ხშირად ეჭვობდა, რომ თქვენ მას ღალატობთ	2.6	0.5
გიზღუდავდათ კონტაქტს თქვენს ოჯახთან, მათ შორის მშობლებთან, დედამამიშვილებთან ან სხვა ნათესავებთან	2.2	0.3
იყენებდა მობილურ ტექნოლოგიას, იმის შესამოწმებლად, თუ სად იმყოფებოდით	0.7	0.3
გიშლიდათ ხელს, რომ გესარგებლათ სამედიცინო მომსახურებით მისი ნებართვის გარეშე	0.4	0.1
<b>მაკონტროლებელი ქცევის ჩამდენი პირები</b>	<b>∞ ცხოვრების მანძილზე</b> <b>N = 563</b>	
 ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი		93.0
 წინა მეუღლე/პარტნიორი		5.2
 ორივე		0.5
 არ ვიცი		0.8
 უარი პასუხზე		0.5

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.38.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, სულ მცირე ერთი ფუნქციური სირთულის მქონე ქალები, უფრო ხშირად განიცდიან ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობას (27.2 პროცენტი), ვიდრე ფუნქციური სირთულების არმქონე ქალები (20.1 პროცენტი). გარდა ამისა, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი, ფუნქციური სირთულების მქონე ქალების 14.7 პროცენტმა განაცხადა, რომ ცხოვრების მანძილზე გამოუცდია ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 21.1 პროცენტს გამოუცდია მაკონტროლებელი ქცევა. გავრცელების ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს ფუნქციური სირთულების არმქონე ქალებისთვის (შესაბამისად, 10.4 პროცენტი და 16.4 პროცენტი) (ცხრილი B.33).

თვისებრივი კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ძალადობის მსხვერპლი ბევრი ქალისთვის ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე ადრე იწყება პარტნიორების ურთიერთობაში და მოიცავს მაკონტროლებელ ქმედებებს მათი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან.

„ჩემებს არ უშვებდა ჩემთან, მეჯვარეს, დაქალს, მეგობარს, რომლებიც მოდიოდნენ, პირდაპირ აკრძალული მქონდა არ გაულო კარებიო, ვითომ არ ხარ სახლშიო.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

„ჩემი უახლოესი მეგობრები 2-3 ჯერ მყავს ალბათ ნანახი მთელი ორი წლის მანძილზე, რაც მის გვერდით ვიყავი. როგორც ვთქვი, პირდაპირ აკრძალვას არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ირიბად იყო შეზღუდვები, რომ ეს არის გასაკეთებელი სახლში, ამას ვინ მიხედავს, ბავშვს ვინ მიხედავს და მე ვინ მომივლის და ა.შ. ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობა ფაქტობრივად განწყვეტილი მქონდა მიმონერის დონეზეც კი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებული ფორმებია დამცირება, დადანაშაულება და მანიპულირება. ზოგიერთი მეუღლე/პარტნიორი ქალებს სიგიჟეშიც კი ადანაშაულებდა ძალადობაზე რეაქციის გამო, ასევე იმისათვის, რომ ისინი არ ეგუებოდნენ მეუღლის/პარტნიორის ლალატს. ქალებმა ისაუბრეს, რომ მათ ამცირებდნენ სხვების თანდასწრებით, მათ შორის საკუთარი შვილების. ფსიქოლოგიურმა ძალადობამ დააქვეითა ქალების თვითშეფასებისა და თვითეფექტურობის გრძნობა, რამაც ისინი კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულები გახადა პარტნიორზე. ქალები ყვებოდნენ თუ როგორ ცხოვრობდნენ მუდმივ ფსიქოლოგიურ ტერორში, რომელიც მოიცავდა განმეორებით მუქარასა და დამცირებას და ძალადობაში თავად მსხვერპლი ქალის დადანაშაულებას.

ძალადობის მსხვერპლი ქალების თქმით, პარტნიორები ხშირად ემუქრებოდნენ დაზიანებით ან მოკვლით და ბავშვების მათგან წაყვანით. ასეთი მუქარა გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც მეუღლეებს/პარტნიორებს ჰქონდათ შემაკავებელი ორდერი მათ მიმართ ან/და ციხეში იმყოფებოდნენ. ასეთ დროს ქალები მუდმივ შიშში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი ამბობს, რომ: „თვეში ერთხელ მაინც რეკავს ციხიდან, როგორც კი მირეკავს, ეგრევე დაიწყებს, მაინც აქედან გამოვალ და მოგკლავო, აღარ გაცოცხლებო. სიკვდილის ღირსი მართლა არ ვარ.“ სხვა ქალის თქმით: „ვერანაირ დაზღვევას ვერ ვიღებ, რომ ერთ დღეს გამოსული ვარ, რა დროს ქუჩაში დამხვდეს და მომკლას. რომელიც რომ არ მაპატიოს, რომ მე ეგ დავაჭვრინე, გავიმეტე.“

„დაიხ, იქედან დაიწყო, დაიწყო სიტყვებიდან [...] თუ თვითონ იჭდა და გვერდით მე ვიჭეტი და ვლაპარაკობდი მეტყოდა შე უტვინო, შე უჭკუო, ყველაფერი დაიწყო სიტყვებიდან, უტვინო, რას გავხარ, როგორ გამოიყურები,“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).


„ძალადობა იყო ფსიქოლოგიური. ფსიქოლოგიურად მანგრევედა, შენ ხარ გიჟიო, მეუბნებოდა, ცემაზეც გადადიოდა, ხელის შეხებაზეც, საყვარლის გულიზეც მცემა, ძალიან მცემა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

„ყველას თანდასწრებით, სტუმარი მოსულიყო ან ჩვენ სადღაც ვყოფილიყავით და მე რამე მეკითხა ან მეთქვა, ეგრევე დამამცირებდა, „შენ არაფერი არ გესმის,“ „უჩემოდ შენ არაფერი ხარ.“ ბოლოს დაიწყო ბავშვების ჩემ წინააღმდეგ ამხედრება. ბავშვებთან ამბობდა - დედათქვენი არაფერი არ არის, დედათქვენს არაფერი ესმის, მე მესმის.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

## 6.6 ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

ეკონომიკური ძალადობის სიცოცხლის მანძილზე გავრცელების დონე გულისხმობს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს, რომლებმაც განაცხადეს რომ მათ უკრძალავდნენ სამსახურის დაწყებას, სამსახურში სიარულს ან შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართვას, უარს ეუბნებოდნენ საოჯახო ხარჯებისთვის ფულის მიცემაზე, თუმცა ფული ხელმისაწვდომი იყო სხვა ხარჯებისთვის, და ართმევდნენ მათ შემოსავალს, მათი ნების წინააღმდეგ ან აკონტროლებდნენ მათ ფინანსებს. პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის სიცოცხლის მანძილზე გავრცელების დონემ შეადგინა 8.4 პროცენტი, ხოლო გავრცელების მიმდინარე დონემ - 2.4 პროცენტი. პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ქმედებები, რომელთაც ქალები განიცდიდნენ იყო სამსახურის დაწყების, მუშაობის, ვაჭრობის, ფულის შოვნის ან შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართვის აკრძალვა (5.8 პროცენტი) და მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფულის მიცემაზე უარის თქმა, როდესაც ქალს ფული სჭირდებოდა საოჯახო ხარჯებისთვის, თუმცა, მეუღლეს/პარტნიორს თვითონ ჰქონდა ფული სხვა მიზნებისთვის, როგორცაა ალკოჰოლი და სიგარეტი (3.5 პროცენტი). იმ ქალებს შორის, რომელთაც სიცოცხლის მანძილზე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობა, 91.5 პროცენტმა განაცხადა, რომ ეკონომიკური ძალადობის ჩამდენი პირი იყო მათი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 7.4 პროცენტის განცხადებით, აღნიშნული პირი იყო მათი წინა მეუღლე/პარტნიორი (ცხრილი 6.6).

**ცხრილი 6.6.** პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის გავრცელების დონე, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში (პროცენტი)

	ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	ცხოვრების მანძილზე	ბოლო 12 თვის მანძილზე
 <b>ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოცემული ქმედებებიდან)</b>	<b>8.4</b>	<b>2.4</b>
გუკრძალავდათ სამსახურის დაწყებას, მუშაობას, ვაჭრობას, ფულის შოვნას ან შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართვას	5.8	1.6
არ გაძლევდათ ფულს, როცა გჭირდებოდათ საოჯახო ხარჯებისთვის, თუმცა, თვითონ ჰქონდა ფული სხვა მიზნებისთვის, როგორცაა ალკოჰოლი და სიგარეტი	3.5	0.7
გართმევდათ თქვენს შემოსავალს, თქვენი ნების წინააღმდეგ ან აკონტროლებდა თქვენს ფინანსებს	1.6	0.4



	 <b>ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები</b> <b>N = 2,976</b>	
	 <b>ცხოვრების მანძილზე</b>	 <b>ბოლო 12 თვის მანძილზე</b>
<b>ეკონომიკური ძალადობის ჩამდენი პირები</b>	<b>∞ გავრცელების დონე სიცოცხლის მანძილზე</b> <b>N = 263</b>	
 ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი	91.5	
 წინა მეუღლე/პარტნიორი	7.4	
 უარი პასუხზე	1.2	

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.39.

თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობა იშვიათად ხდება ძალადობის სხვა ფორმებისგან დამოუკიდებლად. ქალები ეკონომიკური ძალადობის გამოცდილებას უკავშირებენ არსებულ შეხედულებებს კაცის როლის შესახებ, რომლის მიხედვითაც კაცი ოჯახის უფროსად და ოჯახის ფინანსურ მომწოდებლად ითვლება. ქალების აზრით, ზოგიერთი კაცი ეკონომიკურ ძალადობას იყენებს საკუთარი უპირატესობისა და ძალის საჩვენებლად ქორწინებასა და ოჯახში. ამ მიზნით, მაგალითად, ისინი ქალებს უბღუდავენ ხელმისაწვდომობას ძირითად საჭიროებებზე, მათ შორის, საკვებასა და ჰიგიენურ საშუალებებზე და ასევე, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებსა და დასასვენებელ აქტივობებზე, როგორცაა მეგობრებთან დროის გატარება.

ძალადობის მსხვერპლი ქალები ასევე საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ უკრძალავდნენ ან უბღუდავდნენ მეუღლეები/პარტნიორები მუშაობასა და ოჯახის რჩენაში დახმარებას, თუმცა, ამავე დროს, მათ სთხოვდნენ საყოფაცხოვრებო საჭიროებებში ფინანსურ დახმარებას. ზოგიერთ ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რადგან მისი მოთხოვნა ძირითადი საჭიროებების შესახებ აღქმული იყო ისე, რომ თითქოს მან ეჭვქვეშ დააყენა მეუღლის/პარტნიორის შესაძლებლობები - შეესრულებინა თავისი, როგორც ოჯახის მარჩენლის, როლი და პასუხისმგებლობები.

„სარეცხის გარეცხვის საშუალებასაც არ მაძლევდა, ჰიგიენური საფენებისთვის უნდა მეხვეწა ჩემი ქმრისთვის ან დედამთილისთვის ეყიდათ თუ არ ეყიდათ.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

„მიშლიდა ჩემი მეუღლე თანხა რომ იყო საჭირო, ჩემი თანაკურსელები რესტორანში რომ წავიდნენ, მე ვერ ჩამოვედი, არც დასადები თანხა მომცა, არც გზის ფული. ზუსტად ერთ კვირა ვეხვეწე რომ ბავშვისთვის პლასტელინი ეყიდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

„ბავშვებს ელემენტარული რომ ჭირდებოდათ და ამას ვამბობდი, ხელს აწევდა ჩემზე ეგრევე. ან სკოლა მოდის, ან ფეხსაცმელი არ აქვს. მე უფლება არ მქონდა გავიდე, ვიმუშაო, რაღაცა ვქნა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

თვისებრვი კვლევის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლი ქალები საუბრობდნენ ისეთ გამოცდილებაზე, როდესაც მათ სახლის გარეთ მუშაობა და ოჯახის შემოსავლის მომტან საქმიანობაში ჩართვა შეეძლოთ, თუმცა, როცა პარტნიორები იგებდნენ ამის შესახებ, ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ამ ინიციატივის გამო. ზოგჯერ პარტნიორები უზღუდავდნენ მათ წვდომას უკვე მიღებულ ანაზღაურებაზე. ზოგიერთმა კი კანონიერი უფლება მოიპოვა ქალის ქონებასა თუ საოჯახო ბიზნესზე. ასევე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სწორედ ქალები იყვნენ ოჯახის ერთადერთი მარჩენლები, ხოლო თუ მათი შემოსავალი არ იყო საკმარისი ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მეუღლეები ფიზიკურად ძალადობდნენ მათზე. ძალადობის ერთერთი მსხვერპლის განცხადებით: „*მე ღამეები ვმუშაობდი ხოლმე ძიხად და მართლა ჩემი ოფლით და სისხლით გამოვიმუშავებდი ამ ფულს და რომ ვიცოდი, სახლში რომ მოვიდოდი, უნდა ვეცემე და წაერთმია.*“ ხოლო, ძალადობის კიდევ ერთი მსხვერპლი ქალი აღნიშნავს: „*მაღაზიაში კონსულტანტად ვმუშაობდი - არავინ მიშლიდა, პირიქით, ორივეს უნდოდა რომ მემუშავა, რომ ხელფასი მიმეცა.*“

ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები ასევე იხსენებდნენ, თუ როგორ იყენებდნენ მათ თავიანთი მეუღლეები/პარტნიორები ფინანსური სარგებლის მისაღებად, და ყურადღებისა და სიყვარულის სანაცვლოდ, ემოციურ მანიპულაციას ახდენდნენ მათზე. ზოგჯერ პარტნიორები რეგულარულად სძალავდნენ ქალებს ფულს ალკოჰოლისა და აზარტული თამაშებისთვის. ქალები საუბრობდნენ იმაზეც, რომ მათი პარტნიორები იპარავდნენ მათ ფულს, აზიანებდნენ მათ ნივთებს და აკონტროლებდნენ მათ ქონებას. ასეთ შემთხვევებში ქალის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ნებისმიერი მცდელობა კი მხოლოდ ფიზიკური ძალადობის გამწვავებას იწვევდა. ხშირ შემთხვევაში, ქალები, რომლებიც ტოვებდნენ ასეთ ეკონომიკურად ძალადობრივ ურთიერთობებს, რჩებოდნენ ფინანსური სახსრების გარეშე, ზოგჯერ კი - დიდი ოდენობის ვალით.

*„ამაზე [ფულზე] ჰქონდა პრობლემა, ამბობდა, მე ფული მომაქვს და შენ აქრობ. სახლში საჭმელი არაფერი არ არის. მერე რომ ვეუბნებოდი, მე დავინყებ მუშაობას-მეთქი, შენ რატომ უნდა დაინყო მუშაობაო. მე ვარ აქ კაცი და მე უნდა ვიმუშაოო.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

*„მაშინ ვმუშაობდი კიდევაც, თონე იყო, მაღაზია იყო, ყველანაირად, ფულის ჩარიცხვა იყო თუ რა იყო, ყველაფერს ვაკეთებდი... ფულს გამომძალავდა, მასესხე - 300-400 ლარებს ვაძლევდი და არასდროს აბრუნებდა.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

*„გაიტანა სახლიდან ყველაფერი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დავინყე მუშაობა. ხელფასს მე არ ვხედავდი, ყველაფერს ისე მართმევდა და სათამაშოდ მიდიოდა.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).


*„კი, [...] ვმუშაობდი, 30 ლარს ვაკეთებდი დღეში, წამართმევდა, ცემაში მომკლავდა, რომ არ მიმეცა ის თანხა. იმას ითამაშებდა, რომ წააგებდა, იმის გულიზა მცემდა, შენი გულიზა წავაგეო.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

*„საკმაოდ შემოსავლიანი სამსახური მქონდა და ვერ წარმოვიდგენდი რომ ოდესმე ესეთ დონეზე დავეცემოდი და ნულიდან დავინყებდი.“* (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

## 6.7 მეუღლის/პარტნიორის მიმართ შიში

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების უმრავლესობას არ ეშინია თავისი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის (92.7 პროცენტი). ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მხოლოდ 2.3 პროცენტმა განაცხადა, რომ ეშინია ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, 4.7 პროცენტმა განაცხადა, რომ წარსულში ეშინოდა ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, ხოლო ამჟამად არ ეშინია. იმ ქალებს შორის, რომელთაც განაცხადეს, რომ ეშინიათ თავიანთი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, 18.8 პროცენტს უმეტესწილად/ყოველთვის ეშინია, 30.4 პროცენტს ხშირად ეშინია, ხოლო 48.4 პროცენტს - ზოგჯერ (ცხრილი 6.7).


**ცხრილი 6.7.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომელთაც ეშინიათ თავიანთი მეუღლის/ პარტნიორის (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
გეშინიათ თუ არა თქვენი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის?	
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	2.3
<input checked="" type="checkbox"/> არა, არასდროს	92.7
<input checked="" type="checkbox"/> ახლა არა, წარსულში კი	4.7
<input checked="" type="checkbox"/> არ ვიცი/ არ მახსოვს	0.2
<input checked="" type="checkbox"/> უარი პასუხზე	0.1
რამდენად ხშირად გეშინიათ/გეშინოდათ თქვენი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის?	
N = 203	
<input checked="" type="checkbox"/> ზოგჯერ	48.4
<input checked="" type="checkbox"/> ხშირად	30.4
<input checked="" type="checkbox"/> უმეტესწილად/ყოველთვის	18.8
<input checked="" type="checkbox"/> არ ვიცი/არ მახსოვს	1.7
<input checked="" type="checkbox"/> უარი პასუხზე	0.8

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.40.

**დიაგრამა 6.9** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ ძალადობის ოთხი ფორმიდან ერთი მაინც - ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა - უფრო მეტად აცხადებენ, რომ ეშინიათ ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის (8.0 პროცენტი) ან წარსულში ეშინოდათ ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, ხოლო ამჟამად არ ეშინიათ (17.4 პროცენტი), იმ ქალებთან შედარებით, რომელთაც ცხოვრების მანძილზე არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა (შესაბამისად, 0.2 პროცენტი და 0.1 პროცენტი).

**დიაგრამა 6.9.** ქალები, რომელთაც ეშინიათ თავიანთი მეუღლის/ პარტნიორის, ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.41.

იმ ქალების უმრავლესობამ, რომლებსაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, განაცხადა რომ ხანდახან ეშინია თავისი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის (48.4 %), 31.3 პროცენტმა განაცხადა, რომ ეშინია ხშირად, ხოლო 19.3 პროცენტმა განაცხადა, რომ - უმეტესწილად/ყოველთვის (ცხრილი B.41).

**დიაგრამა 6.10** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომელთაც ბოლო 12 თვის მანძილზე გამოუცდიათ ძალადობის ოთხი ფორმიდან ერთი მაინც - ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან/და ეკონომიკური ძალადობა, უფრო მეტად აცხადებენ რომ ეშინიათ ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის (10.7 პროცენტი) ან წარსულში ეშინოდათ ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, ხოლო ამჟამად არ ეშინიათ (12.5 პროცენტი), იმ ქალებთან შედარებით, რომელთაც მიმდინარე პერიოდში არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა (შესაბამისად, 1.3 პროცენტი და 3.8 პროცენტი).

**დიაგრამა 6.10.** ქალები, რომელთაც ეშინიათ თავიანთი მეუღლის/ პარტნიორის, ბოლო 12 თვის მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.42.

იმ ქალების უმრავლესობამ, რომლებსაც მიმდინარე პერიოდში გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, განაცხადა რომ ეშინია თავიანთი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/ პარტნიორის ხშირად ან უმეტესწილად/ყოველთვის (47.9 პროცენტი) და ხანდახან (52.1 პროცენტი) (ცხრილი B.42).

**დიაგრამა 6.11** გვიჩვენებს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების წილს, რომელთაც ეშინიათ/ეშინოდათ თავიანთი მეუღლის/პარტნიორის, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილი ფორმების მიხედვით. ქალები, რომლებსაც გამოუცდიათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, უფრო მეტად აღნიშნავენ, რომ ეშინოდათ თავიანთი ამჟამინდელი ან ბოლო მეუღლის/პარტნიორის, იმ ქალებთან შედარებით, რომლებსაც გამოუცდიათ ფსიქოლოგიური ძალადობა ან ეკონომიკური ძალადობა.

**დიაგრამა 6.11.** ქალები, რომელთაც ეშინიათ თავიანთი მეუღლის/ პარტნიორის, ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის ტიპის ცხოვრების მანძილზე მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.43.

## 6.8 კაცის მიერ ალკოჰოლის მოხმარება და ქალთა მიმართ ძალადობა

კაცებს დაუსვეს კითხვა ბოლო 12 თვის მანძილზე ალკოჰოლის მოხმარების შესახებ, მათ შორის რამდენად ხშირად სვამენ ალკოჰოლს და რამდენად ხშირად ყოფილან მთვრალი.

**დიაგრამა 6.12** გვიჩვენებს, რომ კაცების 78.4 პროცენტმა განაცხადა რომ ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი ბოლო 12 თვის მანძილზე, ხოლო 21.6 პროცენტმა განაცხადა - არცერთხელ. 40.6 პროცენტმა განაცხადა, რომ ალკოჰოლს სვამდა უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ, 26.1 პროცენტმა - თვეში 1-3-ჯერ, 10.1 პროცენტმა - კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო 1.6 პროცენტმა - ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე.

**დიაგრამა 6.12.** კაცების მიერ ალკოჰოლის მოხმარება ბოლო 12 თვის მანძილზე (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.44.

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 82.2 პროცენტმა განაცხადა, რომ მისი მეუღლე/პარტნიორი ბოლო 12 თვის მანძილზე სვამდა ალკოჰოლურ სასმელს. კერძოდ, 46.9 პროცენტმა აღნიშნა, რომ მისი მეუღლე/პარტნიორი ალკოჰოლს სვამდა უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში ერთხელ, 21.4 პროცენტმა - თვეში 1-3-ჯერ, 10.6 პროცენტმა - კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო 3.3 პროცენტმა - ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე (ცხრილი B.45).

**დიაგრამა 6.13** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი ბოლო 12 თვის მანძილზე ალკოჰოლს სვამდა ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე, ყველაზე მეტად განიცდიდნენ ძალადობას პარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე (76.9 პროცენტი). ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი ალკოჰოლს სვამდა ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე, სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ვიდრე ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი ალკოჰოლს სვამდა თვეში 1-3-ჯერ (23.9 პროცენტი). ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი ალკოჰოლს სვამდა უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში ერთხელ, ყველაზე ნაკლებად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას.


**დიაგრამა 6.13.** მეუღლის/ პარტნიორის მიერ ალკოჰოლის მოხმარება, ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.46.

**დიაგრამა 6.14** გვიჩვენებს რომ კაცების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ მთვრალი ყოფილა უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ (56.5 პროცენტი), 24.9 პროცენტი მთვრალი ყოფილა თვეში ერთხელ და 5.8 პროცენტი - კვირაში 1-3-ჯერ. კაცების მცირე რაოდენობამ აღნიშნა რომ მთვრალი ყოფილა კვირაში 4 ან მეტი დღე (უშეტეს დღეებში).

**დიაგრამა 6.14.** კაცების მიერ ალკოჰოლის მოხმარება და სიმთვრალე გასული 12 თვის მანძილზე (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.44.




ქალების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებიდან, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს მიუღია ალკოჰოლი გასული 12 თვის განმავლობაში, 90.3 პროცენტს გასულ 12 თვეში უნახავს თავისი მეუღლე/პარტნიორი მთვრალი. კერძოდ, ქალების 56.9 პროცენტს თავისი მეუღლე/პარტნიორი უნახავს მთვრალი უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ, 21.2 პროცენტს - თვეში ერთხელ, 9.3 პროცენტს - ყოველკვირა (1-3-ჯერ კვირაში), ხოლო 2.9 პროცენტს - უმეტეს დღეებში (კვირაში 4 ან მეტი დღე) (ცხრილი B.45).

კაცების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ მთვრალი ყოფილა უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ (56.5 პროცენტი), 24.9 პროცენტი ყოფილა მთვრალი საშუალოდ თვეში ერთხელ, ხოლო 5.8 პროცენტი - კვირაში 1-3-ჯერ. კაცების მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ მთვრალი ყოფილა კვირაში 4 ან მეტი დღე.

**დიაგრამა 6.15** გვიჩვენებს რომ ქალებს, რომელთა მეუღლე/პარტნიორი გასული 12 თვის განმავლობაში მთვრალი ყოფილა უმეტეს დღეებში (კვირაში 4 ან მეტი დღე), უფრო მეტად განიცდიდნენ ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ძალადობას (77.1 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი უმეტეს დღეებში ყოფილა მთვრალი, ორჯერ უფრო ხშირად განიცდიდნენ ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ვიდრე ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი მთვრალი ყოფილა ყოველკვირა (1-3-ჯერ კვირაში) (47.1 პროცენტი) და იმაზე სამჯერ უფრო ხშირად განიცდიდნენ ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ვიდრე ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი თვეში ერთხელ ყოფილა მთვრალი (23.8 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ ქალები, რომელთა მეუღლე/პარტნიორი გასული 12 თვის განმავლობაში არასდროს ყოფილა მთვრალი, ყველაზე ნაკლებად განიცდიდნენ ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან ძალადობას (19.5 პროცენტი).

**დიაგრამა 6.15.** მეუღლის/ პარტნიორის სიმთვრალე და ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობა (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.46.


თვისებრივი კვლევის ფარგლებში, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები საუბრობდნენ პარტნიორის მხრიდან ალკოჰოლის მოხმარებაზე, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელ ფაქტორზე. ზოგიერთმა ქალმა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ალკოჰოლის მოხმარება ძალადობის გამამართლებელ ფაქტორად გამოიყენა. ქალები აგრეთვე აღნიშნავდნენ იმას, რომ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს ეშინოდათ კიდევ მისი მეუღლის/პარტნიორის, ვინაიდან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მას რთული ხასიათი ჰქონდა. ხშირად, მეუღლის/პარტნიორის ალკოჰოლის მოხმარება და ბოროტად გამოყენება, ქალს ზღუდავდა პარტნიორის მხრიდან ძალადობისგან დახმარების ძიებაში, ვინაიდან იცოდნენ, რომ სხვები ამჯობინებდნენ არ ჩარეულიყვნენ, როდესაც მათი მეუღლე/პარტნიორი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო.

*„ძირითადად, როცა ნასვამი იყო. იყო შემთხვევები, როცა ფხიზელზე გავუღახივარ და მერე გაუმართლებია თავი, ხომ ხედავ შენ ფხიზელზეც გცემ, ე.ი. საცემი ხარ. ფხიზელზეც და მთვრალზეც, ასე მეტყოდა ხოლმე. მაგრამ უფრო სისტემატიურად ნასვამი როცა იყო და სულ ნასვამი იყო, როცა სახლში იყო“. (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

## 6.9 კაცის მონაწილეობა ფიზიკურ ჩხუბში სხვა კაცებთან და მისი ზეგავლენა პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე

კაცებს კითხვები დაუსვეს 15 წლის ასაკიდან მათი ფიზიკურ ჩხუბში მონაწილეობის შესახებ. რაც მოიცავდა კითხვებს იმის შესახებ, დაშავებულან თუ არა ოდესმე, ან მიუღიათ თუ არა ტრავმა სხვა კაცთან ფიზიკურად ჩხუბის დროს და რა სახის ტრავმა მიუღიათ, აგრეთვე ფიზიკური ჩხუბის დროს დაუშავებიათ თუ არა ოდესმე სხვა კაცი. **დიაგრამა 6.16** გვიჩვენებს, რომ კაცების 40.7 პროცენტმა განაცხადა, რომ 15 წლის ასაკიდან ოდესმე ფიზიკურად უჩხუბია სხვა კაცთან, ხოლო 29.7 პროცენტმა განაცხადა რომ ფიზიკურ ჩხუბში რამდენჯერმე მიუღია მონაწილეობა. გარდა ამისა, 5.6 პროცენტს უჩხუბია ბოლო 12 თვის მანძილზე. 15-24 წლის კაცები უფრო მეტად მონაწილეობდნენ ფიზიკურ ჩხუბში ბოლო 12 თვის მანძილზე (18.9 პროცენტი), ვიდრე 25-34 წლის კაცები (3.5 პროცენტი) და 35 წლის და უფროსი ასაკის კაცები (1 პროცენტზე ნაკლები).

**დიაგრამა 6.16.** კაცების მონაწილეობა ფიზიკურ ჩხუბში (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.47.

**ცხრილი 6.8** გვიჩვენებს რომ იმ კაცებს შორის, რომლებსაც ოდესმე უჩხუბიათ ფიზიკურად სხვა კაცთან 15 წლის ასაკიდან, 19.4 პროცენტს დაუშავებია სხვა კაცი. მათ შორის, ვისაც ფიზიკური ჩხუბის დროს დაუშავებია სხვა კაცი, 59.0 პროცენტს სხვა კაცი დაუშავებია რამდენჯერმე (2-5 ჯერ), 36.2 პროცენტს - მხოლოდ ერთხელ. კაცების მცირე რაოდენობამ აღნიშნა რომ ფიზიკური ჩხუბის დროს სხვა კაცი ბევრჯერ დაუშავებია (1.3 პროცენტი).









**ცხრილი 6.8.** კაცები, რომლებსაც ფიზიკური ჩხუბის დროს დაუშავებიათ სხვა კაცი (პროცენტი)






 კაცები (15-69 წლის), რომლებსაც 15 წლის ასაკიდან ფიზიკურად უჩხუბიათ სხვა კაცთან <b>N = 451</b>	
 დაგიშავებიათ თუ არა ოდესმე სხვა კაცი ფიზიკური ჩხუბის დროს?	
დიახ	19.4
არა	79.8
არ ვიცი/არ მახსოვს	0.3
უარი პასუხზე	0.5
15 წლის ასაკიდან მოყოლებული, რამდენჯერ დაგიშავებიათ სხვა კაცი ფიზიკურად ჩხუბის დროს? <span style="float: right;">N = 95</span>	
ერთხელ	36.2
რამდენჯერმე (2-5 ჯერ)	59.0
ბევრჯერ (5-ზე მეტჯერ)	1.3
არ ვიცი/არ მახსოვს	3.5

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.48.

**ცხრილი 6.9** გვიჩვენებს რომ იმ კაცებს შორის, რომლებსაც ოდესმე უჩხუბიათ ფიზიკურად სხვა კაცთან, 17.5 პროცენტმა განაცხადა, რომ ყოფილა დაშავებული. დაშავებულ კაცებს შორის, 54.7 პროცენტი დაშავებულა ან მიუღია ტრავმა რამდენჯერმე (2-5 ჯერ), ხოლო 44.4 პროცენტი მხოლოდ ერთხელ დაშავებულა. დაშავებული კაცების უმრავლესობას სხეულზე ჰქონდა ნაკანრები, გადატყავებული და დაჟეჟილი ადგილები, ჰქონდა სისხლჩაქცევები (81.8 პროცენტი). ერთ მესამედს (34.4 პროცენტი) ასევე აღენიშნებოდა ჭრილობები, ნაჩხვლეტები, ნაკბენები. გაცილებით ნაკლებ კაცს აღენიშნებოდა ღრმა დაზიანებები, ჭრილობები, გამჭოლი ჭრილობები (10.4 პროცენტი), დაჭიმულობა, ნაღრძობი, ამოვარდნილობა (9.5 პროცენტი), თავის ტრავმები ან ტვინის შერყევები (7.8 პროცენტი) ან სხვა სახის ტრავმები. კაცების მხოლოდ 2.7 პროცენტმა განაცხადა, რომ მიიღო მუდმივი ტრავმა, რომელმაც გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობა ან დასახიჩრება.

**ცხრილი 6.9.** კაცები, რომლებიც დაშავებულან სხვა კაცთან ფიზიკური ჩხუბის დროს (პროცენტი)

		 კაცები (15-69 წლის), რომლებსაც 15 წლის ასაკიდან ფიზიკურად უჩხუბიათ სხვა კაცთან N = 451
	15 წლის ასაკიდან მოყოლებული, დაშავებულხართ თუ არა ოდესმე, ან მიგიღიათ ტრავმა სხვა კაცთან ფიზიკურად ჩხუბის დროს?	
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	17.5
<input type="checkbox"/>	არა	82.0
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.5
	15 წლის ასაკიდან მოყოლებული, რამდენჯერ დაშავებულხართ, მიგიღიათ ტრავმა სხვა კაცთან ფიზიკურად ჩხუბის დროს?	N = 90
<input checked="" type="radio"/>	ერთხელ	44.4
<input checked="" type="radio"/>	რამდენჯერმე (2-5 ჯერ)	54.7
<input type="radio"/>	არ ვიცი/არ მახსოვს	0.9
<b>ტრავმის ტიპი</b>		
	ნაკანრები, გადატყავება, დაჟეჟილობა, სისხლჩაქცევები	81.8
	ჭრილობები, ნაჩხვლეტები, ნაკბენები	34.4
	ღრმა დაზიანებები, ჭრილობები, გამჭოლი ჭრილობები	10.4
	დაჭიმულობა, ნაღრძობი, ამოვარდნილობა	9.5
	თავის ტრავმები ან ტვინის შერყევები	7.8
	ჩამტვრეული კბილები	5.6


	 კაცები (15-69 წლის), რომლებსაც 15 წლის ასაკიდან ფიზიკურად უჩხუბიათ სხვა კაცთან N = 451
 გამსკდარი ყურის ბარაბანი, თვალის ტრავმები	5.2
 გაბზარული ან გატეხილი ძვლები	3.0
 მუდმივი ტრავმა, რომელმაც გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობა ან დასახიჩრება	2.7
 მუცლის ან შინაგანი ტრავმები	1.1

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.49.

ქალების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13.1 პროცენტმა განაცხადა, რომ მის მეუღლეს/პარტნიორს უჩხუბია ოდესმე ფიზიკურად სხვა კაცთან (ცხრილი B.50).

**დიაგრამა 6.17** გვიჩვენებს რომ მეუღლის/პარტნიორის მონაწილეობა სხვა კაცთან ფიზიკურ ჩხუბში პარტნიორის მხრიდან ძალადობის რისკ ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, ქალები, რომელთა მეუღლეს/პარტნიორს უჩხუბია ფიზიკურად სხვა კაცთან, ყველაზე მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (92.9\* პროცენტი). ის ქალებიც კი, რომელთაც განაცხადეს, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს ერთხელ მაინც უჩხუბია ფიზიკურად სხვა კაცთან, ორჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე, ვიდრე ის ქალები, რომელთა მეუღლეს/პარტნიორს არასდროს უჩხუბია ფიზიკურად სხვა კაცთან.

**დიაგრამა 6.17.** მეუღლის/ პარტნიორის მონაწილეობა სხვა კაცთან ფიზიკურ ჩხუბში, ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.51.


\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

## 6.10 მეუღლის/პარტნიორის ურთიერთობა სხვა ქალთან

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 7.0 პროცენტის განცხადებით, მის მეუღლეს/პარტნიორს პარალელურად ჰქონდა ურთიერთობა სხვა ქალთან, როდესაც მასთან იყო ურთიერთობაში, ხოლო 5.9 პროცენტის განცხადებით მის მეუღლეს/პარტნიორს შესაძლოა ჰქონოდა ურთიერთობა სხვა ქალთან (ცხრილი B.52).

**დიაგრამა 6.18** გვიჩვენებს, რომ ქალები, რომელთა მეუღლეებს/პარტნიორებს ჰქონდათ ურთიერთობა სხვა ქალთან, მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას (64.2 პროცენტი). ქალები, რომელთა მეუღლეებს/პარტნიორებს ჰქონდათ ურთიერთობა ქორწინების გარეთ, დაახლოებით სამჯერ მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ვიდრე ქალები, რომელთა მეუღლეებს/პარტნიორებს არ ჰქონიათ ურთიერთობა ქორწინების გარეთ (21.3 პროცენტი). ის ქალებიც კი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს შესაძლოა ჰქონოდა ურთიერთობა ქორწინების გარეთ, დაახლოებით ორჯერ მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას (45.6 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომელთა მეუღლეს/პარტნიორს არ ჰქონია ურთიერთობა ქორწინების გარეთ (21.3 პროცენტი).

**დიაგრამა 6.18.** მეუღლის/პარტნიორის ურთიერთობა სხვა ქალთან, ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.53.

## 6.11 თაობათაშორისი ძალადობა პარტნიორის მხრიდან


არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვობაში ძალადობასთან შეხება კავშირშია პარტნიორის მხრიდან ძალადობის რისკთან. ძალადობასთან შეხება შეიძლება მოიცავდეს თვითმხილველობას, კერძოდ კი ოჯახში ძალადობის თვითმხილველობას, ან ბავშვობაში გადატანილ ძალადობას. მოცემული გამოკვლევის ფარგლებში ქალებს ეკითხებოდნენ ოდესმე თუ გამხდარან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველები თავად ან მათი მეუღლე/პარტნიორები ბავშვობაში (18 წლამდე ასაკში) და უცემიათ/სცემდნენ თუ არა მათ პარტნიორს ბავშვობაში. ასევე, ქალებს ეკითხებოდნენ ოდესმე დაუმცირებიათ თუ არა ისინი ბავშვობაში, რათა დადგენილიყო კავშირი ემოციურ ძალადობასა და პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებას შორის.

### 6.11.1 ქალების ბავშვობაში ოჯახში ძალადობასთან შეხება

კვლევის შედეგების თანახმად, ქალების 19.7 პროცენტმა ბავშვობაში განიცადა ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე) ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან. კერძოდ, ქალების 18.0 პროცენტმა ბავშვობაში განიცადა ფიზიკური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან, ხოლო 5.5 პროცენტმა განიცადა ემოციური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან. ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სილის განწა ან დუნდულებზე დარტყმა (17.2 პროცენტი), ხოლო ემოციური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას - განგრძობითი ხასიათის გინება/წყევლა ან დამცირება ვინმეს მხრიდან ოჯახში (4.7 პროცენტი). ასევე დადგინდა, რომ ქალების 9.6 პროცენტი ბავშვობაში გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი. კერძოდ, ქალების 9.4 პროცენტი შესწრებია იმას, რომ დედამისს მამამისი ან მეუღლე/პარტნიორი გამუდმებით აგინებდა/წყევლიდა ან ამცირებდა, ხოლო 3.1 პროცენტი გამხდარა იმის თვითმხილველი თუ როგორ ურტყამდა დედამისს მამამისი ან მეუღლე/პარტნიორი (ცხრილი B.54).

გამოკვლევის ფარგლებში ასევე მოხდა ბავშვობაში განცდილ ძალადობასა და ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ, ზრდასრულ ასაკში პარტნიორის მხრიდან ძალადობას შორის ურთიერთკავშირის დადგენა. **დიაგრამა 6.19** გვიჩვენებს, რომ ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში განიცადეს ფიზიკური ან ემოციური ძალადობა, ორჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (44.3 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომელთაც არ განუცდიათ ბავშვობაში ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (21.7 პროცენტი). ის ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში განიცადეს ფიზიკური ან ემოციური ძალადობა, სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას ცხოვრების მანძილზე (17.1 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომელთაც არ განუცდიათ ძალადობა ბავშვობაში (5.3 პროცენტი). ქალებმა, რომლებსაც არ განუცდიათ ბავშვობაში ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა, ნაკლებად განიცდიან პარტნიორის მხრიდან ძალადობას, განსაკუთრებით კი ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას პარტნიორის მხრიდან (შესაბამისად, 77.8 პროცენტმა და 94.7 პროცენტმა, განაცხადეს რომ არ განუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესაბამისი ფორმა).

**დიაგრამა 6.19.** ბავშვობაში განცდილი ძალადობა (18 წლამდე) და ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობა (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.55.

გარდა ამისა, არსებობს ურთიერთკავშირი ბავშვობაში დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველობასა და ზრდასრულ ასაკში ქალების მიერ, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებას შორის. **დიაგრამა 6.20** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებიც გამხდარან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველები, დაახლოებით ორჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (51.4 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებიც არ შესწრებიან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობას (23.1 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომლებიც ბავშვობაში გამხდარან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველები, თითქმის სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას ცხოვრების მანძილზე (16.6 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებიც არ შესწრებიან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობას (6.2 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ ქალებმა, რომლებიც არ შესწრებიან დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობას, ნაკლებად განიცდიან თავიანთი პარტნიორის მხრიდან ძალადობას, განსაკუთრებით კი ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას პარტნიორის მხრიდან (76.4 პროცენტი და 93.8 პროცენტი, შესაბამისად).



**ღიაზრება 6.20.** დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი ქალები (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.56.

### 6.11.2 ბავშვობაში გადატანილი ოჯახში ძალადობა კაცებში


გამოკვლევის ფარგლებში კაცებს ეკითხებოდნენ ბავშვობაში (18 წლამდე) დაჩაგვრის (ბულინგის) გამოცდილებასთან დაკავშირებით. მათ შორის, ჰქონდა თუ არა ადგილი დაჩაგვრას მათ მიმართ ან ისინი ჩაგრავდნენ თუ არა სხვებს. გამოკვლევის შედეგების თანახმად, კაცების 4.3 პროცენტმა განაცხადა, რომ 18 წლის ასაკამდე გამხდარა დაჩაგვრის მსხვერპლი (იგულისხმება რესპონდენტის მიმართ განმეორებითი ხასიათის დაჩაგვრა (ბულინგი), დაცინვა, შევიწროება ან ცემა სკოლაში ან უბანში/სამეზობლოში, რომელშიც ის გაიზარდა), ხოლო 4.9 პროცენტის განცხადებით, ის ჩაგრავდა სხვებს (იგულისხმება რესპონდენტის მხრიდან განმეორებითი ხასიათის დაჩაგვრა (ბულინგი), დაცინვა, შევიწროება ან ცემა სკოლაში ან უბანში/სამეზობლოში, რომელშიც ის გაიზარდა) (ცხრილი B.57). სხვების მხრიდან დაჩაგრული კაცების 40.9 პროცენტმა განაცხადა, რომ ისიც ჩაგრავდა სხვებს.

გარდა ამისა, კაცები ასევე გამოკითხეს ბავშვობაში (18 წლამდე) ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რაც მოიცავდა კითხვებს ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობის შესახებ და ოდესმე თუ გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველები.

**ცხრილი 6.10** გვიჩვენებს რომ კაცების 25.1 პროცენტმა ბავშვობაში (18 წლამდე) განიცადა ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან. კერძოდ, კაცების 22.3 პროცენტმა ბავშვობაში განიცადა ფიზიკური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან, ხოლო 6.1 პროცენტმა ბავშვობაში (18 წლამდე) განიცადა ემოციური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან. ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სილის განა ან დუნდულებზე დარტყმა (21.5 პროცენტი), ხოლო ემოციური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას - განგრძობითი ხასიათის გინება/წყევლა ან დამცირება ვინმეს მხრიდან ოჯახში (4.1 პროცენტი). ასევე დადგინდა, რომ კაცების 4.0 პროცენტი ბავშვობაში გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის

თვითმხილველი. კერძოდ, კაცების 3.9 პროცენტი შესწრებია იმას, რომ დედამისს მამამისი ან მეუღლე/პარტნიორი გამუდმებით აგინებდა/წყევლიდა ან ამცირებდა, ხოლო 0.5 პროცენტი გამხდარა იმის თვითმხილველი თუ როგორ ურტყამდა დედამისს მამამისი ან მეუღლე/პარტნიორი.

**ცხრილი 6.10.** კაცები, რომლებმაც განიცადეს ძალადობა ბავშვობაში (18 წლამდე) (პროცენტი)


	 კაცები (15-69 წლის ასაკის) N = 1,104
<b>ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან</b>	<b>25.1</b>
<b>ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოყვანილი ქმედებებიდან)</b>	<b>22.3</b>
სილა გაგანნათ ან გირტყამდათ დუნდულებზე (გაშლილი ხელით)?	21.5
გირტყამდათ ან გცემდათ მყარი საგნით, მაგალითად ქაშრით, ჯოხით, ცოცხით ან სხვა ნივთით?	1.8
გირტყამდათ ან გცემდათ (მუშტით)	1.4
გირტყამდათ წიხლს ან გათრევდათ?	0.2
<b>ბავშვობაში განცდილი ემოციური ძალადობა, ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან (ერთი მაინც ქვემოთ მოყვანილი ქმედებებიდან)</b>	<b>6.1</b>
თქვენ მიმართ ჰქონდა თუ არა ადგილი განგრძობითი ხასიათის გინებას/წყევლას ან დამცირებას ვინმეს მხრიდან თქვენს ოჯახში?	4.1
თქვენს ოჯახში, ვინმე ოდესმე დაგმუქრებიათ სახლიდან გაგდებით?	2.5
<b>დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი</b>	<b>4.0</b>
თქვენს ბავშვობაში (სანამ 18 წლის გახდებოდით), აგინებდა/წყევლიდა ან ამცირებდა თუ არა დედათქვენს მამათქვენი ან მეუღლე/პარტნიორი გამუდმებით?	3.9
თქვენს ბავშვობაში (სანამ 18 წლის გახდებოდით), ურტყამდა თუ არა დედათქვენს მამათქვენი ან მეუღლე/პარტნიორი?	0.5

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.58.

ქალების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 4.1 პროცენტის განცხადებით, მისი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლის/პარტნიორის ბავშვობაში, მის დედას სცემდა მეუღლე/პარტნიორი. გარდა ამისა, ქალების 4.4 პროცენტმა განაცხადა, რომ მის ამჟამინდელ/ბოლო მეუღლეს/პარტნიორს, მის ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ მისივე ოჯახის წევრები (ცხრილი B.59).

გამოკვლევის ფარგლებში ასევე მოხდა მეუღლის/პარტნიორის ბავშვობაში განცდილ ფიზიკურ ძალადობასა და ქალების მიერ, ზრდასრულ ასაკში პარტნიორის მხრიდან ძალადობას შორის ურთიერთკავშირის დადგენა. **დიაგრამა 6.21** გვიჩვენებს, რომ ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს, მის ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ მისივე ოჯახის წევრები, თითქმის სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (62.4 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს, ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ ოჯახის წევრები (22.2 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს, ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ ოჯახის წევრები, დაახლოებით ხუთჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას ცხოვრების მანძილზე (28.7 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს, ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ ოჯახის წევრები (5.0 პროცენტი). ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ, რომ მათ მეუღლეს/პარტნიორს, მის ბავშვობაში რეგულარულად სცემდნენ მისივე ოჯახის წევრები, ნაკლებად განიცდიან პარტნიორის მხრიდან ძალადობას, განსაკუთრებით კი ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას (77.2 პროცენტმა განაცხადა, რომ არ განუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ხოლო 95.0 პროცენტმა განაცხადა, რომ არ განუცდია პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა).

**დიაგრამა 6.21.** მეუღლის/პარტნიორის ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება და ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობა (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.60.

გამოკვლევამ ასევე დაადგინა, რომ ბავშვობაში ოჯახში ძალადობის თვითმხილველი კაცები დგანან გაზრდილი რისკის ქვეშ, რომ ზრდასრულ ასაკში თავად გახდებიან პარტნიორის მიმართ მოძალადეები.

**დიაგრამა 6.22** გვიჩვენებს, რომ ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი მეუღლე/პარტნიორი გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი, დაახლოებით სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ძალადობას ცხოვრების მანძილზე (64.5 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ რომ მათი მეუღლე/პარტნიორი გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი (21.3 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი მეუღლე/პარტნიორი გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი, დაახლოებით შვიდჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ თავიანთი პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას ცხოვრების მანძილზე (32.8 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ რომ მათი მეუღლე/პარტნიორი გამხდარა დედის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის თვითმხილველი (4.7 პროცენტი).

**დიაგრამა 6.22.** მეუღლის/ პარტნიორის ბავშვობაში, მისი თანდასწრებით ოჯახში ძალადობა და ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ძალადობა (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.61.

ეს შედეგები, თანხვედრაშია სხვა კვლევებთან, რომლებიც მიუთითებს, რომ კაცებს რომლებიც ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობენ თავიანთ პარტნიორებზე, გარკვეული საერთო მახასიათებლები გააჩნიათ. როგორც წესი, ისინი მეტად მოიხმარენ ალკოჰოლს, შესწრებიან მშობლის მიმართ ძალადობას, გამოუცდიათ ძალადობა ბავშვობაში ან/და აღიზარდნენ ძალადობრივ გარემოში.<sup>7</sup>

პანსონიკის მხრიდან

ქანდომბის გავრცელება


ქანდომბისა და მათი

შვილების

ჯანმრთელობასა და

პროდუქტობაზე

7




მოცემული თავი განიხილავს პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენას ქალთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, იმ ქალების შეფასებით, რომლებსაც გამოუცდათ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა. ის მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ქალებზე პარტნიორის მხრიდან ძალადობა, მოიცავს მათ შორის ძალადობასთან დაკავშირებულ დაზიანებებსა და პარტნიორის მხრიდან ძალადობის გრძელვადიან გავლენას ქალების ემოციურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, განიხილავს პარტნიორის მხრიდან ძალადობის ეკონომიკურ გავლენას და იმას, თუ ქალების შეფასებით როგორ იმოქმედა ძალადობამ მათზე. მოცემული თავის მეორე ნაწილი კი მოიცავს ბავშვების თანდასწრებით ოჯახში ძალადობას და მის გავლენას მათ კეთილდღეობაზე.

## 7.1 ქალთა ფიზიკური ჯანმრთელობა

ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას კრიტიკული გავლენა აქვს ქალის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. კვლევის ფარგლებში, ქალებს სთხოვეს შეეფასებინათ მათი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა. **დიაგრამა 7.1** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებსაც გამოუცდათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან უფრო მეტად აფასებდნენ თავიანთ ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ძალიან ცუდს (4.0 პროცენტი) ან ცუდს (19.2 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც არ გამოუცდათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (შესაბამისად, 2.3 პროცენტი და 13.9 პროცენტი). შესაბამისად, ქალები, რომლებსაც არ გამოუცდათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა უფრო მეტად აფასებდნენ თავიანთ ჯანმრთელობის მდგომარეობას როგორც კარგს (31.1 პროცენტი) ან ძალიან კარგს (7.0 პროცენტი), ვიდრე ქალები, რომლებსაც გამოუცდათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (შესაბამისად, 26.8 პროცენტი და 3.7 პროცენტი).

**დიაგრამა 7.1.** ქალების ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა სუბიექტური შეფასებით და ცხოვრების მანძილზე პარტნიორის მხრიდან განცდილი ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (პროცენტი)













შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.62.

დადასტურებულია, რომ ქალები, რომლებიც განიცდიან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას, ამ ძალადობის შედეგად უფრო მეტად განიცდიან აგრეთვე ჯანმრთელობის ტრავმულ შედეგებსაც. პარტნიორის მხრიდან ძალადობის ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, უფრო მეტად აღენიშნებათ ქრონიკული დაავადებები და უფრო მეტ დროს ატარებენ საწოლში, ვიდრე ქალები, რომლებსაც არასდროს გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა.<sup>1</sup> ავსტრალიაში, სწორედ პარტნიორის მხრიდან ძალადობა დასახელდა 18-44 წლის ასაკის ქალებში სიკვდილის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ავადმყოფობების გამომწვევ მთავარ ფაქტორად.<sup>2</sup>

ქალთა მიმართ ძალადობის 2022 წლის ეროვნულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 19.1 პროცენტს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, აგრეთვე მიუღიათ ტრავმა. იმ ქალებს შორის, რომლებიც ოდესმე დაშავებულან, 85.8\* პროცენტმა განაცხადა, რომ ფიზიკური ტრავმა მიაყენა მისმა ამჟამინდელმა/ბოლო მეუღლემ/პარტნიორმა, 12.0\* პროცენტმა განაცხადა, რომ ეს იყო მისი წინა მეუღლე/პარტნიორი, ხოლო 2.3\* პროცენტმა განაცხადა, რომ ფიზიკური ტრავმა მიაყენა ორივემ, როგორც ამჟამინდელმა/ბოლომ, ასევე წინა მეუღლემ/პარტნიორმა. გარდა ამისა, ქალების 28.0\* პროცენტმა განაცხადა რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ტრავმა მიუღია მხოლოდ ერთხელ, 41.6\* პროცენტს ტრავმა მიუღია 2-5 ჯერ, ხოლო 30.4\* პროცენტს - ხუთზე მეტჯერ. გარდა ამისა, ქალების, 8.8\* პროცენტმა განაცხადა რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო ბოლო 12 თვის მანძილზე (ცხრილი 7.1).

**ცხრილი 7.1.** ტრავმები, რომელიც მიუღიათ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებს, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 231	
მიგიღიათ თუ არა ფიზიკური ტრავმა თქვენი რომელიმე მეუღლის/პარტნიორის ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობრივი ქმედებების შედეგად?	
☑ დიახ	19.1
☒ არა	80.6
⊖ უარი პასუხზე	0.4

		 <b>ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან</b> <b>N = 231</b>
ვინ მოგაყენათ ფიზიკური ტრავმა? იყო ეს თქვენი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი, რომელიმე წინა მეუღლე/პარტნიორი, თუ ორივე?		მიუღია ფიზიკური ტრავმა პარტნიორის ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად N = 49
	ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი	85.8*
	წინა მეუღლე/პარტნიორი	12.0*
	ორივე	2.3*
თქვენი ცხოვრების მანძილზე, რამდენჯერ მოუყენებია(თ) თქვენთვის ფიზიკური ტრავმა თქვენს მეუღლე(ებ)ს/პარტნიორ(ებ)ს?		
	ერთხელ	28.0*
	რამდენჯერმე (2-5 ჯერ)	41.6*
	ბევრჯერ (5-ზე მეტი)	30.4*
მომხდარა თუ არა ეს გასული 12 თვის მანძილზე?		
	დიახ	8.8*
	არა	91.2*

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.63.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.













იმ ქალებს შორის, რომლებსაც პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად მიუღიათ ფიზიკური ტრავმა, დაახლოებით 4-დან 3 ქალს (78.5\* პროცენტი) აღენიშნებოდა ნაკანრები, გადატყავება, დაჟეჟილობა, სისხლჩაქცევები, ხოლო დაახლოებით 3-დან 1 ქალს (35.6\* პროცენტი) აღენიშნებოდა ჭრილობები, ნაჩხვლეტები, ნაკბენები. გარდა ამისა, ზოგიერთ ქალს აღენიშნებოდა თავის ტრავმები ან ტვინის შერყევები (16.9\* პროცენტი), გაბზარული ან გატეხილი ძვლები (16.5\* პროცენტი), დაჭიმულობა, ნალრძობი, ამოვარდნილობა (16.1\* პროცენტი) ან/და გამსკდარი ყურის ბარაბანი, თვალის ტრავმები (13.9\* პროცენტი). შედარებით ნაკლებ ქალს აღენიშნებოდა ღრმა დაზიანებები, ჭრილობები, გამჭოლი ჭრილობები (9.8\* პროცენტი), მუცლის ან შინაგანი ტრავმები (8.1\* პროცენტი), დამწვრობები (7.5\* პროცენტი), ჩამტვრეული კბილები (6.5\* პროცენტი) ან/და მუცლის მოშლა (4.0\* პროცენტი). გარდა ამისა, 3.2\* პროცენტმა განაცხადა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად მიიღო მუდმივი ტრავმა, რომელმაც გამოიწვია შეზღუდული შესაძლებლობა ან დასახიჩრება (ცხრილი B.64).

**ცხრილი 7.2** გვიჩვენებს, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13.6 პროცენტმა, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური



ძალადობა, განაცხადა, რომ მეუღლის/პარტნიორის ქმედებების შედეგად ყოფილა ისე მძიმედ დაშავებული, რომ დასჭირდა სამედიცინო დახმარების მიღება. ამ ქალებს შორის, 72.6\* პროცენტმა განაცხადა, რომ ერთხელ ყოფილა ისე მძიმედ დაშავებული, რომ დასჭირდა სამედიცინო დახმარების მიღება, ხოლო 27.4\* პროცენტს სამედიცინო დახმარება დასჭირდა 2-4-ჯერ. გარდა ამისა, ქალების მხოლოდ 43.3\* პროცენტმა მიიღო სამედიცინო დახმარება ამ ტრავმების გამო, ხოლო 43.1\* პროცენტს არ მიუღია სამედიცინო დახმარება.

**ცხრილი 7.2.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების საჭიროებები სამედიცინო დახმარების მიღებაზე, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (პროცენტი)

		 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 231
თქვენს ცხოვრებაში ყოფილხართ თუ არა ოდესმე ისე მძიმედ დაშავებული თქვენი ნებისმიერი მეუღლის/პარტნიორის ქმედებებით, რომ დაგჭირდათ სამედიცინო დახმარება (თუნდაც არ მიგელოთ ის)?		
	დიახ და მივიღე სამედიცინო დახმარება	10.3
	დიახ, მაგრამ არ მიმიღია სამედიცინო დახმარება	3.4
	არ დამჭირვებია სამედიცინო დახმარების მიღება	84.7
	არ ვიცი/ არ მახსოვს	1.3
	უარი პასუხზე	0.4
რამდენჯერ დაგჭირდათ სამედიცინო დახმარების მიღება იმის გამო, რომ თქვენმა მეუღლემ/ პარტნიორმა მძიმედ დაგაზიანათ?		N = 35
	1	72.6*
	2-4	27.4*
მიგიღიათ თუ არა სამედიცინო დახმარება ამ ტრავმ(ებ)ის გამო?		
	დიახ	43.3*
	არა	43.1*
	არ ვიცი/ არ მახსოვს	9.1*
	უარი პასუხზე	4.5*

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.65.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.





ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებიდან, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, 8.2 პროცენტმა განაცხადა რომ ტრავმების შედეგად არ შეეძლო შეესრულებინა საოჯახო საქმეები ან/და მოეწყო ბავშვებისთვის, ხოლო 4.3 პროცენტს არ შეეძლო მუშაობა. გარდა ამისა, ქალების 1.1 პროცენტმა განაცხადა, რომ ტრავმებმა გამოიწვია სამსახურის ან შემოსავლის წყაროს დაკარგვა (ცხრილი B.66).















ქალებს, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას, ასევე სთხოვეს შეეფასებინათ ის სირთულეები, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით განიცდიდნენ. ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, აგრეთვე გამოუვლინდათ ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემების გავრცელების მაღალი დონე.

**ცხრილი 7.3** გვიჩვენებს, რომ ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, ორჯერ უფრო მეტად აღენიშნებოდათ სირთულე მხედველობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სათვალეს ატარებდნენ (8.8 პროცენტს), და სირთულე სმენასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სმენის დამხმარე ხელსაწყოს იყენებდნენ (15.9 პროცენტს), ვიდრე იმ ქალებს, რომელთაც არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (შესაბამისად, 4.6 პროცენტს და 7.2 პროცენტს). გარდა ამისა, ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, მეტად აღენიშნებოდათ გარკვეული ან საგრძნობი სირთულე სიარულისას ან კიბეებზე ასვლისას (41.3 პროცენტი), ვიდრე იმ ქალებს, რომელთაც არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (27.8 პროცენტი). აღსანიშნავია ისიც, რომ ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, მეტად აღენიშნებოდათ კონცენტრაციასთან ან მეხსიერებასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე (29.2 პროცენტი), ვიდრე იმ ქალებს, რომელთაც არ გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა (18.2 პროცენტი).

ქალებს, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, აგრეთვე მეტად უჭირდათ ხელებისა და თითების გამოყენება, მაგალითად, პატარა საგნების აღება, როგორცაა ღილი ან ფანქარი, კონტეინერების და ბოთლების გახსნა ან დახურვა (13.2 პროცენტი) და აღენიშნებოდათ სირთულე საკუთარი თავის მოვლასთან (ბანაობა, ჩაცმა და ა.შ.) დაკავშირებით (5.4 პროცენტი), ვიდრე იმ ქალებს, რომელთაც არ გამოუცდიათ მსგავსი ძალადობა (შესაბამისად, 7.4 პროცენტი და 2.1 პროცენტი).

**ცხრილი 7.3.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების ფუნქციური სირთულები და პარტნიორის მხრიდან განცდილი ფიზიკური ან/ და სექსუალური ძალადობა (პროცენტი)

	 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976	
	განიცადა ფიზიკური ან/ და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 231	არ განუცდია ფიზიკური ან/ და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 2,745
<b>66</b> გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე მხედველობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სათვალეს ატარებთ?		
<input type="checkbox"/> საერთოდ ვერ ვხედავ	0.0	0.0
<input type="checkbox"/> საგრძნობი სირთულე	8.8	4.6
<input type="checkbox"/> გარკვეული სირთულე	26.8	27.1
<input checked="" type="checkbox"/> არავითარი სირთულე	64.4	68.2
 გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე სმენასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სმენის დამხმარე ხელსაწყოს იყენებთ?		
<input type="checkbox"/> საგრძნობი სირთულე	1.4	0.6
<input type="checkbox"/> გარკვეული სირთულე	14.5	6.7
<input checked="" type="checkbox"/> არავითარი სირთულე	84.1	92.8
 გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე სიარულისას ან კიბეებზე ასვლისას?		
<input type="checkbox"/> საერთოდ ვერ ვახერხებ	0.0	0.1
<input type="checkbox"/> საგრძნობი სირთულე	12.9	6.5
<input type="checkbox"/> გარკვეული სირთულე	28.4	21.3
<input checked="" type="checkbox"/> არავითარი სირთულე	58.7	72.1
 გაქვთ თუ არა კონცენტრაციასთან ან მეხსიერებასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე?		
<input type="checkbox"/> საგრძნობი სირთულე	3.9	1.5
<input type="checkbox"/> გარკვეული სირთულე	25.3	16.6
<input checked="" type="checkbox"/> არავითარი სირთულე	70.8	81.8


 გიჭირთ თუ არა ხელებისა და თითების გამოყენება, მაგალითად, პატარა საგნების აღება, როგორცაა ღილი ან ფანქარი, კონტეინერების ან ბოთლების გახსნა ან დახურვა?		
 საერთოდ ვერ ვახერხებ	0.0	0.0
 საგრძნობი სირთულე	3.1	0.8
 გარკვეული სირთულე	10.1	6.5
 არავითარი სირთულე	86.8	92.6
 გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე საკუთარი თავის მოვლასთან (ბანაობა, ჩაცმა და ა.შ.) დაკავშირებით?		
 საერთოდ ვერ ვახერხებ	0.0	0.0
 საგრძნობი სირთულე	1.3	0.2
 გარკვეული სირთულე	4.2	1.9
 არავითარი სირთულე	94.6	97.9
 გაქვთ თუ არა კომუნიკაციასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე, მაგალითად, გიჭირთ თუ არა გააგებინოთ სხვებს ან გაიგოთ სხვების აზრი?		
 საგრძნობი სირთულე	0.0	0.1
 გარკვეული სირთულე	2.3	1.5
 არავითარი სირთულე	97.7	98.4

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.67.

## 7.2 ქალთა ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა

ფიზიკური და სექსუალური ძალადობა ასევე გრძელვადიან ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ქალებზე. არსებული კვლევები მიუთითებს იმაზე, რომ ქალები, რომლებმაც განაცხადეს რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც განიცადეს პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ასევე აღნიშნავენ, რომ მეტი ემოციური სტრესი, სუიციდური აზრები და თვითმკვლელობის მცდელობები აქვთ.<sup>3</sup> მონაცემების თანახმად, საქართველოში მცხოვრები ქალები, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, ასევე ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს. გამოკვლევამ აჩვენა, რომ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად ოთხი ქალიდან დაახლოებით სამი (73.2 პროცენტი) განიცდის ერთ ან მეტ ფსიქოლოგიურ სიმპტომს (**დიაგრამა 7.2**). კერძოდ, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი სამი ქალიდან, რომელსაც გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, ორ ქალს აღნიშნებოდა შფოთვა, მღელვარება და გაღიზიანების შეგრძნება (68.0 პროცენტი). გარდა ამისა, 46.3 პროცენტი იყო დეპრესიაში, 46.1 პროცენტს ჰქონდა შიში, 41.6 პროცენტს ანუხებდა უძილობა, ხოლო 38.0 პროცენტი განიცდიდა იზოლაციის შეგრძნებას.

**დიაგრამა 7.2.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.68.

თითოეულ ფსიქოლოგიურ სიმპტომს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც გვიჩვენებს, რომ ხშირად, პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად, ქალები განიცდიან არაერთ ფსიქოლოგიურ სიმპტომს, რამაც შეიძლება სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ მათ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, არამედ - ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც. ცხრილი 7.4 გვიჩვენებს, რომ იმ ქალებს შორის, რომლებიც პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად განიცდიდნენ შიშის გრძნობას, 94.4 პროცენტს აგრეთვე აღენიშნებოდა შფოთვა, მღელვარება და გაღიზიანების შეგრძნება, 71.7 პროცენტი იყო დეპრესიაში, 68.5 პროცენტს აწუხებდა უძილობა, ხოლო 60.6 პროცენტი განიცდიდა იზოლაციის შეგრძნებას. პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად გამოწვეული დეპრესია ასევე მჭიდრო კავშირში იყო შფოთვის, მღელვარებისა და გაღიზიანების შეგრძნებასთან (92.2 პროცენტი), უძილობასთან (75.1 პროცენტი), იზოლაციის შეგრძნებასა (73.0 პროცენტი) და შიშის გრძნობასთან (71.4 პროცენტი). ანალოგიურად, იმ ქალებს შორის, რომლებიც პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის შედეგად განიცდიდნენ იზოლაციის შეგრძნებას, 92.2 პროცენტს აგრეთვე აღენიშნებოდა შფოთვა, მღელვარება და გაღიზიანების შეგრძნება, 89.0 პროცენტი იყო დეპრესიაში, 79.0 პროცენტს აწუხებდა უძილობა, ხოლო 73.6 პროცენტი განიცდიდა შიშის გრძნობას.

**ცხრილი 7.4.** პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობასა და ფსიქოლოგიურ სიმპტომებს შორის ურთიერთკავშირი (პროცენტი)

	სულ	ასევე აღენიშნებოდათ				
		შფოთვა, მღელვარება, გაღიზიანების შეგრძნება	შიში	დეპრესია	უძილობა	იზოლაციის შეგრძნება
შფოთვა, მღელვარება, გაღიზიანების შეგრძნება	68.0		64.0	62.7	56.1	51.5
შიში	46.1	94.4		71.7	68.5	60.6
დეპრესია	46.3	92.2	71.4		75.1	73.0
უძილობა	41.6	91.8	76.1	83.7		72.2
იზოლაციის შეგრძნება	38.0	92.2	73.6	89.0	79.0	

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ მისცა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებამ მათ ძალა და სურვილი ებრძოლათ თავიანთი სიცოცხლისა და შვილების კეთილდღეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ისაუბრეს გადარჩენასა და გამძლეობაზე, მათ ასევე განმარტეს, რომ მათ მიერ განცდილი ძალადობა გრძელვადიან უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც მათ საერთო კეთილდღეობაზე. ძალადობის მსხვერპლი ქალების უმეტესობა საუბრობს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სხვადასხვა სიმპტომზე და, ზოგჯერ დანაშაულის და სირცხვილის ძლიერ გრძნობაზე იმის გამო, რომ მათ მოძალადე მეუღლეს/პარტნიორს წაუყენეს კანონიერი ბრალდება ან/და ციხეში გაგზავნეს.

*„ორჯერ თავის მოკვლა ვცადე, არ მოგატყუებთ. ამდენი ნერვიულობით დამენყო თავის ტკივილები, საშინელი თავის ტკივილები და ნევროზი მაქვს, უაზრო ნევროზი მაქვს. რაღაცაზე რომ გავნერვიულდები, ფეხს და ხელს ვერ ვაჩერებ და იმ ზომამდე მივდივარ, რომ ვტირი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

*„მე ინვალდი დავრჩი, მე უნდა მოვმკვდარიყავი და ალბათ უფრო მკაცრად მიუდგებოდნენ ამ საკითხს. დამიზიანდა მარჯვენა მხარი, გულს ააცილა და ფილტვი და ხელი... მარჯვენა ხელი უფუნქციო მაქვს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

ქალებმა, რომლებმაც მიიღეს ძალადობისგან გამოწვეული დაზიანებები, ისაუბრეს სამედიცინო მკურნალობის საჭიროებაზე. ზოგიერთი მათგანი საუბრობდა ხანგრძლივ თავის ტკივილებზე, უძილობაზე და კვებით აშლილობაზე. მათ ასევე ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ გამოიწვია პარტნიორის მხრიდან ძალადობამ დაბალი თვითშეფასების, უსარგებლობის,

შფოთვისა და დეპრესიის განცდა და საკუთარი თავის იზოლირების სურვილი. პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი 24 ქალიდან სამმა ასევე ისაუბრა თვითმკვლელობისკენ მიმართულ ფიქრებსა და თვითმკვლელობის მცდელობაზე.

პარტნიორის მხრიდან ძალადობის ზოგიერთ მსხვერპლი ამბობდა, რომ ძალადობის ფაქტების მერე, არ სურდა არავისთან ურთიერთობა, გარდა მათი შვილებისა. მათი თვითიზოლაციის სურვილი ნაწილობრივ დაკავშირებული იყო დანაშაულის გრძნობასთან და მსხვერპლის დადანაშაულებასთან. ძალადობის მსხვერპლი ქალები ამბობენ, რომ ხშირად, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლს თავადვე ადანაშაულებენ სხვები, მათ შორის მეგობრები და ოჯახის წევრები, და ზოგჯერ, თავად მსხვერპლებიც კი საკუთარ თავს ადანაშაულებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მოძალადე მეუღლეებს/პარტნიორებს პატიმრობას უსჯიან. მსხვერპლის დადანაშაულება და მისგან გამონვეული დანაშაულის გრძნობა ხშირად ართულებს ქალების ურთიერთობას მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით მეუღლის ოჯახთან.

პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლების ინტერვიუებიდან ასევე გამოჩნდა, რომ მათ აწუხებდათ სირცხვილის გრძნობა იმის გამო, რომ ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა ძალადობის შემცველი ურთიერთობიდან. შედეგად, ზოგიერთმა საკუთარ თავზე ზრუნვაც კი შეწყვიტა. ძალადობრივი ურთიერთობის მიტოვების შემდეგაც კი, ზოგიერთი ქალი აღწერს როგორ უჭირდა დიდი ხნის განმავლობაში საკუთარ თავთან ჰარმონიის პოვნა და სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება.

*„ძალიან ბევრი [ნათესავი] დავკარგე იმიტომ რომ შვილების მამა ციხეში გავუშვი. ეს ტრავმა დღემდე მომყვება. ჩემი ნათესავები სულ მეუბნებოდნენ, სამ შვილს როგორ გაზრდი, ვინ მოგიყვანს შენ ცოლად.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

*„კი, ჩავიკეტე და არავისთან არ მაქვს ურთიერთობა. მანამდე უფრო მეტი ურთიერთობა მქონდა, ახლობლობა და სიარული შევწყვიტე ყველასთან ამ ყველაფრის მერე, ჩემს თავმოყვარეობაზე ყველაფერი მოქმედებს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*


*„მე მეგონა არაფერი არ შემეძლო, მეგონა ვიყავი ერთი უსუსური, გაუნათლებელი არაფერი, არაფერი არ შემეძლო. მეგონა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, მე რომ გარეთ გავდიოდი მინდოდა თავი მქონოდა დახრილი, დავდიოდი მოუწესრიგებელი, ჭეჭყიანს არ გველის ხმობ, არც ფრჩხილებს ვიკეთებდი, არც თმას ვიღებავდი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

### 7.3 თვითმკვლელობისკენ მიმართული ფიქრები და მცდელობები

**ცხრილი 7.5** გვიჩვენებს, რომ იმ ქალების 16.8 პროცენტს, რომლებსაც გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, ასევე უფიქრია საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენებაზე ან თვითმკვლელობაზე. 8.8 პროცენტმა განაცხადა, რომ მიუყენებია ზიანი საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ან უცდია თვითმკვლელობა. გარდა ამისა, იმ ქალებს შორის, რომელთაც ჰქონიათ თვითმკვლელობისკენ მიმართული აზრები, 46.9\* პროცენტმა განაცხადა, რომ მოუყვა სხვას, რომ უფიქრია საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენებაზე ან

თვითმკვლელობაზე, თუმცა მხოლოდ 18.2\* პროცენტს მიუღია დახმარება კვალიფიციური სპეციალისტისგან (როგორცაა ექიმი, ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი) თვითმკვლელობისკენ მიმართულ აზრებსა და მცდელობებთან დაკავშირებით.

**ცხრილი 7.5.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების სუიციდისადმი მიდრეკილება, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (პროცენტი)

		 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და ჰყავთ შვილები N = 212
თქვენი ცხოვრების განმავლობაში, ოდესმე გიფიქრიათ თუ არა საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენებაზე ან თვითმკვლელობაზე? ვგულისხმობ მხოლოდ თქვენს ფიქრებს, თუნდაც არ გემოქმედათ?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	16.8
<input checked="" type="checkbox"/>	არა	82.5
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.7
ოდესმე, საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად თუ მიგიყენებიათ ზიანი ან გიცდიათ თვითმკვლელობა?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	8.8
<input checked="" type="checkbox"/>	არა	90.5
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.7
ოდესმე, გითქვამთ თუ არა ვინმესთვის, რომ გქონდათ საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენების ან თვითმკვლელობის ფიქრები ან მცდელობები?		ჰქონია თვითმკვლელობისკენ მიმართული ფიქრები N = 36
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	46.9*
<input checked="" type="checkbox"/>	არა	53.1*
ოდესმე, მიგიღიათ თუ არა დახმარება კვალიფიციური სპეციალისტისგან, იმაზე, რომ გქონდათ საკუთარი თავისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენების ან თვითმკვლელობის ფიქრები ან მცდელობები? კვალიფიციური სპეციალისტი შეიძლება იყოს ვინმე ისეთი, როგორცაა ექიმი, ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	18.2*
<input checked="" type="checkbox"/>	არა	81.8*

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.69.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.



## 7.4 პარტნიორის მხრიდან ძალადობის ეკონომიკური გავლენა

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებიდან, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, 23.6 პროცენტი აცხადებს, რომ დაკარგა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, 18.0 პროცენტს არ შეეძლო სამსახურში კონცენტრირება, ხოლო 4.5 პროცენტი აცხადებს, რომ ძალადობამ ხელი შეუშალა მუშაობაში. ქალების მხოლოდ 2.9 პროცენტმა განაცხადა, რომ ძალადობის შედეგად არ შეეძლო მუშაობა ან მოუწია ბიულეტენზე გასვლა, ხოლო 1.6 პროცენტმა განაცხადა, რომ მეუღლემ/პარტნიორმა შეაწყვეტინა მუშაობა (დიაგრამა 7.3)

**დიაგრამა 7.3.** პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის ეკონომიკური გავლენა ქალის შემოსავლის მომთან საქმიანობაზე (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.70.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომლებიც მუშაობდნენ სახლის გარეთ და ჰქონდათ საკუთარი საქმე/ბიზნესი, სამსახურში წასვლა უწევდათ ძალადობისგან გამონვეული დაღურჯებებით, რომლის დამალვასაც ცდილობდნენ. ზოგიერთმა რესპონდენტმა, ისაუბრა შემთხვევებზე, როდესაც პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა თანამშრომლების წინაშე მოხდა, რამაც დიდი სირცხვილის გრძნობა გამოიწვია. რიგ შემთხვევებში, ქალები კვირების განმავლობაში ვერ დადიოდნენ სამსახურში, რათა გამოჟანმრთელებულიყვნენ. პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოკითხულ მსხვერპლთა უმრავლესობას, აკრძალული ჰქონდა სახლის გარეთ მუშაობა, და შესაბამისად, არ ჰქონიათ შეფერხება მუშაობისას ან სამუშაო ადგილზე. თუმცა, მათ ისაუბრეს იმაზე, რომ დაზიანებებისა და ფიზიკური ტკივილის გამო, არ შეეძლოთ საოჯახო საქმეების შესრულება.

## 7.5 პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენა ბავშვებზე

ბავშვების შეხებას ქალთა მიმართ ძალადობასთან უკავშირდება მთელი რიგი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და არასასურველი შედეგები. ბავშვები, რომლებიც შესწრებიან ქალთა მიმართ ძალადობას, განიცდიან პოსტტრავმულ სტრესს, შფოთვისა და დეპრესიას ბავშვობაში და ზრდასრულ ასაკში.<sup>4</sup> **დიაგრამა 7.4** გვიჩვენებს რომ ქალების 45.9 პროცენტმა, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, განაცხადეს, რომ მათი შვილები (0-17 წლის) შეესწრნენ ძალადობას ან გაიგეს ხმა. კერძოდ, ძალადობა გადატანილი ქალების დაახლოებით მესამედმა (31.9 პროცენტი) განაცხადა, რომ მათი შვილები განმეორებითად ხდებოდნენ ძალადობის მომსწრეები (რამდენჯერმე - 18.7 პროცენტი; ბევრჯერ/უმეტეს შემთხვევაში - 13.2 პროცენტი). გარდა ამისა, ქალების 10.0 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი მეუღლე/პარტნიორი ასევე ურტყამდა ან სცემდა მათ შვილ(ებ)საც.

**დიაგრამა 7.4.** პარტნიორის მხრიდან დედის მიმართ ძალადობა ბავშვების თანდასწრებით და მისი გავლენა სახლიდან წასვლაზე (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.71.

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებს, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, ასევე ჰკითხეს მათი შვილების კეთილდღეობის შესახებ და გამოინვია თუ არა პარტნიორის მხრიდან ძალადობამ მათთვის რაიმე პრობლემა.

**დიაგრამა 7.5** გვიჩვენებს, რომ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ყოველმა მეორე ქალმა (48.9 პროცენტი) განაცხადა, რომ მისი შვილი იყო შეშინებული ან განერვიულებული, ხოლო ქალების დაახლოებით მესამედმა (31.2 პროცენტმა) განაცხადა, რომ მის შვილს ჰქონდა შფოთვა, ბრაზი ან ხასიათის პრობლემები. გარდა ამისა, ქალების 13.4 პროცენტმა განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვი შეესწრო პარტნიორის მხრიდან ძალადობას, მან გამოავლინა აგრესიული ქცევა. ასევე, 8.7 პროცენტის განცხადებით, მის შვილს უჭირდა სკოლაში კონცენტრაცია, 7.5 პროცენტის განცხადებით, მისი შვილის სწავლის ხარისხი გაუარესდა ან უჭირდა სასკოლო დავალების შესრულება, ხოლო 4.1 პროცენტმა განაცხადა, რომ მის შვილს ჰქონდა ქცევის ან დისციპლინური პრობლემები სკოლაში.

**დიაგრამა 7.5.** ქალთა მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენა 0-17 წლის ბავშვებზე (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.71 და B.72.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების შვილები, რომლებსაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ასევე არიან ძალადობის პირდაპირი და არაპირდაპირი მსხვერპლები. ზოგჯერ ბავშვები ხდებიან სასტიკად ძალადობის შემსწრეები და შედეგად აწუხებთ შფოთვა და კომპარები. ქალების თქმით, ზოგჯერ ძალადობის შემსწრე ბავშვები მამის მსგავს აგრესიულ ქცევას ავლენენ (ე.წ. ნასწავლი ქცევა).

ქალები, რომელთაც გამოუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ჰყვებიან, თუ როგორ მანიპულირებდნენ მათი მეუღლეები შვილებით და ემუქრებოდნენ, რომ ბავშვებს დედებისგან შორს წაიყვანდნენ. ზოგიერთი მოძალადე მეუღლე შვილებს დედის ნახვის უფლებასაც არ აძლევდა. ძალადობის შედეგად ბავშვები განიცდიდნენ მუდმივ ფსიქოლოგიურ სტრესს. დედებმა განაცხადეს, რომ მათი შვილები იტანჯებიან პოსტტრავმული სტრესული აშლილობისგან, მიუხედავად პროფესიული ფსიქოთერაპიული დახმარებისა.

ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ასევე განიხილეს კავშირი ძალადობის გამოცდილებას და შვილების სკოლაში დასწრებას, აკადემიურ მოსწრებას და თანატოლებთან ურთიერთობას შორის. ზოგიერთ მცირეწლოვან ბავშვს აღენიშნებოდა განვითარების შეფერხებაც, რაც, რესპონდენტთა აზრით დაკავშირებული იყო სტრესთან. ზოგჯერ ბავშვებს უწევდათ სკოლის ან საბავშვო ბაღის გაცდენა, რადგან სერიოზული ფიზიკური დაზიანებების გამო დედებს არ შეეძლოთ მათი სკოლაში ან ბაღში წაყვანა.

*„აგრესიულად მომვარდა, მახრჩობდა, ბავშვები უკვე წიოდნენ მაგ დროს. აღარ მახსოვს რა მოხდა, ერთი ვიცი, რომ უკვე დანას ეძებდა, ღორივით უნდა გამოგჭრა ყელი, არ დაგინდობო... უფროსი ბიჭი ყვიროდა, დედა გაიქეცი, დედა გაიქეციო. უკან რომ მოვიხედე, დავინახე [ქმარი] დანით მომდევდა და ეს პატარა გოგო, უკან მიდგა და ტიროდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

თვისებრივმა მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად განხილული საკითხებისა, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები ყოველთვის ვერ იაზრებენ თუ რა გავლენას ახდენს ძალადობა ბავშვებზე. ზოგიერთმა ის მოსაზრებაც კი გამოთქვა, რომ რადგან ბავშვები ძალადობის პირდაპირი მსხვერპლნი არ ყოფილან, ძალადობის ფაქტს მათზე საერთოდ არ უმოქმედია. ხოლო ზოგიერთ ქალს სჯეროდა იმის, რომ ბავშვის გულისთვის ჯობდა მოძალადე მეუღლესთან/პარტნიორთან დარჩენილიყო, რაც მიუთითებს რომ ძალადობის გავლენა ბავშვებზე, მაშინაც კი, თუ ისინი პირდაპირი მსხვერპლები არ იყვნენ ზოგჯერ სრულად ვერაა გააზრებული მშბლების მიერ. პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ერთ-ერთი ქალის თქმით: *„ამ ყველაფერს ვიტანდი ჩემი შვილების გამო[...] მე უმამოდ ვარ გაზრდილი და გამოცდილი მაქვს, რა არის უმამობა და ამის გამო არ მინდოდა ჩემ სამ შვილს გაეგო, რომ უმამობა რა იყო.“*

მეორეს მხრივ, ზოგჯერ ძალადობის გავლენა შვილებზე, მითუმეტეს მაშინ, თუ ძალადობის ფორმა მძიმეა, აიძულებს ქალებს პოლიციაში დარეკვას და დახმარების თხოვნას. ქალებმა განაცხადეს, რომ საბოლოოდ დახმარების თხოვნის გადაწყვეტილება სწორედ მაშინ მიიღეს, როცა გააანალიზეს, რომ მათი შვილები პირდაპირი საფრთხის წინაშე იდგნენ. პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ერთ-ერთი ქალის განცხადებით: *„შვილს აბანოში მიკეტავდა, ელემენტარული ღვინო დასჭირდებოდა, არაყი დასჭირდებოდა, ბავშვი რომ არ წასულიყო, „მამა, მე ვერ წავალ, მრცხვენიაო“, აგინებდა, უნმანურ სიტყვებს ეუბნებოდა.“*

მოცემულ თავში წარმოდგენილი მონაცემები და მიგნებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პარტნიორის მხრიდან ქალებზე ძალადობას ხანგრძლივი გავლენა აქვს თავად ქალებისა და მათი შვილების კეთილდღეობაზე. ამ მონაცემებმა გამოავლინა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობას მძიმე შედეგები აქვს როგორც ქალების, ასევე მათი შვილების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად აწუხებთ ჯანმრთელობის პრობლემები, დეპრესია და თვითმკვლელობაზე ფიქრი. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია არის ის საფრთხე, რაც პარტნიორის მხრიდან ძალადობას შესაძლოა მოყვეს ბავშვებისთვის, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის და კეთილდღეობისთვის, მათი აკადემიური მოსწრებისთვის და ზოგადად მათი სამომავლო ცხოვრებისეული შესაძლებლობებისთვის.

მეუღლის/პანტნიონის


მხრიდან ძანადრობაზე

ქართა რეაბირება

და რადიკვის

სტრატეგიები

8




მოცემული თავი აანალიზებს ძალადობის დაძლევის სტრატეგიებს ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების მიერ, რომელთაც გამოუცდიათ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა. ქალებს დაუსვეს მთელი რიგი კითხვები, რათა გამოეკვლიათ, უთხრეს თუ არა მათ ვინმეს ძალადობის შესახებ, ვის უთხრეს, სად ითხოვეს დახმარება, მიიღეს თუ არა დახმარება, ოდესმე თუ გაუწევიათ წინააღმდეგობა ან დაუტოვებიათ სახლი ძალადობის შემდეგ.

## 8.1 დახმარების ძიება

პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მესამედზე მეტს (38.2 პროცენტი) არავისთვის უთქვამს გადატანილი ძალადობის შესახებ (დიაგრამა 8.1). იმ ქალებს შორის, ვინც ძალადობის შესახებ ვინმეს უამბო, უმრავლესობამ უამბო იმ ოჯახის ქალ წევრს, რომელშიც დაიბადა/გავიზარდა (42.5 პროცენტი), ხოლო 27.6 პროცენტმა მომხდარი მეგობარს ან მეზობელს გაანდო. გაცილებით ნაკლებმა ქალმა უამბო იმ ოჯახის კაც წევრს, რომელშიც დაიბადა/გავიზარდა (14.5 პროცენტმა), მისი მეუღლის ოჯახის ქალ წევრს (13.2 პროცენტმა), თავის შვილებს (6.5 პროცენტმა) თუ მეუღლის ოჯახის კაც წევრს (6.1 პროცენტმა).


**დიაგრამა 8.1.** პირები, ვისაც მსხვერპლმა ქალებმა უამბეს პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.73.

**დიაგრამა 8.2** გვიჩვენებს, რომ ქალების უმეტესობამ, რომლებმაც პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ თავიანთ გამოცდილებებზე უამბეს ოჯახის წევრებს, მეგობრებსა თუ მეზობლებს, აღნიშნეს, რომ ამ პირების უმრავლესობა ქალებს უჭერდა მხარს (93.2 პროცენტი). რიგ შემთხვევაში, ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა თუ მეზობლებმა ქალებს უთხრეს, რომ არავისთან გაემჟღავნებინათ მომხდარის შესახებ (16.4 პროცენტს), ზოგ შემთხვევაში გამოიჩინეს გულგრილობა ან არ დაინტერესდნენ პარტნიორის მხრიდან ძალადობით (7.5 პროცენტს) ან/და ქალები დაადანაშაულეს (6.6 პროცენტი). ქალების მხოლოდ 14.9 პროცენტმა აღნიშნა, რომ ამ პირებმა ინციდენტის შესახებ პოლიციისთვის მიმართვა ურჩიეს.


**დიაგრამა 8.2.** იმ პირების რეაგირება, რომელთაც უამბეს ძალადობის შესახებ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.73.

**დიაგრამა 8.3** გვიჩვენებს, რომ პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მხოლოდ 22.8 პროცენტმა მიმართა დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებს. პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მხოლოდ 11.8 პროცენტმა მიმართა პოლიციას, ხოლო 5.1 პროცენტმა დარეკა „112-ზე“. გარდა ამისა, 8.0 პროცენტმა უთხრა თავის რელიგიურ მოძღვარს, ხოლო 4.9 პროცენტმა უთხრა ჯანდაცვის მუშაკს, როგორცაა ექიმი ან ექთანი.

**დიაგრამა 8.3. ორგანიზაციები და ინდივიდები, რომლებსგანაც მსხვერპლი ქალები ითხოვდნენ დახმარებას პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.74.

პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ძალადობასთან გამკლავების რამდენიმე გზას მიაგნეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალების 38.2 პროცენტმა არავის უთხრა განცდილი ძალადობის შესახებ, უმრავლესობამ პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ უამბო მათი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და მეზობლებს. მიუხედავად იმის, რომ ქალები ძალადობის შესახებ უყვებიან ახლობლებს, ვისი მხარდაჭერის იმედიც აქვთ, ქალების უმრავლესობა არ მიმართავს დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებს, რომელთაც მათი დახმარება შეუძლიათ. მონაცემების მიხედვით, ქალები, რომელთაც პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად აღენიშნებათ დაზიანებები, უფრო მეტად იმ შემთხვევაში მიმართავენ პოლიციას, თუ დაზიანება არის მძიმე ხასიათის. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის მხოლოდ 11.8 პროცენტმა მიმართა დახმარებისთვის პოლიციას, მათგან მხოლოდ 30.1\* პროცენტი დარჩა ძალიან კმაყოფილი პოლიციის მიერ აღმოჩენილი დახმარებითა და მხარდაჭერით. ყოველმა მეორე ქალმა (50.5\* პროცენტმა) განაცხადა, რომ პოლიციის მიერ აღმოჩენილი დახმარებითა და მხარდაჭერით იყო გარკვეულწილად კმაყოფილი, ხოლო 19.4\* პროცენტი იყო უკმაყოფილო (ცხრილი B.74). პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები არ ითხოვდნენ დახმარებას სოციალური მომსახურების დაწესებულებებსა და ქალთა ჯგუფებში. სანაცვლოდ, ისინი მიმართავენ საკუთარ




სანაცნობო წრეს - ოჯახს, მეგობრებსა და მეზობლებს. შემდგომმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ფორმალური ორგანიზაციებისგან დახმარების მაძიებელთა ქცევაში არ აღინიშნება განსხვავებები ქალების ასაკის, განათლების დონისა თუ დასახლების ტიპის მიხედვით.

## 8.2 დახმარების ძიების მიზეზები

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების უმრავლესობამ, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებს მიმართეს, დახმარების ძიების მიზეზად დაასახელეს ის ფაქტი, რომ აღარ შეეძლოთ მეტი ძალადობის ატანა (63.5 პროცენტი). გარდა ამისა, მსხვერპლი ქალების 26.4 პროცენტმა დახმარების ძიების მიზეზად დაასახელა ის, რომ ხედავდა როგორ იტანჯებოდნენ ბავშვები, 12.7 პროცენტს ეშინოდა, რომ მეუღლე/პარტნიორი მას მოკლავდა, ხოლო 12.4 პროცენტმა განაცხადა, რომ მეუღლე/პარტნიორი ემუქრებოდა მოკვლით ან ეცადა მის მოკვლას (დიაგრამა 8.4).

**დიაგრამა 8.4.** დახმარების ძიების მიზეზები (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.75.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები დახმარებას ითხოვენ ძირითადად საკუთარი და შვილების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გამო. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ქალები ასევე განიხილავენ თავიანთ ეკონომიკურ და საცხოვრებლის მდგომარეობას და იმას, თუ როგორ შეძლებენ დამოუკიდებლად გადარჩენას

„ბევრი ქალი მასეა, ჩემსავით მართო, არავის იმედი არ აქვს. რადგან ქალმა გაბედა და თავი დააღწია ის კი არ უნდა ვუთხრათ, 5 წელი სად იყავი, პირიქით, უნდა გავამხნევოთ, როგორც იქნა, გაბედე.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

მეუღლის/პარტნიორის გარეშე, განსაკუთრებით, თუ მათი მეუღლე/პარტნიორი არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ძალადობის შემცველი ქორწინების/ურთიერთობის დატოვება რთულია ბევრი ქალისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს. ქალებს მრავალი წელი სჭირდებათ, რათა გამონახონ გამბედაობა და ძალა ძალადობის შემცველი ურთიერთობისგან თავის დასაღწევად. შედეგად, ბევრი ქალი წლების განმავლობაში რჩება ძალადობის შემცველ ურთიერთობაში, სადაც ცდილობს მართოს და გაუმკლავდეს ძალადობას და შეინარჩუნოს ოჯახი.

პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ის მეზობლებმა, ან უცნობებმა.

*„გავრბოდი, მკლავდა ბოლოს, ნაჯახს მარტყამდა თავში, პოლიცია რომ გამოიძახა მეზობელმა. გამომეკიდა მაშინ, ფეხშიშველი მივრბოდი.“*

*„ისე მოხდა დანით გამომეკიდა, პატრული გამოვიძახე, მეზობელი მამაკაცი იყო ვინც გადაარჩინა, თორემ ახლა მკვდარი ვიქნებოდი.“*

*„ქუჩაში მცემა, მანქანაში და მანქანიდან გადმოვუხტი და შემთხვევით გამვლელმა დარეკა პატრულში, შველა ითხოვა ამ ბიჭმა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავი, პატრული იმ ნუთას მოვიდა და ზუსტად ნახევარ საათში დაიჭირეს.“ (სიღრმისეული ინტერვიუები ძალადობის მსხვერპლ ქალებთან).*

ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი დახმარების სერვისების შესახებ ზოგი ქალისთვის განქორწინების მთავარი ფაქტორი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალების აზრით, მნიშვნელოვანია ინფორმაცია მხარდაჭერის სერვისების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ყველა ქალისთვის.

მარგინალიზებულში ჯგუფების წარმომადგენელმა ქალებმა ისაუბრეს იმაზე, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მათთვის, არა მხოლოდ სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, არამედ


ისიც, რომ დამხმარე სერვისებმა შეძლონ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ქალების საჭიროებების დაკმაყოფილება. ეს მოიცავს მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობას სოფელში და შორეულ რაიონებში მცხოვრები ქალებისთვის, ასევე საცხოვრებლის შეთავაზებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და მიგრანტი ქალებისთვის. დამხმარე სერვისებმა, მათი აზრით, ასევე უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო (მაგალითად, პანდუსები, ჟესტების ენა) და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და მიგრანტი ქალებისათვის ენისა და რელიგიის გათვალისწინებით საცხოვრებელი ადგილის შეთავაზება. მათი აზრით, მნიშვნელოვანია ლგბტქი + თემის წევრებსაც ქონდეთ წვდომა თავსესაფარზე, როცა საქმე ეხება იმავე სქესის მქონე პარტნიორის მხრიდან ძალადობისგან დაცვა.


*„ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რომ გაჟღერდეს ტელევიზიით ინფორმაცია, რომ ძალადობა არ შეიძლება მოითმინო, თუ იძალადებენ შეგიძლიათ დარეკოთ ამ და ამ ნომერზე, სახელწიფო თქვენ გიცავთ, სისტემა გიცავთ, ეს ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს, ყოველ დღე უნდა მოუსმინოს ადამიანმა ტელევიზიით“. (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).*

### 8.3 დახმარების არ მოძიების მიზეზები

დასახელდა არაერთი მიზეზი, თუ რატომ არ მიმართეს მსხვერპლმა ქალებმა, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებსა თუ სხვა პირებს. **ცხრილი 8.1** აჩვენებს, რომ 44.8 პროცენტმა დახმარების არმოძიების მიზეზად დაასახელა ის, რომ სიტუაცია არ იყო საკმარისად სერიოზული, ხოლო 25.2 პროცენტმა ის, რომ არ სურდა ოჯახის ღირსების შელახვა. გარდა ამისა, მსხვერპლი ქალების 15.0 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იცოდა ვისთვის უნდა მიემართა დახმარებისთვის, ხოლო 15.0 პროცენტს ეუხერხულებოდა, რცხვენოდა ან ეშინოდა, რომ არ დაუჯერებდნენ. 10.8 პროცენტი ფიქრობდა, რომ ეს არ დაეხმარებოდა ან იცოდა, რომ სხვა ქალებს არ დახმარებია.

**ცხრილი 8.1.** დახმარების არ მოძიების მიზეზები (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და არ მიუმართავთ დახმარებისთვის N = 177	
რა იყო იმის მიზეზი, რომ არავისთვის გითქვამთ და არ გიცდიათ დახმარების მიღება იმის გამო, რასაც თქვენი მეუღლე/პარტნიორი აკეთებდა თქვენ მიმართ?	
სიტუაცია არ იყო საკმარისად სერიოზული ჩივილისთვის	44.8
არ მინდოდა ოჯახის ღირსების შელახვა	25.2
არ ვიცი/არ ვიცოდი ვისთვის მიემართა დახმარებისთვის	15.0
მეუხერხულებოდა, მრცხვენოდა ან მეშინოდა რომ არ დამიჯერებდნენ	14.0
მეგონა, რომ ეს არ დამეხმარებოდა/ვიცი, რომ სხვა ქალებს არ დახმარებია	10.8
მეშინია/მეშინოდა მეუქარის, შედეგების ან უფრო მეტი ძალადობის	6.2
მეშინია/მეშინოდა განქორწინების ან ურთიერთობის დასრულების	5.7
მეშინია/მეშინოდა შვილების დაკარგვის	3.7
მგონია/მეგონა რომ მე დამაბრალებდნენ	3.0
მიმაჩნია, რომ ჩივილის მიზეზი არ არსებობს/ძალადობა ნორმალურია	2.1

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და არ მიუმართავთ დახმარებისთვის <b>N = 177</b>	
რა იყო იმის მიზეზი, რომ არავისთვის გითქვამთ და არ გიცდიათ დახმარების მიღება იმის გამო, რასაც თქვენი მეუღლე/პარტნიორი აკეთებდა თქვენ მიმართ?	
მეშინოდა რომ თავს მოიკლავდა, ვინაიდან ის თვითმკვლელობით იმუქრებოდა	0.8
სხვა	2.7

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.76.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ არსებული კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, საზოგადოება ქალებისგან ძალადობის სიტუაციაში სიჩუმეს და მოთმენას ელის, რაც ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის კარგადაა ცნობილი. თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა აზრით, როდესაც საქმე ეხება პარტნიორის მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, მთავარ პრობლემას სწორედ „ჩუმად ტანჯვის“ კულტურა წარმოადგენს. ამიტომ, ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად ეშინიათ იმის, თუ რას იტყვიან ან იფიქრებენ სხვები, თუ ისინი ხმამაღლა ილაპარაკებენ ან დახმარებას ითხოვენ. ქალებს ხშირად ეშინიათ, რომ მათ გააკრიტიკებენ და განსჯიან ოჯახის წევრები, მეგობრები და საზოგადოების სხვა წევრები; ამდენად, ისინი თავს არიდებენ დახმარების თხოვნას ან პოლიციისთვის ძალადობის შესახებ შეტყობინებას.

თვისებრივმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ქალების ნაწილს სჯერა, რომ ისინი იმსახურებდნენ ძალადობას და ჩუმად იღებენ თავიანთ ბედს, იმ იმედით, რომ ერთ დღეს ძალადობა დასრულდება და მათი ურთიერთობა გაუმჯობესდება. მათი ნაწილი მას შემდეგაც კი დარჩა ძალადობის შემცველ ურთიერთობაში, რაც მეუღლე/პარტნიორი მოკვლით ან შვილების წაყვანით დაემუქრა. ასეთ სიტუაციებში ქალები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ მოძალადისთვის მეზობელთან დამალვით და სახლიდან მოშორებით ღამეების გატარებით - ზოგჯერ ხეზე ასვლით და იქ დამალვითაც კი.

იმის გამო, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის ბევრი მსხვერპლი არ არის ეკონომიკურად დამოუკიდებელი და არ გააჩნია საკუთარი თავისა და შვილების რჩენის საშუალება, ისინი ხშირად ძალადობის შემცველი ურთიერთობების მახეში რჩებიან.

„არც დედაჩემს ვეუბნებოდი, თუ არ შეამჩნევდა, ჩემ ძმას, რა თქმა უნდა, მე არ ვეტყოდი და არც ჩემ საწყალ დას. მეგობრებსაც ვერ ვეუბნებოდი. მე იცით როგორი ტიპის ადამიანი ვარ, მე თუ ვცხოვრობ ამ კაცთან, მე არ მიყვარს ლაპარაკი.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

„სოფელში მე დამადანაშაულებს, რომ ცოლმა დააჭერინაო და ამ დროს ის არავის უკითხავს, ცოლმა რატომ დააჭერინა. ვერ გაიგეს სოფელში და ყველამ ქვა მე მესროლა, რა თქმა უნდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან)

„ყველამ იცოდა. ჩემი ოჯახის წევრებმა იცოდნენ, მეზობლებმა იცოდნენ, მისმა ოჯახმა იცოდა, ყველამ იცოდა.“ (სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალთან).

განსაკუთრებით, ეს ეხება იმ ქალებს, რომლებიც არ მუშაობენ და არ აქვთ პირადი დანაზოგი. რესპონდენტების თქმით, ქალებს ხშირად მოუწოდებენ რომ დარჩნენ ძალადობრივ ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ნათესავებიც ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიან. ძალადობაგამოვლილი ქალების თქმით, ისინი გრძნობდნენ რომ ყველამ იცოდა ძალადობის შესახებ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად, რადგან შიშის ან არასაკმარისი ფინანსების გამო.

## 8.4 პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ პოლიციისთვის შეტყობინება





მსხვერპლ ქალთა მხოლოდ 11.8 პროცენტმა მიმართა დახმარებისთვის პოლიციას. ამ ქალებს შორის, 67.4\* პროცენტმა განაცხადა რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის ბოლო ინციდენტის შესახებ შეატყობინა პოლიციას (ცხრილი B.77).

თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ქალები მარგინალიზებული ჯგუფებიდან, რომლებიც ძალადობას განიცდიან, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დისკრიმინაციის შიშით, ხშირად თავს არიდებენ პოლიციას. სანაცვლოდ კი, უფრო მეტად მიმართავენ დახმარებისთვის სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, რომლებიც მიმართულია მათი უფლებების დაცვაზე. მაგალითად, ღებტქი ქალები სამთავრობო სერვისების მომწოდებლებს, როგორცაა პოლიციაა ჰომოფობიად მოიხსენიებენ.

## 8.5 შემაკავებელი და დამცავი ორდერები

მსხვერპლ ქალებს შორის, რომლებმაც დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებსა თუ სხვა პირებს მიმართეს, მხოლოდ მეოთხედმა (24.6 პროცენტი) განაცხადა, რომ მიმართა ან ეცადა მიემართა პოლიციისთვის შემაკავებელი ორდერისთვის (ცხრილი 8.2).



**ცხრილი 8.2.** მსხვერპლი ქალები, რომლებმაც მიმართეს ან ეცადნენ მიემართათ პოლიციისთვის შემაკავებელი ორდერისთვის (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და მიუმართავენ დახმარებისთვის N = 54	
 მიმართეთ ან ეცადეთ თუ არა მიგემართათ პოლიციისთვის შემაკავებელი ორდერისთვის?	
 დიახ	24.6
 არა	75.4

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.78.

**ცხრილი 8.3** გვიჩვენებს რომ მსხვერპლი ქალების მხოლოდ 14.4 პროცენტმა მიმართა ან ეცადა მიემართა სასამართლოსთვის დამცავი ორდერისათვის.

**ცხრილი 8.3.** მსხვერპლი ქალები, რომლებმაც მიმართეს ან ეცადნენ მიემართათ სასამართლოსთვის დამცავი ორდერისათვის (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და მიუმართავთ დახმარებისთვის N = 54	
 მიმართეთ ან ეცადეთ თუ არა მიემართათ სასამართლოსთვის დამცავი ორდერისთვის?	
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	14.4
<input type="checkbox"/> არა	85.6

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.79.

## 8.6 ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ სერვისებზე წვდომის ბარიერები და გამოწვევები

კვლევის თვისებრივი კომპონენტი გამოყენებულ იქნა ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ მომსახურებებზე წვდომის ბარიერებისა და გამოწვევების, და აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით მომსახურებებში არსებული ხარვეზების შესაფასებლად. მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი დასკვნები ეყრდნობა კვლევის თვისებრივი კომპონენტის მიგნებებსა და თვისებრივ მონაცემებს.

### 8.6.1 ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისები და მათზე ხელმისაწვდომობა

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ქალი სხვაზე მეტად მოწყვლადია ძალადობის მიმართ, არამხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძალადობის მეტი რისკის ქვეშ არიან, არამედ იმ მიზეზითაც, რომ მათ მსხვერპლთა დახმარების სერვისებზე ნაკლები წვდომა აქვთ. ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ინდივიდუალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს მსხვერპლი (გეოგრაფიული მდებარეობა) და როგორია ფინანსურ რესურსებზე მისი წვდომა. თავშესაფრები

„გამოწვევა არის ის, რომ მაგალითად, ყველა თბილისში მცხოვრებს აუცილებლად უნდა თბილისის თავშესაფარი, რადგან აქ მუშაობს, მისი ბავშვები აქ დადიან სკოლებში. რეგიონში მცხოვრებს აუცილებლად უნდა იმ რეგიონში. არის შემთხვევები, როდესაც პირიქით, ბუსტად იმ რეგიონში არ უნდა, სადაც ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ზოგისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ თავშესაფარი და სერვისები იქ მიიღოს, სადაც ცხოვრობს.“ (ძირითადი რესპონდენტების გამოკითხვები სახელმწიფო სერვისების მიმწოდებლებთან).

და კრიზისული ცენტრები საქართველოს მხოლოდ რამდენიმე რეგიონშია ხელმისაწვდომი. ამასთან, ძალადობის მსხვერპლი ქალი შესაძლოა განთავსდეს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო თავშესაფარში საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ მათი განთავსება არ ხდება მათ მიერ არჩეულ თავშესაფარში. ეს კი პრობლემებს უქმნის ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომლებიც იძულებულნი არიან ან შორ მანძილზე იარონ ან შეწყვიტონ სამსახურში სიარული თავშესაფარში ყოფნის დროს, ან რომელთა შვილებსაც უწევთ მათთვის ახალ და უცხო სკოლაში სიარული.

მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლთა დახმარების სერვისები ხელმისაწვდომი იყოს ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისთვის, მათი წარმომავლობისა და სხვა მახასიათებლების მიუხედავად. მსხვერპლთა დახმარების სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტი ქალებისთვის, აგრეთვე ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავშესაფარი ხელმისაწვდომია შშმ ქალებისთვის, სერვისის მომწოდებელმა აღნიშნეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგიერთ ქალს შესაძლოა არ მიეცეს თავშესაფარში შესვლის უფლება, თუ თავშესაფარი ვერ აკმაყოფილებს მის განსაკუთრებულ საჭიროებებს. ერთ-ერთმა სახელმწიფო სერვისის მომწოდებელმა განმარტა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის ძირითადად ფიზიკურ მისაწვდომობაზე გათვლილი და არ მოიცავს, მათ შორის სასიარულო შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში მისაწვდომობას, მათ შორის თავშესაფრის სერვისები ვერ სთავაზობს ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში შესაბამის ადეკვატურ მომსახურებას.“ ამდენად, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მსხვერპლთა დახმარების სერვისები ხელმისაწვდომი იყოს ყველა იმ პირისთვის, ვისაც ეს სჭირდება.

## 8.6.2 ინფორმირებულობა ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ

თვისებრივი კვლევის მიხედვით, ინფორმირებულობის დონე მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ დაბალია როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებსა და სოფლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინფორმირებულობის დაბალი დონე შესაძლოა გამოწვეული იყოს სერვისის მომწოდებლების მიერ ცნობიერების ამაღლების, ინფორმაციის გავრცელებისა და რეკლამის ნაკლებობით. რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ არსებული დახმარების სერვისების შესახებ ძირითადად ტელევიზიიდან და სოციალური მედიიდან გაუგიათ. ძირითადად ინფორმანტებმა აღნიშნეს, რომ არსებული დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება პრობლემა იყო 2017 წელს და დღესაც პრობლემად რჩება საქართველოში. მიუხედავად ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და აქტივობებისა, ფართო საზოგადოება ვერ კიდევ ნაკლებად იცნობს მათ ქალაქებსა და სოფლებში არსებულ დახმარების სერვისებს.

„მნიშვნელოვანი ჩემი აზრით სერვისებში იქნება ის, რომ საზოგადოებას მეტი ინფორმაცია ჰქონდეს ამ სერვისების შესახებ. ჩვენ ძალიან ბევრ შემთხვევაში როცა მსხვერპლებს ვეუბნებით რომ ასეთი სერვისები არსებობს, მათთვის ეს სიურპრიზია. ანუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს და შეიძლება ითქვას ნახევარს არ აქვს ინფორმაცია რას სთავაზობს სახელმწიფო. ან, შეიძლება მაგალითად იცოდნენ მხოლოდ ის რომ არსებობს თავშესაფარი, დანარჩენი სხვა სერვისი რომელსაც სახელმწიფო უწევს მსხვერპლებს არაა მათთვის ცნობილი.“ (სერვისების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი).

### 8.6.3 სამართლებრივი დაცვისა და დახმარების ხელმისაწვდომობა

ყველაზე ფართოდ ხელმისაწვდომი სერვისებია სამართლებრივი დაცვა და დახმარება, როგორცაა დამცავი და შემაკავებელი ორდერები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სამართლებრივი დაცვა და დახმარება ხელმისაწვდომია, არ ნიშნავს, რომ ისინი სრულად ფუნქციონირებს და აკმაყოფილებს ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებს. თვითსებრივი მონაცემებით ირკვევა, რომ თავდაპირველად პოლიცია ერიდებოდა შემაკავებელი ორდერის გაცემას; თუმცა, თანდათან ეს საკითხი მეტ-ნაკლებად უკვე მოგვარდა. დღესდღეობით, ძირითადად, შემაკავებელი ორდერი გაცივმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალადობის მსხვერპლი ქალი ეცდება საჩივრის უკან გამოტანას პოლიციის ადგილზე მისვლის შემდეგ. ორდერების გაცივმის პროცესების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა დაიწყო შემაკავებელი ორდერების გაცივმის კონტროლი. მიუხედავად ამისა, სერვისის მრავალი მომწოდებლის, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისის მომწოდებლების თანახმად, ძალადობის მსხვერპლ ქალებს შემაკავებელი ორდერების გაცივმასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ. ბოლოდროინდელი ბარიერი არის ის, რომ პოლიცია იყენებს მიდგომას - „ვინ რეკავს პირველი“. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მიდგომა „ვინ რეკავს პირველი“ ნიშნავს, რომ ის, ვინც პირველად გამოიძახებს პოლიციას, ითვლება მსხვერპლად. მოძალადეები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას „ვინ რეკავს პირველი“ მიდგომის შესახებ, ამას თავის სასარგებლოდ იყენებენ, რათა თავიდან აიცილონ ოჯახური ძალადობის ბრალდება. ამის შედეგად, პასუხისმგებლობა გადაეცემა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, რომლებმაც სასამართლოს გავლით უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი არიან ფაქტობრივი მსხვერპლები და არა ოჯახში ძალადობის ჩამდენნი.

„მას შემდეგ რაც პოლიციას შეუძლია გამოსცეს შემაკავებელი ორდერები, ორდერების გაცივმა ხშირია, არის მეორე ტენდენცია ეს ორდერი მის სასარგებლოდ გამოიცივმა, ვინც პირველი დარეკავს პოლიციაში და არ ხდება დიდი ჩაღრმავება რა მოხდა რეალურად“. სერვისების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი

### 8.6.4 ძალადობის მსხვერპლ ქალთა ფინანსური დახმარება

ზოგიერთი მუნიციპალიტეტი დროდადრო ფინანსურ დახმარებას უწევს ძალადობის მსხვერპლ ქალებს საცხოვრისისთვის; თუმცა, პრაქტიკაში, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მთავრდება მას შემდეგ, რაც ძალადობის მსხვერპლი ქალი ტოვებს ოჯახში ძალადობის თავშესაფარს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ფინანსური დახმარება ხელმისაწვდომია, ის არასანდოა და

„ძალიან ფრაგმენტულია ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები, არ არის ყველა მუნიციპალიტეტში და სადაც არის განსხვავებულია ერთმანეთისგან პრაქტიკა. ითხოვენ რეგისტრაციას ადგილის მიხედვით და ა.შ. რაც მსხვერპლის შემთხვევაში შეიძლება არ იყოს შესაძლებელი რომ წარადგინოს მან და ძალიან ბევრი ბარიერი არსებობს ამ მიმართულებით, რაც ვფიქრობ, რომ ზოგადად ამ სერვისების ეფექტიანობაზეც აისახება.“ (ინტერვიუ სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელთან).



მოითხოვს ბიუროკრატიულ პროცედურებს, რომლებსაც მრავალი ძალადობის მსხვერპლი ქალი ვერ აკმაყოფილებს. თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ბევრი ძალადობის მსხვერპლი ქალი წუხს საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი დრო ოჯახური ძალადობის თავშესაფარში დასრულდება.

### 8.6.5 მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები

მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები საქართველოში ინტენსიურად ვითარდება და ამ მიმართულებით ქვეყანაში მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ძირითადად, ეს პროგრამები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სექტორში არსებობს ისევე, როგორც სათემო დონეზე (რომელთაც ქალთა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს). ასევე, უკვე შემუშავებულია მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მოძალადეთა ქცევის კორექციის საქართველოში მოქმედი პროგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საპატიმრო სასჯელის მოხდის, ასევე პრობაციის დროს. ამასთან, ინვესტიცია ჩაიდო ამ პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფასა და მათ განხორციელებაში ჩართული პროფესიონალების მომზადებაში. არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ამ ტიპის სერვისები დონორების მიერ ფინანსდება. ამ პროგრამების ეფექტიანობის შეფასების შედეგად, ძირითადი გამოწვევები გამოვლინდა მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საჭიროა პროგრამის მონაწილე მოძალადეთა პარტნიორებთან კონტაქტის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერის გაძლიერება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია რისკის სტრუქტურირებული შეფასება და მართვა. დაბოლოს, აუცილებელია ამ პროგრამების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით.<sup>1</sup>

2019 წელს, მოძალადეთა GPS ელექტრონული ზედამხედველობის სისტემა დაინერგა, რომელიც ძალადობის განმეორების მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება. სისტემა როგორც მოძალადის, ისე მსხვერპლის ადგილსამყოფელს აკონტროლებს და მსხვერპლს, მოძალადესა და სამართალდამცავებს განგაშის სიგნალს უგზავნის, როდესაც მსხვერპლი და მოძალადე ერთმანეთს გარკვეულ მანძილზე მიუახლოვდება. ამ ღონისძიების მიზანია, მსხვერპლის უსაფრთხოება მოძალადისთვის თავისუფლების აღკვეთის გარეშე უზრუნველყოს.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება პოლიციას შემაკავებელი ორდერების აღსრულების მექანიზმების არარსებობის გამო აკრიტიკებდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქალი შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში მოკლეს. GPS ზედამხედველობის სისტემა სწორედ ძალადობის განმეორების მაღალი რისკის შემთხვევებში შემაკავებელი ორდერის აღსრულების ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. შედეგად, შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, პოლიცია სასამართლოსგან ითხოვს თანხმობას GPS ზედამხედველობის სისტემის გამოყენებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოძალადე აღჭურვილი იქნება ელექტრონული სამაჯურით, რომლის მოხსნაც მხოლოდ პოლიციას შეუძლია, ხოლო დაზარალებულს მიეწოდება მობილური ტელეფონის ზომის მონწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება ორივე მხარის გაფრთხილება, თუ ისინი ერთმანეთთან ახლოს აღმოჩნდებიან.

ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შსს-ს GPS მონიტორინგის სისტემის სერვერები, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და

ტექნიკური მოწყობილობები გადაეცა 100 ელექტრონულ სამაჯურთან ერთად. ინიციატივის ფარგლებში აგრეთვე შსს-ს და სსიპ 112-ის სასწრაფო დახმარების სამსახურის შესაბამისი თანამშრომლები გადამზადდა. ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით; ცვლილებები ძალაში 2020 წლის სექტემბერში შევიდა. სისტემა ეფექტიანი აღმოჩნდა, ამიტომ შსს-ს მოთხოვნით, ევროკავშირის და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ შესყიდულ იქნა ზედამხედველობის მოწყობილობის დამატებითი 250 კომპლექტი. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მუშავდება კანონპროექტი ზედამხედველობის ამ საშუალებების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დანერგვის შესახებ იმ ბრალდებულების მიმართ, რომელთაც ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის ჩადენაში ედებათ ბრალი და რომელთა მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა გამოყენებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა თავდაპირველად იშვიათად გამოიყენებოდა, მისი გამოყენების სიხშირე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (2022 წელს გამოიყენეს 16 საქმეში, 2021 წელს - 15 საქმეში) სტაბილურად იზრდება.<sup>2</sup>

## 8.7 ქალების მიერ გამოყენებული სხვა დამცავი ზომები

### 8.7.1 სახლიდან წასვლა

ქალები არ არიან პარტნიორის მხრიდან ძალადობის პასიური მსხვერპლები. სხვების-თვის დახმარების თხოვნის პარალელურად, ისინი აქტიურად ცდილობენ თავი დააღწიონ ძალადობას. ამის ერთ-ერთი საშუალებაა დატოვონ, ან შეეცადონ დატოვონ დამამცირებელი და ძალადობის შემცველი ურთიერთობა. წასვლის გადაწყვეტილებაზე (და ამ ნაბიჯის წარმატებულად განხორციელებაზე) საკუთარი მოტივაციის გარდა, გავლენას ახდენს რამდენიმე გარე ფაქტორი, მათ შორის ძალადობის გარემოებები და ქალების მიერ შესაძლო ალტერნატივების შეფასება.<sup>3</sup>

კვლევამ, რომელიც სწავლობდა პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე ქალების რეაგირებას, გამოავლინა, რომ ქალები დამამცირებელი და ძალადობის შემცველი ურთიერთობისგან თავის დაღწევისას გარკვეულ პროცესებს გადიან. ეს ხშირად არ არის უეცარი, ან ერთჯერადი გადაწყვეტილება, რომელიც წერტილს უსვამს ურთიერთობას. კვლევების მიხედვით, ძალადობის შემცველი ურთიერთობიდან თავის დასაღწევად ქალები ოთხ ფაზას გადიან. ეს პროცესი მოიცავს მორჩილების, თმენის, წინააღმდეგობისა და აღდგენის ფაზებს, რომლის განმავლობაში ქალი იწყებს კითხვების დასმას, რაციონალიზაციას და აანალიზებს პარტნიორის მხრიდან ძალადობის საკუთარ გამოცდილებას.<sup>4</sup>


- მორჩილების ფაზაში – ქალები რაციონალიზაციას უკეთებენ ან უგულებელყოფენ ძალადობას.
- თმენის ფაზაში – ქალები იტანენ ძალადობას, რომელიც უარეს ფორმას იძენს, თუმცა ამ ფაზაში ქალებს ჯერ არ შეუძლიათ მის წინააღმდეგ აქტიური პოზიციის დაკავება.
- წინააღმდეგობის ფაზაში – ქალები საბოლოოდ თავისუფლდებიან და აქტიურად ეწინააღმდეგებიან ძალადობას, ეძებენ გამოსავალს ურთიერთობიდან.


- აღდგენის ფაზაში - ქალები ტოვებენ შეურაცხყოფელ ურთიერთობას და გადადიან ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ბევრი ქალისთვის, დამამცირებელი ინტიმური ურთიერთობის დატოვება პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე რეაგირების ბოლო ეტაპს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, ქალები ბრუნდებიან, ზოგჯერ ისევ მიდიან და რამდენჯერმე იმეორებენ წასვლისა და დაბრუნების პროცესს. კვლევის თანახმად, პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ნახევარზე მეტი (59.4 პროცენტი) აცხადებს, რომ არასდროს წასულა სახლიდან, მსხვერპლი ქალების მესამედზე მეტი ერთი ღამით მაინც წასულა სახლიდან პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო (37.1 პროცენტი). სახლიდან წასულ ქალებს შორის, უმრავლესობამ განაცხადა, რომ ასე ბევრჯერ მოქცეულა. კერძოდ, მსხვერპლი ქალების 36.0 პროცენტი 2-3-ჯერ წასულა სახლიდან, 20.0 პროცენტი - 4-9 -ჯერ, ხოლო 18.0 პროცენტი - 10-15-ჯერ. ზოგადად, პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო ქალების სახლიდან წასვლის საშუალო რაოდენობამ შეადგინა 4 (ცხრილი 8.4).

ქალებს, რომლებიც სახლიდან წასულან, სთხოვეს ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით სახლიდან წასვლის მიზეზის დაკონკრეტებ. ქალების უმრავლესობამ (82.3 პროცენტი) განაცხადა, რომ აღარ შეეძლოთ მეტი ძალადობის ატანა. ქალების გამოცდილებები ხაზს უსვამს იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც დგანან, როდესაც ისინი დამამცირებელ პარტნიორულ ურთიერთობებთან გამკლავებასა და მათ შეწყვეტას ცდილობენ.

**ცხრილი 8.4.** ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან და წამოსულან სახლიდან, სახლიდან წამოსვლის მიზეზების მიხედვით (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან <b>N = 231</b>	
ოდესმე თუ წასულხართ სახლიდან, თუნდაც ერთი ღამით თქვენი მეუღლის/ პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო?	
<input checked="" type="checkbox"/>	37.1
<input checked="" type="checkbox"/>	59.4
<input type="checkbox"/>	1.9
<input type="checkbox"/>	1.6
რამდენჯერ წასულხართ სახლიდან თქვენი მეუღლის/პარტნიორის საქციელის გამო?	ოდესმე წასულა სახლიდან <b>N = 86</b>
1	26.0
2-3	36.0
4-9	20.0
10-15	18.0


 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 231	
რა მიზეზით წამოხვედით სახლიდან ბოლო ინციდენტის დროს?	
აღარ შეეძლო მეტის ატანა	82.3
მეგობრების ან ოჯახის წევრების რჩევით	9.1
ხედავდა, რომ ბავშვები იტანჯებოდნენ	6.2
სახლიდან გააგდეს	5.6
მეუღლე/პარტნიორი ემუქრებოდა სიკვდილით ან მოკვლას უპირებდა	4.1
მეუღლე/პარტნიორი ემუქრებოდა ან სცემდა ბავშვებს	2.4
ეშინოდა, რომ მეუღლე/პარტნიორი მოკლავდა მას	2.7
კონკრეტული მიზეზის გარეშე	2.4
სხვა	3.7

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.80.

## 8.7.2 ფიზიკური ძალის თავდაცვის მიზნით გამოყენება

ზოგიერთი ქალი აქტიურად ეწინააღმდეგება პარტნიორთან ურთიერთობაში ძალადობას, თავდაცვის მიზნით. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებს, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან (ცხოვრების მანძილზე), ჰკითხეს ოდესმე თუ შეუბრუნებიათ ხელი ან დაუცავთ საკუთარი თავი მაშინ, როდესაც მათი მეუღლე/პარტნიორი მათზე ფიზიკურად ძალადობდა. მსხვერპლ ქალთა მესამედზე მეტმა (36.4 პროცენტმა) განაცხადა, რომ თავდაცვის მიზნით შეუბრუნებია ხელი პარტნიორისთვის. იმ ქალებს შორის, ვისაც ოდესმე შეუბრუნებია ხელი, 30.4 პროცენტმა განაცხადა, რომ შედეგად ძალადობა შეჩერდა, 23.9 პროცენტმა განაცხადა, რომ შედეგად ძალადობა შესუსტდა, ხოლო 21.0 პროცენტმა განაცხადა, რომ ძალადობის წინააღმდეგ მის ქმედებასა და თავის დაცვას ძალადობის გაუარესება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლ ქალთა 22.9 პროცენტის განცხადებით, ძალადობის წინააღმდეგ მის ქმედებასა და თავის დაცვას არანაირი ცვლილება არ მოჰყოლია (**ცხრილი 8.5**).

**ცხრილი 8.5.** ქალები, რომლებმაც დაიცვეს საკუთარი თავი მეუღლისგან/პარტნიორისგან (პროცენტი)

 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან N = 182	
როდესაც თქვენ გცემდათ ან გირტყამდათ თქვენი მეუღლე/პარტნიორი, ოდესმე თუ შეგიბრუნებიათ ხელი ან დაგიცავთ საკუთარი თავი? ან იმ შემთხვევებში, როდესაც თქვენი ქმარი სხვაგვარად ძალადობდა თქვენზე ფიზიკურად, ოდესმე თუ შეგიბრუნებიათ ხელი ან დაგიცავთ საკუთარი თავი?	
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	36.4
<input checked="" type="checkbox"/> არა, არასდროს	62.5
<input type="checkbox"/> არ ვიცი/ არ მახსოვს	0.6
<input type="checkbox"/> უარი პასუხზე	0.5
რა შედეგი მოჰყვა ძალადობის წინააღმდეგ თქვენს ქმედებასა და თავის დაცვას?	ოდესმე შეუბრუნებია ხელი N = 66
<input type="checkbox"/> არანაირი ცვლილება/არ ჰქონია შედეგი	22.9
<input type="checkbox"/> ძალადობა გაუარესდა	21.0
<input type="checkbox"/> ძალადობა შესუსტდა	23.9
<input type="checkbox"/> ძალადობა შეჩერდა	30.4
<input type="checkbox"/> არ ვიცი/არ მახსოვს	1.8


შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.81.

ქაღალდობა

ანაპანსნიონის

მხილვან

9



მოცემული თავი მოიცავს კვლევის შედეგებს, რომელიც დაკავშირებულია ქალთა მიმართ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობასთან არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ). ამ თავში ასევე მოცემულია ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (18 წლამდე). არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა შეფასდა სხვადასხვა კითხვის საფუძველზე, მაგალითად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ვინმეს, გარდა მეუღლის/პარტნიორისა, ფიზიკურად უძალადია სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით. აღნიშნული ძალადობა მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა დაშინება, ძალის გამოყენება, ისეთ სიტუაციაში ჩაყენება, როცა ქალს არ შეუძლია უარის თქმა. კითხვები დაესვა ყველა ქალს, მათ შორის იმ ქალებს, ვისაც არასდროს ჰყოლია მეუღლე/პარტნიორი.

## 9.1 ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან

**ცხრილი 9.1** გვიჩვენებს, რომ 15-69 წლის ქალების 6.5 პროცენტმა განაცხადა, რომ 15 წლის ასაკის შემდეგ, გამოუცდია არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ერთი ფორმა მაინც ცხოვრების მანძილზე, ხოლო 0.5 პროცენტს - ბოლო 12 თვის მანძილზე. არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენდა ხელის კვრა ან თმაზე მოქაჩვა (4.1 პროცენტი); სილის განწა, დარტყმა, ცემა, ფეხის ჩარტყმა ან ტკივილისა და ზიანის მიყენების სხვა რაიმე ფორმა (3.0 პროცენტი).


**ცხრილი 9.1.** ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ) (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	ცხოვრების მანძილზე	ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის შემდეგ) (სულ მცირე ერთი ქმედება)</b>	<b>6.5</b>	<b>0.5</b>
გკრათ ხელი ან მოგქაჩათ თმაზე	4.1	0.3
გაგანწათ სილა, დაგარტყათ, გცემათ, ჩაგარტყათ ფეხი ან აკეთებდა რაიმე სხვას, რათა თქვენთვის ტკივილი ან ზიანი მოეყენებინა	3.0	0.1
გესროლათ რაიმე ნივთი	1.7	0.2
გახრჩობდათ	0.5	0.0
დაგემუქრათ ან თქვენ წინააღმდეგ გამოიყენა დანა, ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღი	0.4	0.0
დაგწვათ განზრახ	0.1	0.0

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.82.

**დიაგრამა 9.1** აჩვენებს, რომ 15 წლის ასაკის შემდეგ არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას 15-24 წლის ასაკის ქალები განიცდიდნენ უფრო მეტად (12.2 პროცენტი), ვიდრე 25 წლისა და უფროსი ასაკის ქალები. აღსანიშნავია, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ქალების წილი, რომლებსაც ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება, იკლებს, თუმცა იზრდება 65 წლის ასაკის შემდეგ.


**დიაგრამა 9.1.** ქალები, რომელთაც 15 წლის ასაკის შემდეგ განუცდიათ ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.83.

**დიაგრამა 9.2** აჩვენებს, რომ თბილისში მცხოვრები ქალები უფრო მეტად განიცდიან არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას (13.6 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებსა (4.7 პროცენტი) და სოფლებში (2.1 პროცენტი) მცხოვრები ქალები.

**დიაგრამა 9.2.** ქალები, რომელთაც 15 წლის ასაკის შემდეგ განუცდიათ ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.83.



იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, ოთხიდან ერთი ქალი (25.0 პროცენტი) აცხადებს, რომ მოძალადე იყო მისი მეგობარი, 17.1 პროცენტი - დედამისი ან დედინაცვალი, 11.9 პროცენტი - ძმა ან და, 11.3 პროცენტი - მასწავლებელი, 10.4 პროცენტი - სრულიად უცნობი პირი და 17.1 პროცენტი - სხვა პირი (გარდა ჩამოთვლილისა).


**დიაგრამა 9.3.** 15 წლის ასაკის შემდეგ არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ჩამდენი პირები (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.84.

იმ ქალებს შორის, რომელთაც განუცდიათ არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა 15 წლის ასაკის შემდეგ, დაახლოებით ნახევარს არავისთვის უთქვამს გადატანილი ძალადობის შესახებ, ხუთიდან ორი ქალი (39.5 პროცენტი) ყველაზე ხშირად მომხდარის შესახებ ეუბნებოდა თავიანთი ოჯახის (რომელშიც დაიბადნენ/გაიზარდნენ) ქალ წევრს. ქალების გაცილებით ნაკლებმა რაოდენობამ განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ უამბო თავისი ოჯახის (რომელშიც დაიბადნენ/გაიზარდნენ) კაც წევრს (14.3 პროცენტი) ან მეგობარს/მეზობელს (10.6 პროცენტი).


**დიაგრამა 9.4.** პირები, ვისაც არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა უთხრეს განცდილი ფიზიკური ძალადობის შესახებ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.85.

**დიაგრამა 9.5** გვიჩვენებს, რომ ქალების უმეტესობამ, რომლებმაც უამბეს ვინმეს არა-პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის გამოცდილებების შესახებ, განაცხადა, რომ ამ პირების უმრავლესობა მათ უჭერდა მხარს (84.9 პროცენტი). ქალების მხოლოდ 15.0 პროცენტმა განაცხადა, რომ ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა ან/და მეზობლებმა ურჩიეს მიემართა პოლიციისთვის. ქალების 13.7 პროცენტმა განაცხადა, რომ ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა ან/და მეზობლებმა გამოიჩინეს გულგრილობა ან არ დაინტერესდნენ, ქალების 9.0 პროცენტი თვითონ დაადანაშაულეს მათზე განხორციელებული ძალადობის გამო, ხოლო, 5.3 პროცენტს ურჩიეს, რომ არავისთან გაემჟღავნებინა მომხდარის შესახებ.

**დიაგრამა 9.5.** პირების რეაგირება, რომელთაც არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლებმა ქალებმა უთხრეს განცდილი ფიზიკური ძალადობის შესახებ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.85.

იმ ქალებს შორის, რომლებმაც გამოცადეს ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, მხოლოდ 9.0 პროცენტმა აღნიშნა რომ ბოლო ინციდენტის შესახებ შეატყობინა პოლიციას (ცხრილი B.86).

## 9.2 სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან

15-69 წლის ასაკის ქალების 1.5 პროცენტს განუცდია არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა ცხოვრების მანძილზე (ცხრილი 9.2). კერძოდ, ქალების 1.3 პროცენტს განუცდია არასასურველი და იძულებითი სექსობრივი კავშირის მცდელობა, ქალების 0.2 პროცენტს - იძულებითი სექსობრივი კავშირი, ხოლო 0.1 პროცენტს აიძულებდნენ სექსობრივი კავშირის დამყარებას, მაშინ როდესაც ის იყო ზედმეტად მთვრალი ან იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. 15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოების პროცენტულმა წილმა, რომელთა მიმართ ბოლო 12 თვის მანძილზე ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას არა პარტნიორის მხრიდან, შეადგინა 0.0 პროცენტი.


### SDG ინდიკატორი 5.2.2

15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოების პროცენტულმა წილმა, რომელთა მიმართ ბოლო 12 თვის მანძილზე ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას არა პარტნიორის მხრიდან, შეადგინა 0.0 პროცენტი.



ქალების ნახევარი (49.8\* პროცენტი) აღნიშნავს, რომ არავისთვის უთქვამთ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ.

**ცხრილი 9.2.** სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ) (ცხოვრების მანძილზე) (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის ასაკის) N = 3,300
<b>სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ) (სულ მცირე ერთი ქმედება ჩამოთვლილი 4 ქმედებიდან)</b>	<b>1.5</b>
თქვენი სურვილის წინააღმდეგ, ვინმემ ხომ არ სცადა დაემყარებინა თქვენთან სქესობრივი კავშირი, მაგრამ ვერ შეძლო, მაგალითად, ძალის გამოყენებით ან თქვენი ისეთ სიტუაციაში ჩაყენებით, რომ არ შეგეძლოთ უარის თქმა	1.3
თქვენი სურვილის წინააღმდეგ, ვინმემ ხომ არ გაიძულათ დაგემყარებინათ მასთან სქესობრივი კავშირი, მაგალითად, მუქარით, ძალის გამოყენებით ან თქვენი ისეთ სიტუაციაში ჩაყენებით, რომ არ შეგეძლოთ უარის თქმა	0.2
ვინმემ ოდესმე თუ გაიძულათ სქესობრივი კავშირი, მაშინ როდესაც იმყოფებოდით ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, ან იყავით იმდენად მთვრალი რომ ვერ შეძელით უარის თქმა	0.1
ოდესმე ვინმემ თუ გაიძულათ ან თქვენი ნების წინააღმდეგ დაგიყოლიათ სქესობრივ კავშირზე რამდენიმე კაცთან ერთდროულად	0.0

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.87.

იმ ქალების საშუალო ასაკმა, რომელთაც განაცხადეს, რომ გამოუცდიათ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, შეადგინა 19\* წელი. ქალების მესამედზე მეტმა (38.1\* პროცენტი) განაცხადა, რომ მოძალადე იყო სრულიად უცნობი პირი. 20.5\* პროცენტის განცხადებით მოძალადე იყო მეგობარი, 16.7\* პროცენტის განცხადებით - ახლად გაცნობილი პირი, 8.6\* პროცენტის განცხადებით - ვინმე სამსახურში, ხოლო 18.8\* პროცენტის განცხადებით - სხვა პირი (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა).


იმ ქალებს შორის, რომლებსაც გამოუცდია არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, დაახლოებით ნახევარმა (49.8\* პროცენტი) განაცხადა, რომ არავისთვის უთქვამს განცდილი სექსუალური ძალადობის შესახებ. იმ ქალებს შორის, რომლებმაც უთხრეს სხვას თავისი გამოცდილების შესახებ, 31.8\* პროცენტმა უთხრა თავისი ოჯახის ქალ წევრს, 21.3\* პროცენტმა - მეგობარს ან მეზობელს, ხოლო 19.6\* პროცენტმა - თავისი ოჯახის კაც წევრს (ცხრილი B.88).

### 9.3 ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)

გამოკვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა. ქალ რესპონდენტებს დაესვათ კითხვა 18 წლის ასაკამდე სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ, კერძოდ, შეხებიათ თუ არა ვინმე მათ სექსუალურად მათი ნების წინააღმდეგ ან აიძულებდა გაგვეკეთებინათ რაიმე სექსუალური, რაც მათ არ სურდათ. აღნიშნული შეკითხვის განსაკუთრებული სენსიტიურობიდან გამომდინარე, რესპონდენტებს გადაეცათ ბარათი, რომელზეც გამოსახული იყო ბედნიერი და სევდიანი სახეები. რესპონდენტს სთხოვდნენ, რომ ფარულად მოენიშნა სევდიანი სახე, იმ შემთხვევაში თუ 18 წლის ასაკამდე, ვინმე შეხებია მას სექსუალურად მისი ნების წინააღმდეგ ან აიძულებდა გაგვეკეთებინა რაიმე სექსუალური, რაც მას არ სურდა. ხოლო თუ აღნიშნული არასდროს მომხდარა, მოენიშნათ ბედნიერი სახე. რესპონდენტებს ასევე სთხოვდნენ დაეკეცათ და კონვერტში მოეთავსებინათ ბარათი. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გასაზომად, აღნიშნული მეთოდი მიჩნეულია კარგ პრაქტიკად, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წლის ეროვნული კვლევის, ასევე ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ სხვა კვლევების საფუძველზე.

**დიაგრამა 9.6** გვიჩვენებს, რომ ქალების 8.5 პროცენტმა განაცხადა, რომ 18 წლის ასაკამდე გამოუცდია სექსუალური ძალადობა, კერძოდ, ვინმე შეხებია მათ სექსუალურად მათი ნების წინააღმდეგ ან აიძულებდნენ გაგვეკეთებინათ რაიმე სექსუალური, რაც მათ არ სურდათ. 15-24 წლის ასაკის ქალების შემთხვევაში, სექსუალური ძალადობის გამოცდილების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო (13.5 პროცენტი), ვიდრე უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში.

**დიაგრამა 9.6.** ქალები, რომელთაც ბავშვობაში განუცდიათ სექსუალური ძალადობა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.89.

აღსანიშნავია, რომ არასრული საშუალო განათლების, დაწყებითი და განათლების უფრო დაბალი საფეხურის მქონე ქალები უფრო მეტად აცხადებდნენ, რომ გამოუცდიათ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (შესაბამისად, 13.7 პროცენტი და 15.8\* პროცენტი), ვიდრე საშუალო განათლებისა და განათლების უფრო მაღალი საფეხურის მქონე ქალები. აგრეთვე, ცუდი და ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ქალები უფრო მეტად აცხადებდნენ, რომ გამოუცდიათ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (შესაბამისად, 12.6 პროცენტი და 10.3 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომლებიც ცხოვრობდნენ კარგი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე შინამეურნეობებში (7.5 პროცენტი). თბილისში მცხოვრები ქალები უფრო მეტად აცხადებდნენ, რომ გამოუცდიათ

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (12.2 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებში (7.0 პროცენტი) და სოფლებში (6.6 პროცენტი) მცხოვრები ქალები (ცხრილი B.89).


გამოკვლევის შედეგების თანახმად, ქალები, რომლებსაც გამოუცდიათ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა, ბევრად უფრო მეტად განიცდიდნენ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალურ ძალადობას (11.0 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომელთაც არ გამოუცდიათ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (0.6 პროცენტი).

გამოკვლევის შედეგები მიანიშნებს, რომ ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა ზრდის მომავალში ძალადობის რისკს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, რომლებმაც განიცადეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა, ზრდასრულ ასაკში სექსუალური ძალადობის 2-13-ჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ხოლო პარტნიორის მხრიდან არასექსუალური ძალადობის - ორჯერ უფრო მაღალი რისკის ქვეშ.<sup>1</sup>

საქსტატისტიკური

შეკრები

10



სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც არღვევს ქალსა და კაცს შორის თანაბარი მოპყრობის პრინციპს და შესაბამისად იგი აღიარებულია, როგორც ქალებისა და გოგოების მიმართ დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის ფორმად. ამ თავში განხილულია ქალების მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების გამოცდილებები, მათ შორის:

- სექსუალური შევიწროების ფიზიკური ქცევები - არასასიამოვნო/არასასურველი შეხება, მოხვევა ან კოცნა;
- სექსუალური შევიწროების ვერბალური ქცევები - დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სექსუალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები; მომაბეზრებელი, შეურაცხმყოფელი კითხვები პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით; მომაბეზრებელი, შეურაცხმყოფელი კომენტარები ქალის ფიზიკურ გარეგნობასთან დაკავშირებით;
- სექსუალური შევიწროების არასიტყვიერი ფორმები - სექსუალური ხასიათის სურათების, ფოტოების ან საჩუქრების გამოგზავნა ან ჩვენება; პირის მიერ თავისი სხეულის უხამსად ჩვენება;
- კიბერშევიწროება - არასასურველი, სექსუალური ხასიათის ელექტრონული წერილების ან/და ტექსტური შეტყობინებების მიღება, არასასურველი კომუნიკაცია სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ საკომუნიკაციო სივრცეებში.<sup>2</sup>

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სექსუალური შევიწროების გავრცელების შეფასება ეფუძნება ქალის პირად გამოცდილებას და სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს არასასურველად და შეურაცხყოფელ ქცევად. კვლევამ აჩვენა, რომ ქალებს განსხვავებული აღქმები აქვთ იმის შესახებ, თუ რა ქცევა წარმოადგენს სექსუალურ შევიწროებას<sup>3</sup>. სექსუალური შევიწროების შესახებ ქალების აღქმაზე შეიძლება გავლენა იქონიოს რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის, როგორია მათი ცნობიერების დონე და რა ინფორმაციას ფლობენ ქალები საკუთარ უფლებებზე და სექსუალურ შევიწროებასთან, გენდერულ თანასწორობასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, აგრეთვე მათ სოციალურ და კულტურულ დამოკიდებულებებზე გენდერულ თანასწორობასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ.<sup>4</sup> სექსუალური შევიწროების შესახებ სუბიექტური ინტერპრეტაციების შესამცირებლად, ამ გამოკითხვის ფარგლებში არ დაუსვამთ კითხვა რესპონდენტების სექსუალური შევიწროების, როგორც თავად საკითხის შესახებ; ქალებს ეკითხებოდნენ კონკრეტული არასასურველი და შეურაცხმყოფელი ქმედებების შესახებ.

ამ თავში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები ქალების სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე), სპეციფიკური ფორმების ჩათვლით. აგრეთვე, ნაჩვენებია, თუ ვინ არიან სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირები, ადგილები, სადაც ხდება სექსუალური შევიწროება და გამოუცდიათ თუ არა ქალებს სექსუალური შევიწროება ბავშვობაში (15 წლამდე და 18 წლამდე) ან/და ზრდასრულ ასაკში. აგრეთვე, განხილულია ასაკს, განათლების დონესა და სექსუალური შევიწროების გამოცდილებას შორის ურთიერთკავშირი. ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია ონლაინ სექსუალური ხასიათის ქმედებების იძულებისა და გამოძალვის გამოცდილების შესახებ, ასევე იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მათ გადადგეს თავის დასაცავად.




## 10.1 სექსუალური შევიწროების გამოცდილება ქალებში

**დიაგრამა 10.1** გვიჩვენებს, რომ ქალების 24.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე, ხოლო 9.7 პროცენტს გამოუცდია სექსუალური შევიწროება ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე). სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელიც ქალებს გამოუცდიათ, წარმოადგენდა შეუფერებელი, დაჟინებული მზერა, რაც ქალებს დამცირებულად აგრძნობინებდა თავს (ცხოვრების მანძილზე - 15.2 პროცენტი, მიმდინარე - 4.7 პროცენტი), მომაბეზრებელი კითხვების დასმა ქალების პირად ცხოვრებაზე, რაც მათ უხერხულად, შერცხვენილად ან შეურაცხყოფილად აგრძნობინებდა თავს (ცხოვრების მანძილზე - 10.1 პროცენტი, მიმდინარე - 5.3 პროცენტი) და მომაბეზრებელი კომენტარების გაკეთება ქალების გარეგნობაზე, რაც მათ უხერხულად, შერცხვენილად ან შეურაცხყოფილად აგრძნობინებდა თავს (ცხოვრების მანძილზე - 7.5 პროცენტი, მიმდინარე - 3.3 პროცენტი). სექსუალური შევიწროების სხვა ფორმები ნაკლებადაა გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალების მხოლოდ 35.3 პროცენტმა მიიჩნია ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები სექსუალურ შევიწროებად, თითქმის სამიდან ორ ქალს (63.5 პროცენტი) კი ეს ქმედებები არასდროს მიუჩნევია სექსუალურ შევიწროებად (ცხრილი B.90).

**დიაგრამა 10.1. ქალები, რომელთაც გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.90.

**10.1.1 სექსუალური შევიწროების გამოცდილება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით**

**დიაგრამა 10.2** აჩვენებს, რომ ყველაზე მეტად სექსუალურ შევიწროებას განიცდიდნენ 15-24 წლის (45.1 პროცენტი), 25-34 წლის (31.3 პროცენტი) და 35-44 წლის (23.9 პროცენტი) ქალები. ასაკის მატებასთან ერთად, აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება. 15-24 წლის ასაკის ქალები დაახლოებით სამჯერ უფრო მეტად განიცდიან სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის ქალები. ასევე, 25-34 წლის ასაკის ქალები დაახლოებით ორჯერ უფრო მეტად განიცდიან სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის ქალები.


**დიაგრამა 10.2.** ქალები, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ სექსუალური შევიწროება, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.91.

**დიაგრამა 10.3** გვიჩვენებს, რომ ქალები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ყველაზე მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (36.0 პროცენტი). უმაღლესი განათლების მქონე ქალები იმაზე გაცილებით მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას ვიდრე პროფესიული განათლების (14.6 პროცენტი), სრული საშუალო განათლების (21.8 პროცენტი), არასრული საშუალო განათლებისა (18.8\* პროცენტი) და დაწყებითი განათლების ან განათლების უფრო დაბალი საფეხურის (15.0\* პროცენტი) მქონე ქალები.

**დიაგრამა 10.3.** ქალები, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ სექსუალური შევიწროება, განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.91.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ თბილისში მცხოვრები ქალები გაცილებით უფრო მეტად განიცდიან სექსუალურ შევიწროებას (51.7 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებში (17.5 პროცენტი) და სოფლებში (7.5 პროცენტი) მცხოვრები ქალები.

**დიაგრამა 10.4.** ქალები, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ სექსუალური შევიწროება, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.91.

## 10.2 პირები, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას ახორციელებდნენ

ქალებს, რომლებსაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ სექსუალური შევიწროება, ეკითხებოდნენ, იცნობდნენ თუ არა იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა სექსუალური შევიწროების ბოლო შემთხვევა. **დიაგრამა 10.5** გვიჩვენებს, რომ ქალების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროების ჩამდენი იყო უცხო პირი (55.9 პროცენტი). ქალების 12.7 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იცოდა ვინ ჩაიდინა სექსუალური შევიწროების ქმედება. დანარჩენ შემთხვევაში სექსუალური შევიწროების ჩამდენ პირად დაასახელეს მეზობელი (9.4 პროცენტი), ახლად გაცნობილი პირი (9.3 პროცენტი), მეგობარი (7.8 პროცენტი) და სხვა პირი (4.2 პროცენტი).

**დიაგრამა 10.5.** პირები, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას ახორციელებდნენ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.92.


### 10.3 ადგილები, სადაც ხდება სექსუალური შევიწროება

ქალების უმრავლესობამ განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება მოხდა ქუჩაში, ჩიხში ან ბილიკზე (41.2 პროცენტი) ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში (28.0 პროცენტმა). ქალებმა ასევე განაცხადეს, რომ სექსუალურ შევიწროებას ადგილი ჰქონდა სკოლაში/უნივერსიტეტში, სამუშაო ადგილას, რესპონდენტის ან სხვა პირის სახლში ან ეზოში და სხვა საჯარო სივრცეებში (ცხრილი B.92).

### 10.4 სექსუალური შევიწროება ბავშვობასა და ზრდასრულობაში


ქალებს სთხოვეს გაეხსენებინათ თუ როდის მოხდა სექსუალური შევიწროების ქმედებები, კერძოდ მოხდა 15 ან 18 წლის ასაკამდე თუ შემდეგ. იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ სექსუალური შევიწროება, 8.6 პროცენტმა განაცხადა რომ სექსუალური შევიწროება განიცადა 15 წლამდე (**დიაგრამა 10.6**), ხოლო 24.5 პროცენტმა - 18 წლამდე (**დიაგრამა 10.7**). ქალების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სექსუალური შევიწროება განიცადა ზრდასრულ ასაკში, 18 წლის ასაკის შემდეგ (60.2 პროცენტი). ქალების 14.8 პროცენტის განცხადებით, სექსუალურ შევიწროებას ადგილი ჰქონდა 18 წლამდე ასაკშიც და 18 წლის ასაკის შემდეგაც (როგორც ბავშვობაში, ისე ზრდასრულობაში).

**დიაგრამა 10.6.** სექსუალური შევიწროება 15 წლამდე და 15 წლის შემდეგ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.93.

**დიაგრამა 10.7.** სექსუალური შევიწროება 18 წლამდე და 18 წლის შემდეგ (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.93.

## 10.5 სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის სხვა ფორმების კავშირი

**ცხრილი 10.1** აჩვენებს სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობის სხვა ფორმებს შორის არსებულ კავშირს, რომლებსაც ქალები განიცდიან ბავშვობასა და ზრდასრულობაში. კერძოდ, ქალები, რომლებმაც ბავშვობაში (18 წლამდე) განიცადეს ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა, თითქმის ორჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას ცხოვრების მანძილზე (43.3 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომლებსაც ბავშვობაში არ განუცდიათ ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (19.7 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომლებმაც ბავშვობაში განიცადეს სექსუალური ძალადობა, თითქმის ორჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (52.7 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომლებსაც ბავშვობაში არ გამოუცდიათ სექსუალური ძალადობა (21.7 პროცენტი).

**ცხრილი 10.1.** სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე და ძალადობის სხვა ფორმები (პროცენტი)

		ქალები (15-69 წლის) N = 3,300
		სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე
ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)		
ბავშვობაში არ განუცდია ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)		19.7
ბავშვობაში განიცადა ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)		43.3

		 ქალები (15-69 წლის) <b>N = 3,300</b>
		სექსუალური შევიწროება ცხოვრების მანძილზე
<b>ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)</b>		
ბავშვობაში არ განუცდია სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)		21.7
ბავშვობაში განიცადა სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)		52.7
<b>ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე</b>		
არ განუცდია ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე		21.4
განიცადა ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე		69.3
<b>სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე</b>		
არ განუცდია სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე		23.8
განიცადა სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე		77.3
პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე		<b>ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები N = 2,976</b>
არ განუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე		16.4
განიცადა პარტნიორის მხრიდან ძალადობა ცხოვრების მანძილზე		36.4

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.94.

ქალები, რომლებმაც განიცადეს პარტნიორის მხრიდან ძალადობა, უფრო მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (36.4 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომლებსაც არ განუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა (16.4 პროცენტი). ქალები, რომლებმაც განიცადეს არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა, თითქმის სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (69.3 პროცენტი), ვიდრე ის ქალები, რომლებსაც არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა არ განუცდიათ (21.4 პროცენტი). გარდა ამისა, ქალები, რომლებმაც განიცადეს არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, სამჯერ უფრო მეტად განიცდიდნენ სექსუალურ შევიწროებას (77.3 პროცენტი) ვიდრე ის ქალები, რომლებსაც არ გამოუცდიათ არაპარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა (23.8 პროცენტი).


## 10.6 ონლაინ სექსუალური იძულება და გამოძალვა

ქალებს ასევე ეკითხებოდნენ ონლაინ სექსუალური იძულებისა და გამოძალვის გამოცდილების შესახებ, კერძოდ:

- ვინმე თუ აიძულებდა გაეგზავნათ, გაეზიარებინათ ან გამოექვეყნებინათ მკაფიოდ გამოხატული სექსუალური ხასიათის სურათები ან შეტყობინებები;
- ვინმემ თუ გამოაქვეყნა, გაავრცელა ან დაემუქრა, რომ გამოაქვეყნებდა ან გაავრცელებდა მკაფიოდ გამოხატულ სექსუალური ხასიათის მათ სურათებს, მათი თანხმობის გარეშე;
- ვინმემ თუ უთხრა, რომ გამოაქვეყნებდა ან გაავრცელებდა მკაფიოდ გამოხატულ სექსუალური ხასიათის მათ სურათებს, მათი თანხმობის გარეშე, თუ მას სანაცვლოდ არ გაუგზავნიდნენ ფულს.

ქალების 0.5 პროცენტმა განაცხადა, რომ განუცდია ონლაინ სექსუალური იძულება და გამოძალვა ცხოვრების მანძილზე, ხოლო 0.1 პროცენტმა განაცხადა, რომ განუცდია ბოლო 12 თვის მანძილზე (ცხრილი 10.2).

**ცხრილი 10.2.** ქალები, რომლებმაც გამოცადეს ონლაინ სექსუალური იძულება და გამოძალვა (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	ცხოვრების მანძილზე	გასული 12 თვის მანძილზე (მიმდინარე)
 <b>სექსუალური იძულება და გამოძალვა ონლაინ (ერთი მინც ქვემოთ მოცემული 3 სახიდან)</b>	<b>0.5</b>	<b>0.1</b>
გაიძულათ გაეგზავნათ, გაეზიარებინათ ან გამოექვეყნებინათ მკაფიოდ გამოხატული სექსუალური ხასიათის სურათები ან შეტყობინებები	0.3	0.1
გამოაქვეყნა, გაავრცელა ან დაემუქრა, რომ გამოაქვეყნებდა ან გაავრცელებდა მკაფიოდ გამოხატული სექსუალური ხასიათის თქვენს სურათებს, თქვენი თანხმობის გარეშე	0.1	0.0
გითხრათ, რომ გამოაქვეყნებდა ან გაავრცელებდა მკაფიოდ გამოხატულ სექსუალური ხასიათის თქვენს სურათებს, თქვენი თანხმობის გარეშე, თუ მას სანაცვლოდ არ გაუგზავნიდით ფულს	0.0	0.0


შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.95.



თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ ძალადობა ონლაინ სივრცეში აღიქმება, როგორც საკითხი რომელიც სულ უფრო მეტად მწვავდება, რადგან ციფრული სამყარო სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს შანტაჟსა და პირადი ინფორმაციის გაჟონვას, როგორც პრობლემურ საკითხებს. ერთ-ერთი კაცი რესპონდენტის განცხადებით: „აშანტაჟებენ ქალებს, ნუდების გამო, რაღაც ფოტოებით და მთელი ამბებით და მათ გემოზე აკუნტრუშებენ. აი ზუსტად ამას, ესეც ჩვეულებრივი ძალადობაა, რადგან ძალიან დიდ მორალურ წნეხს გადის ამ მომენტში ქალი და ძალიან ზიანდება.“ (ფოკუს ჯგუფი ქალაქში მცხოვრებ 28-29 წლის ასაკის კაცებთან).

ნქეპნებე

11



ადევნება არის დანაშაული, რომლითაც პირი ახდენს ძალაუფლებისა და კონტროლის დემონსტრირებას. ადევნება გულისხმობს პირის მიერ მრავალჯერადად ჩადენილ შემავიწროებელ ან მუქარის შემცველ ქცევას. ადევნება მოიცავს მსხვერპლის თვალთვალს, უკან გაყოლას, დახვედრას საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, მომაბეზრებელ სატელეფონო ზარებს, არასასურველ წერილობით შეტყობინებების ან ნივთების გაგზავნას, მსხვერპლის საკუთრების დაზიანება. ამ ქმედებებს შეიძლება ახლდეს ან არ ახლდეს სერიოზული ზიანის საფრთხე და შეიძლება იყოს ან არ იყოს თავდასხმის ან მკვლელობის წინაპირობა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ადევნებას განსაზღვრავს, როგორც „ადამიანის ცხოვრებაში შეჭრის მრავალჯერად ქმედებას, რომელთა ინტენსივობაც დროთა განმავლობაში იზრდება. ასეთი შეჭრის მრავალი გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია „კიბერადევნება“, დაჟინებული და მუქარის შემცველი ონლაინ შეჭრა/შევიწროება. ადევნება იწვევს სტრესს, შფოთვას ან შიშს. ეს თავისთავად ძალადობის ფორმაა, მაგრამ შეიძლება იყოს ძალადობის სხვა ფორმების, მათ შორის მკვლელობის წინაპირობაც.“

ზოგადად, ადევნება შეიძლება მოიცავდეს განმეორებითი ხასიათის სხვადასხვა ქცევას, მათ შორის მსხვერპლისთვის არასასურველი ნივთების ან საჩუქრების დატოვებას ან გაგზავნას, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება იყოს რომანტიკული ან უცნაური; მსხვერპლის თვალთვალს, უკან მიყოლა ან ლოდინი, მსხვერპლის საკუთრების დაზიანება ან დაზიანების მუქარა, მისი შევიწროვება ან რეპუტაციის შელახვა ინტერნეტში, კერძოდ მსხვერპლის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მსხვერპლზე ჭორების გავრცელების გზით. ადევნება შეიძლება მოიცავდეს ქმედებებს, რომლებიც ცალკე აღებული უვნებელია, მაგრამ ერთიანობაში მიზნად ისახავს შეარყიოს მსხვერპლის უსაფრთხოების შეგრძნება. ადევნება ყველაზე ხშირად ხდება მსხვერპლისთვის ნაცნობი ადამიანის მიერ ან ვისთანაც მსხვერპლს წარსულში ჰქონდა ურთიერთობა, მაგალითად, ამჟამინდელი/ყოფილი ქმარი/პარტნიორი ან ნაცნობი; თუმცა, ზოგიერთ ქალი ადევნების მსხვერპლი უცნობი ადამიანის მხრიდანაც გამხდარა.


ადევნება შეიძლება განხორციელდეს პირადად ან ციფრული საშუალებების გამოყენებით, რომელსაც კიბერადევნება ეწოდება. კიბერადევნება გულისხმობს პირის შევიწროებას ან არასასურველ კონტაქტს თავდაპირველად ინტერნეტის, სოციალური მედიის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კიბერადევნება შეიძლება უფრო და უფრო გაძლიერდეს სოციალურ მედიაში და ჩატ-რუმებში, სადაც კიბერ დამნაშავეებს შეუძლიათ სისტემატურად უგზავნონ თავიანთ სამიზნე პირებს უხამსი, სიძულვილის ან/და მუქარის შემცველი შეტყობინებები და სურათები. კიბერდამნაშავეებმა ასევე შეიძლება გავლენა მოახდინონ მსხვერპლებზე მათ შესახებ ინფორმაციის (გამოგონილი ან/და რეალური) გამოქვეყნებით და მათკენ სოციალური ქსელში / კიბერსაზოგადოებაში ყურადღების მიპყრობით. კიბერ დამნაშავეებს, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტში შეგროვებული ინფორმაცია მათი მსხვერპლის შემდგომი დაშინების, შევიწროებისა და მუქარისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კიბერადევნება არ გულისხმობს ფიზიკურ კონტაქტს მსხვერპლთან, ის მაინც მძიმე დანაშაულია. ევროპის საბჭოს სტამბულის კონვენცია მოუწოდებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, დასჯადი გახადონ სხვა პირის მიმართ განზრახ, მუქარის შემცველი, მრავალჯერადი ქცევები, რაც მიზნად ისახავს მსხვერპლის უსაფრთხოების შეგრძნების შერყევას.

ამ თავში წარმოდგენილია მიგნებები ქალების მიერ ინტიმური პარტნიორის ან/და არაპარტნიორის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე ან ბოლო 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) განცდილი ადევნების, მათ შორის, ადევნების სპეციფიკური ფორმების გამოცდილების შესახებ. ასევე, სტატისტიკური მონაცემები იმ პირების შესახებ, რომლებიც ახორციელებდნენ ადევნებას. წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, გამოუცდიათ თუ არა ქალებს ადევნება ბავშვობაში ან/და ზრდასრულ ასაკში, რა ხანგრძლივობითა და რა სიხშირით; აგრეთვე, მიმართეს თუ არა ადევნების მსხვერპლებმა პოლიციას დახმარებისთვის და თუ მიმართეს, როგორი რეაგირებდა ჰქონდა პოლიციას. დაბოლოს, აგრეთვე, ქალებს დაესვათ კითხვები გამოკითხეს იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მათ გადაადგეს ადევნების თავიდან ასაცილებლად.

## 11.1 ადევნების გამოცდილებები ქალებში

**დიაგრამა 11.1** გვიჩვენებს რომ 15-69 წლის ქალების 8.5 პროცენტს ცხოვრების მანძილზე განუცდია ადევნების გამომხატველი რაიმე ფორმა, ხოლო 1.6 პროცენტს - ბოლო 12 თვის მანძილზე (მიმდინარე). ადევნების ყველაზე გავრცელებულ ფორმას, წარმოადგენდა მათ სახლთან, სამუშაო ადგილსა თუ სკოლასთან განმეორებითი ხასიათის ხეტიალი და ლოდინი (4.2 პროცენტი) და განმეორებითი ხასიათის თვალთვალი ან უკან გაყოლა (4.1 პროცენტი). იმ ქალებიდან, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ ადევნება, 46.9 პროცენტს განუცდია ადევნების მხოლოდ ერთი ფორმა, 32.1 პროცენტს - ორი ფორმა, 12.8 პროცენტს - სამი ფორმა, ხოლო 8.6 პროცენტს - ოთხი ან მეტი ფორმა (**დიაგრამა 11.1**-ზე მოცემული რვა ფორმიდან). ქალების მხოლოდ 42.5 პროცენტმა მიიჩნია ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები ადევნებად.

**დიაგრამა 11.1. ქალები, რომელთაც გამოუცდიათ ადევნება (ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე) (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.96.

**11.1.1 ადევნების გამოცდილება სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით**

**დიაგრამა 11.2** აჩვენებს, რომ ყველაზე მეტად ადევნებას განიცდიდნენ 15-24 წლის (17.4 პროცენტი) და 25-34 წლის (9.7 პროცენტი) ქალები. ასაკის მატებასთან ერთად, მცირდება ადევნების მაჩვენებელი. 15-24 წლის ქალები დაახლოებით ორჯერ უფრო მეტად განიცდიან ადევნებას, ვიდრე 35-44 წლის (7.5 პროცენტი) და დაახლოებით ოთხჯერ უფრო მეტად, ვიდრე 65-69 წლის ქალები (4.3 პროცენტი).


**დიაგრამა 11.2.** ადევნების გამოცდილება ცხოვრების მანძილზე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.97.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ თბილისში მცხოვრები ქალები უფრო მეტად განიცდიან ადევნებას (16.8 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებში (4.4\* პროცენტი) და სოფლებში (4.6\* პროცენტი) მცხოვრები ქალები.

**დიაგრამა 11.3.** ადევნების გამოცდილება ცხოვრების მანძილზე, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.97.


\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის საწდო.

## 11.2 პირები, რომლებიც ადევნებას ახორციელებდნენ

იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე განუცდიათ ადევნება, 46.9 პროცენტმა განაცხადა, რომ ადევნების ჩამდენი პირი იყო კაცი (89.0 პროცენტი), 8.5 პროცენტი - ქალი, ხოლო 4.7 პროცენტის შემთხვევაში სქესი უცნობი იყო (დიაგრამა 11.4). დიაგრამა 11.5 აჩვენებს, რომ 39.0 პროცენტმა განაცხადა, რომ ადევნების ჩამდენი მათთვის უცნობი პირი იყო, ხოლო ქალების 26.7 პროცენტი იცნობდა. ქალების 9.5 პროცენტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პირი იყო მათი ამჟამინდელი/ყოფილი მეუღლე/პარტნიორი, 7.3 პროცენტმა -


თანასკოლელი, 7.2 პროცენტმა - მეზობელი, 5.0 პროცენტმა - მეგობარი/ოჯახის მეგობარი, 2.7 პროცენტმა - თანამშრომელი, ხოლო 0.8 პროცენტმა - ლექტორი, მასწავლებელი ან სკოლის დირექტორი. გამოკვლევაში მონაწილე ზოგიერთმა ქალმა (2.6 პროცენტმა) საერთოდ არ იცოდა თუ ვინ იყო ის პირი, რომელიც ახორციელებდა ადევნებებს.

**დიაგრამა 11.4. მოძალადის სქესი (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.98.

**დიაგრამა 11.5. ადევნების ჩამდენი პირი (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.98.

## 11.3 ადევნება ბავშვობასა და ზრდასრულობაში


ქალებს სთხოვეს გაეხსენებინათ თუ როდის მოხდა ადევნება, კერძოდ მომხდარა თუ არა ასეთი ფაქტი 15 და 18 წლის ასაკამდე და მას შემდეგ. იმ ქალებს შორის, რომელთაც ცხოვრების მანძილზე გამოუცდიათ ადევნება, 9.0 პროცენტმა განაცხადა, რომ ადევნება მოხდა 15 წლამდე (**დიაგრამა 11.6**), ხოლო 37.3 პროცენტმა - 18 წლამდე (**დიაგრამა 11.7**). ყოველი მეორე ქალის განცხადებით ადევნება განუცდია ზრდასრულ ასაკში, 18 წლის ასაკის შემდეგ (50.0 პროცენტი). ქალების 12.3 პროცენტის განცხადებით მათ მიმართ ადევნებას ადგილი ჰქონდა 18 წლამდე და 18 წლის ასაკის შემდეგაც.

**დიაგრამა 11.6.** ადევნება 15 წლამდე და 15 წლის შემდეგ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.99.

**დიაგრამა 11.7.** ადევნება 18 წლამდე და 18 წლის შემდეგ (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.99.



## 11.4 ადევნების ხანგრძლივობა და სიხშირე

გამოკითხვის ფარგლებში, ქალებს, რომლებსაც განუცდიათ ადევნება, ეკითხებოდნენ, თუ რამდენი ხანი გრძელდებოდა ადევნება. **დიაგრამა 11.8** გვიჩვენებს, რომ ქალების 42.7 პროცენტის განცხადებით ადევნება გრძელდებოდა ერთ თვეზე ნაკლები პერიოდის მანძილზე, კერძოდ 25.5 პროცენტის განცხადებით გრძელდებოდა 2 კვირაზე ნაკლები პერიოდით, ხოლო 17.2 პროცენტის განცხადებით - 2-4 კვირის განმავლობაში. 27.9 პროცენტმა განაცხადა, რომ ადევნება გრძელდებოდა 1-დან 5 თვის განმავლობაში, 8.1 პროცენტმა - 6 თვიდან 1 წლამდე დროის განმავლობაში, ხოლო 18.5 პროცენტმა - 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

**დიაგრამა 11.8.** ადევნების ხანგრძლივობა (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.100.

გარდა ადევნების სიხშირისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა სიხშირით მეორდებოდა ადევნება. **დიაგრამა 11.9** აჩვენებს, რომ ქალების უმრავლესობის განცხადებით, ადევნებებს რეგულარული ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, ქალების 31.1 პროცენტის განცხადებით, ადევნება ხდებოდა ყოველდღიურად (ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე), ხოლო 44.4 პროცენტის განცხადებით, აღნიშნული ხდებოდა ყოველკვირეულად (კვირაში ერთხელ ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველდღიურად). ქალების 11.8 პროცენტმა განაცხადა, რომ ადევნება ხდებოდა ყოველთვიურად (თვეში ერთხელ ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველკვირეულად).

**დიაგრამა 11.9.** ადევნების სიხშირე (პროცენტი)











შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.100.

## 11.5 ადევნების თავიდან აცილების მიზნით გადადგმული ნაბიჯები

ქალებს, რომლებმაც განიცადეს ადევნება, ეკითხებოდნენ გადაუდგამთ თუ არა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები შემდგომი ადევნების თავიდან აცილების მიზნით. შესაბამისი ჩამონათვალი არ მოიცავდა ყველა შესაძლო ქმედებას, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ქალებს გადაედგათ სხვა რაიმე ნაბიჯიც, რომელიც არ იყო გათვალისწინებული გამოკვლევის ფარგლებში. **ცხრილი 11.1** გვიჩვენებს, რომ ადევნების მსხვერპლთა 18.4 პროცენტმა შეიცვალა ტელეფონის ნომერი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი, ან დახურა სოციალური ქსელის ანგარიშ(ებ)ი, 12.1 პროცენტმა შეწყვიტა სახლიდან მარტო გასვლა ან შეიცვალა სამსახურში/სკოლაში/უნივერსიტეტში მისასვლელი მარშრუტი, 9.3 პროცენტს თავდაცვის მიზნით თან დაჰქონდა რაიმე ნივთი, როგორცაა მაკრატელი, დანა ან წინაკის სპრეი, 6.2 პროცენტმა შეიცვალა სამსახური/სკოლა/უნივერსიტეტი ან საერთოდ შეწყვიტა მუშაობა/სწავლა, 5.3 პროცენტმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, ხოლო 5.2 პროცენტმა შეიცვალა საცხოვრისი/სახლი/ბინა. ადევნების მსხვერპლთა ძალიან მცირე რაოდენობა დაუკავშირდა მსხვერპლთა დახმარების ცენტრს ან მიმართა დახმარებისთვის ადვოკატს. ქალების მხოლოდ 4.6 პროცენტმა შეატყობინა ადევნების შესახებ პოლიციას (ცხრილი B.101).

**ცხრილი 11.1.** ადევნების თავიდან აცილების მიზნით მსხვერპლთა მიერ გადადგმული ნაბიჯები (არ მოიცავს ყველა შესაძლო ქმედებას) (პროცენტი)

		 ქალები, რომლებმაც განიცადეს ადევნება N = 253
მომხდარის შედეგად, ოდესმე თუ გააკეთეთ რაიმე შემდეგი ქმედება?		
 შეცვალეთ ტელეფონის ნომერი ან ელ. ფოსტის მისამართი, დახურეთ თქვენი სოციალური ქსელის ანგარიში (მაგალითად, ფეისბუქის, ტვიტერის)		18.4
 შეწყვიტეთ სახლიდან მარტო გასვლა ან შეიცვალეთ სამსახურში/ სკოლაში/ უნივერსიტეტში მისასვლელი მარშრუტი		12.1
 თავდაცვის მიზნით თან დაგქონდათ რაიმე ნივთი, როგორცაა მაკრატელი, დანა ან წინაკის სპრეი		9.3
 შეიცვალეთ სამსახური/სკოლა/უნივერსიტეტი ან შეწყვიტეთ მუშაობა/სწავლა		6.2
 შეიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი		5.3
 შეიცვალეთ საცხოვრისი/სახლი/ბინა		5.2
 დაუკავშირდით მსხვერპლთა დახმარების ცენტრს ან მიმართეთ დახმარებისთვის ადვოკატს		1.1

შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.102.

სოციალური ნორმების

და გენდერული როლების

აღქმა და ქართულ მიმართ


ქანდობისადმი

დამოკიდებულებები

ქალებში და

კაცებში

12



მოცემულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია გენდერული როლებისა და ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებებისა და სოციალური ნორმების აღქმების შესახებ. ის, თუ როგორ ეპყრობიან ქალებს სხვადასხვა საზოგადოებაში განპირობებულია სოციალურ-კულტურული ფაქტორებით. ამრიგად, იმის გაგება, თუ როგორ ხედავენ ქალები და კაცები ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებს და თავად რა დამოკიდებულებები აქვთ გენდერული როლებისა და ქალთა მიმართ ძალადობისადმი, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული ინტერვენციების განსასაზღვრად.

რაოდენობრივი გამოკვლევების ფარგლებში რესპონდენტებს დაესვათ კითხვები სოციალურ ნორმებზე: მაგალითად, უნდა შეეფასებინათ მათ ქალაქში/სოფელში პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობასა და გაუპატიურებასთან/სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური ნორმის არსებობა. ასევე, შეგროვდა ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების აღქმებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დაესვათ კითხვები იმის შესახებ ეთანხმებოდნენ თუ არა ოჯახში ქალებისა და კაცების როლების და პარტნიორების წინაშე ვალდებულებების შესახებ სხვადასხვა დებულებას. ზოგიერთი დებულება ქალის როლისადმი ტრადიციულ, პატრიარქალურ დამოკიდებულებებს შეეხებოდა, ზოგიერთი კი გენდერული თანასწორობის მხარდამჭერ დამოკიდებულებებს ასახავდა. ინფორმაცია ასევე შეგროვდა იმ დამოკიდებულებების შესახებ როდის შეიძლება გამართლებული იყოს ქალთა მიმართ ძალადობა, ქალებისა და კაცების მოსაზრებები, იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ქალს ქმრისთვის სექსობრივ კავშირზე უარის თქმა, რამდენად არის ოჯახში უფლებამოსილებები გადანაწილებული. ეს კითხვები ყველა რესპონდენტს დაესვა, განურჩევლად მათი ოჯახური მდგომარეობისა და ძალადობის გამოცდილებისა.

## 12.1 სოციალური ნორმების გავლენა

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები. ზოგადად, სოციალური ნორმა არის ფართოდ გავრცელებული და გაზიარებული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის ტიპური და მისაღები კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში. სოციალური ნორმები შეიძლება ეფუძნებოდეს ან არ ეფუძნებოდეს სხვა ადამიანების დამოკიდებულებებისა და აღქმებს. თუ სოციალური ნორმა გაზიარებული რწმენაა, **დამოკიდებულება** პიროვნების, რწმენის ან ქცევის მოწონების ან არ მოწონების გარკვეული ხარისხით შეფასების ტენდენციას წარმოადგენს.<sup>1</sup> ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დამოკიდებულებებმა სოციალურ ჯგუფში, ადამიანთა უმრავლესობის შემთხვევაში ქცევა წარმართონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოციალური ნორმები ეწინააღმდეგება დამოკიდებულებებს. ამისგან განსხვავებით, **ქცევა** არის ის, რასაც ადამიანი რეალურად აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ რწმენები და ქცევები ურთიერთდაკავშირებულია, ხშირად ხდება, რომ სოციალური ნორმა ის, რაც ზემოქმედებს ქცევაზე და, პირიქით, ქცევა ზემოქმედებს სოციალურ ნორმაზე. სოციალური ნორმები, დამოკიდებულებები და ქცევები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და ხშირად განამტკიცებს ერთმანეთს. მაგალითად, რასაც ინდივიდი სოციალური ნორმების ან მოლოდინების გამო აკეთებს, შესაძლოა, მიკუთვნებულობის შინაგანი მოტივაციიდან გამომდინარე, ინტერნალიზდეს და წესად იქცეს მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ სხვები.<sup>2</sup>

სოციალური ჯგუფის იდენტობა ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის დამოკიდებულებებსა და ქცევებზე, რადგან ინდივიდები სოციალურ ჯგუფზე მორგებასა და მიკუთვნებულობას ცდილობენ. ინდივიდები ხშირად ადაპტირდებიან და ემორჩილებიან ჯგუფისთვის დამახასიათებელ სოციალურ ნორმებს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სოციალური ნორმებისადმი მორჩილებისკენ მიმართულ ზეწოლას გრძნობენ. სოციალურმა ჯგუფებმა შეიძლება სანქცია დაუნესონ იმ წევრებს, რომლებიც ჯგუფის სოციალური ნორმებისა და სტანდარტების მიღმა გადიან. სანქცირება, როგორც წესი, შერცხვენისა და ჯგუფიდან გარიყვის საშუალებით ხდება.<sup>3</sup>

სოციალური ნორმებისა და სოციალური ჯგუფის სტანდარტებისადმი კონფორმულობა ადამიანის ფსიქოლოგიის ბაზისური მახასიათებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სოციალური ნორმების ძალის გაგება, რომელიც ადამიანების საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას განსაზღვრავს. სოციალური ნორმები ხშირად კანონის მსგავსად მოქმედებს, რაც სოციალურად და არაფორმალურად ნახალისებელია სოციალური ჯგუფის წევრების მიერ.<sup>4</sup> როდესაც მიკუთვნების სურვილი ამოძრავებთ, ადამიანები შეიძლება დაემორჩილონ სოციალურ ნორმებს გარეგანი, დაკვირვებადი ქცევების დონეზე, თუმცა შინაგანად არ ეთანხმებოდნენ მათ და, აქედან გამომდინარე, ისეთი პირადი დამოკიდებულებები ჰქონდეთ, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის სოციალურ ნორმებთან.<sup>5</sup>

#### **ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმების ძალა**

როდესაც კაცი თვლის, რომ მის თემში კაცები არ სცემენ თავიანთ ცოლებს, მოსალოდნელია, რომ ის თავს შეიკავებს ცოლისადმი სასტიკი მოპყრობისგან. თუ ის სცემს ცოლს, შესაძლოა, თემმა ეს არ მოუწონოს ან გარიყოს. თუმცა, სოციალური ნორმები მხოლოდ ქცევის შეზღუდვის მიმართულებით კი არ მუშაობს, არამედ კონკრეტული ქცევისკენაც მოიწოდებს. აღქმამ, რომ გაუპატიურება ჩვეულებრივი ამბავია კაცების საზოგადოებაში, შესაძლოა, წაახლისოს კაცი, რომ ცოლი აიძულოს, სქესობრივი კავშირი დაამყაროს მასთან და ამავდროულად დარწმუნებული იყოს, რომ ამას არანაირი სოციალური სანქცია არ მოჰყვება. უფრო მეტიც, მან სოციალური მოწონებაც კი შეიძლება დაიმსახუროს ამ საქციელისთვის.. ეს მაგალითები ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება დადებითი ან უარყოფითი ქცევები სოციალური ნორმების მეშვეობით და სოციალური სანქცირების შემაკავებელი და ნებადართველი ძალების მოქმედებით.

წყარო: Paluck et al. 2010.

არ არსებობს სოციალური ნორმების ერთი განმარტება, არსებობს მრავალი განმარტება, რომელსაც სხვადასხვა დისციპლინა და თეორიული პერსპექტივა გვთავაზობს; თუმცა, მიღწეულია ზოგადი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სოციალურ ნორმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელოვანი მახასიათებლები:

- 1) **სოციალური ნორმები სხვების შესახებ გაზიარებული რწმენებია.** ეს არის რწმენები იმის შესახებ, თუ „რეალურად რას აკეთებენ“ ჯგუფის სხვა წევრები (ტიპური ქცევა) და რას ფიქრობენ ჯგუფის სხვა წევრები იმის შესახებ, თუ „რა ქცევაა მართებული“ (მართებული ქცევა). ეს რწმენები აყალიბებენ ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების „სოციალურ მოლოდინებს.“<sup>6</sup>

- 2) **ვინაიდან სოციალური ნორმები სხვების შესახებ გაზიარებული რწმენებია, ეს რწმენები ზოგჯერ შეიძლება მცდარი იყოს.** ერთი მხრივ, ადამიანები შეიძლება შეცდომით ფიქრობდნენ, რომ ქცევა უფრო ტიპურია, ვიდრე რეალურად არის და, მეორე მხრივ, ჯგუფის დიდი ნაწილი შეიძლება შინაგანად უარყოფდეს ქცევას, მაგრამ მაინც ახორციელებდეს მას, რადგან მცდარად უშვებდეს, რომ ჯგუფის ყველა დანარჩენი წევრი ამ ქცევას მართებულად მიიჩნევს (პლურალისტური არცოდნა).<sup>7</sup> პლურალისტური არცოდნით შეიძლება აიხსნას ჯგუფის ისეთი დისფუნქციური ქცევა, როგორცაა ქალების და გოგოების მიმართ ძალადობა. ეს უკანასკნელი ნარჩუნდება დროთა განმავლობაში, როდესაც ინდივიდები ვერ ხვდებიან, თუ რა წონა აქვს პირად მხარდაჭერას სოციალური ნორმის შესაცვლელად. ამრიგად, პლურალისტური არცოდნით შეიძლება აიხსნას ისეთი საზიანო პრაქტიკების მდგრადობა, როგორცაა გოგოების იძულებითი და ადრეული ქორწინება, მას შემდეგაც კი, რაც მოცემულ სოციალურ ჯგუფში ბევრი ინდივიდი აცნობიერებს, რომ ეს პრაქტიკა საზიანოა ქალებისა და გოგოებისთვის.<sup>8</sup>
- 3) **სოციალური ნორმები რეფერენტულ ჯგუფებში/ქსელებში არსებობს.** რეფერენტული ჯგუფი/ ქსელი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ჯგუფები/ქსელები შეიძლება კონცენტრირებული და ლოკალიზებული ანდა გაფანტული და დისტანცირებული იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირისგან.<sup>9</sup>
- 4) **სოციალური ნორმები, ნაწილობრივ, რეფერენტულ ჯგუფში/ქსელში მათი მოწონებით და უარყოფით ნარჩუნდება.** ჯგუფი სჯის ან სანქციებს უწესებს ინდივიდებს, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფში/ქსელში არსებული სოციალური მოლოდინებისგან განსხვავებულად იქცევიან და აჯილდოებს მათ, ვინც ემორჩილებიან და შესაბამისად იქცევიან. სანქციები შეიძლება იყოს პირდაპირი სასჯელით დაწყებული და შესაძლებლობების დაკარგვით, თავის არიდებითა და გარიყვით დამთავრებული.<sup>10</sup> ამ ჯგუფის/ქსელის სოციალური მოლოდინების შესაბამისად ქცევის სურვილისა და სანქციების საფრთხის კომბინაცია ნიშნავს იმას, რომ ზოგ სიტუაციაში სოციალური ნორმები უფრო მეტად დამაჯერებელი და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. ამრიგად, ნორმებმა, რომლებიც შესაბამისობაშია გარკვეულ მოსალოდნელ ქცევებთან, შეიძლება დაჯაბნოს სამართლებრივი აკრძალვები (მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ჯერ კიდევ ჩვეული მოვლენაა ბევრ ისეთ ქვეყანაში, სადაც ამგვარი ქცევა უკანონოა).

მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ სოციალური ნორმები განსხვავდება ინდივიდის რწმენებისა და დამოკიდებულებებისგან, რადგან ინდივიდს შეიძლება მისი გარემომცველი ქსელის სოციალური ნორმებისგან განსხვავებული პირადი რწმენები და დამოკიდებულებები ჰქონდეს. მაგალითად, მას შეიძლება ჰქონდეს რწმენა და დამოკიდებულება, რომელიც არ ამართლებს ცოლისადმი სასტიკ მოპყრობას (მაგალითად, ქმარს არ აქვს უფლება, სცემოს ცოლი), მაგრამ ეს რწმენა და დამოკიდებულება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმ სოციალურ ნორმებს, რომელსაც იგი თავის თემში ხედავს (მაგალითად, კაცმა ძალა უნდა გამოიყენოს ცოლის დისციპლინირებისა და კონტროლისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ქალისა და გოგოსთვის შეუფერებლად იქცევა).<sup>11</sup>


ზოგადად, სოციალური ნორმები ჯგუფის ტიპური ან სასურველი ქცევების აღქმაა. ინდივიდმა შეიძლება ხშირად მცდარად აღიქვას სოციალური ნორმები. მისი სოციალური ნორმები, შესაძლოა, გაზვიადებული, მოძველებული ან სულაც მცდარი იყოს. და მაინც, მცდარად აღქმული სოციალური როლი მძლავრად შეიძლება მოქმედებდეს ინდივიდის დამოკიდებულებებსა და ქცევებზე, რადგან სწორედ სოციალური ნორმის აღქმაა, რაც ზემოქმედებს ინდივიდის დამოკიდებულებებსა და ქცევებზე.<sup>12</sup> წინამდებარე თავი

იმითომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასში გენდერული როლებისა და ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებები და სოციალური ნორმებია აღწერილი.

## 12.2 ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ

ქალების 59.9 პროცენტს მიაჩნია, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა. 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგების თანახმად აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მეტი - 65.8 პროცენტი იყო. ქალების 20.2 პროცენტი თვლის, რომ ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებას მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას. აღნიშნული მაჩვენებელიც შემცირებულია - 2017 წელს 22.7 პროცენტს შეადგენდა. ქალების 55.1 პროცენტის აზრით, კაცი უნდა აკონტროლებდეს და უძღვებოდეს სახლს. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წლის კვლევის მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი.

**ღიაგრაფა 12.1.** ქალების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.103.

\* 2017 წლის გამოკვლევაში კითხვა დასმული იყო განსხვავებული ფორმულირებით: „ცოლი მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუ არ ეთანხმება.“

ოთხიდან სამ კაცს (74.7 პროცენტი) მიაჩნია, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2017 წელთან შედარებით (78.0 პროცენტი). გამოკითხული კაცების მესამედზე მეტი (37.3 პროცენტი) თვლის, რომ ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებას მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას. აღნიშნული მაჩვენებელიც შემცირებულია 2017 წელთან შედარებით, კერძოდ 2017 წელს 41.9 პროცენტი შეადგინა. კაცების 77.6 პროცენტის აზრით, კაცი უნდა აკონტროლებდეს და უძღვებოდეს სახლს. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წლის კვლევის მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი.

**დიაგრამა 12.2.** კაცების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.104.

\* 2017 წლის გამოკვლევაში კითხვა დასმული იყო განსხვავებული ფორმულირებით: „ცოლი მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუ არ ეთანხმება.“

ფოკუს ჯგუფებში გენდერისა და გენდერული როლების შესახებ საუბრისას, კაცები ხშირად იყენებდნენ კონსერვატიულ იდეებსა და ენას რელიგიასთან კავშირში:

„კიდევ და კიდევ გავიმეორებ ქალებზე ჩემს შთაბეჭდილებას, რომ, აი, უპირველეს ყოვლისა, გენდერული თანასწორობა, სიყვარულით, სითბოთი შექმნილი ოჯახი და მართლაც კიდევ ბიბლიის მხრივ ვიტყვი, რომ იყავი მორჩილი კაცისა. კაცმა უნდა იცოდეს ქალის პატივისცემა.“ (ფოკუს ჯგუფის დისკუსია ქალაქში მცხოვრებ 30 წლის და მეტი ასაკის კაცებთან).

„როცა ოჯახში პატივისცემა არის, თანასწორობა ვერ იქნება. თანასწორობა ჩემთვის, როგორც სიტყვა, არის მიუღებელი, მაგრამ როდესაც ქალმა იცის, როდესაც ქრისტიანია და ყველაფერი უფლის ნებით ვითარდება, ქრისტიანები ვართ. ქალის თავი კაცი არის და კაცის თავი ქრისტე არის ხომ, იქ ყველაფერი კარგად იქნება.“ (ფოკუს ჯგუფი სოფლად მცხოვრებ 30 წლის და მეტი ასაკის კაცებთან)




## 12.2.1 ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ

### ასაკის მიხედვით

15-24 წლის ქალები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (30.5 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (30.9 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (6.8 პროცენტი). უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში მაჩვენებელი უფრო მაღალია (დიაგრამა 12.3).


**დიაგრამა 12.3.** ქალების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილის B.105–B.107.

**დიაგრამა 12.4** გვიჩვენებს, რომ კაცების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, 15-24 და 24-34 წლის კაცები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (64.3 პროცენტი და 63.2 პროცენტი, შესაბამისად). 15-24 წლის კაცები, ასევე, ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (61.6 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (20.4 პროცენტი). ქალების მსგავსად, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის კაცების დამოკიდებულებები გენდერული როლებისადმი უფრო კონსერვატიული და პატრიარქალურია.

**დიაგრამა 12.4.** კაცების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილის B.108–B.110.

**განათლების დონის მიხედვით**

გამოკვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (47.9 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (39.7 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (9.4 პროცენტი).

**დიაგრამა 12.5.** ქალების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილის B.105–B.107.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

**დიაგრამა 12.6** გვიჩვენებს რომ, უმაღლესი განათლების მქონე კაცები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (61.3 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (70.1 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (28.8 პროცენტი).

**დიაგრამა 12.6. კაცების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)**




შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.108–B.110.

შეუნონავ დაკვირვებათა რაოდენობის სიმცირის გამო კატეგორია „დაწყებითი განათლება ან განათლების უფრო დაბალი საფეხური“ არ არის ხელმისაწვდომი.

**დასახლების ტიპის მიხედვით**

სოფელში მცხოვრები ქალები, ყველაზე მეტად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (67.6 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (67.4 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (30.1 პროცენტი). თბილისში მცხოვრები დაახლოებით ყოველი მესამე და სხვა ქალაქებში მცხოვრები დაახლოებით ყოველი მეორე ქალი თვლის, რომ კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს. თბილისში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებებისგან. კერძოდ, თბილისში მცხოვრები ქალები უფრო ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (46.2 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (37.5 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (7.0 პროცენტი). ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია სხვა ქალაქებში (64.6 პროცენტი, 57.7 პროცენტი და 21.0 პროცენტი, შესაბამისად).


**დიაგრამა 12.7.** ქალების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილის B.105–B.107.

სოფელში მცხოვრები კაცები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის მოვლაა (83.2 პროცენტი), კაცმა უნდა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს სახლს (87.6 პროცენტი) და ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როცა არ არის დარწმუნებული ამ მოსაზრების სისწორეში ან საერთოდ არ ეთანხმება მას (47.8 პროცენტი). აღნიშნული მაჩვენებლები თბილისში ნაკლებია, ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში.

**დიაგრამა 12.8.** კაცების დამოკიდებულება გენდერული როლების მიმართ, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.108–B.110.

## 12.2.2 თვისებრივი კვლევის შედეგები

თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები აღიარებენ გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვნებას, მაგრამ უჭირთ იმის ახსნა, თუ როგორ და რატომ არის ის მნიშვნელოვანი და რეალურად როგორია გენდერული თანასწორობა საქართველოში. ამის ნაცვლად, ბევრ ქალს კონსერვატიული მოსაზრებები აქვს გენდერისა და გენდერული როლების თაობაზე, რომლებიც ზოგჯერ რელიგიური წარმოდგენებით განისაზღვრება.

ქართულ საზოგადოებაში გენდერული როლები ჯერ კიდევ მკაცრად არის განსაზღვრული, რასაც თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ უთანასწორობაში. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, როდესაც რესპონდენტები ამბობენ, რომ ქალებისგან ისეთი გენდერული როლების შესრულებას მოელიან, რომელიც ოჯახსა და ქორწინებას ანიჭებს უპირატესობას და საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების უკანა პლანზე გადაწევის ხარჯზე სხვებზე ზრუნვას ითვალისწინებს. ქალისგან კაცისადმი დაქვემდებარებასა და მის შემწყნარებლობას მოელიან. სხვა სიტყვებით, როგორც ერთ-ერთმა რესპონ-

*„აჭარაში, განსაკუთრებით კი მაღალ-მთიან აჭარაში, იყო ქალი ნიშნავს, რომ არ იყო ინდივიდი. სამაგიეროდ, ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი დათმო, რაც შენია, შენეულია, შენი სურვილებია, ოცნებებია, მიზნებია, მისწრაფებებია... და შენთვის პრიორიტეტები იყოს საჭმლის გაკეთება, ტანსაცმლის გარეცხვა, - ყველაფერი, რაც ოჯახს ეხება. ყველა და ყველაფერი არის შენზე წინ, შენ ხარ ბოლო პლანზე“ (ფოკუს ჯგუფი ქალაქში მცხოვრებ 28-29 წლის ქალებთან).*

დენტმა აღნიშნა, ქალი „კაცის მეორე ნახევრად“ განიხილება. მორჩილება ჯერ კიდევ ითვლება იმ თვისებად, რომელიც ქალს უნდა ჰქონდეს მაშინ, როცა ქალის დამოუკიდებლობა ისეთ მახასიათებლად აღიქმება, რომელიც მის ღირსებასა და ოჯახის სახელს საფრთხეს უქმნის. ზოგი ქალი ამ მოლოდინებს ქალებისთვის განერილ ე. წ. „ცხოვრების სცენარს“ უწოდებს. ამ სცენარის მთავარი კომპონენტი ისაა, რომ გოგობმა აუცილებლად უნდა დაამთავრონ სკოლა, თუ უნივერსიტეტში ჩააბარებენ და სამსახურს დაიწყებენ, კარგია, მაგრამ გათხოვება და ბავშვების გაჩენა უბრალოდ სავალდებულოა.

ქალებისგან განსხვავებით, კაცებისგან მოელიან, რომ იყვნენ ძლიერები, აგრესიულები და დომინანტურები და, ასევე, იყვნენ ოჯახის მარჩენალები და ლიდერები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, რომ ქართველი კაცებისგან ძალიან ბევრს ელიან – მათ თავიანთი ძალაუფლებაც უნდა შეინარჩუნონ და კაცის ვალდებულებებიც შეასრულონ. სოფლად მცხოვრები ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ნამდვილ კაცად ყოფნა „ქართველობასა და ქრისტიანობასთან“ ასოცირდება. გენდერთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ნორმები უდიდესი წნეხის ქვეშ ამყოფებს კაცებს, რათა ხისტი გენდერული როლის შესაბამისი მოლოდინები დააკმაყოფილონ და ეს ისეთ პოპულარულ ფრაზებში აისახება, როგორებიცაა „კაცმა თავისი ადგილი უნდა შეინარჩუნოს“ და „კაცი კაცურად უნდა იქცეოდეს.“ თუ ქართველი კაცი არ შეესატყვისება ამ გენდერულ როლებს, საზოგადოების რეაქცია მძლავრი და ინტენსიური შეიძლება იყოს და ისეთი ქცევებით გამოიხატოს, როგორებიცაა დაცინვა, ჩაგვრა და თემიდან გარიყვა. როგორც ერთმა ქალმა თქვა: „კაცი, რომელიც თავის სიტყვას გადაუხვევს, ჩემთვის ის პიროვნება უკვე აღარ არსებობს“ (ფოკუს ჯგუფი სოფლად მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის ქალებთან).

ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ, საზოგადოებაში მზარდი გენდერული თანასწორობისა და ქალთა დანიშნულების პირობებში, ბოლო წლებში კაცებს ადრინდელზე მეტად უჭირთ საზოგადოების მოლოდინების გამართლება. ამ რესპონდენტებისთვის დღევანდელი ქართველი ქალები, წარსულთან შედარებით, კაცებზე ნაკლებად დამოკიდებულები და კონკურენტუნარიანები არიან. ასეთი ხედვის პირობებში, სოფლად მცხოვრები ზოგიერთი ქალი თვლის, რომ თუ კაცი ვერ ამართლებს საზოგადოების მიერ დაწესებულ მოლოდინებს, ქალის მოვალეობაა, დაეხმაროს მას, იყოს „კაცური.“ როგორც ერთმა ქალმა თქვა, „თუ ვერ ამართლებს [მოლოდინებს], ქალმა უნდა ითამაშოს დიდი როლი, შემოაბრუნოს კაცი და შეუქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ ამ კაცმა შეიგრძნოს და გაიგოს, როგორი უნდა იყოს კაცი“ (ფოკუს ჯგუფი სოფლად მცხოვრებ 30 წლისა და უფროსი ასაკის ქალებთან).

გენდერული როლების შესახებ მსჯელობისას, ქართველ ქალებთან ცენტრალურ თემას ქორწინება და დედობა წარმოადგენდა, თუმცა ეს ასე არ იყო კაცების შემთხვევაში. კაცებისთვის ქორწინება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ კაცს უკვე მიღწეული ჰქონდა პიროვნული განვითარების გარკვეული დონისა და ფინანსური დამოუკიდებლობისთვის. რაც შეეხება ქალებს, პიროვნული განვითარება და დამოუკიდებლობა არ წარმოადგენდა ოჯახის შექმნის წინაპირობას. ხშირ შემთხვევაში, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ქალი განათლებას იღებს, ის არის, რომ შემდგომში საკუთარი შვილების განათლება შეძლოს, თუმცა ზოგი ქალისთვის გათხოვება აღიქმება როგორც კარგი გამოსავალი ან ალტერნატივა, თუ ვერ ახერხებს უმაღლესი განათლების მიღებას.

ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სოფლად, ქალების ღირებულება ჯერ კიდევ ოჯახთან მიმართებაში იზომება, რაც ოჯახის მოვლასა და პატივისცემასაც მოიაზრებს. ასევე, ითვლება, რომ ქალები აგებენ პასუხს ოჯახის სახესა და რეპუტაციაზე. ამას თვისებრივ მონაცემებში „ქალების ძალა“ ეწოდა. მაგალითად, სოფლად მცხოვრები ქალების ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში, მონაწილეები მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ თუ კაცი ატყუებს ან ღალატობს ქალს, ეს ქალი საკმარისად ჭკვიანი და ძლიერი უნდა იყოს და „არ ჩავარდეს ისტერიკაში და ოჯახი ბოლომდე შეინარჩუნოს“.

საბოლოო ჯამში, მკაცრ ტრადიციულ გენდერულ როლებს ოჯახში უთანასწორო გენდერული ურთიერთობები მოსდევს, რაც გადაწყვეტილების მიღებაზეც აისახება. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები თვლიან, რომ ოჯახის თავი კაცია და საბოლოო გადაწყვეტილებებიც კაცმა უნდა მიიღოს, თუმცა აზრი ცოლსაც უნდა ჰქონდეს. და მაინც, სახლი ტიპურად ქალის სფეროდ ითვლება. ასე რომ, აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა და ზრუნვის საქმიანობა ქალის პასუხისმგებლობად მიიჩნევა და დიდ წილად შეუმჩნეველი რჩება. აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც კაცი მონაწილეობს საოჯახო და ზრუნვის შრომაში, ეს მალევე ხდება შესამჩნევი და პატივსაცემი. მაგალითად, კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, როდესაც სახლში ყველა მეტ დროს ატარებდა, ზოგიერთი კაცი უფრო მეტად ჩაერთო საოჯახო და ზრუნვის შრომაში.<sup>13</sup>

*„ბევრჯერ გამიგია, რომ ეროვნულებში თუ ჩაიჭრა, მერე რა მოხდა, გათხოვდება და ქმარი არჩენს. უნდა ჩააბარო, თუ არ ჩააბარე წნეხი მოდის საზოგადოებისგან“ (ფოკუს ჯგუფი სოფლად მცხოვრებ 18-29 წლის ქალებთან).*

*„ძალიან აუცილებელია ქალისთვის დიპლომატია, რომ იცოდეს, სად უნდა თქვას, სად უნდა წაიხურჩულოს, სად უნდა აჩვენოს და სად უნდა დამალოს, სად უნდა შეძლოს შეუძლებელი და სად ძალიან მძიმე ტვირთი გაქაჩოს ფიზიკურად. ჯერ ერთი, ქალი უნდა იყოს ოჯახში და ოჯახად, თუ ოჯახში ვარგა, ის საზოგადოებისთვისაც ვარგა და გამოადგება.“ (ფოკუს ჯგუფის დისკუსია სოფლად მცხოვრებ 30 წლისა და უფროსი ასაკის ქალებთან).*

„მე მეუღლე და ორი შვილი მყავს, ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ, 20 წელი ხდება, რაც ცოლ-ქმარნი ვართ და დღემდე დავდევ მათ ჩუსტებს, „ნასკებს“ და სვიტრებს და რასაც სად იხდიან, აი, ეგრე ყრიან, დღემდე ვერ ვასწავლე წესრიგი, დაჩაგრული ვყავარ ერთი ქალი სამ კაცს. თუ ხასიათზე არიან, მეხმარებიან, თუ არადა, ყველაფერს მე ვაკეთებ“ (ფოკუს ჯგუფი თბილისში მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის ქალებთან).

„რატომ უყურებს საზოგადოება ესე, რომ კაცმა ოჯახის საქმე რომ გააკეთოს, ეს არის ჩემი პატივისცემა. მე რომ ყოველ დღე ქალი, ჭურჭელს ვრეცხავ, სახლს ვალაგებ, ესე იგი მე იმ კაცს პატივს ვცემ? არა! ეს არ უნდა აღიქმებოდეს პატივისცემად, ეს არის ყოველდღიური საქმიანობა როგორც ქალისთვის, ისე უნდა კაცისთვის უნდა აღიქმებოდეს“ (ფოკუს ჯგუფი სოფლად მცხოვრებ 18-29 წლის ასაკის ქალებთან).


## 12.3 ქალებისა და კაცების აღქმა იმ სოციალური ნორმების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობასთან

ქალებისა და კაცების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მათ ქალაქში/სოფელში არსებობს ისეთი სოციალური ნორმები, რომლებიც მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაში თავად ქალებს ადანაშაულებს. კერძოდ, ქალების 61.8 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ძალადობა ცოლ-ქმარს შორის მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (23.8 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 38.0 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). ქალების 57.5 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალმა უნდა მოითმინოს გარკვეული ძალადობა, ოჯახის შენარჩუნების მიზნით (19.2 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 38.3 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).

ქალების 44.3 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად უნდა იგრძნოს თავი, მისი ოჯახის წევრების გარდა, ვინმესთან საუბრისას იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს (12.5 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 31.8 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). ქალების 46.2 პროცენტი ფიქრობდა, რომ მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ როდესაც ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულად თვითონ ქალია დამნაშავე (11.6 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 34.6 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).



**დიაგრამა 12.9.** ქალების აღქმა სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.111.

ქალების მსგავსად, კაცების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათ ქალაქში/სოფელში მოქმედებს სოციალური ნორმები, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ძალადობას და მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაში თავად ქალებს ადანაშაულებს. **დიაგრამა 12.10** აჩვენებს, რომ კაცების 54.1 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ძალადობა ცოლ-ქმარს შორის მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (22.1 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 32.0 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). კაცების 41.5 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალმა უნდა მოითმინოს გარკვეული ძალადობა, ოჯახის შენარჩუნების მიზნით (11.3 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 30.2 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).

კაცების 33.2 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად უნდა იგრძნოს თავი, მისი ოჯახის წევრების გარდა, ვინმესთან საუბრისას იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს (6.4 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 26.8 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). კაცების 24.5 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ როდესაც ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულად თვითონ ქალია დამნაშავე (3.9 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 20.6 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).


**დიაგრამა 12.10.** კაცების აღქმა სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.112.

**დიაგრამა 12.11** აჩვენებს, რომ ქალების 18.7 პროცენტი თვლის, რომ მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები კაცებიდან „ყველა ან მათი უმეტესობა“ ან „დაახლოებით ნახევარი“ ურტყამს ან სცემს ხოლმე თავის ცოლს (3.4 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმეტესობა ასე იქცევა, ხოლო 15.3 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი), 18.1 პროცენტის აზრით, მათ ქალაქში/სოფელში არც ერთი კაცი არ აკეთებს ამას, ხოლო 26.7 პროცენტმა არ იცის ამის შესახებ. ქალების 11.6 პროცენტი ფიქრობს, რომ მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები კაცებიდან „ყველა ან მათი უმეტესობა“ ან „დაახლოებით ნახევარი“ ზოგჯერ ურტყამს ან სცემს თავის ცოლს, თუ მან უარი უთხრა სქესობრივ კავშირზე, როცა ეს კაცს სურს (1.3 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმეტესობა ასე იქცევა, ხოლო 10.3 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი), 13.7 პროცენტის აზრით, მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები არც ერთი კაცი არ აკეთებს ამას, ხოლო 50.6 პროცენტმა არ იცის ამის შესახებ.


**დიაგრამა 12.11.** ქალების აღქმა იმ კაცების ოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც ძალადობენ მეუღლეზე (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.113.

კაცების მხოლოდ 6.1 პროცენტი თვლის, რომ მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები კაცებიდან „ყველა ან მათი უმეტესობა“ ან „დაახლოებით ნახევარი“ ურტყამს ან სცემს ხოლმე თავის ცოლს (1.0 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმეტესობა იქცევა ასე, ხოლო 5.1 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი), 32.4 პროცენტის აზრით, მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები არც ერთი კაცი არ აკეთებს ამას, ხოლო 28.2 პროცენტს არ აქვს ინფორმაცია (არ იცის/არ ახსოვს). კაცების 3.0 პროცენტი ფიქრობს, რომ მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები კაცებიდან „ყველა ან მათი უმეტესობა“ ან „დაახლოებით ნახევარი“ ზოგჯერ ურტყამს ან სცემს თავის ცოლს, თუ მან უარი უთხრა სქესობრივ კავშირზე, როცა ეს კაცს სურს (0.2 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმეტესობა იქცევა ასე, ხოლო 2.8 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). 27.9 პროცენტის აზრით, მათ ქალაქში/სოფელში მცხოვრები არც ერთი კაცი არ აკეთებს ამას, ხოლო 48.8 პროცენტს არ აქვს ინფორმაცია. ქალებთან შედარებით, უფრო ცოტა კაცი ფიქრობს, რომ მათ ქალაქში/სოფელში არც ერთი კაცი არ ურტყამს ან სცემს თავის ცოლს.

**დიაგრამა 12.12.** კაცების აღქმა იმ კაცების ოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც ძალადობენ მეუღლეზე (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.114.

## 12.4 ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები, ისეთი მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას

მიუხედავად იმისა, რომ ქალების აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში არსებობს ქალთა მიმართ მეუღლის მხრიდან ძალადობის მხარდამჭერი სოციალური ნორმები, თავად ნაკლებად აქვთ მიდრეკილება ისეთი დამოკიდებულებების მიმართ, რომელიც ამგვარ ძალადობას უჭერს მხარს. ქალების 21.4 პროცენტს მიაჩნია, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 32.7 პროცენტი იყო). ქალების 17.4 პროცენტი თვლის, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 25.1 პროცენტი იყო). ქალების 10.6 პროცენტს მიაჩნია, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს. 9.8 პროცენტის აზრით, ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 12.0 პროცენტი იყო). 8.5 პროცენტი თვლის, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თვითონ ქალია დამნაშავე. ყველა მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი 2017 წლისათვის.


**დიაგრამა 12.13.** ქალების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.115.

კაცების მესამედზე მეტს (37.2 პროცენტი) მიაჩნია, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 49.7 პროცენტი იყო). კაცების 20.3 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 27.2 პროცენტი იყო). კაცების 16.2 პროცენტი თვლის, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს. 15.1 პროცენტის აზრით, ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (მაჩვენებელი შემცირებულია, 2017 წელს 24.1 პროცენტი იყო). 8.3 პროცენტის მოსაზრებით, თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თვითონ ქალია დამნაშავე. ყველა მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი 2017 წლისათვის.

**დიაგრამა 12.14.** კაცების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას(პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.116.


### 12.4.1 ქალებისა და კაცების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას

**ასაკის მიხედვით**

15–24 წლის ქალები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (10.5 პროცენტი), ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს (3.4 პროცენტი) და ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (3.0 პროცენტი). უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მეტია.

ყველაზე მეტად 55–64 და 65–69 წლის ქალები თვლიან, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (18.6 პროცენტი და 19.6 პროცენტი, შესაბამისად). 15–24 და 25–34 წლის ქალები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულად თვითონ ქალია დამნაშავე (5.0 პროცენტი და 2.9 პროცენტი, შესაბამისად). ყველაზე მეტად უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ქალები ეთანხმებიან დებულებას, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულად თვითონ ქალია დამნაშავე.

**დიაგრამა 12.15.** ქალების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.117-B.121.

**დიაგრამა 12.16** აჩვენებს, რომ 15-24 და 25-34 წლის ასაკის კაცებს, 35 წლის და უფროსი ასაკის კაცებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად აქვთ შემწყნარებლური დამოკიდებულება პარტნიორის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებით. 15-24 წლის კაცების მხოლოდ 15.4 პროცენტი თვლის, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს. 35 წლის და უფროსი ასაკის კაცებში, 15-24 წლის ასაკის კაცებთან შედარებით, სამჯერ მეტადაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს. 15-24 წლის კაცების მხოლოდ 8.9 პროცენტი თვლის, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან

აკონტროლებს. 35 წლის და უფროსი ასაკის კაცებში აღნიშნული მოსაზრება თითქმის ორჯერ უფრო მეტადაა გავრცელებული. 15-24 წლის კაცების მხოლოდ 6.8 პროცენტი ფიქრობს, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს. 35-44 წლის კაცებში თითქმის ორჯერ მეტი (15.0 პროცენტი) ფიქრობს ასე, ხოლო 45 წლისა და უფროსი ასაკის კაცებში - დაახლოებით სამჯერ მეტი.

15-24 და 25-34 წლის კაცები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (17.2 პროცენტი და 13.2 პროცენტი, შესაბამისად). 55-64 წლის კაცები ყველაზე მეტად ფიქრობენ, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თვითონ ქალია დამნაშავე.

**დიაგრამა 12.16.** კაცების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.122-B.126.



## განათლების დონის მიხედვით

უმადლეში განათლების მქონე ქალები ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (12.8 პროცენტი), ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს (5.6 პროცენტი) და ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (2.1 პროცენტი). საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე ქალები ყველაზე მეტად ფიქრობენ, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს და ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე.

**დიაგრამა 12.17.** ქალების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.117-B.121.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.

კაცების დამოკიდებულება მოსაზრებისადმი, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე განსხვავებულია მათი განათლების დონის მიხედვით. კერძოდ, უფრო მაღალი განათლების მიღწეული დონის შემთხვევაში, უფრო მეტად ფიქრობენ, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თავად ქალია დამნაშავე. უმაღლესი განათლების მქონე კაცები ყველაზე ნაკლებად ეთანხმებიან დებულებებს, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს და ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (**დიაგრამა 12.18**).

**დიაგრამა 12.18.** კაცების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, განათლების დონის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.122-B.126.

შეუნონავ დაკვირვებათა რაოდენობის სიმცირის გამო კატეგორია „დანყებითი განათლება ან განათლების უფრო დაბალი საფეხური“ არ არის ხელმისაწვდომი.


### დასახლების ტიპის მიხედვით

**დიაგრამა 12.19** აჩვენებს, რომ სოფელში მცხოვრები ქალები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (28.1 პროცენტი), ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად იგრძნოს თავი, ვინმესთან საუბრისას (მისი ოჯახის წევრების გარდა) იმაზე, რომ ქმარი მას ფიზიკურ ზიანს აყენებს ან აკონტროლებს (14.7 პროცენტი) და ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი

შეინარჩუნოს (15.3 პროცენტი), ვიდრე თბილისსა (11.7 პროცენტი, 6.3 პროცენტი და 4.2 პროცენტი, შესაბამისად) და სხვა ქალაქებში (22.8 პროცენტი, 9.5 პროცენტი და 8.2 პროცენტი, შესაბამისად) მცხოვრები ქალები.

სოფელში მცხოვრები ქალები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (20.8 პროცენტი) და თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თვითონ ქალია დამნაშავე (9.6 პროცენტი), ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალები (14.3 პროცენტი და 7.9 პროცენტი, შესაბამისად).

**დიაგრამა 12.19.** ქალების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.117-B.121.

**დიაგრამა 12.20** აჩვენებს, რომ ისევე როგორც ქალების შემთხვევაში, კაცების შემთხვევაშიც დამოკიდებულებები განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით. კერძოდ, სოფელში მცხოვრები კაცები, უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის, მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს (46.6 პროცენტი), ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები კაცები (23.5 პროცენტი და 37.9 პროცენტი, შესაბამისად). ასევე, სოფელში მცხოვრები კაცები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რათა ოჯახი შეინარჩუნოს (23.3 პროცენტი), ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები კაცები (5.5 პროცენტი და 12.4 პროცენტი, შესაბამისად).

თბილისში მცხოვრები კაცები ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქალს არ შეუძლია უარი უთხრას ქმარს სქესობრივ კავშირზე (13.2 პროცენტი), ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფელში (26.2 პროცენტი და 22.1 პროცენტი, შესაბამისად). სხვა ქალაქებში მცხოვრები კაცები უფრო

ნაკლებად ფიქრობენ, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ამაში ნაწილობრივ ან სრულიად თვითონ ქალია დამნაშავე (6.4 პროცენტი), ვიდრე თბილისსა და სოფელში მცხოვრები კაცები (9.1 პროცენტი და 8.8 პროცენტი, შესაბამისად).

**დიაგრამა 12.20.** კაცების დამოკიდებულებები, იმ მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მხარს უჭერს მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობას, დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.122–B.126.

## 12.4.2 ცოლის მიმართ ძალადობის გამამართლებელი მიზეზები

ბევრ საზოგადოებაში სჯერათ, რომ არსებობს პარტნიორის მხრიდან ოჯახში ძალადობის „გამამართლებელი გარემოებები“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალები არ ცხოვრობენ მათი გენდერული როლის შესაბამისი მოლოდინის მიხედვით (მაგალითად, როდესაც ცოლი ეწვება სადილი, უგულვებელყოფს შვილებს, ეკამათება ქმარს, გარეთ გადის ქმრის ნებართვის გარეშე და უარს ეუბნება ქმარს სქესობრივ კავშირზე). ასეთ გარემოებებში ქალებს ბრალდება საკუთარი ვიქტიმიზაცია, რაც ურთულებს მათ ხმის ამოდებასა და მოძალადე მეუღლისგან/პარტნიორისგან დაცვაში დახმარების თხოვნას. კვლევები აჩვენებს, რომ ბევრ საზოგადოებაში, კაცები და ქალები, ახალგაზრდები და ხანშიშესულები, კულტურულ დამოკიდებულებებსა და სოციალურ ნორმებს იშველიებენ ცოლის ცემის გამართლების მიზნით<sup>14</sup>. თუმცა, საქართველოში ქალების მხოლოდ 1.8 პროცენტი თვლის, რომ არსებობს ქმრის მიერ ცოლის ცემის ან დარტყმის გამამართლებელი გარემოებები და მიზეზები (ცხრილი B.127).

განსხვავებით 2022 წლის გამოკვლევისგან, 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევაში, მთლიანობაში ქალების 22 პროცენტი დაეთანხმა მეუღლის მიერ ცოლის ცემის, სულ მცირე, ერთ გამამართლებელ გარემობას. მაგალითად, თუ ცოლი ქმრის ნებართვის გარეშე გადის გარეთ, უგულებელყოფს შვილებს, ეკამათება ან არ ემორჩილება მას, უარს ეუბნება სქესობრივ კავშირზე, ეწვება სადილი ან ღალატობს ქმარს<sup>15</sup>. ძალადობის გამამართლებელი გარემოებები, რომლებსაც 2017 წელს ყველაზე ხშირად ეთანხმებოდნენ ქალები, იყო ღალატი (20 პროცენტი) და შვილების უგულებელყოფა (10 პროცენტი).

გამოკვლევა აჩვენებს, რომ უფრო ნაკლები კაცი ფიქრობს, რომ არსებობს ქმრის მიერ ცოლის ცემის ან დარტყმის რაიმე გამამართლებელი გარემოება (3.8 პროცენტი) (ცხრილი ბ.128). აღსანიშნავია, რომ 2017 წელს გაცილებით მეტი იყო იმ კაცების წილი, ვინც ფიქრობდა, რომ არსებობს ქმრის მიერ ცოლის ცემის ან დარტყმის რაიმე გამამართლებელი გარემოება (31.1 პროცენტი). აღნიშნული მაჩვენებლები, 2017 და 2022 წლებისათვის, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

**დიაგრამა 12.21. რესპონდენტების აღქმა მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გამამართლებელ მიზეზებთან დაკავშირებით (პროცენტი)**



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.127 და B.128.


თვისებრივი კვლევა ადასტურებს, რომ ზოგჯერ ქალებს ადანაშაულებენ იმაში, რომ თავად იწვევენ ძალადობას იმით, რომ საკუთარ საქმეებს არ აყენებენ უკანა პლანზე და წინააღმდეგობას უწევენ ქმრებს, რაც, ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ძალადობის ზოგიერთ შემთხვევას სრულიად მისაღებად და ლეგიტიმურად აქცევს.

„შეიძლება ქალი იყოს თავისზე ძალადობის მიზეზი. სიტყვიერად ისე მიიყვანოს კაცი, რომ იძალადოს, გაგალიზიანოს თავისი სიტყვებით და თავისი ქცევებით. [...] თუ ქალმა არ გამოგინვია, უმიზეზოდ რატომ უნდა იძალადო? არის სიტუაციები, და ქალი უფრო მოძალადეა ვეგო სიტუაციებში, მე ასე ვფიქრობ“ (ფოკუს ჯგუფია სოფლად მცხოვრებ 18-29 წლის ასაკის კაცებთან).

## 12.5 ქალებისა და კაცების აღქმები სოციალური ნორმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან

ქალებისა და კაცების დიდი წილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში არსებობს ისეთი სოციალური ნორმები, რომლებიც მხარს უჭერს და ამართლებს ქალთა მიმართ ძალადობას. კერძოდ, ქალების 40.0 პროცენტის შეფასებით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ თუ ქალი გახდა გაუპატიურების მსხვერპლი, ესე იგი ის მოიქცა წინდაუხედავად და ასეთ სიტუაციაში თავად ჩაიგდო თავი (11.4 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 28.6 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). ქალების 40.9 პროცენტი თვლის, რომ მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად უნდა იგრძნოს თავი ვინმესთან საუბრისას, თუ ის გახდა გაუპატიურების მსხვერპლი (11.7 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 29.2 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).


**ღიაზრამა 12.22.** ქალების აღქმა სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობას (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.129.

კაცების 19.4 პროცენტის აღქმით, მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ თუ ქალი გაუპატიურეს, იგი, სავარაუდოდ, დაუფიქრებლად მოიქცა და თავი ასეთ სიტუაციაში ჩაიგდო (2.5 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 28.6 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი). კაცების 27.4 პროცენტი თვლის, რომ მათ ქალაქში/სოფელში „ყველას ან მათ უმეტესობას“ ან „დაახლოებით ნახევარს“ მიაჩნია, რომ ქალს უნდა რცხვენოდეს ან უხერხულად უნდა იგრძნოს თავი ვინმესთან საუბრისას, თუ ის გახდა გაუპატიურების მსხვერპლი (5.3 პროცენტის შეფასებით ყველა ან მათი უმრავლესობა ფიქრობს ასე, ხოლო 22.1 პროცენტის შეფასებით - დაახლოებით ნახევარი).

**დიაგრამა 12.23.** კაცების აღქმა სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობას (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.130.

თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ქალებს სჯერათ, რომ ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაული უნდა იყოს. ასევე, აღნიშნავენ, რომ ქართული საზოგადოება ხშირად ახდენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების სტიგმატიზაციას და რიყავს მათ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ქალი როდესაც არის გაუპატიურებული, მისი მიღება საზოგადოებაში ისეთივე რთულია, როგორც, მაგალითად, ადამიანის, რომელიც იყო ციხეში.“ ეს ანალოგია იმაზე მიუთითებს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ყოფნა ისევე სამარცხვინოა, როგორც სექსუალური მოძალადის როლი. ამიტომ სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალები და გოგოები ხშირად განიცდიან სირცხვილს, სტიგმატიზაციასა და იზოლაციას. ხშირად მათვე ადანაშაულებენ საკუთარ ვიქტიმიზაციაში და აკრიტიკებენ გარეგნობის, ცხოვრების სტილისა და გარკვეულ ვითარებებში განხორციელებული ქცევების გამო. სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ყოფნა, ასევე, უარყოფითად მოქმედებს გათხოვებისა და ოჯახის შექმნის შესაძლებლობებზე. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „საცოლედ აღარ გამოდგება, რადგან ყველამ იცის, დალდასმულია.“

## 12.6 ქალებისა და კაცების აღქმები ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის პრობლემის სიმძიმესთან დაკავშირებით (პროცენტი)

გამოკითხული ქალების უმრავლესობა თვლის, რომ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში. **დიაგრამა 12.24** აჩვენებს, რომ ოთხიდან სამი ქალის (77.6 პროცენტის) აზრით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა დიდი პრობლემაა ქვეყანაში. ამასთან, ქალები მიიჩნევენ, რომ ძირითადი პრობლემაა როგორც ქალებისა და გოგოების სექსუალური შეურაცხყოფა და გაუპატიურება, ისე – ქალების სექსუალური შევიწროება (68.2 პროცენტი და 64.1 პროცენტი, შესაბამისად).

**დიაგრამა 12.24.** ქალების აღქმა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ (პროცენტი)




შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.131.

კაცების დიდი ნაწილიც მიიჩნევს, რომ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა დიდ პრობლემას წარმოადგენს. **დიაგრამა 12.25** აჩვენებს, რომ გამოკითხული კაცების ნახევარზე მეტის (57.5 პროცენტი) აზრით, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა ქვეყანაში დიდი პრობლემაა. ასევე მიიჩნევენ, რომ დიდი პრობლემაა ქალებისა და გოგოების სექსუალური შეურაცხყოფა და გაუპატიურება და ქალების სექსუალური შევიწროება (51.2 პროცენტი და 43.7 პროცენტი, შესაბამისად). მთლიანობაში, კაცები უფრო ნაკლებად მიიჩნევენ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას დიდ პრობლემად, ვიდრე ქალები.



**ღიაზრამა 12.25.** კაცების აღქმა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.132.

ასევე, თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა როგორც გლობალური, ისე – ქვეყნის დონეზე ფართოდ გავრცელებულ პრობლემად მიიჩნევა; თუმცა თვისებრივი კვლევის რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის გაუგებარი იყო, როგორ ასაზრდოებს გენდერული უთანასწორობა ქალთა მიმართ ძალადობას. ზოგიერთი მათგანი მიუთითებდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ჯერ კიდევ ჩვეული პრაქტიკაა საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, თუმცა სხვა რესპონდენტები მას ე. წ. „ხელოვნურად შექმნილ პრობლემად“ მოიხსენიებდნენ. ზოგიერთ სოფელში ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ქალთა მიმართ ძალადობა „დასავლურ ლიბერალურ პროპაგანდას“ დაუკავშირეს. ეს უკანასკნელი კი სრულიად მიუღებელია ამ ჯგუფებისთვის იმ მიზეზით, რომ დასავლური ლიბერალიზმი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საპირისპირო პოზიციად აღიქმება.

„ჩემთვის ასე არ იყოფა ცალკე – ქალთა მიმართ ძალადობა და კაცთა მიმართ ძალადობა. მართო ის ფაქტი, რომ უფრო ხშირად გვსმენია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, არ ნიშნავს, რომ ეგეთი დაყოფა უნდა გავაკეთოთ. ჩემთვის არის ადამიანის მიმართ ძალადობა და ადამიანის მიმართ ძალადობა ზოგადად დასავლური“ (ფოკუს ჯგუფის დისკუსიიდან თბილისში მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის კაცებთან).

„ყურით მოთრეული პრობლემა, ოდითგან საქართველოში ქალის კულტი იყო ჩვენთან, პატივისცემა იყო ქალის მიმართ. ეს არის დასავლური ლიბერალისტული პრესის და მაგათი მონების შემოთრეული. და ვაგრძელებთ ისევ იმ თემას, უბრალოდ ეკლესიის დასამცირებლად, ჩვენი ადათ-წესების დასამცირებლად. ჩვენა ვართ ჩამორჩენილი ერი. აი ამათ პროპაგანდირებას ეწევიან“ (ფოკუს ჯგუფი თბილისში მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის კაცებთან).

კაცებთან შედარებით, ქალები, როგორც ჩანს, უფრო სენსიტიურები არიან ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მიმართ და უკეთესად ესმით მისი არსი. როდესაც მსჯელობა იმ ადგილებს შეეხებოდა, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ხდება, ქალებმა აღნიშნეს, რომ ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას, თუმცა ყველაზე ჩვეულ ადგილად სახლი დაასახელეს; ადგილი, „სადაც კარი იხურება,“ რადგან კაცი სახლს საკუთარი კონტროლის ქვეშ მყოფ სივრცედ აღიქვამს. ქალებმა სამუშაო ადგილი და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც ახსენეს, როგორც ის სივრცეები, სადაც ქალები ძალადობისა და შევიწროების განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან.

გარდა ამისა, ქალებმა ფსიქოლოგიური ძალადობის საზიანო ბუნებაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ამ ფორმის ძალადობა გაცილებით მეტად ვნებს მათ, ვიდრე ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა. ერთ-ერთმა ქალმა აღნიშნა, „ცემაზე ვერ გეტყვიან, მოითმინეო. ფსიქოლოგიურზე გეტყვიან.“ ქალებმა ძალადობის სხვა ფორმების შესახებაც იცინ, მაგალითად ეკონომიკური ჩაგვრის თაობაზე, ხოლო კაცები ნაკლებად არიან მიდრეკილნი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის შესახებ მსჯელობისკენ.


ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ქალებმა სექსუალური შევიწროება ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემად მოიხსენიეს. მათ სექსუალური შევიწროების საკუთარი ისტორიები გააზიარეს. ისიც აღნიშნეს, რომ სპეციალურად იცვამენ ისეთ სამოსს, რომ საზოგადოებრივ სივრცეებში თავიდან აირიდონ სექსუალური შევიწროება. ამის საპირისპიროდ, თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, რომ კაცები საერთოდ არ თვლიან ქალების სექსუალურ შევიწროებას თუ ადევნებას ჩაგვრის ფორმად.

*„დავუშვათ, კაცი ქალს მიაშტერდა, და ეს შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად, ქალმა ამის გამო გარკვეულ ზომებს მიმართოს: პოლიცია გამოიძახოს, მაგალითად. ჩემი აზრით, ეს არ არის ძალადობა, მაგრამ ეს არის ცუდი საქციელი. უღირსი საქციელი, და არა ძალადობა. [...] მიშტერება არ შეიძლება იყოს ძალის გამოყენება. მუქარა არ შეიძლება იყოს ძალის გამოყენება, თუ ამ მუქარას არ ახლავს მყისიერი და აურიდებელი საფრთხე“ (ფოკუს ჯგუფი თბილისში მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის კაცებთან)*

## 12.7 ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონების მნიშვნელობა


ქალების დიდი ნაწილის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობს კანონები, რომლებიც ქალებსა და გოგონებს ქორწინებასა და ოჯახში ძალადობისგან და სექსუალური შეურაცხყოფისა და გაუპატიურებისაგან იცავს (87.6 პროცენტი და 87.9 პროცენტი, შესაბამისად). კაცების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით ნაკლებია (80.3 პროცენტი და 83.0 პროცენტი, შესაბამისად).

**დიაგრამა 12.26.** ქალებისა და კაცების დამოკიდებულება იმ კანონების მიმართ, რომლებიც იცავს ქალებსა და გოგოებს ქალთა მიმართ ძალადობისგან ქორწინებასა და ოჯახში (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.133 და B.134.


**დიაგრამა 12.27.** ქალებისა და კაცების დამოკიდებულება იმ კანონების მიმართ, რომლებიც იცავს ქალებსა და გოგოებს სექსუალური თავდასხმებისა და გაუპატიურებისაგან (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილები B.133 და B.134.

**დიაგრამა 12.28** გვაჩვენებს, რომ ოთხიდან სამი ქალის (75.0 პროცენტის) აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის მუშაკები რეგულარულად ეკითხებიან გარკვეული დაზიანებების მქონე ქალებს, ხომ არ არის ეს დაზიანებები მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის ან სასტიკი მოპყრობის შედეგი.

**დიაგრამა 12.28.** ქალების დამოკიდებულება იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის ექიმები, ექთნები და ჯანდაცვის მუშაკები რეგულარულად ეკითხებოდნენ ქალებს, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ტრავმები, იყო თუ არა ისინი გამოწვეული მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის ან სასტიკი მოპყრობის შედეგად (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.133.


საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს 18 წლამდე გოგოების ადრეული ან იძულებითი ქორწინების რეგულირებას/კრიმინალიზაციას. თვისებრივი მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები არ ემხრობიან ადრეულ ქორწინებას და მას უარყოფით და საზიანო პრაქტიკად მიიჩნევენ, არ თვლიან, რომ ადრეული ქორწინება ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობის ფორმას წარმოადგენს. ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული მსჯელობები და დისკუსიები ძირითადად იმას უსვამს ხაზს, თუ რა წვლილი შეაქვს ადრეულ ასაკში ქორწინებას განქორწინების რისკის მატებასა და იმაში, რომ ნაადრევად დაქორწინებული გოგოებისთვის რთულია პიროვნული და პროფესიული განვითარება. ამავდროულად, ზოგიერთი რესპონდენტი ადრეულ ასაკში ქორწინებას მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებადაც მიიჩნევს, მაგალითად, როდესაც პრობლემებია ოჯახში ან გოგო ვერ ახერხებს სწავლის გაგრძელებას. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ ადრეული ქორწინება სასარგებლოც კი შეიძლება იყოს და ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების გზასაც წარმოადგენდეს.

*„ერთი მოსწავლე მყავდა, ძალიან პრობლემურ ოჯახში ანუ კომფორტულად ვერ გრძნობდა, რაღაც იჩაგრებოდა, თუ ვერ უვლიდნენ, თუ ვერ ზრუნავდნენ და ძალიან ცუდად იყო და მეცხრე კლასი რომ დაამთავრა, გათხოვდა ეს გოგო. ანუ ბრჭყალებში აღმოაჩნდა კარგი ბიჭი. გაუმართლა ერთი სიტყვით. მის მერე აგერ 8 წელი თუ 9 წელია გასული, 3 შვილი ჰყავთ, ტკბილად, მეგობრულად, გემრიელად არიან. ის გოგო, დარწმუნებული ვარ, თავის ოჯახში დაიღუპებოდა, ან რაღაც უბედურებას გადაეყრებოდა. ახლა კი კაი პატრონი გამოუჩნდა. ძალიან ინდივიდუალურია მართლა, მაგრამ როცა ასეთი პრობლემა აქვს, ასეთ შემთხვევაში წესით გამოვიდა, რომ ვამართლებდი ასეთ ნაადრევ ქორწინებას“ (ფოკუს ჯგუფის დისკუსიიდან ქალაქში მცხოვრებ 30 წლის და უფროსი ასაკის კაცებთან).*

## 12.8 ძალადობა გამოვლილი ქალების მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმირებულობა

ქალების თითქმის ორი მესამედისთვის (65.1 პროცენტი) ცნობილია, რომ ქვეყანაში არსებობს თავშესაფრები ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების/სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებისთვის (მაჩვენებლის მნიშვნელობა გაზრდილია, 2017 წელს 61.7 პროცენტი იყო). ქალების მხოლოდ ნახევარმა (50.1 პროცენტმა) იცის, რომ არსებობს ცხელი ხაზი („116 006“) ძალადობა გამოვლილი ქალებისთვის (მაჩვენებლის მნიშვნელობა შემცირებულია, 2017 წელს 76.8 პროცენტი იყო). ქალების 34.4 პროცენტისათვის ცნობილია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კრიზისული ცენტრები, სადაც ძალადობა გამოვლილი ქალებს შეუძლიათ მხარდამჭერის სერვისების მიღება (მაჩვენებლის მნიშვნელობა შემცირებულია, 2017 წელს 38.0 პროცენტი იყო). ქალების მხოლოდ 16.8 პროცენტია ინფორმირებული, რომ არსებობს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული კამპანია. შესაბამისი კითხვა არ დასმულა 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევის ფარგლებში.


**დიაგრამა 12.29.** ქალების ინფორმირებულობა ქვეყანაში არსებული ინიციატივების შესახებ, რომელიც მიმართულია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.135.

კაცების 41.4 პროცენტისათვის ცნობილია, რომ ქვეყანაში არსებობს თავშესაფრები ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების/სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებისთვის (მაჩვენებლის მნიშვნელობა გაზრდილია, 2017 წელს 31.6 პროცენტი იყო). კაცების 44.7 პროცენტმა იცის, რომ არსებობს ცხელი ხაზი („116 006“) ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებისთვის (მაჩვენებლის მნიშვნელობა შემცირებულია, 2017 წელს 71.0 პროცენტი იყო). კაცების 27.2 პროცენტისათვის ცნობილია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კრიზისული ცენტრები, სადაც ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებს შეუძლიათ მხარდაჭერის სერვისების მიღება (მაჩვენებლის მნიშვნელობა შემცირებულია, 2017 წელს 48.8 პროცენტი იყო). კაცების მხოლოდ 20.6 პროცენტია ინფორმირებული, რომ არსებობს ეროვნული კამპანია ოჯახში ძალადობის დასასრულებლად, სპეციფიკური საქართველოსთვის.


**დიაგრამა 12.30.** კაცების ინფორმირებულობა საქართველოში არსებული ინიციატივების შესახებ, რომელიც მიმართულია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად (პროცენტი)



შენიშვნა: იხილეთ ცხრილი B.136.

ქანკანა

13



მოცემული კვლევა არის მეორე ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში, რომელიც იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს ქალთა მიმართ ძალადობაზე მონაცემთა შეგროვების მიზნით, განსაკუთრებით ინტიმური პარტნიორის და არაპარტნიორების მხრიდან ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროებისა და ადევნების შესახებ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მოდელების და გლობალურად მიღებული ინდიკატორების მიხედვით შედგენილი სტანდარტიზებული კითხვარის გამოყენება საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ შევადაროთ შედეგები სხვა ქვეყნის მონაცემებს, არამედ დროთა განმავლობაში ცვლილებების მონიტორინგის მიზნით კვლევის გამეორების საშუალებას იძლევა. ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევის და კაცების კეთილდღეობის გამოკვლევის კითხვარებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. თუმცა, აღნიშნულმა ცვლილებებმა წარმოშვა გამოწვევები 2022 წლის შედეგების და 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგების შედარებითობის თვალსაზრისით.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემები ერთად გვანვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ქალების ძალადობის გამოცდილების შესახებ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისათვის, აგრეთვე საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტორებისა და ქალების ვიქტიმიზაციის გამომწვევი ზოგიერთი საკითხის შესახებ, რაც უფრო ყოვლისმომცველი ანალიზისა და გააზრების საშუალებას იძლევა. კვლევა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მონაცემების შეგროვების კუთხით არსებული ხარვეზების შევსებაში, რაც ხელს უშლის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში.

ანგარიში აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ქალების 18.2 პროცენტს გამოუცდია ქალთა მიმართ ძალადობის რომელიმე ფორმა მაინც ბოლო 12 თვის მანძილზე: სექსუალური შევიწროება - 9.7 პროცენტი; ადევნება - 1.6 პროცენტი, სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლიდან) - 0.0 პროცენტი; ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლიდან) - 0.5 პროცენტი; ძალადობა პარტნიორის მხრიდან - 9.3 პროცენტი. ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი სიცოცხლის მანძილზე, უფრო მაღალია. ქალების 50.1 პროცენტს განუცდია ქალთა მიმართ ძალადობის ერთი ფორმა მაინც. კერძოდ, ქალების 8.5 პროცენტმა განიცადა სექსუალური ძალადობა 18 წლამდე; 19.7 პროცენტმა განიცადა ფიზიკური და/ან ემოციური ძალადობა 18 წლამდე; ქალების 24.5 პროცენტმა - სექსუალური შევიწროება; 8.5 პროცენტმა - ადევნება; 1.5 პროცენტმა - სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის შემდეგ); 6.5 პროცენტმა ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლიდან); და 22.9 პროცენტმა განიცადა ძალადობა პარტნიორის მხრიდან.

ქალების ზოგიერთი ჯგუფი მეტად არის ინტიმური პარტნიორებისა და არაპარტნიორების მხრიდან ძალადობის რისკის ქვეშ, რადგან გარკვეული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ზრდის ქალთა მოწყვლადობას პარტნიორებისა და არაპარტნიორების მხრიდან ძალადობის მიმართ. განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან ქალები, რომლებსაც აქვთ განათლების დაბალი დონე (მაგ. დაწყებითი განათლება ან ნაკლები), ქალები, რომელთაც 18 წლამდე ასაკში იქორწინეს და/ან სოფლად მცხოვრები ქალები.



მიუხედავად იმისა, რომ კვლევამ გამოვლინა ბევრი საინტერესო, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი სოციო-დემოგრაფიულ ჯგუფებსა და სფეროებს შორის, ამ ურთიერთკავშირის არარსებობა ასევე მიუთითებს ქალთა მიმართ ძალადობის უნივერსალურობაზე. ზოგიერთ სიტუაციაში ასაკი, განათლება, ოჯახური/პარტნიორული მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი (სოფელი ქალაქთან შედარებით, ან თბილისი სხვა ქალაქებთან შედარებით) არ ახდენდა გავლენას ქალთა მიერ ძალადობის გამოცდილებაზე. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქალები ყველა ჯგუფში თანაბრად დაუცველნი არიან ქალთა მიმართ ძალადობისგან.

პარტნიორის მხრიდან ძალადობა გავლენას ახდენს ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ისევე, როგორც მათი შვილების ჯანმრთელობაზე. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა ასევე ზრდის იმის ალბათობას, რომ მსხვერპლი ქალების შვილებს შეექმნებათ სირთულეები სკოლაში (მაგ. კონცენტრაცია და აკადემიური მოსწრება) და ადრეულ ასაკში სწავლის მიტოვების უფრო მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან. ამ კვლევის შედეგები ასევე გამყარებულია საერთაშორისო მუშაობით პოლივიქტიმიზაციისა და თაობათაშორისი ძალადობის შესახებ. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები სიცოცხლის განმავლობაში ხშირად განიცდიან ძალადობის სხვადასხვა ფორმას, რომელიც ხშირად იწყება ბავშვობაში და გრძელდება ზრდასრულ ასაკშიც. უფრო მეტიც, ბავშვობაში ძალადობა გამოვლილ ქალებს აქვთ ძალადობის გამოცდილების უფრო მაღალი მაჩვენებელი ზრდასრულ ასაკში, იქნება ეს ინტიმური პარტნიორის და/ან არაპარტნიორის მხრიდან ძალადობა, ვიდრე ქალებს, რომელთაც არ გამოუცდიათ ძალადობა ბავშვობაში. კვლევა ასევე აჩვენებს კავშირს ბავშვობაში ოჯახში ძალადობასა და ზრდასრულ ასაკში ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილებას შორის, რაც ადასტურებს თაობათაშორისი ძალადობის რეალობას.

ქალების უმრავლესობა, რომლებიც განიცდიან ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან, არ ითხოვენ დახმარებას, თუმცა უმეტესობა ვინმეს მაინც უმხელს ძალადობის გამოცდილების შესახებ. ძირითადად, მხოლოდ მძიმე შემთხვევებში მიმართავენ ქალები პოლიციას ან ჯანდაცვის სისტემას და იშვიათად სარგებლობენ ხელმისაწვდომი ფორმალური სოციალური სერვისებით. როდესაც ქალები დახმარებას ითხოვენ, ისინი, როგორც წესი, მიმართავენ საკუთარ არაფორმალურ სოციალურ ქსელს - ოჯახს, მეგობრებსა და მეზობლებს. ხშირად, ფორმალური სისხლის სამართლის ინსტიტუტები, როგორცაა პოლიცია და სასამართლოები, არ განიხილება დახმარების მიღების შესაძლებლობად.

არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის დონე საქართველოში დაბალია, თუმცა კვლევაში მონაწილე ყოველი მეოთხე ქალიდან თითქმის ერთს მაინც განუცდია სექსუალური შევიწროება. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები უფრო ხშირად განიცდიან ფიზიკურ ძალადობას ინტიმური პარტნიორების მხრიდან, ხოლო სექსუალურ შევიწროებას განიცდიან არაპარტნიორებისგან. უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი პირადად იცნობს არაპარტნიორ მოძალადეებს.

კვლევა ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ქალებსა და კაცებში მაღალია პირად ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობა, მათ აქვთ არასწორი შეხედულებები გენდერსა და ურთიერთობებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ძალიან ცოტა ქალსა დააკაცს მიაჩნია, რომ არსებობს ცოლის ცემის/ცოლისთვის დარტყმის გამამართლებელი მიზეზები, რაც განსხვავებულია 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგებისგან. ეს შედეგი ასახავს ფართო სოციალურ-კულტურულ ცვლილებას ქორწინებაში მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობასთან დაკავშირებით.

ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, საქართველოში ქალების მიერ ინტიმური პარტნიორებისა და არაპარტნიორების მხრიდან ძალადობის გამჟღავნების მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის მასშტაბით. თუმცა, საქართველოში გენდერული სტერეოტიპები მეტად არის დამკვიდრებული, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში, რაც შეიძლება განაპირობებდეს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შესახებ ინფორმაციის დაბალ გამჟღავნებას. ასევე დაბალია ბავშვობაში განცდილი ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გამჟღავნება ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭიროა იმ ქცევების, შეხედულებების, სოციალური ნორმებისა და სტრუქტურების შეცვლა, რაც აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას და ახდენს ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზებას. გენდერული როლები, რომლებიც ინარჩუნებენ ოჯახში ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნას ქმნის ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზების საფუძველს. მოძალადეები ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობას ხშირად როგორც ოჯახზე კაცის ძალაუფლების შენარჩუნების იარაღს იყენებენ. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია აკაცებთან და ბიჭებთან, ქალებთან და გოგოებთან ერთად მუშაობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. კვლევის მიგნებები ასევე ხაზს უსვამს კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების აუცილებლობას, რომელთა მიზანი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა და მათზე რეაგირება, ქალთა მიმართ ძალადობა გამოვლილთათვის ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.



# დანართი A: გამოკითხვის გამოკასუხების დონე

## ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა

### შინამეურნეობის შერჩევა და გამოკასუხების დონე

**ცხრილი A.1** გვიჩვენებს, რომ ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევისთვის შერჩეული იყო 7,137 შინამეურნეობა, საიდანაც გამოიკითხა 4,330 შინამეურნეობა და გამოკასუხების დონემ 60.7 პროცენტი შეადგინა (იმ შინამეურნეობების წილი, სადაც ჩატარდა გამოკითხვა). შინამეურნეობების 13.7 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობამ უარი განაცხადა ინტერვიუზე, 18.2 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობამ არ აწავინ იყო, 3.4 პროცენტის შემთხვევაში მისამართი არ არსებობდა ან სახლი იყო დანგრეული, ხოლო 1.6 პროცენტის შემთხვევაში მისამართზე არ (ალარ) იყო საცხოვრებელი.



**ცხრილი A.1.** შერჩევის ზომა და გამოკასუხების დონე (ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოკვლევა)

	N	პროცენტი
 გამოკითხული შინამეურნეობები (ინტერვიუ ჩატარდა)	4,330	60.7
 შინამეურნეობები, რომლებიც არ გამოკითხულა (ინტერვიუ არ ჩატარებულა)	2,807	39.3
შინამეურნეობამ უარი განაცხადა ინტერვიუზე	980	13.7
შინამეურნეობამ არ აწავინ დაგვხვდა	1,298	18.2
არარსებული მისამართი/ დანგრეული სახლი/ ვერ მოიძებნა	246	3.4
მისამართზე არ (ალარ) არის საცხოვრებელი	112	1.6
სხვა	171	2.4
<b>სულ შერჩეული შინამეურნეობები</b>	<b>7,137</b>	<b>100.0</b>

### ინდივიდუალური გამოკასუხების დონე ქალებისთვის

**ცხრილი A.2** გვიჩვენებს, რომ ქალების ინდივიდუალური გამოკასუხების მაჩვენებელი 76.2 პროცენტი იყო (იმ შინამეურნეობების წილი, სადაც ჩატარდა ინდივიდუალური ინტერვიუ, გამოკითხული შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან). 18.2 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში არ აღმოჩნდა ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი, 3.0 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში იყო ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი, მაგრამ შერჩეული ქალი შინამეურნეობაში არ იმყოფებოდა, ხოლო 2.6 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში იყო ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი, მაგრამ შერჩეულმა ქალმა უარი განაცხადა ინტერვიუზე.

**ცხრილი A.2.** ქალის ინდივიდუალური კითხვარის გამოპასუხების დონე



	N	პროცენტი
 ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა	3,300	76.2
 ინდივიდუალური ინტერვიუ არ ჩატარებულა (შეივსო მხოლოდ შინამეურნეობის კითხვარი)	1,030	23.8
შინამეურნეობაში არ არის ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი	789	18.2
შინამეურნეობაში არის ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი, მაგრამ შერჩეული ქალი შინ არ დაგვხვდა	130	3.0
შინამეურნეობაში არის ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი ქალი, მაგრამ შერჩეულმა ქალმა უარი განაცხადა ინტერვიუზე	111	2.6
<b>სულ გამოკითხული შინამეურნეობები</b>	<b>4,330</b>	<b>100.0</b>

**კაცების კეთილდღეობის გამოკვლევა**

**შინამეურნეობის შერჩევა და გამოპასუხების დონე**

**ცხრილი A.3** გვიჩვენებს, რომ კაცების კეთილდღეობის გამოკვლევისთვის შერჩეული იყო 2,506 შინამეურნეობა, საიდანაც გამოიკითხა 1,480 შინამეურნეობა და გამოპასუხების დონემ 59.1 პროცენტი შეადგინა (იმ შინამეურნეობების წილი, სადაც ჩატარდა გამოკითხვა). შინამეურნეობების 20.5 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობამ უარი განაცხადა ინტერვიუზე, 12.9 პროცენტის შემთხვევაში შინ არავინ იყო, 3.8 პროცენტის შემთხვევაში მისამართი არ არსებობდა ან სახლი იყო დანგრეული, ხოლო 3.1 პროცენტის შემთხვევაში მისამართზე არ (ალარ) იყო საცხოვრებელი.



**ცხრილი A.3.** შინამეურნეობის შერჩევა და გამოპასუხების დონე კაცების კეთილდღეობის გამოკითხვისთვის

	N	პროცენტი
 გამოკითხული შინამეურნეობები (ინტერვიუ ჩატარდა)	1,480	59.1
 შინამეურნეობები, რომლებიც არ გამოკითხულა (ინტერვიუ არ ჩატარებულა)	1,026	40.9
შინამეურნეობამ უარი განაცხადა ინტერვიუზე	513	20.5
შინ არავინ დაგვხვდა	324	12.9
არარსებული მისამართი/დანგრეული სახლი/ვერ მოიძებნა	96	3.8
მისამართზე არ (ალარ) არის საცხოვრებელი	78	3.1
სხვა	15	0.6
<b>სულ შერჩეული შინამეურნეობები</b>	<b>2,506</b>	<b>100.0</b>

## ინდივიდუალური გამოპასუხების დონე კაცებისთვის

**ცხრილი A.4** გვიჩვენებს, რომ კაცები ინდივიდუალური გამოპასუხების მაჩვენებელი 74.6 პროცენტი იყო (იმ შინამეურნეობების წილი, სადაც ჩატარდა ინდივიდუალური ინტერვიუ, გამოკითხული შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან). 21.8 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში არ აღმოჩნდა ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი კაცი, 1.6 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში იყო ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი კაცი, მაგრამ შერჩეული კაცი შინ არ იმყოფებოდა, ხოლო 2.0 პროცენტის შემთხვევაში შინამეურნეობაში იყო ინტერვიუს შესაფერისი რესპონდენტი კაცი, მაგრამ შერჩეულმა კაცმა უარი განაცხადა ინტერვიუზე.

### ცხრილი A.4. კაცის ინდივიდუალური კითხვარის გამოპასუხების დონე


	N	პროცენტი
 ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა	1,104	74.6
 ინდივიდუალური ინტერვიუ არ ჩატარებულა (შეივსო მხოლოდ შინამეურნეობის კითხვარი)	376	25.4
შინამეურნეობაში არ არის ინტერვიუსთვის შესაფერისი რესპონდენტი კაცი	323	21.8
შინამეურნეობაში არის ინტერვიუსთვის შესაფერისი რესპონდენტი კაცი, მაგრამ შერჩეული კაცი შინ არ დაგვხვდა	23	1.6
შინამეურნეობაში არის ინტერვიუსთვის შესაფერისი რესპონდენტი კაცი, მაგრამ შერჩეულმა კაცმა უარი განაცხადა ინტერვიუზე	30	2.0
<b>სულ გამოკითხული შინამეურნეობები</b>	<b>1,480</b>	<b>100.0</b>

## ღანართი B: ცხრილები


**ცხრილი B.1.** რესპონდენტების განაწილება სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, ეთნიკური კუთვნილების, განათლების დონისა და დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
<b>ასაკობრივი ჯგუფები</b>		
15-24	14.7	17.0
25-34	18.3	19.6
35-44	19.3	19.9
45-54	18.1	18.3
55-64	20.5	18.1
65-69	9.1	7.1
<b>ეთნიკური ჯგუფი</b>		
ქართველი	88.2	87.0
აზერბაიჯანელი	5.2	6.5
სომეხი	3.7	4.8
სხვა	2.8	1.8
<b>განათლების მიღწეული უმაღლესი დონე</b>		
დანყებითი განათლება ან განათლების უფრო დაბალი საფეხური	1.0	0.4
არასრული საშუალო	8.5	8.5
სრული საშუალო	34.7	46.0
პროფესიული განათლება	22.8	15.2
უმაღლესი განათლება	32.9	29.8
არ ვიცი	0.1	-
<b>დასახლების ტიპი</b>		
 თბილისი	32.5	31.5
 სხვა ქალაქები	26.2	24.7
 სოფლები	41.3	43.9











**ცხრილი B.2.** ქალისა და კაცის შემოსავლები და დასაქმების სტატუსი (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
შემოსავლები	გაქვთ თუ არა საკუთარი შემოსავალი?	მუშაობდით ან გამოიმუშავებთ თუ არა ფული გასული 12 თვის განმავლობაში?
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	61.2	75.8
<input checked="" type="checkbox"/> არა	36.9	24.2
<input type="checkbox"/> უარი პასუხზე	1.9	-
<b>დასაქმების სტატუსი</b>		
დაქირავებული	34.3	42.6
დამქირავებელი	0.7	1.0
საკუთარი კერძო საქმის მქონე/ თვითდასაქმებული	8.3	26.0
საოჯახო საწარმოში მომუშავე	2.2	2.0
არ არის დასაქმებული, ეძებს სამუშაოს (მუშაობდა ადრე)	4.7	6.9
არ არის დასაქმებული, ეძებს სამუშაოს (აქამდე არასდროს უმუშავია)	1.4	2.5
არ არის დასაქმებული და არ ეძებს სამუშაოს	2.4	2.9
დიასახლისი/ სახლის საქმეებით დაკავებული (დაუსაქმებელი)	23.0	2.4
პენსიონერი	14.0	4.1
სტუდენტი/მოსწავლე	8.0	8.1
შრომისუუნარო/ ხანგრძლივი დროით ავად მყოფი	0.8	1.4
სხვა	0.2	0.1
მეტწილად სტაბილური სამსახური		დასაქმებული კაცი N = 781
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	აშ	64.3
<input checked="" type="checkbox"/> არა	აშ	35.7

**ცხრილი B.3.** შინამეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო (პროცენტი)


	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
რესპონდენტი	19.6	51.3
რესპონდენტის მშობლები	12.8	21.6
თანაბრად, რესპონდენტი და მისი მეუღლე/პარტნიორი	15.2	16.4
მეუღლე/პარტნიორი	36.6	4.0
შინამეურნეობის სხვა წევრები	11.0	5.8
სხვა პირები (არა შინამეურნეობის წევრი)	2.2	0.9
მეუღლის/პარტნიორის მშობლები	2.6	-

**ცხრილი B.4.** ქალების მიერ საკუთარი ფინანსების განკარგვის შესაძლებლობა (პროცენტი)



	 ამჟამად დაოჯახებული/ პარტნიორთან მცხოვრები ქალები, რომლებსაც აქვთ საკუთარი შემოსავალი N = 1,396
შეგიძლიათ თუ არა დახარჯოთ თქვენ მიერ გამოთქმული ფული თქვენი სურვილის მიხედვით, თუ თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მისცეთ თქვენს მეუღლეს/პარტნიორს?	
 საკუთარი სურვილის მიხედვით	97.7
 ფულის ნაწილს ვაძლევ მეუღლეს/პარტნიორს	2.2
 არ ვიცი / არ მახსოვს	0.0
 უარი პასუხზე	0.1
როგორ ფიქრობთ, თქვენი შინამეურნეობის ფულად შემოსავალში თქვენი შემოსავლის წვლილი უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მეუღლის/პარტნიორის, უფრო ნაკლებია ვიდრე თქვენი მეუღლის/პარტნიორის, თუ დაახლოებით თანაბარია?	
 აღემატება მეუღლის/ პარტნიორის წვლილს	16.9
 ნაკლებია მეუღლის/ პარტნიორის წვლილზე	43.8
 დაახლოებით თანაბარია	38.5
 არ ვიცი/ არ მახსოვს	0.3
 უარი პასუხზე	0.5





**ცხრილი B.5.** კაცების განწყობები სამუშაოსა და შემოსავლებთან დაკავშირებით (პროცენტი)

		 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
ხშირად ხართ თუ არა სტრესში ან დეპრესიულ განწყობაზე იმის გამო, რომ არ გაქვთ საკმარისი შემოსავალი?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	30.5
<input checked="" type="checkbox"/>	არა	69.4
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.2
ხშირად ხართ თუ არა სტრესში ან დეპრესიულ განწყობაზე იმის გამო, რომ არ გაქვთ საკმარისი სამუშაო?		დასაქმებული კაცები N = 781
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	22.6
<input checked="" type="checkbox"/>	არა	77.1
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.3
გაქვთ თუ არა ხანდახან სირცხვილის შეგრძნება თქვენი ოჯახის წინაშე იმის გამო, რომ არ მუშაობთ?		უმუშევარი კაცები N = 168
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	40.0
<input checked="" type="checkbox"/>	არა	59.0
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	1.0
ატარებთ თუ არა დროის უმეტეს ნაწილს სამსახურს გარეთ ან სამუშაოს ძებნაში?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	41.3
<input checked="" type="checkbox"/>	არა	58.7
ხომ არ სვამთ ხანდახან ან თავს იკავებთ სახლში მისვლისგან იმის გამო, რომ სამუშაოს ვერ შოულობთ?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	7.9
<input checked="" type="checkbox"/>	არა	92.1
გიფიქრიათ თუ არა ოჯახის დატოვებაზე იმის გამო, რომ არ მუშაობთ?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	12.1
<input checked="" type="checkbox"/>	არა	87.9

**ცხრილი B.6.** ქალებისა და კაცების საკუთრებაში არსებული მიწა და ქონება (პროცენტი)











	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
<b>📍 მიწა (სასოფლო-სამეურნეო ან არა სასოფლო-სამეურნეო)</b>		
დიახ, ფლობს მართვ	8.7	18.3
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	39.4	44.0
არა, არ ფლობს	52.0	37.6
<b>🏠 სახლი, ბინა ან სხვა შენობა-ნაგებობა</b>		
დიახ, ფლობს მართვ	15.6	21.4
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	52.9	62.7
არა, არ ფლობს	31.5	15.9
<b>🏢 ბიზნესი, მაღაზია ან კომპანია</b>		
დიახ, ფლობს მართვ	2.6	4.4
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	3.9	5.1
არა, არ ფლობს	93.5	90.5
<b>🚗 მსუბუქი ან სატვირთო ავტომანქანა</b>		
დიახ, ფლობს მართვ	7.8	31.2
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	23.1	19.2
არა, არ ფლობს	69.0	49.6
<b>🏠 პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი (მაგ.: ძროხა, ცხენი, ღორი, თხა, ქათამი და ა.შ.)</b>		
დიახ, ფლობს მართვ	4.4	7.3
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	25.8	26.2
არა, არ ფლობს	69.8	66.5
<b>🏦 დანაზოგი ბანკში</b>		
დიახ, ფლობს მართვ	5.9	3.3
დიახ, ფლობს სხვა პირთან ერთად	1.4	0.7
არა, არ ფლობს	92.6	96.0

**ცხრილი B.7.** ქალებისა და კაცების ოჯახური მდგომარეობა (პროცენტი)


	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	 კაცები (15-69 წლის) N = 1,104
<input type="radio"/> არასოდეს ყოფილა პარტნიორულ ურთიერთობაში	13.7	29.9
<input checked="" type="radio"/> ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი	86.3	70.1
ამჟამად დაოჯახებული, ცხოვრობს მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად	63.4	59.4
ამჟამად დაოჯახებული, არ ცხოვრობს მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად	3.2	4.8
ცხოვრობს პარტნიორთან ერთად, არ არის დაოჯახებული	0.1	0.2
იყო დაოჯახებული	16.2	3.0
ცხოვრობდა პარტნიორთან ერთად, მაგრამ არ ყოფილა დაოჯახებული	0.3	0.3
ამჟამად ჰყავს/ჰყავდა შეყვარებული ან საქმრო/ საცოლე (არასდროს ყოფილა ქორწინებაში ან არ უცხოვრია პარტნიორთან ერთად)	3.2	2.4

**ცხრილი B.8.** ქალებისა და კაცების ასაკი პირველი ქორწინებისას/ პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყებისას, ქორწინების ტიპი და ქორწინების/პარტნიორთან თანაცხოვრების რაოდენობა (პროცენტი)

	 ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ კაცთან (15-69 წლის) N = 2,904	 კაცები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ ქალთან (15-69 წლის) N = 826
პირველი ქორწინების ან პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყების ასაკი		
15 წლამდე	0.5	1.1
15-17 წლის	14.0	42.6
18 წლამდე	14.5	56.3
18-24 წლის	60.0	-
25 წლის და უფროსი ასაკის	25.4	-
არ ვიცი	0.0	-
უარი პასუხზე	0.1	-

	 ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ კაცთან (15-69 წლის) N = 2,904	 კაცები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ ქალთან (15-69 წლის) N = 826
<b>ქორწინების ტიპი</b>		
 სამოქალაქო ქორწინება	81.7	81.3
 რელიგიური ქორწინება	42.9	49.2
 არც სამოქალაქო და არც რელიგიური ქორწინება	11.2	10.8
 სხვა	0.4	-
 უარი პასუხზე	0.0	-
<b>ქორწინების/პარტნიორთან თანაცხოვრების რაოდენობა</b>		
 1	96.1	93.6
 2	3.6	6.1
 3-4	0.3	0.3



**ცხრილი B.9.** 20-24 წლის ქალების ქორწინება ან პარტნიორთან თანაცხოვრება 18 წლამდე (პროცენტი)

	 20-24 წლის ქალები N = 49
<b>პირველი ქორწინების ან პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყების ასაკი<sup>ა</sup></b>	
< 18 წლის ასაკის	22.0*
18-24 წლის ასაკის	76.0*
უარი პასუხზე	2.0*



<sup>ა</sup> შეუნონავ დაკვირვებათა რაოდენობის სიმცირის გამო კატეგორია „15 წლამდე“ ამოღებულია ცხრილიდან.

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.


**ცხრილი B.10.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების მიერ მეუღლის/პარტნიორის არჩევა (პროცენტი)

	 ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ კაცთან (15-69 წლის) N = 2,904	 კაცები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ ქალთან (15-69 წლის) N = 826
<b>ვინ აარჩია თქვენთვის თქვენი ამჟამინდელი/ბოლო მეუღლე/პარტნიორი?</b>		
რესპონდენტმა და მისმა მეუღლემ/ პარტნიორმა ერთად	71.5	48.7
რესპონდენტმა	3.5	41.8
რესპონდენტის ოჯახმა	2.1	4.6
მეუღლემ/პარტნიორმა	12.8	3.3
მეუღლის/პარტნიორის ოჯახმა	8.1	0.1
სხვამ	1.9	1.4
უარი პასუხზე	0.1	0.1
<b>ქორწინებამდე გკითხეს, თანახმა იყავით თუ არა მასზე დაქორწინებულიყავით?</b>		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	89.1	-
<input checked="" type="checkbox"/> არა	8.5	-
<input type="checkbox"/> არ მახსოვს	0.3	-
<input type="checkbox"/> უარი პასუხზე/ არ შეესაბამება	2.1	-





**ცხრილი B.11.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების საცხოვრებელი პირობები (პროცენტი)

	 ქალები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ კაცთან (15-69 წლის) N = 2,904	 კაცები, რომლებიც ოდესმე ყოფილან ქორწინებაში ან უცხოვრიათ პარტნიორ ქალთან (15-69 წლის) N = 826
<b>საცხოვრებელი პირობები</b>		
ცხოვრობს მხოლოდ მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად	48.5	42.3
ცხოვრობს მეუღლის/ პარტნიორის ოჯახთან ერთად	43.0	2.8
ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადა/ გაიზარდა)	7.5	53.7
ცხოვრობს მეუღლის/ პარტნიორის და თავის ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადა/ გაიზარდა)	0.9	0.5
უარი პასუხზე	0.1	0.7

**ცხრილი B.12.** შინამეურნეობაში მცხოვრები 0-17 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა (პროცენტი)

	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	კაცები (15-69 წლის) N = 1,104
 შინამეურნეობები 0-17 წლის ბავშვ(ებ)ით	54.6	46.3
0-4 წლის ბავშვების რაოდენობა შინამეურნეობაში		
⊖ არცერთი	81.2	83.8
① 1 ბავშვი	14.4	13.0
②③ 2-3 ბავშვი	4.2	3.1
④⑤ 4-5 ბავშვი	0.1	0.1
⊖ უარი პასუხზე	0.1	-
5-9 წლის ბავშვების რაოდენობა შინამეურნეობაში		
⊖ არცერთი	76.1	79.3
① 1 ბავშვი	17.7	16.1
②③ 2-3 ბავშვი	6.1	4.6
⊖ უარი პასუხზე	0.0	-
10-14 წლის ბავშვების რაოდენობა შინამეურნეობაში		
⊖ არცერთი	74.5	80.1
① 1 ბავშვი	18.6	16.0
②③ 2-3 ბავშვი	6.9	3.9
⊖ უარი პასუხზე	0.0	-
15-17 წლის ბავშვების რაოდენობა შინამეურნეობაში		
⊖ არცერთი	85.2	85.8
① 1 ბავშვი	13.2	13.2
②③ 2-3 ბავშვი	1.5	1.0
⊖ უარი პასუხზე	0.1	-



**ცხრილი B.13.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და კაცების ქორწინების გამოცდილება (პროცენტი)

	 ქალები, ვისი ურთიერთობაც დასრულდა (15-69 წლის) N = 681	 კაცები, ვისი ურთიერთობაც დასრულდა (15-69 წლის) N = 44
<b>როგორ დასრულდა ბოლო ურთიერთობა?</b>		
განქორწინებით	23.2	19.3*
დაშორებით	12.4	55.8*
დაქვრივებით/ პარტნიორის გარდაცვალებით	64.2	24.9*
უარი პასუხზე	0.2	-
	 ქალები, ვისი ურთიერთობაც დასრულდა განქორწინებით ან დაშორებით N = 223	 კაცები, ვისი ურთიერთობაც დასრულდა განქორწინებით ან დაშორებით N = 28
<b>განქორწინების/ დაშორების ინიციატორი</b>		
რესპონდენტი	57.0	8.1*
მეუღლე/პარტნიორი	15.8	42.7*
ერთობლივი გადაწყვეტილება (რესპონდენტმა და მისმა მეუღლემ/ პარტნიორმა ერთად)	23.5	46.5*
სხვა	2.8	2.7*
უარი პასუხზე	0.8	-

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.















**ცხრილი B.14.** ქალის ურთიერთობა ოჯახთან, რომელშიც დაიბადა/გაიზარდა (პროცენტი)

		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
ცხოვრობენ თუ არა თქვენი ოჯახის წევრები, რომელშიც დაიბადეთ/გაიზარდეთ, საკმარისად ახლოს, რომ ადვილად მოინახულოთ ისინი ან ესტუმროთ მათ?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	43.4
<input checked="" type="checkbox"/>	არა	37.3
	ვცხოვრობ ოჯახთან ერთად (რომელშიც დაიბადეთ/გაიზარდეთ)	19.2
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.0
რამდენად ხშირად ნახულობთ ან ესაუბრებით თქვენი ოჯახის წევრებს, რომელშიც დაიბადეთ/გაიზარდეთ?		
<input checked="" type="checkbox"/>	ყოველდღე	55.4
<input type="checkbox"/>	კვირაში ერთხელ მაინც	22.1
<input type="checkbox"/>	თვეში ერთხელ მაინც	13.8
<input type="checkbox"/>	წელიწადში ერთხელ მაინც	5.1
<input type="checkbox"/>	არასდროს/ ძალიან იშვიათად	3.3
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.2
როდესაც გჭირდებათ დახმარება ან რაიმე პრობლემის წინაშე დგახართ, გაქვთ თუ არა იმ ოჯახის მხარდაჭერის იმედი, რომელშიც დაიბადეთ/გაიზარდეთ?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	80.8
<input checked="" type="checkbox"/>	არა	18.2
<input type="checkbox"/>	არ ვიცი	0.9
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.2


**ცხრილი B.15.** შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა (პროცენტი)





	ქალები (15-69 წლის) N = 3,300	კაცები (15-69 წლის) N = 1,104
რამდენად საკმარისია შინამეურნეობის შემოსავალი ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად		
⬆️ შემოსავალი აღემატება პირველად საჭიროებებს	2.4	6.5
⊖ შემოსავალი უთანაბრდება ძირითად საჭიროებებს (მეტ-ნაკლებად)	80.5	71.3
⬇️ შემოსავალი ნაკლებია პირველად საჭიროებებზე	16.9	21.5
❓ არ ვიცი	0.2	0.3
⊖ უარი პასუხზე	0.0	0.5
შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა		
🎲 ძალიან ცუდი	4.1	3.4
🎲 ცუდი	26.2	22.1
🎲 საშუალო	65.5	70.3
🎲 კარგი	4.0	3.7
🎲 ძალიან კარგი	0.1	0.2
⊖ უარი პასუხზე	0.1	0.2

**ცხრილი B.16.** ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა და გადანყვეტილების მიღება ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით (პროცენტი)


		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
ზოგადად როგორ დაახასიათებდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას: ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი თუ ძალიან ცუდი?		
	ძალიან კარგი	9.6
	კარგი	32.2
	დამაკმაყოფილებელი	42.5
	ცუდი	13.3
	ძალიან ცუდი	2.3
	უარი პასუხზე	0.1
ძირითადად, ვინ იღებს გადანყვეტილებებს თქვენი ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით?		
	თავად	74.5
	მეუღლე/ პარტნიორი	1.3
	ერთობლივი გადანყვეტილება (ჩემი და მეუღლის/ პარტნიორის)	19.7
	სხვა პირი	4.5
	უარი პასუხზე	0.0

**ცხრილი B.17.** ფუნქციური სირთულების მქონე ქალები, ფუნქციური სირთულის ტიპის მიხედვით, (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
ქალები, რომლებმაც განაცხადეს რომ აღენიშნებათ სულ მცირე ერთი ფუნქციური სირთულე	48.4
<b>66</b> გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე მხედველობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სათვალეს ატარებთ?	
<input checked="" type="radio"/> არავითარი სირთულე	69.4
<input type="radio"/> გარკვეული სირთულე	26.0
<input type="radio"/> საგრძნობი სირთულე	4.6
<input type="radio"/> საერთოდ ვერ ვხედავ	0.0
<b>9</b> გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე სმენასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც სმენის დამხმარე ხელსაწყოს იყენებთ?	
<input checked="" type="radio"/> არავითარი სირთულე	92.7
<input type="radio"/> გარკვეული სირთულე	6.6
<input type="radio"/> საგრძნობი სირთულე	0.6
<b>77</b> გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე სიარულისას ან კიბეებზე ასვლისას?	
<input checked="" type="radio"/> არავითარი სირთულე	73.7
<input type="radio"/> გარკვეული სირთულე	19.9
<input type="radio"/> საგრძნობი სირთულე	6.4
<input type="radio"/> საერთოდ ვერ ვახერხებ	0.1
<b>88</b> გაქვთ თუ არა კონცენტრაციასთან ან მეხსიერებასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე?	
<input checked="" type="radio"/> არავითარი სირთულე	82.3
<input type="radio"/> გარკვეული სირთულე	16.1
<input type="radio"/> საგრძნობი სირთულე	1.6


		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
 გიჭირთ თუ არა ხელებისა და თითების გამოყენება, მაგალითად, პატარა საგნების აღება, როგორცაა ღილი ან ფანქარი, კონტეინერების ან ბოთლების გახსნა ან დახურვა?		
<input checked="" type="radio"/>	არავითარი სირთულე	93.0
<input type="radio"/>	გარკვეული სირთულე	6.1
<input type="radio"/>	საგრძნობი სირთულე	0.9
<input type="radio"/>	საერთოდ ვერ ვახერხებ	0.0
 გაქვთ თუ არა რაიმე სირთულე საკუთარი თავის მოვლასთან (ბანაობა, ჩაცმა და ა.შ.) დაკავშირებით?		
<input checked="" type="radio"/>	არავითარი სირთულე	97.7
<input type="radio"/>	გარკვეული სირთულე	1.9
<input type="radio"/>	საგრძნობი სირთულე	0.3
<input type="radio"/>	საერთოდ ვერ ვახერხებ	0.0
 გაქვთ თუ არა კომუნიკაციასთან დაკავშირებული რაიმე სირთულე, მაგალითად, გიჭირთ თუ არა გააგებინოთ სხვებს ან გაიგოთ სხვების აზრი?		
<input checked="" type="radio"/>	არავითარი სირთულე	98.4
<input type="radio"/>	გარკვეული სირთულე	1.6
<input type="radio"/>	საგრძნობი სირთულე	0.1

**ცხრილი B.18.** ქალების სქესობრივი გამოცდილება (პროცენტი)

		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
ოდესმე გქონიათ თუ არა სქესობრივი კავშირი?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ	84.4
<input checked="" type="checkbox"/>	არ ჰქონია სქესობრივი კავშირი	15.3
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.3
თქვენი პირველი სქესობრივი კავშირი მოხდა თქვენი სურვილით, სურვილი არ გქონდათ, მაგრამ ეს მაინც მოხდა თუ თქვენზე იძალადეს?		ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,933
<input checked="" type="checkbox"/>	მქონდა სქესობრივი კავშირის სურვილი	95.5
<input checked="" type="checkbox"/>	სქესობრივი კავშირის სურვილი არ მქონდა, მაგრამ მაინც მოხდა	3.8
<input type="checkbox"/>	მაიძულეს, მქონოდა სქესობრივი კავშირი	0.3
<input type="checkbox"/>	არ ვიცი	0.1
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.2


შენიშვნა: ქალების საშუალო ასაკმა, როდესაც პირველად ჰქონდათ სქესობრივი კავშირი, შეადგინა 22 წელი.

**ცხრილი B.19.** ქალთა ორსულობა (პროცენტი)


		 ოდესმე ორსულად მყოფი ქალები N = 2,789
	1 ორსულობა	12.4
	2-3 ორსულობა	41.4
	4-6 ორსულობა	31.8
	7-10 ორსულობა	9.5
	11+ ორსულობა	4.9


შენიშვნა: ორსულობების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 4.3 ორსულობა.

**ცხრილი B.20.** ცოცხლადშობილ ბავშვთა რაოდენობა და შეწყვეტილი ორსულობები (პროცენტი)


		 ოდესმე ორსულად მყოფი ქალები N = 2,789
რამდენი ბავშვი გაგიჩენიათ სულ, რომლებიც დაბადებისას იყვნენ ცოცხლები?		
<input type="radio"/>	არცერთი	2.4
<input type="radio"/>	1 ბავშვი	18.9
<input checked="" type="radio"/>	2-3 ბავშვი	71.7
<input type="radio"/>	4 ბავშვი და მეტი	6.9
ოდესმე თუ ყოფილხართ ორსულად, რომელიც დასრულდა მუცლის მოშლით, მკვდრადშობადობით ან აბორტით?		
	მუცლის მოშლა	26.1
	მკვდრადშობადობა	5.5
	აბორტი	44.1

**ცხრილი B.21.** შობადობის კონტროლი, კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება და გადანყვეტილების მიღება იმ ქალებში, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი (პროცენტი)










		 ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,933
ამჟამად ან ოდესმე გამოგიყენებიათ თუ არა შობადობის კონტროლის/კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი?		
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ, ამჟამად ვიყენებ	14.4
<input checked="" type="checkbox"/>	დიახ, წარსულში ვიყენებდი	26.7
<input type="checkbox"/>	არასოდეს გამომიყენებია	58.7
<input type="checkbox"/>	უარი პასუხზე	0.2

 ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,933	
მეუღლეს/პარტნიორს ოდესმე უთქვამს უარი კონტრაცეფციის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებაზე?	ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,929
<input checked="" type="checkbox"/> დიახ	5.7
<input checked="" type="checkbox"/> არა	90.1
<input checked="" type="checkbox"/> არ ვიცი/ არ მახსოვს	1.9
<input checked="" type="checkbox"/> უარი პასუხზე	2.3
უშეტესნილად ვისი გადაწყვეტილება იყო შობადობის კონტროლის/ კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება?	ოდესმე გამოუყენებია კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი N = 1,162
რესპონდენტის გადაწყვეტილება	44.2
უშეტესნილად მეუღლის/პარტნიორის გადაწყვეტილება	2.3
რესპონდენტის და მისი მეუღლის/პარტნიორის ერთობლივი გადაწყვეტილება	52.5
მამამთილის/დედამთილის გადაწყვეტილება	0.0
უარი პასუხზე	0.9
რა არის/იყო შობადობის კონტროლის/ კონტრაცეპტივების გამოყენების ძირითადი მიზეზი (ბოლო შემთხვევაში)?	
ჩემმა მეუღლემ/პარტნიორმა მოახდინა ჩემზე ზეწოლა	0.5
ორსულობის გადავადება	33.2
აღარ მსურს მეტი ბავშვის გაჩენა	62.8
სხვა	3.0
არ ვიცი/არ მახსოვს	0.4
უარი პასუხზე	0.2




	 ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,933
რა არის/ იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ თქვენ არ იყენებთ შობადობის კონტროლს/ კონტრაცეპტივებს?	არასოდეს გამოუყენებია კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდი N = 1,765
მსურს, მყავდეს შვილები	44.9
მეთოდს აქვს გვერდითი მოვლენები ჯანმრთელობაზე	30.3
ჩემს მეუღლეს/პარტნიორს არ სურს, მან მოახდინა ჩემზე ზეწოლა	0.6
ზეწოლა ჩემი მეუღლის მშობლებისგან	0.1
კონტრაცეპტივების გამოყენება ეწინააღმდეგება ჩემს რელიგიურ შეხედულებებს	1.9
სხვა	12.4
არ ვიცი/ არ მახსოვს	7.4
უარი პასუხზე	2.4

**ცხრილი B.22.** შობადობის კონტროლი, კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენება და გადანყვეტილების მიღება დაოჯახებულ ან პარტნიორთან ერთად მცხოვრებ ქალებში (პროცენტი)


		 15-49 წლის ასაკის დაოჯახებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები ქალები N = 1,189
ვინ იღებს გადანყვეტილებას, იმის შესახებ, რომ გამოიკვლიოთ თქვენი რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მაგალითად როდის უნდა მიმართოთ გინეკოლოგს ან ჩაიტაროთ გამოკვლევები?		
	გადანყვეტილებას ვიღებ მე	67.7
	გადანყვეტილებას ძირითადად იღებს ჩემი მეუღლე/პარტნიორი	2.9
	გადანყვეტილებას ვიღებთ ერთობლივად, მე და ჩემი მეუღლე/ პარტნიორი	29.1
	სხვა	0.2
	უარი პასუხზე	0.2
შეგიძლიათ თუ არა უარი უთხრათ სქესობრივ კავშირზე თქვენს მეუღლეს/პარტნიორს?		ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 987
	დიახ	81.9
	არა	16.1
	არ ვიცი	1.0
	უარი პასუხზე	1.0
შობადობის კონტროლის/ კონტრაცეფციის მეთოდის გამოყენების გადანყვეტილების მიმღები პირი		ქალები, რომლებსაც გამოუყენებია შობადობის კონტროლი/ კონტრაცეფციის მეთოდი N = 588
	რესპონდენტის გადანყვეტილება	41.0
	მეუღლის/ პარტნიორის გადანყვეტილება	2.8
	რესპონდენტის და მისი მეუღლის/ პარტნიორის ერთობლივი გადანყვეტილება	55.2
	სხვა	0.9

**ცხრილი B.23.** მეუღლის/ პარტნიორის მიერ შვილის გაჩენაზე უარი (პროცენტი)






		 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,929
ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც თქვენ გინდოდათ შვილის გაჩენა, მაგრამ თქვენი მეუღლე/პარტნიორი არ დაგეთანხმათ?		
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		2.5
<input checked="" type="checkbox"/> არა		97.4
<input type="checkbox"/> უარი პასუხზე		0.1
დაორსულდით თუ არა მაინც, თქვენი მეუღლის/პარტნიორის გადანყვეტილების მიუხედავად?		N = 83
<input checked="" type="checkbox"/> დიახ		51.0
<input checked="" type="checkbox"/> არა		48.1
<input type="checkbox"/> უარი პასუხზე		0.9
რა იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ თქვენ დაეთანხმეთ თქვენი მეუღლის/პარტნიორის გადანყვეტილებას შვილის არ გაჩენის თაობაზე და არ ნახვედით ამ გადანყვეტილების წინააღმდეგ?		N = 41
ჩემმა მეუღლემ დამარტყა, დამემუქრა განქორწინებით ან ჩემზე ზეწოლა მოახდინა		30.7*
ზეწოლა ჩემი მეუღლის მშობლებისგან		2.9*
სხვა		57.0*
უარი პასუხზე		9.5*

\* შერჩევის ზომის სიმცირის გამო მონაცემი არ არის სანდო.







**ცხრილი B.24.** ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების შესაძლებლობა, უარი უთხრან მეუღლეს/ პარტნიორს სქესობრივ კავშირზე (პროცენტი)

		 ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი N = 2,929
შეგიძლიათ თუ არა უარი უთხრათ სქესობრივ კავშირზე თქვენს მეუღლეს/პარტნიორს, თუ თქვენ არ გსურთ სქესობრივი კავშირის ქონა?		
<input checked="" type="radio"/>	დიახ	80.3
<input type="radio"/>	არა	17.6
<input type="radio"/>	არ ვიცი	0.9
<input type="radio"/>	უარი პასუხზე	1.2









**ცხრილი B.25.** გადაწყვეტილების მიღება რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით (პროცენტი)

		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
ვინ იღებს გადაწყვეტილებას, იმის შესახებ, რომ გამოიკვლიოთ თქვენი რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მაგალითად როდის უნდა მიმართოთ გინეკოლოგს ან ჩაიტაროთ გამოკვლევები?		
	გადაწყვეტილებას ვიღებ მე	75.9
	გადაწყვეტილებას ძირითადად იღებს ჩემი მეუღლე/ პარტნიორი	1.8
	გადაწყვეტილებას ვიღებთ ერთობლივად, მე და ჩემი მეუღლე/ პარტნიორი	18.6
	სხვა	2.8
<input type="radio"/>	უარი პასუხზე	0.9











**ცხრილი B.26.** ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა (ცხოვრების მანძილზე და ბოლო 12 თვის მანძილზე) (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	 ცხოვრების მანძილზე	 ბოლო 12 თვის მანძილზე
<b>ნებისმიერი სახის ძალადობა</b>	<b>50.1</b>	<b>18.2</b>
ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)	8.5	n/a
ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)	19.7	n/a
სექსუალური შევიწროება	24.5	9.7
ადევნება	8.5	1.6
სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	1.5	0.0
ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	6.5	0.5
ნებისმიერი სახის ძალადობა პარტნიორის მხრიდან	22.9	9.3
 ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	5.1	0.6
 სექსუალური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	3.0	0.4
 ფსიქოლოგიური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	20.5	8.7
 ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან	7.2	2.1

**ცხრილი B.27.** ქალების უსაფრთხოების აღქმა მარტო სიარულისას (პროცენტი)

		 ქალები (15-69 წლის) N = 3,300
რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს თქვენს უბანში/ სამეზობლოში მარტო სიარულისას?		
	ძალიან უსაფრთხოდ	58.4
	საკმაოდ უსაფრთხოდ	32.5
	ოდნავ დაუცველად	7.1
	ძალიან დაუცველად	1.3
	არასდროს დავდივარ მარტო დაბნელების შემდეგ	0.7
	არ ვიცი	0.0
	უარი პასუხზე	0.0

**ცხრილი B.28.** ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებასა და მარტო სიარულისას უსაფრთხოების აღქმას შორის დამოკიდებულება (პროცენტი)

	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300		
	 განუცდია ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე	 არ განუცდია ძალადობა ბოლო 12 თვის მანძილზე	
რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს თქვენს უბანში/ სამეზობლოში მარტო სიარულისას?			
	ძალიან უსაფრთხოდ	37.7	63.0
	საკმაოდ უსაფრთხოდ	41.6	30.4
	ოდნავ დაუცველად	16.5	5.0
	ძალიან დაუცველად	3.7	0.8
	არასდროს დავდივარ მარტო დაბნელების შემდეგ	0.5	0.7
	არ ვიცი	0.0	0.1
	უარი პასუხზე	0.0	0.0

**ცხრილი B.29. ფუნქციური სირთულეების მქონე და არმქონე ქალთა მიმართ ძალადობა**




	 ქალები (15-69 წლის) N = 3,300	
	ფუნქციური სირთულეების მქონე ქალები	ფუნქციური სირთულეების არმქონე ქალები
<b>ნებისმიერი სახის ძალადობა</b>	<b>54.7</b>	<b>45.8</b>
ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა (18 წლამდე)	9.3	7.8
ბავშვობაში განცდილი ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა (18 წლამდე)	22.5	17.2
სექსუალური შევიწროება	24.2	24.8
ადევნება	8.7	8.3
სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	2.1	1.0
ფიზიკური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ)	7.7	5.5
